

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი

ლელა წიწუაშვილი

იუდაიზმი XX საუკუნის პირველი ნახევრის
საქართველოს ხელოვნებაში
(საქართველოს ებრაელთა
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის
კოლექციის საფუძველზე)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი ირინე კოშორიძე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2012

შინაარსი

შესავალი

თემის აქტუალობა 3

ლიტერატურის მიმოხილვა 10

თავი I

იუდაიზმის განმარტება 18

იუდაიზმის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა ხელოვნებაში 26

თავი II

ებრაული დიასპორა საქართველოში 32

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
და მისი ექსპონატები 41

თავი III

პირველი ებრაელი მხატვარი საქართველოში შალომ კობოშვილი – 51

თავი IV

ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა.
ექსპონატები 65

თავი V

ებრაული რელიგიურ-რიტუალურ სიუჟეტებზე შექმნილი ნამუშევრებისა
და არტეფაქტების შინაარსის განმარტება 100

დასკვნა 149

განმარტებითი ლექსიკონი 154

ბიბლიოგრაფია 167

შესავალი

თემის აქტუალობა

იუდაიზმი საქართველოს ხელოვნებაში პრაქტიკულად არ განხილულა და აქამდე მსგავსი ტერმინი ამ პერიოდის ქართული ხელოვნების ისტორიაში არც ყოფილა გამოყენებული. სწორედ ამან გამოიწვია ავტორის დაინტერესება თავი მოეყარა და გარკვეულ წილად განემარტა, თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი და როგორი ინტერპრეტაცია ჰქონდა ამ ძალზედ საინტერესო მოვლენამ საქართველოში. მას წინ უძღვოდა მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევა, დაფუძნებული როგორც უმდიდრესი ლიტერატურული და სამეცნიერო წყაროების გაცნობაზე, ასევე საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციის შესწავლასა და ატრიბუციაზე.

იუდაიზმი ხელოვნებაში, რომლის ისტორიულ მიმოხილვას ქვემოთ შემოგთავაზებთ, ძალზედ რთული, უცნაური და საინტერესო მოვლენაა, ხოლო ქართული ხელოვნების კონტექსტში აქამდე არასოდეს ყოფილა განხილული, რამაც განაპირობა ამ თემის აქტუალობა.

უდიდესი ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, კონკრეტულად ეს თემა არავის შეუსწავლია, რამაც ერთის მხრივ ბევრი სირთულეები გამოიწვია მუშაობისას, მაგრამ ამასთანავე უფრო მეტი ინტერესი და პასუხისმგებლობა ავტორის მხრიდან.

მულტიკულტურულ საქართველოში ებრაელი დიასპორა ერთ-ერთი უძველესთაგანია და ებრაელთა პირველ მიგრაციას უკავშირდება. XI საუკუნის ქართული წერილობითი წყაროებიდან “ქართლის ცხოვრება” (70, 56) ვიგებთ, რომ ებრაელები საქართველოში ნაბუქოდონოსორის მიერ (ძვ. წ. აღ. 586 წელს) პირველი ტაძრის დანგრევის, იერუსალიმიდან მათი განდევნის შემდეგ გამოჩნდნენ და ქართლში დასახლდნენ.

ებრაელები უდიდესი რელიგიის, ისტორიისა და კულტურის მქონე ერია, მიუხედავად იმ დევნისა, რასაც ისინი სხვადასხვა ქვეყნებში განიცდიდნენ საუკუნეების განმავლობაში, მათ არა თუ შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, არამედ განავითარეს თავიანთი კულტურა. ამასთანავე ისინი ბრწყინვალედ ახერხებდნენ

ადგილობრივ ტრადიციებთან ადაპტაციასა და სინთეზს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია საქართველოში მცხოვრები ებრაელთათვის. საქართველო ხომ იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყანას წარმოადგენს, სადაც ებრაელებს ისტორიულად არამცთუ დევნიდნენ, არამედ მათ მიმართ ყოველთვის კეთილ და მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. ალბათ სწორედ ამით აიხსნება ის უნიკალური ფენომენი, რომ საქართველოში ებრაელებს, გარდა რელიგიურისა, არ ჰქონდათ განსხვავებული ენა ან დიალექტი, თითქმის არ გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით, არასოდეს არ ცხოვრობდნენ გეტოებში. ქართველი ებრაელი – ეს გამოთქმაც ნათელს ხდის, თუ როგორ საფუძვლიანად დამკვიდრდა საქართველოში ებრაელობა, როგორ შეიყვარეს ქართული ენა, ტრადიციები, ისე რომ არ დავიწყებიათ ებრაული ადათ-წესი. ამ გარკვეული ასიმილაციის მიუხედავად, რომელიც თან ახლავს დიასპორაში ცხოვრებას, ქართველმა ებრაელებმა საუკუნეების მანძილზე სათუთად ატარეს და დღემდე შემონახეს თავიანთი რელიგია და ტრადიციები. ისინი მტკიცედ იცავდნენ მოსეს მცნებებს, განსაკუთრებით კი მეორე მცნებას, ანუ ებრაელთათვის აკრძალული იყო გამოსახულების შექმნა, რამაც განაპირობა არა ესთეტიკური, არამედ, უფრო მეტად, ცერემონიალური ხელოვნების განვითარება.

აქედან წარმოიშვა მოსაზრება ებრაული სახვითი ხელოვნების არარსებობის შესახებ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო კულტურაშიც. თუმცა ეს გარკვეულ წილად მცდარი მოსაზრებაა. XX საუკუნის დასაწყისში არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა ძველი პალესტინისა და მესოპოტამიის ტერიტორიებზე სრულიად შეცვალა ეს მოსაზრება და ებრაული ხელოვნების შესწავლის სფეროში გადატრიალება მოახდინა. ახლანდელ ისრაელის ტერიტორიაზე და აგრეთვე დურა ევროპოსში (ახლანდელი ერაყი) ახ. წ. III საუკუნის სინაგოგების ნანგრევები აღმოაჩინეს, სადაც კედლები მთლიანად ძველი აღთქმის სიუჟეტებზე შექმნილი ადამიანების გამოსახულებიანი ფრესკებითაა მოხატული. რით შეიძლება აიხსნას ორთოდოქსალური იუდაიზმის ამ ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევა? ერთადერთი ახსნა ისევ მეორე მცნებაში უნდა ვიძიოთ. ეს მისი მეორე ნაწილის სხვაგვარი ინტერპრეტირებით შეიძლება აიხსნას, რომლის მიხედვითაც არ უნდა შეიქმნას გამოსახულებანი არა ზოგადად, არამედ მათ წინაშე თაყვანისცემის მიზნით და რა თქმა უნდა, ყოველად დაუშვებელია ღრმერთის გამოსახულება, რადგან

იუდეველთა ღმერთი უხილავია. სინაგოგებს ამშვენებს საოცარი ფრესკები და მოზაიკები. ღურა ევროპოსი იმ პერიოდის მესოპოტამიაში ერთგვარ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა, სადაც მცირე ტერიტორიაზე კვინტესირებული იყო სხვადასხვა რელიგიებისა და ეთნოსების წარმომადგენლები და აგებული იყო მათი ტაძრები, წარმართულიც, იუდეველთაც, და ახლად გავრცელებული ქრისტიანული ტაძრები. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი სინაგოგების შიდა მორთულობა და ფრესკები თუ მოზაიკები, ბევრად უფრო მდიდრულია და საინტერესოა, ვიდრე ადრებიზანტიური ტაძრის დეკორი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ახლად დაარსებული რელიგია ჯერ არ იყო იმდენად ფეხმოკიდებული, როგორც უძველესი მონოთეისტური იუდაიზმი, და სინაგოგა გაცილებით უფრო ჩამოყალიბებული და მძლავრი ინსტიტუცია იყო, სავარაუდოდ არა მხოლოდ იდეოლოგიურად, არამედ ფინანსურადაც. ამის შემდგომ პერიოდში ადრეშუასაუკუნეებში აღარსად გვხვდება ადამიანის გამოსახულებანი XIII საუკუნემდე. ხოლო XIII–XVI საუკუნეებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იქმნება ილუსტრირებული მანუსკრიპტები, სადაც ასევე ადამიანების გამოსახულებებია წარმოდგენილი. ფერწერული მინიატურები ამშვენებს ჰაგადის ტექსტებს (ეგრეთ წოდებული გერმანული “ჩიტისთავიანი ჰაგადა”, ჩიტისთავიანი ადამიანის ფიგურების გამოსახულებით), დანარჩენ ევროპულ მანუსკრიპტებში ჩვეულებრივი ადამიანის გამოსახულებანია, ამასთანავე აღსანიშნავია იმ ეპოქისა და ქვეყნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილისტური მსგავსება.

შემდგომ პერიოდში ისევ გამოსახულებების აკრძალვა, და საერთოდ ებრაელებისთვის მხატვრობის შესწავლის აკრძალვაც კი დომინირებდა მსოფლიოს სხვადასხვა ებრაულ დიასპორებში. ამიტომ, როგორც ასეთი XVIII საუკუნემდე არ არსებობდა ებრაული მხატვრობა, ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ებრაელების მიერ, არამედ იუდაიკის თემაზე შექმნილი. ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობდნენ ებრაელი წარმოშობის მხატვრები, ზოგი არ ემორჩილებოდა ამ რელიგიურ აკრძალვას, ხშირად ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, ირჩევდნენ ხელოვნების რთულ გზას და უდიდესი ღვაწლი შეიტანეს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში.

საქართველოში განსაკუთრებით დიდხანს და მკაცრად იცავდნენ ამ

ორთოდოქსალურ ტრადიციას და აქ მხატვრობა ებრაელებისთვის შეუფერებელ საქმედ ითვლებოდა.

ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრისთვის საქართველოში არ არსებობდა ებრაული წარმოშობის მხატვარი. 1933 წ. თბილისში დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მისი კოლექცია 3 წლის მანძილზე მოწყობილი რეგიონალური სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების საფუძველზე შეგროვდა.

მუზეუმის კოლექცია მრავალმხრივად წარმოაჩენდა ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას. მუზეუმის სახვითი ხელოვნების კოლექციაში სხვადასხვა ავტორთა ასსამოცდაათამდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია. ამ კოლექციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილისა (1876-1941) და ქართველი ფერმწერის დავით გველესიანის (1890-1949) ნამუშევრები, რომლებშიც ყველაზე საინტერესოდ და ხატოვნად აისახა ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

მუზეუმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ ებრაელთა საზოგადოებაში და საკმაოდ ბევრი დამთვალიერებელი ყოლია, განსაკუთრებით დიდი მოწონებით შალომ კობოშვილის გამოფენა სარგებლობდა.

1951 წელს მუზეუმი დაიხურა, როგორც სიონიზმის კერა და სინაგოგის შენობის კონფისკაციის შემდეგ კოლექციები სხვადასხვა მუზეუმებში გადანაწილდა (ამჟამინდელ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლაში) და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), სადაც ეს ექსპონატები დღემდეა დაცული.

1988 წელს ქართველ ებრაელთა ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით დაარსდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია (პრეზიდენტი – გივი დამბაშიძე, ვიცე-პრეზიდენტი – შალვა წიწუაშვილი, საპატიო წევრები – ანდრია აფაქიძე და როინ მეტრეველი). 1992 წელს საქართველოს მთავრობის ბრძანების საფუძველზე ამ ასოციაციამ თბილისში აღადგინა ებრაული მუზეუმი, ამ დღიდან იგი დავით ბაახოვის სახელს ატარებს. მუზეუმი ისევ ძველი სინაგოგის შენობაში განთავსდა, რომლის ავარიული მდგომარეობის გამო კოლექციები კვლავ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებსა და ხელნაწერთა ეროვნულ

ცენტრშია დაცული. 1992-2001 წლებში მუზეუმის დირექტორი გახლდათ ბატონი შალვა წიწუაშვილი, ამჟამად მუზეუმს ბატონი გივი ღამბაშიძე ხელმძღვანელობს.

ათწლეულების მანძილზე ეს საოცარი კოლექცია საცავებში იყო განთავსებული და უცნობი იყო არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი. ექსპონატები საკმაოდ დაზიანებული იყო იმ წლებში საერთო სამუზეუმო ფონდების მიმღე პირობების გამო. 2005 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოპოვებული გრანტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა თავი მომეყარა ადრე ჩატარებული სამეცნიერო კვლევისათვის პირველი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის ნამუშევართა ალბომის პუბლიკაციისათვის და 2006 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შალომ კობოშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოვაწყეთ მისი პერსონალური გამოფენა და გამოიცა სრული კატალოგი. შალომ კობოშვილი პირველი ებრაელი მხატვარია საქართველოში და მისი საოცარი ბიოგრაფიის წყალობით სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მან 61 წლის ასაკში დაიწყო ხატვა და მისი მოღვაწეობა მხოლოდ სამ წელიწადს გაგრძელდა (მის გარდაცვალებამდე), მაგრამ ამ მოკლე დროის მანძილზეც მან მოახერხა ქართველ ებრაელთა ყოფის საოცარი დოკუმენტურ-თხრობითი მატრიანე შექმნა.

2008 წელს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 75 წელთან და ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა მეორე გამოფენის მომზადება, რომელიც მიეძღვნა მთლიანად ებრაული მუზეუმის კოლექციას და ასახავდა ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას და აგრეთვე გამოიცა ამ გამოფენის სრული კატალოგი.

აღსანიშნავია, რომ 1992 წელს ისრაელში გამოცემულ წიგნებში “In the land of the Golden Fleece. The Jews of Georgia History and Culture. Editors: Rachel Arbel, Lily Magal (Magalashvili). Tel Aviv, 1992“ (259), დაიბეჭდა კობოშვილის რამდენიმე ნამუშევარი. ზოგიერთი მისი სურათი შესულია აგრეთვე გრეგორი გუროვის მიერ გამოცემულ 1998 წლის გამოფენის კატალოგში “Beyond the Golden Fleece. A cultural history of the Jews of Georgia. Bethesda, 2004“ (246), თუმცა აქ რამდენიმე კობოშვილის ნამუშევარი არასწორადაა იდენტიფიცირებული და მოიხსენიება უცნობი მხატვრის ან გველესიანის ავტორობით.

გამოფენის მომზადების პროცესში შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერით სათანადო სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება და აგრეთვე ყველა სურათის ჩარჩოებით და პასპარტუებით უზრუნველყოფა.

2008 წელს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 75 წელთან და ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა მეორე გამოფენის მომზადება, რომელიც მიეძღვნა მთლიანად ებრაული მუზეუმის კოლექციას და ასახავდა ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას და აგრეთვე გამოიცა ამ გამოფენის სრული კატალოგი. ეს პროექტი განხორციელდა საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციების სრული ფინანსური მხარდაჭერით.

მადლობას ვუხდით ყველა იმ ორგანიზაციას ვისი დაინტერესებისა და ფინანსური მხარდაჭერის გარეშე პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა: ისრაელის საელჩოს საქართველოში და პირადად მის იმდროინდელ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულებას ბატონ შაბთაი ცურს, ებრაულ სააგენტო “სოხნუთს” და პირადად მის იმდროინდელ ხელმძღვანელს ამიერკავკასიის ქვეყნებში ბატონ გრეგორი ბროდსკის, ისრაელი-საქართველოს ბიზნეს პალატას და მის პრეზიდენტს ბატონ იციკ მოშესა და ბიზნეს პალატასთან არსებულ city ჯგუფს, ისრაელის საელჩოსთან არსებულ კულტურულ ცენტრსა და საელჩოს პირველ მდივანს ბატონ მიხეილ ბარკანს.

2010 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მესამე ებრაული პროექტი განხორციელდა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში იერუსალიმის ბენ ცვი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ებრაულ ისტორიულ სემინარს. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გახსნილ გამოფენასთან დაკავშირებით გამოიცა კატალოგიც. წინა ორი გამოფენისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელზე, გარდა ებრაული მუზეუმის კოლექციისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული, ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი უძველესი ექსპონატებიცაა წარმოდგენილი. ესენია ურბნისის სამაროვანში აღმოჩენილი I-V საუკუნეების მინისა და თიხის არქეოლოგიური მასალა (მინისა და თიხის ჭურჭელი, მინიატურული ნელსაცხებლები, მძივები), III საუკუნის მცხეთის სტელები ებრაული წარწერით,

V-VI სს. ოქროს ფირფიტა-ამულეტის ფოტოასლი ებრაული წარწერით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციიდან, X-XI სს. უნიკალური ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი, ეგრედ წოდებული “ლაილაშის ბიბლია” ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან.

ამ სამი პროექტის საშუალებით, მრავალი წლის მანძილზე მივიწვებული ექსპონატები თითქოსდა გაცოცხლდა და სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი დაიმსახურა. თითოეული ეს გამოფენა რამოდენიმე თვის მანძილზე მასპინძლობდა ადგილობრივ თუ უამრავ უცხოელ დამთვალიერებელს.

უპირველეს ყოვლისა, ამ პროექტების განხორციელების წყალობით შესაძლებელი გახდა ებრაული მუზეუმის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილის შესწავლა, ატრიბუცია, მოვლა და მოწესრიგება, ხოლო ზოგიერთი ექსპონატის პირდაპირი მნიშვნელობით გადარჩენაც კი. ეს ეხება არა მხოლოდ ფერწერასა და გრაფიკას, არამედ კოსტუმებს, ქსოვილებს, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რელიგიურ თუ რიტუალურ არტეფაქტებს. ამ გამოფენებზე წარმოდგენილი ყველა ექსპონატი დაექვემდებარა რესტავრაციასა თუ კონსერვაციას. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქსოვილები იყო, ნაწილი, რაც გამოიფინა, შეიძლება ითქვას ამ ეტაპზე გადარჩენილია, ხოლო დანარჩენს ესაჭიროება სასწრაფო კონსერვაცია და რესტავრაცია, რაც უახლოეს მომავალში ჩვენი ძირითადი მიზანია. ვიმედოვნებთ, რომ მალე ებრაული კოლექცია სრული სახით იქნება მოწესრიგებული და თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კულტურის ისტორიაში, როგორც მისი სინთეზური და განუყოფელი ნაწილი.

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია ძალიან ფართო სპექტრის ლიტერატურული წყაროები, რომლებიც გარკვეულ წილად სცდება ნაშრომის კონკრეტულ სახელწოდებას, მაგრამ ამასთანავე უშუალოდ დაკავშირებული მასთან. იუდაიზმის და “იუდაიკის” მცნების და ისტორიული სარჩულის გარეშე ეს თემა თანამედროვეობაშიც წარმოუდგენელია.

უშუალოდ დისერტაციის თემას რაც შეეხება, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ებრაელთა მუზეუმის კოლექციის შესახებ თავმოყრილია საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში (67), რომლებიც მუზეუმის არსებობის პერიოდში სამ ტომად იყო გამოცემული, ხოლო ბოლო წლებში გამოიცა უკვე ახალი კრებულის ორი ტომი (23, 68).

შრომებში გამოქვეყნებულია მეცნიერ თანამშრომელთა და ებრაული ისტორიისა და კულტურის მკვლევართა სტატიები, რომელშიც მიმოხილულია როგორც მუზეუმის შექმნის ისტორია, ასევე ქართველ ებრაელთა ისტორიის, ტრადიციების, ეთნოგრაფიის, ყოფის ამსახველი წერილები. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია მუზეუმის ერთ-ერთი დირექტორის ილია პაპისმედოვის სტატია (56) ებრაელ მხატვარზე შალომ კობოშვილზე, რომელიც გამოქვეყნდა მისი პერსონალური გამოფენის შემდეგ. ეს ერთადერთი ნაშრომია, საიდანაც შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მოძიება ამ მხატვრის ბიოგრაფიასა და შემოქმედების შესახებ, თუ არ ჩავთვლით მისი ქალიშვილების ზეპირ მონათხრობს ბავშვობის მოგონებებზე დაყრდნობით, ვინაიდან ოჯახს სამწუხაროდ არც მისი ნამუშევრები შემორჩა და არც რაიმე სხვა ბიოგრაფიული ცნობები, ამიტომ ილია პაპისმედოვის წერილი კობოშვილზე წარმოდგენის შესაქმნელად მისი თანამედროვეს ერთადერთი ფასდაუდებელი დოკუმენტალური წყარო აღმოჩნდა.

შრომებში ასევე სხვა მეცნიერების სტატიებია, რომლებშიც ასახულია, როგორც მუზეუმის კოლექციების ისტორია, ასევე გარკვეული ისტორიული თუ ეთნოგრაფიული მასალები ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან. ხოლო ახლადგამოცემულ IV და V ტომებში თანამედროვე მეცნიერების სტატიებია არა

მხოლოდ ებრაული მუზეუმის შესახებ, არამედ ზოგადად ებრაისტიკის დარგშიც არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ 1991 წელს ისრაელში, ქალაქ თელ-ავივის დიასპორის მუზეუმში მოეწყო გამოფენა “ოქროს საწმისის ქვეყანაში”, რომელზეც წარმოდგენილი იყო როგორც ქართული ხელოვნების ნიმუშები ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის კოლექციიდან, ასევე ებრაული მუზეუმის კოლექციის ნაწილი და კობოშვილის ოთხი სურათი. ამ გამოფენის შემდეგ ისრაელში გამოიცა დიდი წიგნი, რომელშიც შევიდა ისრაელის მეცნიერთა სტატიები საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ და ასევე ქართველ ებრაელთა ისტორიისა და კულტურის ამსახველი მასალა (259). წიგნი ძალზედ ინფორმატიულია და მრავალფეროვანი ილუსტრაციებითაა გამდიდრებული. მასში ასახულია ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების მასალები, დოკუმენტები, ფოტოები და მატერიალური კულტურის ძეგლები. დ. ლანგის სტატიაში (259, 21-36) მიმოხილულია საქართველოს ისტორია და პარალელურად ებრაული დიასპორას ისტორიაც საქართველოში.

ებრაელთა ისტორია კომუნისტური რეჟიმის დამყარებამდე საქართველოში დაწვრილებით და საინტერესოაა განხილული იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორის გერშონ ბენ-ორენის წერილში (259, 37-70).

იცხაკ დავიდის წერილში კი ასახულია ებრაელების ცხოვრება როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში (259, 71-84).

ქართველ ებრაელთა ყოფა, რიტუალები, ტრადიციები, ეთნოგრაფია საუკუნეების მანძილზე, ისევე როგორც მათი ისტორია არ იყო შესწავლილი და გამოკვლეული. რაჰელ არბელის და ლილი მაგალის (მაღალაშვილის) ერთობლივ ნაშრომში თავმოყრილია ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ნაწილობრივ ებრაული მუზეუმის შრომებში (259, 85-167) და მისი კოლექციის საფუძველზე იყო მოპოვებული და აგრეთვე საქართველოს ებრაელებით დასახლებულ რეგიონებში მოგზაურობისას სინაგოგებსა და ოჯახებში შეგროვებული და გადაღებული ფოტოების, დოკუმენტების, ნივთებისა და სხვა მასალების გამოყენებით მომზადდა.

ლილი ბაახოვის წერილი კი საბჭოთა რეჟიმის დროს ებრაელთა ცხოვრებაზეა საქართველოში (259, 167-189).

1998 წელს აღინიშნა ებრაული დიასპორის არსებობის ოცდაექვსე საუკუნოვანი იუბილე საქართველოში. ამასთან დაკავშირებით სხვა საზეიმო ღონისძიებთა შორის ეროვნულ გალერეაში (ყოფილი “ცისფერი გალერეა”) მოეწყო დიდი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქართველთა და ებრაელთა კულტურისა და ხელოვნების ამსახველი ექსპონატები ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმიდან და ებრაული მუზეუმის ფონდებიდან. ებრაული მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდებში ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შესარჩევი და მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის საფუძველზეც მოხდა ნამუშევრების შედარება საინვენტარო წიგნებში შეტანილ ძველ მონაცემებთან, მათი ატრიბუცია და სარესტავრაციოდ მომზადება. ამ გამოფენის მასალები შემდგომში აისახა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ კატალოგში (246), რომელშიც შევიდა ქართველ და ამერიკელ მკვლევართა ნარკვევები. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის, ლევან ჭილაშვილის საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა (246, 5-12), დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის შალვა წიწუაშვილის წერილი ებრაელთა ისტორიაზე საქართველოში (246, 14-32), ამავე მუზეუმის ამჟამინდელი დირექტორის გივი ღამბაშიძის კვლევა ქართველ ებრაელთა გვარების შესახებ (246, 33-40), ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორის ორი სოლტესის წერილი ქართველ ებრაელთა რიტუალებსა და რიტუალურ ნივთებზე (246, 34-46), შოთა ბოსტანაშვილის კვლევა სინაგოგებსა და ებრაული საფლავების არქიტექტურაზე (246, 47-62), ს. ჯანაშიას მუზეუმის ეთნოგრაფიის კოლექციების მეცნიერ თანამშრომლების, დოქტორების ლეილა მოლოდინისა და ციალა ბეზარაშვილის წერილი ქართველ ებრაელთა ქსოვილების შესახებ (246, 63-75) და აგრეთვე ორი სოლტესის ცალკეული წერილები ებრაული ყოფის ასახვის შესახებ ებრაული მხატვრის მიერ (246, 76-90) (ჩვენი მიწოდებული მასალების გამოყენებით) და ლაილაშის ბიბლიის შესახებ (246, 91-98).

კატალოგი გამოიცა გამოფენიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და რაც შეეხება ებრაული მუზეუმის სახვითი ხელოვნების ექსპონატებს საკმაოდ ბევრი შეცდომა და უზუსტობაა დაშვებული. მათ შორის მხატვრების და ნამუშევრების არასწორი იდენტიფიკაციები.

ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული წყარო ხელოვნებაში, ზოგადად იუდაიზმის სფეროში, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული დისერტაციაზე მუშაობისას, ირენ კორნის წიგნია “იუდაიზმი ხელოვნებაში” (20). იუდაიზმი ხელოვნებაში ძირითადად ამ ნაშრომზე დაყრდნობითაა მიმოხილული და მასში აღწერილი ტრადიციები და რიტუალები მსოფლიო ებრაულ კულტურაში გამოყენებული იქნა როგორც ძალზე საჭირო და საინტერესო პარალელური მასალა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ებრაული ენციკლოპედია. ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ებრაულ სამყაროზე და იუდაიზმზე უამრავი საინტერესო და უმნიშვნელოვანესი ინფორმაციაა კვინტენსირებული, გამოყენებულია როგორც პირველი გამოცემა (1913 წ.) (138), ასევე გვიანი გამოცემები (165) და ებრაული ენციკლოპედიის ელექტრონული ვერსია

(<http://www.google.ge/#hl=ka&site=&source=hp&q=766>), რის საფუძველზეც იუდაიზმის მიმოხილვა იქნა გაკეთებული. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ეს იყო ერთ ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი წყარო.

გარდა ამისა, დიდი დახმარება გაგვიწია ინტერნეტში იუდაიკის სხვადასხვა საიტებზე განთავსებულმა ძალიან მრავალფეროვანმა ინფორმაციამ და საქართველოსა თუ უცხოეთში უკანასკნელი გამოცემების მიმოხილვამ და ხშირ შემთხვევაში წიგნების ელექტრონული ვერსიების გაცნობის საშუალებამ.

ზოგადად ებრაული ისტორია და ხელოვნება შესანიშნავადაა წარმოდგენილი ისრაელში 2006 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ ფუნდამენტურ წიგნში (260), რომელშიც აგრეთვე მდიდარი საილუსტრაციო მასალაა წარმოდგენილი და საუკუნეების მანძილზე დიასპორაში ებრაელთა კულტურას განიხილავს.

ხელოვნებას ებრაულ ტრადიციაში ეძღვნება იერუსალიმში გამოცემული წიგნი (147), რომელშიც ძირითადად კლავსბალდის სტატიებია (156) ებრაულ ხელოვნებაზე სინაგოგის საკულტო ნივთებში, რელიგიურ და ყოფით ცერემონიებში, ქორწინება (158), ხანუქის დღესასწაული (160) ებრაულ ხელოვნებასა და ფოლკლორში.

ქართველ ებრაელთა ისტორია ქრისტეს შობამდე VI ს. იწყება.

“ქართლის ცხოვრებაში” ხატონად არის ასახული საქართველოში ებრაელთა მოსვლა, ეს მოვლენა დაკავშირებულია 586 წ. ძვ. წ. ბაბილონელთა მეფის

ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აოხრებასთან და ებრაელთა მასიურ მიგრაციასთან. (72)

ებრაული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების “იუდაიკის” მიხედვით ებრაული სალოცავების გენეზისი ბაბილონელთა მიერ “პირველი ტაძრის” დანგრევას უკავშირდება. ტაძარი ებრაელთა მესამე მეფემ – დავითის ძემ, სოლომონმა ააშენა სიონის მთაზე. მას სოლომონის ტაძარი ეწოდა. (სოლომონის მეფობის დასაწყისს 971 ან 987 წლით (ძვ. წ. აღ.) განსაზღვრავენ). (138)

“პირველი” – ტაძრის გვიანი სახელწოდებაა, უფრო გვიან კი ებრაელი ხალხის ცნობიერებაში სიონის მთა ღმერთს განასახიერებს, ტაძარი – ღმერთის სახლს. ტაძარი მრავალგზის აღსდგა და შეიღახა, და ბოლოს რომის იმპერატორმა ტიტუს ვესპასიანემ დაანგრია ქრისტეს შობიდან 70 წელს.

ტაძარი (“სახლი ღვთისა”, “სახლი რჩეული”, “სახლი სიწმინდისა” – ებრაულად “ბეთ ჰამიკდაშ”) უპირველესად იყო უმადლესი ეროვნული სიწმინდის – აღთქმის კიდობანის საცავი, სადაც ინახებოდა სჯულის ფიცარი და სხვა სიწმინდენი.

ტაძარი დარჩა ებრაელთა ერთიანობის და ღმერთთან კავშირის სიმბოლოდ.

სალოცავი – სალოცავები – (ებრ. “ბეთ ჰაქნესეთ” – “სახლი საკრებულო” – შდრ. ”ეკლესია”) – დიასპორის ფენომენია. პირველი სალოცავი ბაბილონის ტყვეობაში უნდა გაჩენილიყო.

საქართველოს ებრაული სალოცავების წინამორბედნიც ამ “პირველთა” რიცხვს უნდა განეკუთვნებოდნენ. მათ შესახებ შემოგვრჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა.

“მატბერდის კრებულში” მოხსენებულია ებრაული სალოცავი – “ბაგინი ჰურიათა”. უფრო გვიანდელ ქართულ წყაროებში “ბაგინს” და “ებრაულ სალოცავს” ჩაენაცვლება “თორა”. თორა (ებრ.) – ძველი აღთქმის წიგნებია.

ებრაული სალოცავის სინონიმად დამკვიდრებულია “სინაგოგა” – ბერძნული სიტყვა – და ნიშნავს კრებას, შეკრებას კულტმსახურებისათვის, რაც იგივეს აღნიშნავდა ბერძნულ კერპთაყვანისმცემლობაში. ამ სახელით ბუნებრივად უნდა მონათლულიყო ახალშობილი ებრაული ინსტიტუტი ელინურ სამყაროსთან უნებლიე და ინტენსიურ ურთიერთობაში. ბერძნულმა კულტურამ შემატა ებრაულ ხელოვნებას არა მარტო თავისი სახელი, არამედ გარეგნული სახეც და მცხეთელი ურიანი შემდგომ ამ სახით აგებენ ბაგინს “... და მათ დღეთა შემეშურვნეს ფრიად ჰურიანი მცხეთელნი ჩემზედა დასცეს ხე იგი კილაძი,

რომელი იდგა კარსა ზედა ბაგინისასა, ებრაელი აბიათარის პირით, რომელიც იყო “პირველ მღვდელი ბაგინთა შინა ჰურიათასა მცხეთას.” (50)

“მოქცევაი ქართლისაიში” მოხსენებული “სტოვასა ბაგინისასა” ებრაელთა სალოცავი სახლის ელინური არქიტექტურის ნიშნებზე მიუთითებს, ხოლო “პირველ მღვდელი ბაგინთა შინა ჰურიათასა მცხეთას” – საქართველოს პირველი ქრისტიანული სალოცავის ჩასახვაზე მცხეთაში.

“მოქცევაი ქართლისაი” და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში ძალიან საინტერესოდ არის განხილული გ. ლორთქიფანიძისა და გ. ყიფიანის ერთობლივ წერილში (40, 457-472).

ქრისტიანობამ (მოგვიანებით ისლამმაც) მიიღო “საკრებულო სახლი” – სალოცავის ინსტიტუტი – თავის ძირითად ორგანიზაციულ საფუძველად. ამ საფუძველზე აღმოცენდნენ ის დიდებული ტაძრები, რომლებმაც აღნიშნეს დრო და წარმართეს ოცსაუკუნოვანი ცივილიზაციის სივრცე. (15)

ებრაული სალოცავი თავად დროა, ღოცვის პროცესი რიტუალია და მისი ჩატარება აუცილებელია, თუნდაც “ყოველ ადგილას” – მინდორში, ეზოში, ოთახში (სასურველია ერთსართულიანი).

ასეთი თავისუფლება ითვალისწინებდა დიასპორის “მომთაბარე” პირობებს, რომ სპეციალური სალოცავი შენობის უქონლობას ერთი დღითაც არ შეეწყვიტა მარადიული სულიერი ცხოვრების რითმი.

ებრაული სალოცავის შენობა სალოცავის ინსტიტუტის ერთ-ერთი სასურველი ფორმაა და არა ერთადერთი; ის უფრო ინტერიერია, ვიდრე ექსტერიერი; შინაარსია, ვიდრე ფორმაა; საშუალებაა, ვიდრე მიზანი.

სალოცავების ექსტერიერებს ერთი მიზანი შემორჩათ – დროისა და ადგილის კონტექსტუალიზმი – მორგება. (15)

ებრაულ სალოცავთა ექსტერიერების ეკლექტიკა და სტილთა სიმრავლე გამოწვეულია დიასპორის გაფანტულობით. სინაგოგის არქიტექტურა უნდა მორგებოდა იმ ქვეყნების და ეპოქის სტილს, სადაც ის შენდებოდა. (ილ. 16, 17, 19)

სალოცავმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ებრაელთა ცხოვრებაში, გააერთიანა ღვთისმსახურება, სკოლა (ებრ. “ხედერ”) და საზოგადოებრივი ცხოვრება.

სინაგოგის წყალობით მრავალსაუკუნოვანმა აგებულებამ ვერ დააკარგინა ებრაელობას ეროვნული სახე.

სალოცავმა შეუცვალა ებრაელობას დანგრეული წმინდა ტაძარი, შეუნახა ხსოვნა, შეუნარჩუნა რწმენა და იმედი მომავლისა, სამშობლოში დაბრუნებისა.

ძნელია ისაუბრო ებრაულ არქიტექტურაზე იმავე საზოგადო მნიშვნელობით, როგორც ეგვიპტურზე, ბერძნულზე, ჩინურ-იაპონურზე, მუსლიმურზე, რომლებმაც საკუთარი არქიტექტურული თემები დაიმკვიდრეს, რადგან საკუთარ მიწას მოწყვეტილი ერი არქიტექტურული თემის “ვარიაციებით” კმაყოფილდება. ეს სიძნელე თავად არქიტექტორის ფენომენშია.

სინაგოგის მშენებლობისას ადგილმდებარეობის შერჩევას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. თუ სინაგოგა ისრაელში შენდება, მისი საკურთხეველი მიმართული უნდა იყოს იერუსალიმის მთავარი ტაძრისკენ (ახლა გოდების კედელი), ხოლო დიასპორაში სინაგოგა იერუსალიმისკენ უნდა “იყურებოდეს”. (ილ. 18, 20, 21)

საქართველოს ებრაელთა მატერიალური კულტურის შესახებ თითქმის არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა.

შ. ბოსტანაშვილმა თავის წიგნში “ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში” (15) პირველად თანმიმდევრობით წარმოაჩინა საქართველოში არსებული ყველა სინაგოგა და საფლავის ქვები.

ამის გარდა არსებობს საქართველოს ებრაელობასთან დაკავშირებული საერთო წყაროები, რომლებშიც გაბნეულია მეტად საყურადღებო ცნობები, მათ შორის მატერიალური კულტურის შესახებ.

ებრაელთა დასახლებებზე მითითებულია “ქართლის ცხოვრებაში” (72) და ვახუშტი ბაგრატიონის “გეოგრაფიულ აღწერაში”. (73)

XIX ს. საქართველოს ებრაელთა შესახებ ვრცელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მატრიანე დაგვიტოვა იეჰუდა ჩორნიმ – რუსეთის გუბერნიის მკვიდრმა, რომელმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში (76).

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში “ქართველი ებრაელები საქართველოში” (92) მოყვანილია ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები და ავტორი განიხილავს ორმოცდაათამდე ებრაულ დასახლებას საქართველოში. ებრაელთა ერთ-ერთი დიდი ნამოსახლარი ურბნისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რასაც

არქეოლოგიური გათხრების მასალებიც ადასტურებენ გამოიკვლია აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ. (5)

თითქმის ყველა ამ წყაროებზე დაყდრნობილი მონაცემებია თავმოყრილი და შესწავლილი ელდარ მამისთვალაშვილის წიგნში “ქართველ ებრაელთა ისტორია”. (42)

განსაკუთრებულად ავლნიშნავდით ირენ კორნის სერიოზულ და საფუძვლიან კვლევას “იუდაიზმი ხელოვნებაში” (163). წიგნში მიმოხილულია იუდაიზმის ევოლუციური განვითარება სხვადასხვა ქვეყნების დიასპორებში, განმარტულია იუდაიზმი და იუდაიკის მცნება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ებრაულ კანონებზე, წესებსა და ტრადიციებზე, ებრაელთა ცხოვრების ძირითად ეტაპებზე, რაც აისახება რიტუალებში, რელიგიურ და ისტორიულ დღესასწაულებზე, ებრაულ სიმბოლიკაზე. წიგნის ძირითადი კონტექსტი უკავშირდება ამ თემების ასახვას ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, რისთვისაც ავტორი სთავაზობს მკითხველს ძალიან საინტერესო ინფორმაციულ თუ ვიზუალურ ექსკურსს.

თავი I

იუდაიზმის განმარტება

იუდაიზმი (ებრ. יהודה - იაჰადუთ) ებრაელი ერის რელიგიაა, ისტორიაში პირველი მონოთეისტური რწმენა და ანტიკური ხანიდან შემორჩენილი ერთ-ერთი რელიგია. იუდაიზმის დოქტრინა და ისტორია სხვა მონოთეისტურ, კერძოდ სამარიულ, ქრისტიანულ და მუსლიმანურ რელიგიათა საფუძვლების მნიშვნელოვანი ნაწილია.

უკანასკნელი დაახლოებით 2000 წლის მანძილზე იუდაიზმის პრაქტიკული მიმდევრობა მონოლითური არ ყოფილა: მას არ ყოლია ცენტრალური სულიერი მმართველობა; არა ჰქონია შემბოჭავი დოგმა.

იუდაიზმს საპირისპირო იდეებისა და ანტაგონისტური ტენდენციების ურთიერთქმედების მუდმივი შემოქმედებითი ძიება ახასიათებს – ეთიკისა და რიტუალის, უნივერსალიზმისა და ნაციონალიზმის, ებრაელი ხალხის, როგორც ღმერთის მიერ რჩეულისა და ყველა ადამიანის ღმერთის წინაშე თანასწორობისა, პირადი მონანიებისა და ეროვნული განთავისუფლებისა, დაკარგული უძველესი სამშობლოსადმი ისტორიაში უპრეცედენტო ერთგულებისა, იქ დაბრუნებისაკენ ლტოლვისა და განდევნილობაში ცხოვრებისადმი შემგუებლობისა.

მიუხედავად ამისა, ყოველ ვარიაციაში იუდაიზმი მჭიდროდ დაკავშირებული დარჩა რამდენიმე რელიგიურ პრინციპთან. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ერთადერთი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ყოვლად მოწყალე და უხილავი (ტრანსცენდენტული) ღმერთის რწმენა, ღმერთისა, რომელმაც სამყარო შექმნა და რომელიც განაგრძობს მის განგებას. ებრაული აზროვნების მიხედვით, სამყაროს შემქმნელმა ღმერთმა უძველესი აღთქმით კავშირი დაამყარა ებრაელ ერთან, როცა მათ თორის სახით მის მიერ დადგენილი კანონები და მცნებები გაუზიარა. ებრაული ღვთისმსახურება ყველაზე დიდ ადგილს უთმობს ამ კანონებისა და მცნებების შესწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებას ისე, როგორც ეს რელიგიის კანონიკურ წიგნებსა და რაბინულ ლიტერატურაშია ინტერპრეტირებული. ტრადიციული თვალსაზრისით, იუდაიზმი რამოდენიმე მნიშვნელოვანი თვისებით განსხვავდებოდა მისი წარმოშობისას

არსებული სხვა რელიგიური ტრადიციებისაგან. ერთი ასეთი თავისებურებაა მონოთეიზმი: სამყაროს შემქმნელი და კაცობრიობის გამკითხავი ღმერთის რწმენა. იუდაიზმის მეორე თავისებურება მისი მიმდევრებისათვის თორაში აღნიშნულ მცნებათა შესრულების ვალდებულება იყო. იმდროინდელი ხალხების მსგავსად ებრაელებსაც ჰქონდათ ტაძარი, სადაც ქურუმები ღმერთისათვის მსხვერპლს სწირავდნენ, მაგრამ ეს არ იყო ებრაული ღვთისმსახურების ერთადერთი საშუალება.

მონოთეიზმის აღმოცენების ხანა დაახლოებით ძვ. წ. მეორე ათასწლეულია, თუმცა ზუსტი პერიოდი არ არის დადგენილი მკვლევარების მიერ. ორთოდოქსალური იუდაიზმის მიხედვით, ხალხური მასშტაბით ასეთი რწმენის მიღების სათავე ებრაელებისათვის ათი მცნებისა და თორის გაცემა იყო. სწორედ ამ საშუალებით უბრძანა ღმერთმა ებრაელებს მხოლოდ მისი მსახურება, ხოლო სხვა ღვთაებათა თაყვანისცემა ან მათ ხელოვნურ განსახიერებათა წინაშე ქედის მოხრა აუკრძალა. თორაში ჩამოყალიბებულია იუდაიზმის ძირითადი პრინციპები: ერთადერთი ღმერთის არსებობა, მარადიულობა, სამყაროს შემოქმედებაში მისი ერთპიროვნული ავტორობა და მისი გარდაუვალი სურვილის გამოხატულება ისტორიულ მოვლენათა სვლაში. ებრაული თვალსაზრისით, ათი მცნების გამო მათ ეკრძალებათ ყოველი სხვა ღმერთის, კერპის, სულისა თუ ხატის მსახურება. იუდაიზმის თანახმად, მორწმუნე ებრაელები თვით ღმერთის ორმნიშვნელოვნად ან სამებად წარმოდგენას თვლიან მწვალებლობად, რომელიც პოლითეიზმს ჰგავს. ღმერთის უნიკალურობის იდეა თორის ძირითადი პრინციპია. ამის გამო, მისი კანონით ებრაელებს ეკრძალებათ ყოველი ისეთი საგნის გაკეთება, ან ფლობა, რომლის წინაშეც ადამიანს ქედის მოხრა შეუძლია. ამ გაგებით, რადგან ღმერთი უხილავია, ადამიანმა არ უნდა მოიხაროს ქედი რაიმე არსების ან საგნის წინაშე, რაც თავად არაა ღმერთი. (მიმოხილულია ებრაული ენციკლოპედიის მასალების საფუძველზე. 138, ტ.VIII, 950-967)

ძველად ებრაელებსაც ჰქონდათ სალოცავი და მსხვერპლშესაწირავი ტაძარი იერუსალიმში, სადაც ძირითადად დღესასწაულებისას იკრიბებოდნენ. ქოჭნები (ქურუმები) წლის დანარჩენ დღეებშიც ასრულებდნენ თორის კანონებით განსაზღვრულ ყოველდღიურ ღვთისმსახურებას.

სხვა რელიგიებთან შედარებით, იუდაიზმი ღვთისმსახურებისადმი უფრო პრაქტიკული მიდგომით გამოირჩევა. თორაში 613 მიცვა (מִצְוָה), ანუ ღვთის განკარგულებაა მოცემული. მიცვების შემსრულებელი მორწმუნეები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას (ხელ-პირის დაბანასაც კი) რიტუალური წესების მიხედვით წარმართავენ. მიცვების შემსრულებლებს იუდაიზმი გან-ედენს (ედემის ბაღს) ან ოლამ ჰა ბას (მომავალ სამყაროს, ე.ი მესიის მოსვლისას მკვდრეთით აღდგომას) ჰპირდება.

იუდაიზმის განვითარების ტრადიციული შეხედულება თორის თემაა ისრაელიტთა (იგივე ებრაელთა) ურთიერთობა ღმერთთან, როგორც ეს გამოიხატა მათ ისტორიაში დროის დასაბამიდან მეორე ტაძრის პერიოდამდე (დაახ. ძვ. წ. 350 წლამდე). ეს ურთიერთობა აღწერილია როგორც უწყვეტი ისტორია, რომლის განმავლობაში ებრაელთა სულში ერთმანეთს ეჭიდება ღმერთის რწმენა და სხვა ღმერთებისადმი მიზიდულობა. ებრაელთა ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნებები, როგორც აბრაამი, იაკობი და მოსე, ღმერთსაც კი შეეჭიდნენ თორაში (აბრაამი და იაკობი ღმერთს ზოგჯერ გაბედულად შეეპასუხნენ, ხოლო იაკობი სიზმარში ღმერთს ფიზიკურად შეებრძოლა).

“ორთოდოქსალური იუდაიზმისა და მორწმუნე ებრაელთა აზრის მიხედვით, ბიბლიური პატრიარქი აბრაამი პირველი ებრაელი იყო. რაბინული ლიტერატურის მიხედვით მან კაცობრიობაში პირველმა უარყო კერპთაყვანისმცემლობა და მონოთეიზმი იქადაგა. შედეგად, მას ღმერთმა ურიცხვი შვილი აღუთქვა (დაბადება 15:5). აბრაამის პირველი შვილი ისმაელი იყო, ხოლო მეორე ვაჟი – ისააკი. ისააკის შექენისას ღმერთმა აღუთქვა, რომ ის გააგრძელებდა აბრაამის სულიერ შრომას, ხოლო მისი შთამომავლობა ეგვიპტეში გადახვეწისა და იქედან გამოხსნის შემდეგ ისრაელის მიწას დაისაკუთრებდა. ღმერთმა ისააკის ძე იაკობი და მისი შვილები გვალვით აიძულა ქანაანიდან ეგვიპტეში გადასულიყვნენ, სადაც მრავალი თაობის შემდეგ ებრაელები დაიმონეს. მონობისაგან გამოსახსნელად ღმერთმა ებრაელებს მოსე მოუვლინა, ეგვიპტიდან ისინი თვითონ გამოიყვანა, სინაის მთაზე მათ ათი მცნება და თორა უბოძა და საბოლოოდ აღთქმულ მიწაზე მიიყვანა. მთასთან, ღმერთის შთაგონებით, მოსემ თავისი ძმა აარონი და მისი ვაჟიშვილები ქოჰენებად (ქურუმებად) დაამტკიცა. ისინი საბოლოოდ იერუსალიმის ტაძარში

მსახურებდნენ. აარონი ლევიტა ტომს მიეკუთვნებოდა, ხოლო მისი შთამომავლები უკვე აარონიდებად მოიხსენებიან და ტაძარში მთავარი ქოჰენების მისია ეკისრებათ.“ (ელექტრონული ებრაული ენციკლოპედია) (283-284)

მებრძოლ ებრაელთა ისრაელის მიწაზე დასახლების შემდეგ მოძრავი ღვთის კარავი (რომელიც ღმერთმა ქურუმობასთან ერთად დააწესა) შილოში დამკვიდრდა 300 წლით. ამ დროის მანძილზე ღმერთმა ერს ღირსეული შვილები მოუვლინა, როგორც კაცები, ასევე ქალებიც, თავდამსხმელ მტერთა წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლად.

ზოგი მტერი თვით ღვთის გამოგზავნილი იყო ცოდვებისათვის ხალხის დასასჯელად. ეს ამბები აღწერილია იესუ ნავეს ძისა და მსაჯულთა წიგნებში. რაც დრო გადიოდა, ერის სულიერი დონე უფრო და უფრო ქვეითდებოდა, სანამ სამაგიეროს გადასახდელად ღმერთმა ფილისტიმიელებს შილოში დადგმული ღვთის კარვის ხელში ჩაგდება შეაძლებინა. მაშინ კი ებრაელმა ერმა შეიცნო საკუთარი დაკნინება და სამუელ წინასწარმეტყველს სთხოვა ტომთა ბელადებისა თუ მსახურების ნაცვლად მისთვის მუდმივი მეფე ამოერჩია (როგორც მეზობელ ხალხებს ჰყავდათ). სამუელმა შეასრულა ეს თხოვნა და ღმერთის დასტურით მეფედ აირჩია ბრწყინვალე, მაგრამ თავმდაბალი ადამიანი – საული. როდესაც ხალხის ზეგავლენით მან სამუელის განკარგულება დაარღვია, ღმერთმა წინასწარმეტყველს უბრძანა, რომ მის მაგიერ მეფედ დავითი ეკურთხევიან. (ეს სამუელის წიგნებშია მოთხრობილი).

როგორც კი დავით მეფემ თავისი ძალაუფლება განამტკიცა, მან ნათან წინასწარმეტყველს უთხრა, რომ ღვთისათვის მუდმივი ტაძრის აშენება სურს. მისი ღვაწლის სამაგიეროდ ღმერთი შეჰპირდა დავითს, რომ მისი შვილი ააგებდა, ხოლო სამეფო გვირგვინი არასოდეს გამოეცლებოდა მის შთამომავლობას. თვით დავითმა ვერ მიიღო ტაძრის აშენების ნება, რადგან ბევრ შინა ომებში მონაწილეობდა და ღმერთს არ სურდა ის მშვიდობის სიმბოლოდ ასაგები ტაძრის მშენებლად ეცნო. პირველი ტაძარი მართლაც დავითის ვაჟმა – სოლომონმა ააგო იერუსალიმში, როგორც მეფეთა წიგნებშია აღწერილი. სოლომონის სიკვდილის შემდეგ მისი სამეფო ორად გაიყო: ისრაელის და იუდეის სამეფოებად. დაახლოებით 200 წლის შემდეგ კერპთმაცვანისმცემლობის გავრცელების გამო, ღმერთმა ისრაელის სამეფო ასურეთს დააპყრობინა და მისი ხალხი გადაასახლებინა.

სამხრეთში, იუდეის სამეფო, რომლის დედაქალაქ იერუსალიმში ტაძარი იდგა, დავითის დინასტიის სამფლობელოდ დარჩა. როდესაც იუდეაში კერპთაყვანისმცემლობა ისე მომრავლდა, როგორც ჩრდილოეთში, ღმერთმა ეს სამეფო ბაბილონს დააპრყობინა. დამპყრობლებმა დაანგრიეს ტაძარი, რომელიც 410 წელი იდგა, ხოლო იუდეველები ბაბილონში გადაასახლეს. ხალხს ნუგეშად დარჩა ღვთის აღთქმა, რომ ისინი 70 წლის შემდეგ გამოიხსნებოდნენ. ეს ამბები მოთხრობილია ისაიასა და იერემიას წიგნებში.

70 წლის შემდეგ ღმერთმა სპარსელებს ებრაელები ეზრას ხელმძრვანელობით იუდეაში დააბრუნებინა. რეპატრიანტებმა ტაძარი ააგეს. ეს აღწერილია ეზრას და ნემიას წიგნში.

მეორე ტაძარი 420 წელი იდგა, სანამ შინა მტრობისთვის დასასჯელად ღმერთმა იუდეველებს რომაელები არ შეუსია. ტაძარი რომაელთა სარდალმა (შემდეგ იმპერატორმა) ტიტუსმა დაანგრია. ის დანგრეული უნდა დარჩეს, სანამ ღმერთი მესიად არ მოავლენს დავითის შთამომავალს, რომელიც ისრაელს დაუბრუნებს ძველ დიდებას და იერუსალიმის ტაძარსაც აღაშენებს.

სინაის მთაზე მიღებული თორა მოსეს ხუთ წიგნს მოიცავს. მსაჯულთა, მეფეთა, წინასწარმეტყველთა და ჟამთაღმრიცხველთა წიგნებთან ერთად, ხუთწიგნეული დაწერილ თორას შეადგენს. თორის განკარგულებათა დეტალებს და ინტერპრეტაციას, რომელიც ღმერთმა მოსეს არ დააწერინა მთაზე და მხოლოდ დაახეპირებინა, ზეპირი თორა (הַשְׁמַע תִּשְׁמַע, თორა შე ბე აღ-პე) ეწოდება. მეორე ტაძრის დანგრევამდე, ეს თორა მართლაც ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მაგრამ მხოლოდ სასულიერო წოდების ადამიანებს (ქურუმებს, მსაჯულებს, რაბინებს). ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, როდესაც დიასპორაში ებრაელთა დევნამ იმატა, ზეპირი ტრადიციის გაწყვეტის შიშით, რაბინებმა ამ თორის ჩაწერა დაიწყეს და ასე შეადგინეს მიშნა (משנה). მომდევნო საუკუნეებში, როდესაც (მე-7 საუკუნემდე) თვით მიშნის რაბინული ინტერპრეტაცია მიმდინარეობდა; მიშნაში მოცემული ზეპირი თორის რაბინული განხილვა სხვა წმინდა წიგნებშიცაა.

თორა უნივერსალურ ჭეშმარიტებას შეიცავს. ეს გამოიხატება, ერთის მხრივ, უცხოელთა იუდაიზმით დაინტერესების ზრდაში (ბერძენთა და რომაელთა ნაწილი ებრაელებს ყველაზე “ფილოსოფიურ” ხალხად თვლიდა, რადგან მათ ვიზუალურად წარმოუდგენელი ღმერთი სწამდათ). ხოლო მეორეს მხრივ,

ებრაელთა მზარდ დაინტერესებაში ბერძნული ფილოსოფიით, რომელიც უმაღლესი ჭეშმარიტების დადგენისკენ მიიღწევდა და ამგვარად, შესაძლოა, მონოთეიზმის იდეამდეც მიიყვანა აზროვნება (თუნდაც იმ გაგებით, რომ “ყველა ღმერთი ერთია”).

თორა შედგება მოსეს ხუთი წიგნისგან, რაც ებრაული ბიბლიის ხუთი პირველი წიგნი იყო.

თუმცა იუდაიზმი ყოველთვის იცავდა სარწმუნოების რამდენიმე პრინციპს, მას მაინც არა აქვს ყველა ებრაელისადმი აუცილებლად მისაღები დოგმა. ეს თვისება, რომელიც იუდაიზმს უკვე 2000 წელი ახასიათებს, აძნელებს ყოველგვარ განზოგადოებას ებრაული თეოლოგიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ცალკეულმა რაბინებმა ან ებრაულმა მიმდინარეობებმა მიაღწიეს თანხმობას – მიეღოთ მტკიცე დოგმა, მათ თითქმის არასოდეს არ ეთანხმებოდნენ სხვა რაბინები და ჯგუფები.

ორთოდოქსული იუდაიზმის მიხედვით, სარწმუნოების პრინციპთა შორის სამი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ებრაელის მიერ მათი უარყოფა თემიდან მის მოკვეთას (ექს-კომუნიკაციას) იმსახურებს, თანაც მესიის მოსვლისას ის მკვდრეთით ვერ აღდგება.

ეს სამი პრინციპია:

ღმერთის არსებობა;

თორის ღმერთისგან მიღება;

ღვთიური მსჯავრის არსებობა.

ამ პრინციპთა უარყოფელი ებრაელი აფიკოროსად (ურწმუნოდ) ითვლება.

ებრაული კანონისა და ჰალახის (ტრადიციული ყოფის) საფუძველი თორაა (მოსეს ხუთი წიგნი). რაბინული ლიტერატურის მიხედვით, თორაში ღვთის 613 კანონია მოცემული. აქედან ზოგი მხოლოდ მამაკაცებზე ან ქალებზე ვრცელდება, ზოგი მხოლოდ ძველი სასულიერო წოდების ადამიანებისთვის (ქურუმებისა და ლევიტებისათვის) დადგინდა, ზოგი კი იმათთვის, ვინც ისრაელის მიწაზე სოფლის მეურნეობას ეწეოდა. მრავალი კანონის შესრულება მხოლოდ იერუსალიმის ტაძრის არსებობისას იყო შესაძლებელი. დღევანდელ ღვთისმსახურებაში სამასზე ნაკლებ კანონს აქვს ძალა. არსებობდნენ ებრაელთა ისეთი ჯგუფები (კარაიტები და ცედუკები), რომელთა მტკიცებით

ისინი მხოლოდ დაწერილ თორას ეყრდნობოდნენ ღვთისმსახურებაში, მაგრამ ებრაელთა უმრავლესობას სწამდა ე. წ. ზეპირი თორაც.

რაბინული იუდაიზმი ყოველთვის თვლიდა, რომ თანახის წიგნები (დაწერილი თორა) ზეპირი ტრადიციის პარალელურად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამ შეხედულების გასამართლებლად ებრაელები მიუთითებენ თვით თორის ტექსტზე, სადაც ბევრი სიტყვა გაურკვეველია, ხოლო მრავალი რელიგიური კანონი მოცემულია აუხსნელად, ან მის შესასრულებლად საჭირო დარიგების გარეშე. ებრაელთა მტკიცებით, ეს იმას ნიშნავს, რომ დაწერილი თორის მკითხველს უთუოდ უნდა სცოდნოდა დეტალები სხვა, ე. წ. ზეპირი წყაროდან. რადგან ეს პარალელური ცოდნა თავდაპირველად ზეპირ გადმოცემას წარმოადგენდა, მას ზეპირი თორა (תורה שבעל פה, თორა შე ბე ალ-პე) ეწოდა. ზეპირი თორა მიშნაში და თალმუდში აღნუსხული ებრაული კანონებია. იერუსალიმის მეორედ აოხრების შემდეგ (70 წ.) რაბინებმა ზეპირი ტრადიციის გაწვევების შიშით, ზეპირი თორის ჩაწერა დაიწყეს. ჩაწერილი მასალა მე-3 საუკუნის დასაწყისში რედაქტირებულ იქნა რაბინ იეჰუდა ჰანასის მიერ. ზეპირი თორის ამ პირველ კოდექსს მიშნა (משנה) ეწოდა.

მომდევნო საუკუნეებში იმ პერიოდის ბრძენებმა – ამორაებმა – მიშნაში მოცემული ზეპირი თორის წესებს საკუთარი ინტერპრეტაცია და კომენტარები დაუმატეს. ამ კომენტარებში ისინი ზოგჯერ ზეპირი თორის იმ წესებსაც აღნიშნავდნენ, რომლებიც მიშნაში არ შესულა (ასეთ წესს ბრაითა ჰქვია). მიშნაზე დამატებულ რაბინულ დისკუსიას გმარა (גמרא) ეწოდება. მიშნასა და გმარას ერთად რედაქტირებით თალმუდი (תלמוד) შედგება.

რადგან ანტიკური ხანის მიწურულში ორ დიდ თემად იყვნენ დაყოფილნი (უმრავლესობა ბაბილონის დიასპორაში ცხოვრობდა, უმცირესობას კი რომაელთა მიერ დაპყრობილი ისრაელის მკვიდრნი წარმოადგენდნენ). ორი ქვეყნის ამორაებმა ცალ-ცალკე შეადგინეს თალმუდები. იერუსალიმის თალმუდი მე-4 საუკუნის ბოლო მესამედში რედაქტირებულ იქნა რაბინ იოხანან ბარ ნაფხას მიერ. მე-5 საუკუნის მიწურულს ბაბილონის თალმუდი იქნა რედაქტირებული.

ბაბილონის თალმუდი უფრო ვრცელი და ავტორიტეტულია.

საერთოდ ზეპირი თორა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

დაწერილი თორის სწორად გასაგებად აუცილებელია ზეპირ თორაში მოცემული ახსნები და მითითებები – დაწერილი თორის ტექსტი ხანდახან გაურკვეველი შინაარსისაა, ხშირად კი მისი კანონები მათ შესასრულებლად საჭირო განმარტებისა და დარიგების გარეშეა მოცემული; ზოგჯერ თვით თორის ტექსტში ნავარაუდევია მის გასაგებად აუცილებელი ინფორმაციის არსებობა ცოდნის რომელიმე დარგში გარეშე წყაროში.

რადგან ღმერთი უსაზღვროდ ბრძენია, მოსეს მიერ ჩაწერილი თორა კი ღმერთის მიერ ნაკარნახები სიტყვებისგან შედგება, არ შეიძლება, რომ ამ თორაში იყოს თუნდაც ერთი სიტყვა, - რომლის აზრი, ან ზუსტი მდებარეობა ტექსტში – მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და წინადადებათა აგებულებით აიხსენებოდეს. ებრაული კანონის თანახმად, ადამიანი მაშინ ითვლება ებრაელად, თუ მისი მშობელი დედა ებრაელია, ან თუ ის თვითონ მორჯულებდა ებრაელად, ებრაული წესის მიხედვით; (თანამედროვე ამერიკელ-ებრაელთა რეფორმისტული და რეკონსტრუქციონისტური მოძრაობები ებრაელად თვლიან ებრაელი მამისა და არა-ებრაელი დედის პირმშოსაც, თუკი ბავშვს მხოლოდ ებრაულ ადათ-წესებს ასწავლიან). ჩვენს დროში, იუდაიზმის ყოველ ძირითად მიმდინარეობას ღია აქვს კარი ებრაელად მორჯულების გულწრფელად მსურველთათვის (თუმცა ებრაელები ტრადიციულად არ აწარმოებენ რელიგიურ აგიტაციას არაებრაელთა შორის).

იუდაიზმი ხელოვნებაში.

ზოგადი ისტორიული მიმოხილვა

იუდაიზმი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, როგორც უკვე ავლინებთ, საკმაოდ რთული, უცნაური და საინტერესო მოვლენაა. ებრაული ხელოვნების განმარტება და გარკვეულ სტილისტურ ჩარჩოებში მოქცევა ფაქტობრივად შეუძლებელია. როდესაც ებრაულ ხელოვნებაზე ან თუნდაც კულტურაზე ვსაუბრობთ, მოიაზრება მსოფლიო კულტურა და ხელოვნება. ისტორიულად საბედისწეროდ დავნიღმა და მთელს მსოფლიოში განფანტულმა ერმა, ყველა ამ ქვეყნის ისტორიასა და კულტურაში თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და ამასთანავე რა თქმა უნდა გვერდი ვერ აუარა ამ ქვეყნების ისტორიასთან და ტრადიციებთან ასიმილაციას.

ებრაული ხელოვნების ისტორია, ისევე, როგორც იუდეველთა რელიგია, მათი ისტორია და ცხოვრება მოიცავს უამრავ გეოგრაფიულ ადგილსა და სხვადასხვა დროის სივრცეებს. ებრაული სამყარო უზარმაზარია, ებრაელების გაფანტვამ მთელ მსოფლიოში დიასპორას ფენომენის წარმოქმნა გამოიწვია. ებრაული ხელოვნების სამყარო ისევე უზარმაზარია, როგორც თავად ებრაელების სამყარო. დიასპორიდან მოყოლებული ებრაელები სხვა კულტურათა შემადგენლობაში ცხოვრობდნენ ამ ქვეყნების საზოგადოებების მოქალაქეთა გვერდით და მათი ცხოვრებით, ან თავიანთ იზოლირებულ საზოგადოებებში. იუდაიზმის განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანია რელიგიისა და ხალხის მიდრეკილება ადაპტაციასა და ცვლილებებისადმი. მისი წყალობით იუდაიზმი მრავალი საუკუნეების მანძილზე არა მხოლოდ გადარჩა და შეინარჩუნა თავისი ძირითადი თვისებები, არამედ ხშირ შემთხვევაში განვითარდა და აღმავლობა განიცადა. იუდაიზმი გამუდმებით მოიცავს იმ საზოგადოებისა და კულტურის ზეგავლენას, რომელშიც უხდება ცხოვრება. დიასპორას არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიის მანძილზე და დღემდე სხვადასხვა ქვეყნების და ეპოქათა ებრაელებს განსხვავებული რელიგიური

ადათ-წესები, რიტუალები თუ ტრადიციები ახასიათებთ, მაგრამ ყველა ისინი ებრაელები არიან. ებრაელთა ხელოვნება ასევე სხვადასხვა კულტურათა ზეგავლენის ქვეშ ექცევა. იძულებითმა მიგარციამ ხელოვნების ისეთი ფორმები წარმოშვა, რომლებიც საოცარი მრავალფეროვნების მიუხედავად, ტიპურად ებრაულია. ჩვენამდე მოღწეული ებრაული ხელოვნების ნიმუშთა უმეტესობა საკულტო საგნებისა და სამკაულების სახითაა შემორჩენილი. ებრაული კანონი, ტრადიციები, წესები თითოეულ ებრაელს ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ დღესასწაულებში რიტუალებისა და წესების დაცვას აიძულებს. ხოლო ამ წესების აღსრულება ფუნქციონალური, მაგრამ ამასთანავე დეკორატიული ნივთების მეშვეობით ხდება. ცერემონიალური ხელოვნების უპირატესობის წმინდა ესთეტიურზე კიდევ ერთი მიზეზი თავის საწყისს ბიბლიიდან იღებს. ებრაელები საუკუნეების მანძილზე უფიქრდებოდნენ მეორე მცნების აზრს ”არ შეიქმნა კერპი და არანაირი გამოსახულება, იმისა, რაც მადლა ცაშია, რაც ქვემოთ მიწაზეა, და რაც წყალში მიწის ქვემოთაა: არა თაყვანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ ” (გამოსვლა 20:4) საუკუნეების მანძილზე სრულიად იცვლებოდა შეხედულებანი, განსაკუთრებით თვითონ ბიბლიაში გამოვლენილი წინააღმდეგობების საფუძველზე. გამოსვლის წიგნში ღმერთი მოსეს ტაძრის შესახებ, რომელიც უნდა აშენდეს კონკრეტულ მითითებებს აძლევს: “გააკეთე ოქროსაგან ორი ჭედური ქერუვიმი, გააკეთე თავსახურის ორივე მხარეს ” (გამოსვლა 25:18)

შემდეგ ღმერთი მიმართავს მოსეს: “დავნიშნე ვესელიილი... შთავაბერე ღვთიური სული, სიბრძნე, გაგება, ქმედება და ყოველგვარი ხელოვნება, ოქროთი, ვერცხლითა და სპილენძით მუშაობისა... ქვების გამოთლა ჩასასმელად და ხის კვეთა ყოველგვარი საქმისათვის” (გამოსვლა 31:2-5) იეზეკილის თქმულების თანახმა, აღდგენილი ტაძრის ხის მოპირკეთებას უნდა ამშვენებდეს . .. თითოეულ ქერუვიმს – ორი სახე აქვს, ერთ მხარეს პალმისაკენ მიმართულია ადამიანის სახე, მეორე მხარეს პალმისაკენ – ლომის სახე;” (იეზეკილი 41:18-19).

თითქმის XX საუკუნემდე ითვლებოდა, რომ ებრაელები არ გამოსახავდნენ ადამიანის ფიგურებს. მაგრამ 30-იან წლებში ეს წარმოდგენა სრულიად შეიცვალა ფერწერული ფრესკების აღმოჩენის შემდეგ III საუკუნის სინაგოგაში

დურა-ევროპოსში, ერაყში. ამ აღმოჩენამ გამოიწვია მთლიანად ებრაული ხელოვნების კონცეპციის გადაფასება. კარგად შემონახულ ფრესკებზე უამრავი სცენებია თორის თემაზე, რომელზეც წარმოდგენილია ადამიანის ფიგურები მთელ სიმაღლეში (ილ. 1-4). ამ ფრესკებზე ღვთის ხელის გამოსახულებაც კი არის. პალესტინასა და მის მიდამოებში სხვა სინაგოგებში აღმოჩენილმა ფრესკებმა და მოზაიკებმა დაარწმუნა მკვლევარები, რომ დურა-ევროპოსის ფენომენი გამონაკლისი არ ყოფილა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით იმდროინდელ ებრაულ ხელოვნებას გარკვეული ზეგავლენაც კი ჰქონდა ახლადდარსებულ ქრისტიანულ ხელოვნებაზე.

იმდროინდელი ნაგები სინაგოგების კედლებსა და იატაკებზე გამოსახულია იუდაიზმთან დაკავშირებული სიმბოლოები: მენორა (შვიდსანთლიანი შანდალი), ლულავი (პალმის ტოტი), ეტროგი (ლიმონის ნაირსეხეობა), რომელიც სუქოთის დღესასწაულთან ასოცირდება, იუდას ლომები, შოფარი (ცხვრის რქა) – მუსიკალური ინსტრუმენტი. იგივე სიმბოლიკას ძველ მონეტებზე, თასებსა და ზეთოვან სანათურებზეც ვაწყდებით. სინაგოგის მოზაიკებზე ასტროლოგიური კალენდარიცკია გამოსახული (ილ. 5). მსგავსი ფრესკები გვხვდება აგრეთვე VI-VII საუკუნეებშიც.

იმ დროს ებრაელები ადამიანების გამოსახვას ხსნიდნენ მეორე მცნების მეორე ნაწილით “არ ეთაყვანო მათ და არ ემსახურო მათ...” (გამოსვლა 20:5). ეს იმას ნიშნავს რომ აკძალულია არა ზოგადად ცოცხალი არსებების გამოსახულებანი, არამედ მხოლოდ კერპთაყვანისცემისათვის შექმნილი კუმირები.

შუასაუკუნეებში ევროპის ქვეყნებში საკმაოდ ხშირია ებრაელების მიერ შექმნილი ილუსტრირებული ფერადი მანუსკრიპტები. ესაა ბიბლიები (თორა), ჰაგადა (სედერის ტექსტი), ესთერის გრაგნილი, ქეთუბოთი (საქორწილო ხელშეკრულება).

ზოგიერთ შემთხვევაში ებრაელი მხატვრები გამოსახავდნენ ადამიანების ფიგურებს, მაგრამ რეალური სახეების გარეშე, ზურგიდან, ან მოსასხამებით დაფარულს. გერმანულ მანუსკრიპტებში ხშირად ადამიანის თავები ცხოველის ან ჩიტის თავის გამოსახულებით იცვლებოდა. მაგალითად ცნობილია 1300 წელს გერმანიაში შექმნილი ეგრედ წოდებული “ჩიტისთავიანი ჰაგადა” (ილ. 6). ეს გერმანიაში შემორჩენილი ერთ ერთი უძველესი მანუსკრიპტია, რომელშიც ადამიანის ფიგურებს ჩიტის თავები აგვირგვინებს. ამით მხატვარი

თავს არიდებს რეალური ადამიანების გამოსახვას. საინტერესოა, რომ ჩიტებს თავზე კონუსური ცილინდრები ახურურავთ, იმ დროისათვის ეს საერთოდ მიღებული იყო ებრაელ მამაკაცებში.

ნიშანდობლივია, რომ გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ თუ იტალიურ შუასაუკუნოვან მანუსკრიპტებში ებრაელები გამოსახული არიან იმ ქვეყნისა და ეპოქის შესაბამის სამოსში და ზოგადად დამახასიათებელი მხატვრული სტილით (ილ. 7, 8). ძალიან საინტერესოა ჰამბურგში 1427 წელს თხელ პერგამენტზე შესრულებული მანუსკრიპტი ”ლიტურგიების, წესებისა და საჩივრების კრებული” (ილ. 9). მის ერთ ერთ გვერდზე მაგალითად, გამოსახულია ებრაელი ქალი, რომელიც მიიკვს წყალშია ჩასული განსაბანად, და მეუღლე კი საწოლში ელოდება. უცნაურია შუა საუკუნეებისთვის და მით უფრო ებრაულისათვის მინიატურაზე გამოსახული შიშველი ქალის ფიგურა.

როტშილდის მანუსკრიპტის (1470 წ. ჩრდილო იტალია) ერთ გვერდზე საკმაოდ იშვიათი გამოსახულებაა, ებრაელი მამაკაცი, რომელიც კარებში შესვლისას მეზუზას ეხება ხელით (ილ. 10).

ებრაელების უმეტესობა ამაგრებს მეზუზას საცხოვრებელი სახლის კარების ზღრუბლზე, ხოლო მორწმუნე ებრაელები ყველა ოთახის კარების კიდეში. სიტყვა “მეზუზას” პირდაპირი მნიშვნელობა სწორედ კარების ზღრუბლია, რომელიც შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს კარებზე მიმაგრებულ პატარა კოლოფს, სადაც თორის გამონათქვამებიანი მინიატურული პერგამენტის გრაგნილია მოთავსებული. სიტყვა მეზუზოთი (მეზუზას მრავლობითი რიცხვი), ბიბლიიდან იღებს სათავეებს (მეორე კანონი 6:9): “და დაწერე შენი სახლი ზღრუბლებზე და შენ ჭიშკრებზე”. მეზუზა ამავედროულად ებრაელებისათვის ღვთის კანონების შესხენებაცაა და დანარჩენ ებრაელობასთან ერთობის სიმბოლოა.

ებრაელობის უმრავლესობა მეზუზას ოჯახური კერისა და მისი ბინადრების ერთგვარ დამცველად აღიქვამს. მსგავსი მოსაზრება თალმუდის დროიდან ჩაისახა და შუასაუკუნეების გავლით თანამედროვეებამდე მოაღწია.

როგორც წესი მეზუზები ვერცხლისაგან, თითბერისაგან და ხისაგან მზადდება და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შედარებით მარტივი და სადადან დაწყებული მდიდრულად მორთულებამდე. მეცამეტე საუკუნიდან, ზოჰარის დროიდან (“კაბბალას”, ებრაული მისტიციზმის შემადგენელი ერთ-ერთი წიგნი).

სიტყვა “შადღაი” სიტყვა “ღმერთის” სინონიმია. როგორც წესი ამ პერგამენტის მეორე მხარესაა მოთავსებული და პატარა ნასვრეტიდან მოჩანს. გარდა საცხოვრებელის კარებების ზღრუბლებისა მეზუზებს ათავსებენ სინაგოგებისა და სხვა შენობების კარებებზეც ისრაელსა და მთელს მსოფლიოში. მეზუზას აგრეთვე გულზე დაკიდებულს ატარებენ როგორც იუდაიზმის სიმბოლოს, ან ზოგჯერ როგორც ბედნიერების მომტან თილისმას. მრავალი წლის მანძილზე ებრაელები ატარებდნენ სხვადასხვა ტიპის ვერცხლის ამულეტებს, რომლებიც უბედურებისაგან იცავდა. ამულეტზე ხშირად წერია სიტყვა “შადღაი” რომელიც ავი თვალისაგან იცავს. ამჟამად ყველაზე გავრცელებული თილისმებია სტილიზირებული სიტყვა “ჰაი” (სიცოცხლე) და ექვსქიმიანი ვარსკვლავი (მაგენ დავითი). როგორც წესი ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ. ყველაზე უძველესი დავითის ვარსკვლავი პირველი საუკუნითაა დათარიღებული და გალილეის ზღვის სანაპიროზე კაპერნაუმის სინაგოგაშია აღმოჩენილი. ეს ვარსკვლავი საუკუნეების მანძილზე გვხვდება, მაგრამ მხოლოდ XVII საუკუნიდან გახდა წმინდა ებრაული სიმბოლო პრავდაში. მაგენ დავითი ხშირად საკულტო დანიშნულების საგნების მოსართავად ან როგორც რელიგიური სიმბოლიკა გამოიყენება.

ისლამის ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები გაცილებით უფრო დიდხანს არიდებდნენ თავს ადამიანების გამოსახულებებს. მანუსკრიპტების მინიატურები თუ რიტუალური დანიშნულების ნივთები აბსტრაქტული გამოსახულებებით, ვაზითა და ყვავილებითაა მორთული.

ჩვენამდე მოღწეული ებრაული ხელოვნების ნაწარმოებთა უმეტესობა უკანასკნელი საუკუნეებითაა დათარიღებული. თითქმის ყველა გავრცელებულ და მიღებულ ებრაულ სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე ხშირია ბიბლიური სცენებისა და ციტატების გამოყენება, დღესასწაულებისა და ყოველდღიური რიტუალების ამსახველი სურათები.

ებრაულ ტრადიციაში ხელოვნების სხვა დარგებზე გაცილებით უფრო გვიან ქანდაკება შემოდის, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებამდე თითქმის არ გვხვდება (ისრაელში კი დღემდე თითქმის მიუღებელია).

ფერწერაც დაახლოებით ამ დრომდე არ იყო იდენტიფიცირებული იუდაიკასთან. სხვადასხვა ქვეყნებში ებრაული წარმოშობის მხატვრები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ მიღებულ რელიგიურ აკრძალვას და ხშირად ოჯახის

წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ირჩევდნენ ხელოვნების დარგს და ამით უდუდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. შემდგომში, მოგვიანებით კი უკვე ებრაელი მხატვრები იუდაიკასაც მიმართავენ.

ებრაელი ხელოვნები მუდმივ ძიებაში, მსოფლიო კულტურათა სხვადასხვა სტილისა თუ მოდის განუწყვეტლივ ინტერპრეტირებაში, ქმნიან თავიანთ განუმეორებელ ხელოვნებას. XX საუკუნის დასაწყისში მხატვართა შემოქმედებაში დიდი აღმავლობა იწყება. ეს მოვლენა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ებრაელების გეტოებიდან გამოსვლასა და ხელოვნების თეორიებთან უშუალო გაცნობასა და შეხებას უკავშირდება. მათი ხელოვნება ერთის მხრივ საერთო ესთეტიურ ტენდენციებს ასახავს და სტილისტურად თითქოსდა გარკვეული მიმდინარეობებიდან ამოვარდნილიც არ არის, მაგრამ შინაარსისა თუ სიუჟეტის არჩევის მხრივ ეს ხელოვნება უკვე გამოკვეთილად ებრაულია.

ებრაული ხელოვნების ნებისმიერი მიმოხილვა გარკვეულ წილად ებრაული თვალსაწიერით დანახული მსოფლიო ხელოვნების მიმოხილვაა.

მრავალსაუკუნოვანი ებრაული ხელოვნება იდეალურ შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა დროისა თუ ქვეყნის კულტურის მიმართულებებში ჩავიხედოთ, და ამასთანავე ჩავწვდეთ წმინდა ებრაულ სულისკვეთებას, მათ რიტუალებს, საზრუნავს, იდეალებს, დღესასწაულებსა თუ ყოველდღიურ ყოფას.

თავი II

ებრაული დიასპორა საქართველოში

როგორც უკვე ავლნიშნეთ, საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ ერთი უძველესთაგანია და ებრაელთა პირველ მიგრაციას უკავშირდება ძვ. წ. VI საუკუნეში. საქართველოში ებრაელები პირველი ტაძრის დანგრევის, იერუსალიმიდან მათი განდევნის შემდეგ გამოჩნდნენ და ქართლში დასახლდნენ, მცხეთის მამასახლისისათვის ხარკის გადახდის საფასურად.

ტერმინი "პურიანი ქართველნი" (ქართველი ებრაელები) ქართული ენის ლექსიკაში V-IX საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო. XI საუკუნიდან იხმარება ტერმინი "ქართველი ებრაელები", ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ის მასიურად დამკვიდრდა, რაც საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას უკავშირდება.

ე. მამისთვალაშვილი (42) საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართველ ებრაელთა მთელ მრავალსაუკუნოვან ისტორიას და მის წიგნში ძალიან საინტერესო ფაქტები თუ ჰიპოტეზებია მოყვანილი. მისი ნაშრომის საფუძველზე გთავაზობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს.

ებრაელთა განსახლება საქართველოში სხვადსხვა პერიოდში განსხვავებული იყო. გვიანფეოდალურ პერიოდში ებრაელები თითქმის აღარ ცხოვრობდნენ ანტიკური და ადრეფეოდალური განსახლების ადგილებში. მათი კვალი ზოგჯერ ტოპონიმებმა შემოგვინახა. შეგვიძლია ისევ ვივარაუდოთ, როდის მოხდა მათი ჩასახლება ამ თანამედროვე ქალაქებში, სადაც გვიანფეოდალურ პერიოდში არ ჩანდნენ.

ებრაელთა რაოდენობა საქართველოში ცვალებადი იყო. მის პერიოდულ შემცირებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება განაპირობებდა. ამ პროცესს სახელმწიფოს, ეკლესიის ან ქრისტიანი მოსახლეობის მიერ გატარებული რაღაც განსაკუთრებული ღონისძიებები არ ედო საფუძვლად. მისი მიზეზები უმთავრესად ქვეყნის ტრაგიკული ბედით იყო განპირობებული. ხშირი ომები, რასაც თან სდევდა ამოწყვეტა და დატყვევება,

ეპიდემიები, მოტაცება, სარწმუნოების შეცვლა... ყველა ამ უბედურებას ებრაელები ქართველ ხალხთან ერთად იზიარებდნენ და მათი შემცირება ქართველთა შემცირების პროპორციული იყო. ფეოდალიზმის ეპოქაში ებრაული მოსახლეობა პერიოდულად იცვლიდა თავის სამოსახლოს ქვეყნის შიგნით - ზოგჯერ საკუთარი სურვილით, ზოგჯერ ძალდატანებით. ძველი და გვიანდელი ხანის განსახლების ადგილების დადგენა წარმოდგენას ქმნის ებრაული მოსახლეობის დინამიკაზე და მის მიზეზებზე. XIX ს. დასაწყისიდან შეიმჩნევა ებრაელების გადასახლების ტენდენცია სოფლებიდან ქალაქებში. ქართული საისტორიო წერილობითი წყაროები განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ებრაელებს ქართლის გაქრისტიანების საქმეში.

საქართველო ეკუთვნის იმ რჩეული ქვეყნების რიცხვს, რომელთაც ბიბლიურ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის პატივი ხვდა წილად. უძველესი დროიდან ქართლში დამკვიდრებული ძლიერი ებრაული დიასპორა იძლეოდა ამ ურთიერთობების საშუალებას; მესიანისტური იდეები, რომლებსაც ებრაელებთან ერთად გაეცნო ქართველობა, კარგი ფონი აღმოჩნდა ქრისტიანობის მისაღებად. სწორედ ებრაელებს უკავშირდება უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის - ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამოტანა. პირველი დიდი სიწმინდე, რომლის სიახლოვესაც მცხეთაში ქრისტეს კვართი დაიკრძალა, არის წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი), რომლის საქართველოში მოტანას, ასევე ებრაელებს უკავშირებენ.

ელია წინასწარმეტყველის ხალენი რამდენჯერმეა ნახსენები ძველ აღთქმაში: პირველად ხალენი ნახსენებია უფლის გამოცხადების უამს, როცა ელიამ „დაიფარა პირი თვისი ხალენითა“ (III მეფეთა 19,13), და მეორედ ელისესთან შესხედრის დროს „...მიიწია ელია მისა და დააგდო ხალენი იგი მისი მის ზედა“ (III მეფეთა 19,19). მესამედ ხსენებისას ელია ხალენით უკვე სასწაულს ახდენს: „და მოიღო ელიამ ხალენი იგი თვისი... სცა წყალსა... და განიპო წყალი“ (IV მეფეთა 2,8), შემდეგ, როცა ცად ატაცებული ელია გადმოუგდებს ხალენს მოწაფეს. ამის შემდეგ უკვე ელისე ახდენს სასწაულს - იგი იორდანეს წყალს შუაზე გაჰყოფს და ისე გაივლის (IV მეფეთა 2,14).

ქართული წყაროები ელია წინასწარმეტყველის ხალენის საქართველოში, კერძოდ მცხეთაში ყოფნას ადასტურებენ: „მოქცევაჲს“ მიხედვით სიდონიას თავის მამის აბიათარისაგან სცოდნია, რომ უფლის კვართის დაკრძალვის

ადგილი ორმაგი ძალით იყო შემოსილი: ქრისტეს კვართის დაფვლამდე ოდესღაც აქ დაუმარხავთ წინასწარმეტყველ ელიას ხალენი (40, 461).

მოქცევაჲში ორივე სიწმინდის - როგორც ქრისტეს კვართის, ისე ელიას ხალენის ადგილსამყოფელის დასადგენად საჭიროა ელიოზის სახლისა და „მცირე ბაგინის“ ლოკალიზება. წყაროს ცნობით „სახლი ელიოზისი იყო ქალაქის დასავლეთ, წიად მოგუთასა, ხიდსა ზედა“ [1,130], ეს ის ხიდია, რომლის შესახებაც წმ. ნინო ამბობს: „მოვიწიენით მცხეთად ქალაქად წიად კერძო მოგუთასა, ხიდსა ზედა დაედექით. მუნით ვხედავდი ცეცხლის მსახურსა ერსა მოგუებასა და ცდომასა შინა“ [1,115].

აბიათარის მიერ აღწერილი „სახლი ელიოზისი“ წმ. ნინოს მოღვაწეობის უამს ფრიად დიდებულ ადგილს“ [1,146] მდებარეობდა. იგი ქალაქის პრესტიჟულ უბნად ითვლებოდა და სწორედ ამიტომ ნათლავდნენ აქ დიდებულთა შვილებს, რის გამოც წარმართული ტოპონიმი „მოგვთა“ შეიცვალა ტოპონიმით „მთავართა სანათლოჲ“. ელიოზის სახლის მდებარეობის შესახებ ლეონტი მროველი მხოლოდ მოქცევაჲს ცნობებს იმეორებს [4,101]. წყაროს ცნობით იერუსალიმიდან დაბრუნებულ ელიოზს კვართი სწორედ სახლში მოაქვს: „სახლად ჩვენდა“ ამბობს სიდონია. სიდონია და აბიათარი თავიანთ თავს ელიოზის უშუალო ჩამომავლებად (იგულისხმება საგვარეულოს მიხედვით) თვლიან. სიდონია, როდესაც საუბრობს ელიოზის მიერ კვართის ჩამოტანასა და მცხეთაში მოტანაზე, ამბობს: „ელიოზ მოიღო კვართი... მცხეთად, სახლად ჩვენდა“ [1,129]. დასტურდება ვარაუდი, რომ „ელიოზის სახლის საგვარეულო ფლობდა მღვდლობის უფლებას შთამომავლობით“ [9,41] თვითნ აბიათარიც ამბობს, რომ იგი იყო „წილით ხუედრებული მღვდელი“ აბიათარი კი წარმოშობით ბენიამინის ცნობილი ტომიდანაა. მიტომ ვარაუდობენ, რომ ელიოზიც ბენიამინის ტომს ეკუთვნოდა.

„მოქცევაჲს“ დაწერის დროს ძველმა მცხეთელებმა აღბათ იცოდნენ ელიოზის სახლიც და ის „მცირე ბაგინიც“, რომელიც ელიოზის სახლის მახლობლად მდგარა. აბიათარისა და წმიდა ნინოს დროს ეს უძველესი ნაგობება სულ ცოტა სამსაუკუნენახევრისაა. აქ უნდა ყოფილიყო ის „სამარხოჲც“, რომელშიც გადმოცემით დაკრძალული იყო ელიას ხალენი, ვინაიდან მხოლოდ ბაგინში შეიძლება ყოფილიყო საკურთხეველი, რომლის „ქვათა შინა უღბოლველად“

განისვენებდა სიწმინდე (უნდა შევნიშნოთ, რომ მოქცევაჲ-ში ქვა გამოიყენება სამსხვერპლოს სინონიმად). (40, 461)

სამარხვოს დანიშნულება კი შემდეგ იყო: ცნობილია, რომ როგორც ადრე, ისე ახლაც, იუდაეელთა რელიგიის მიმდევრები ხმარებიდან გამოსულ თორას ნაწილებს, ან სხვა სარიტუალო ნივთებს ან მათ ნარჩენებს წვავენ ან მარხავენ. ელინისტური ხანიდან მოყოლებული ამ წესის გამო ყველა სინაგოგასთან არსებობდა სპეციალური სათავსო, სადაც ამ ნივთებს მარხავდნენ. სწორედ ამ სამარხვოს გვერდით იდგა ელიოზის სახლიც. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ ეს სამარხვოჲ ელიოზის სახლის სარდაფი უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასე იყო, მაშინ IV საუკუნისთვის ეს შენობა უკვე დაკარგავდა საცხოვრებელი სახლის ფუნქციას. ხოლო სიღონია და აბიათარი ცხოვრობდნენ სახლში, სადაც თავის დროზე ელიოზს კვართი მოუტანია - ე.ი. ეს ორი სხვადასხვა შენობაა - ელიოზის სახლი, სადაც ცხოვრება არ შეწყვეტილა IV საუკუნეშიც და სამარხვოჲ, რომელსაც მიუღია მოწესრიგებული არქიტექტურული ფორმა და გამხდარა „მცირე ბაგინი“, რაც თავისთავად გულისხმობს მცხეთაში „დიდი“, ჩვეულებრივი ბაგინის, ამ შემთხვევაში სინაგოგის არსებობასაც (40, 462-464). ამ მცირე ბაგინის, ანუ სამარხვოჲს გვერდით მდგარა ელიოზის სახლიც. სწორედ ამ ბაგინის კონსეკრაცია ხდება ნინოს მიერ. მისი მდებარეობა და არქიტექტურული სახე ხატოვნად არის აღწერილი წყაროში: „ხე იგი კილამოჲ ამშვენებდა მას, რამეთუ გარდაეთხნა რტონი მისნი ყოველსა მას სტოვასა ბაგინისასა“. სტოვა, იგივე სტოა ანტიკურ არქიტექტურაში იყო გრძელი გალერეა, პორტიკი, რომლის ერთ-ერთ გრძივ მხარეს სვეტების რიგი გახდებოდა. „როგორც ჩანს, სტოას არქიტექტურული ფორმის გამოყენება სინაგოგაში მიუთითებს მის კავშირს ელინისტური ხანის არქიტექტურასთან. ვარაუდობენ, რომ იერუსალიმის ტაძარი, რომელიც რომაელებმა დაანგრიეს 70 წელს, სწორედ ასეთი ხუროთმოძღვრული ტიპის იყო [8,142]. ამრიგად, მცხეთაში, მსგავსად დიასპორის სხვა ქვეყნებისა, არსებობდა „სავსებით პროფესიული ეპოქის შესატყვისი და საერთაშორისო სტანდარტების არქიტექტურა, რაც ასახავდა, როგორც მცხეთის, ისე მასში მოსახლე ებრაული თემის კულტურული ცხოვრების საერთო დონეს“. საინტერესოა, რომ ბერძენი ავტორების თხზულებებში „სტოა“ ბაზილიკის სინონიმადაც იხმარება [17,82-83]. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ მცხეთაში უძველესი ბაზილიკური შენობის არსებობაც.

ამ ადგილზე, ე.ი. ძველი მცხეთის დასავლეთ ნაწილში მტკვრის პირას ახლა მცირე ცალნავიანი ეკლესიის უსახო ნაშთია შემორჩენილი. ეკლესიის აღმოსავლეთის ფრაგმენტს ეტყობა, რომ მისი წყობა არაერთგზის შეიცვალა. მასში გამოყენებულია ანტიკური ხანის კვადრებიც. დღეს ამ ადგილს ფრიად შთამბეჭდავი სახელი „გეთსიმანია“ ჰქვია. ეკლესია, რომელიც შემორჩენილია, ძალიან ადრეული და განადგურებული ეკლესიის ფუძეზეა ამოყვანილი. მის წყობაში გამოჩნდა უადრესი სირიული ეკლესიებისთვის დამახასიათებელი დაბალი, ყოველმხრივ პროფილებული კანკელის ფილები, რომელიც IV საუკუნეს თუ არა V საუკუნეს განეკუთვნება. გამოკვეთილია „ტრადიციული“ სურათიც. ადრექრისტიანული ეკლესია, კვლავ წინარე ქრისტიანული ნაგებობის ნაშთებზეა დაშენებული [13,23]. აქ სადღაც, ქალაქის დასავლეთ ნაწილში, მოგვთა კართან, მტკვრის ნაპირას, მცირე სამლოცველოსთან (ბაგინთან), მცხეთელ ჰურიათა გარემოში იყო ელიოზის სახლი. (40, 458-461).

მრავლისმოქმელია თავისთავად ის ფაქტი, რომ ებრაული დიასპორა თაობათა მანძილზე ინახავდა ხსოვნას, როგორც წინასწარმეტყველ ელიას ხალენის, ისე ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ამ სიწმინდეების მცხეთაში არსებობას განსაკუთრებით წმ. ნინო აქცევს ყურადღებას, ვინაიდან ორივე სიწმიდე სიმბოლურად ასახავს ორ ეპოქას: - წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი - ძველ აღთქმას, ქრისტეს კვართი - ახალ აღთქმას. ორივე სიწმინდის სიმბოლური დანიშნულება ხდება ერის ცნობიერების ზიარება მარადიულობასთან, რითაც, ბუნებრივია, მოხდა საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებულობის ხაზგასმაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ქრისტეს კვართის, ისე წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენის მცხეთაში არსებობა სწორედ მაშინ გაცხადდა, როდესაც ქართლი უდიდესი არჩევანის წინაშე დადგა. იგი ან წარმართული კერპების ერთგული უნდა დარჩენილიყო, ან მოწინავე ქრისტიანული იდეები ელიარებინა. საჭირო იყო, ქართლის მოსახელობას ერწმუნა, რომ ქრისტიანობის ქადაგება შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ამ სიწმინდეების აქ არსებობა მიანიშნებდა ამ ქვეყნის ღვთივრჩეულობაზე, შემთხვევითი არც ის იყო, რომ ქართველ ებრაელებს - „ჰურიათა ქართველთა“ ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ განსაკუთრებული სტატუსი შეუნარჩუნა - ისინი არიან მართლები, მათ ამოიცნეს მესია და არ გაისვარეს ხელი წმინდა სისხლით.

ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, მე-6 საუკუნეში აღინიშნება ბიზანტიიდან ებრაელების მიგრაცია დასავლეთ საქართველოში.

თბილისში ებრაელების გამოჩენა მე-9 საუკუნეში აბუ-იმრან მუსა (მოშე) აზ-ზაფარანის მიერ სექტის ჩამოყალიბებას და მის ბაბილონიდან თბილისში ჩამოსვლას უკავშირდება. მან სახელი გაითქვა როგორც აბუ-იმრან ათ-თიფლისი, თიფლისის სექტამ და 300 წელს იარსება. ადრეშუასაუკუნეებში ქართველი ებრაელები უფრო ირანის ებრაელობასთან იყვნენ კავშირში. ცნობების მიხედვით მე-12 ს. საქართველოში უფრო რაბანისტული და არა კარაიმული იუდაიზმი იყო გავრცელებული.

მარკო პოლო, რომელმაც 1272 წ. თბილისში იმოგზაურა, აღნიშნავს, რომ მხოლოდ მცირედენ ებრაელებს შეხვდა. ებრაელობის ნაწილი მონღოლებისმიერ დაბყრობილი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან დასავლეთისაკენ გადასახლდა, სადაც ახალი თემები შექმნეს. 14 ს. ებრაული თემი გაგრაში მოიხსენიება, ამ პერიოდში იქ მეცნიერი ფილოლოგი რაბი იეჰუდა ბენ იაკობი მოღვაწეობდა, რომელმაც დაწერა ივრითის გრამატიკის შესახებ.

საქართველოში მონღოლთა შემოსევების შემდეგ ებრაელობის ნაწილი საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადასახლდა, ხოლო ქართველ ებრაელთა ძირითადი ნაწილი ყმებათ გადაიქცა. შემონახულია ისტორიული ცნობები ქართველ ებრაელთა ბატონყმურ მდგომარეობის შესახებ 500 წლის მანძილზე.

15-16 ს. ებრაელთა ბატონყმობის პროცესის დაჩქარება მტრულ შემოსევებს უკავშირდება. ეს მდგომარეობა მე-19 ს. მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმებამ (1864-71) და მათ შორის ებრაელების განთავისუფლებამ გამოიწვია მათი ურბანიზაციის პროცესი და ებრაული თემის სტრუქტურის საბოლოო ჩამოყალიბება. ქალაქებში ებრაული მოსახლეობა გარკვეულ უბნებში მკვიდრდებოდა და ქალაქის ეგ ნაწილი ებრაულ კვარტალად გადაიქცეოდა. მე-19 ს. საქართველოში რუსეთის იმპერიიდან აშკენაზი ებრაელები შემოდიან, თუმცა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოსკენ გამყარდა ურთიერთობა ქართველ და აშკენაზ ებრაელთა შორის.

ქართველ ებრაელთა განათლების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიტველმა რაბი აბრაამ ჰა-ლევი ხვოლესმა (1857-1931), რომელიც 1890-ან წწ. ქ. ცხინვალის მთავარ რაბინად აირჩიეს. 1906 წ. ხვოლესმა გახსნა საქართველოში პირველი თაღმუდ-თორა სკოლა, და მალე გოგონების სწავლებაც შემოიღო. 1902 წ. თბილისში გაიხსნა სკოლა ქართველ ებრაელთა ბავშვებისთვის, სადაც ივრითს ვილნოდან მოწვეული პედაგოგები ასწავლიდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში აშკენაზ ებრაელებმა ჩამოაყალიბეს სიონისტური წრეები. მე-6 სიონისტურ კონგრესში (1903 წ. ბაზელში) რაბინმა დავით ბააზოვმა მიიღო მონაწილეობა, მის სახელს უკავშირდება საქართველოში სიონისტური მოძრაობის დასაწყისი, რასაც ხელს უწყობდა ორთოდოქსალურ ლიდერთა - ხახმების და აგრეთვე მოძრაობა ხაბადის გზავნილების აქტივობა, რომელიც 1916 წლიდან აღინიშნებოდა.

საქართველოდან პირველი აღია (ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება) ერეც-ისრაელში 1863 წლიდან დაიწყო და მე-20 ს. დასაწყისისთვის იქ 400 ქართველი ებრაელი იყო დასახლებული.

საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ 1921 წ. დაიწყო მოსახლეობის მასობრივი გაქცევა. ემიგრანტების ამ დიდ ტალღაში მოხვდნენ დაახლოებით 1500-2000 ქართველი ებრაელი, მათგან ძირითადი ნაწილი პალესტინაში დასახლდა, დანარჩენი კი სტამბულში, სადაც 1880 წლიდან არსებობდა ქართველ ებრაელთა თემი. 1921 წელს ერეც ისრაელში ქართველ ებრაელთა რაოდენობამ 1700 მიაღწია.

საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში ძირითადი პრინციპი ემყარებოდა ადგილობრივი და მათ შორის რელიგიური ტრადიციებისადმი პატივისცემას, ამიტომ ხელისუფლება თითქმის არ ერეოდა ებრაულ რელიგიურ საკითხებში, სინაგოგები აგრძელებდნენ ფუნქციონირებას, ისევე როგორც სიონისტური მოძრაობა და სიონისტური სკოლა.

1924 წელს საქართველოში ანტისაბჭოური და ანტირუსული აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლების პოლიტიკა საგრძნობლად გამკაცრდა და აღიკვეთა ლეგალური და ნახევრადლეგალური სიონისტური მოღვაწეობა.

ეკონომიკის დარგში საბჭოთა ორგანოების ქმედებებმა ქართველი ებრაელი მსხვილი თუ მცირე მოვაჭრეები ბანკროტობამდე მიიყვანეს. მას შემდეგ, რაც დ. ბააზოვმა და ნ. ელაშვილმა ხელისუფლებისგან უარი მიიღეს ნება დაერთოთ ებრაელებისათვის სოფლის მეურნეობით დაკავებულებს, მათ მოითხოვეს პალესტინაში გაშვების ნებართვა. 200 ოჯახიდან 18 დაკმაყოფილდა და 1925 წელს მათ დატოვეს საქართველო.

1926 წლიდან ხელისუფლების ქმედებები მიმართული იყო ებრაელების ჩართვაში ქარხნების მუშებათ, სამრეწველო კოოპერატივებში და ებრაული კოლმეურნეობების შექმნაში. 1928 წელს შეიქმნა პირველი ებრაული კოლმეურნეობა “წითელი გორა”, ხოლო 1933 წლისთვის უკვე 15 ასეთი კოლმეურნეობა არსებობდა, რომელშიც 2314 ადამიანი იყო გაერთიანებული. ქართველ ებრაელთა კოლმეურნეობები იმ ქალაქებთან თუ დასახლებებთან ახლოს იქმნებოდა, სადაც ცხოვრობდა ებრაული მოსახლეობა. 1938 წ. ამ კოლმეურნეობების ძირითადი ნაწილი დაიშალა და მხოლოდ “წითელი გორა” არსებობდა 70-ანი წწ. დასაწყისამდე.

1928 წ. შეიქმნა აგრეთვე ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ასაქმებდა ებრაელებს სხვადასხვა კოოპერატივებში.

1927 წ. ხელისუფლების მიერ შეიქმნა ებრაული სკოლები, სადაც ასწავლიდნენ ქართულ ენაზე, გაიხსნა ბიბლიოთეკები, ახალგაზრდული კლუბები. 1933 წ. თბილისში ბერიას სახელობის მუშა ებრაელთა კულტურის სახლი გაიხსნა და ამავე წელს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

საბჭოთა ხელისუფლება იყენებდა ებრაულ სკოლებსა და კულტურის სახლებს ძირითადად ანტირელიგიური ღონისძიებების ჩასატარებლად.

1937-1938 წწ. საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით ცხინვალში დააპატიმრეს და შემდეგ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ციხეში მოკლეს 9 ხახამი, მათ შორის ორი აშკენაზი. 1938 წ. დააპატიმრეს და ასევე ციხეში მოკლეს გერცელ ბააზოვი, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს რაბინ დავით ბააზოვსაც, რომელიც შემდეგ ციმბირში 10 წლით გადასახლებით შეიცვალა. მხოლოდ ებრაელთა მუზეუმი ფუნქციონირებდა 1951 წლამდე, თუმცა

1948 წელს დააპატიმრეს მისი ერთ ერთი დირექტორი აარონ კრიხელი და შემდეგ უკვე მუზეუმშიც დაიხურა როგორც სიონიზმის კერა.

ექვსდღიანი ომის შემდეგ საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების შორის ყველაზე აქტიურად ჩაერთო დემონსტრაციებში და პეტიციების ხელმოწერებში ისრაელში გამგზავრების უფლების მოსაპოვებლად.

1969 წლის 6 აგვისტოს 18 ქართველი ებრაელის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიგზავნა. წერილში ისინი თხოვნით მიმართავენ გაეროს მოეხდინა ზეწოლა საბჭოთა ხელისუფლებაზე, რათა მათ ოჯახებს ისრაელში გამგზავრების უფლება მოეპოვებინათ. ეს იყო პირველი საბუთი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ალიის მოძრაობას მთელს საბჭოთა კავშირში. მსოფლიო საზოგადოებაში ამ ძალზედ გახმაურებულმა ფაქტმა მოახდინა დიდი რეზონანსი და მას მოჰყვა 1971 წლიდან ქართველ ებრაელთათვის მასობრივი აღია ისრაელში. 1970 წლისათვის საქართველოში 43 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ხოლო 70-ანი წლების ბოლოს მოხდა ებრაული მოსახლეობის დაახლოებით 70% რეპატრაცია ისრაელში.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და მისი კოლექცია

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში 1933-1951 წლებში ფუნქციონირებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ებრაული დიასპორის არსებობის მიუხედავად, არ ყოფილა მისი ისტორიისა თუ კულტურის სამეცნიერო შესწავლის პრეცედენტი და მხოლოდ მუზეუმის დაარსებამ ჩაუყარა ამას საფუძველი.

1932 წელს საქართველოს ღარებკომის (ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი) დადგენილების საფუძველზე საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისელ და ლენინგრადელ მეცნიერ თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა.

თავიდან მუზეუმი შეიქმნა როგორც მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულება, მას არ ჰქონდა კოლექცია. მუზეუმმა ბინა ჯერ 1 მაისის ქუჩაზე არსებულ ებრაელთა კულტბაზის შენობაში დაიდო, ხოლო 1940 წლიდან – ივანიდის (ამჟამად ანტონ კათოლიკოსის) ქუჩაზე მდებარე 1896 წელს აგებული ძველი სინაგოგის გუმბათიან შენობაში (ილ. 22). ებრაელთა მუზეუმის დაარსებამდე ყოფილ სინაგოგაში ბერიას სახ. კულტურის სახლიც კი მდებარეობდა.

ებრაული კულტურის შემსწავლელი მეცნიერების “იუდაიკის” მიხედვით ებრაული სალოცავების გენეზისი ბაბილონელთა მიერ “პირველი ტაძრის” დანგრევას (586 ძვ. წ. აღ.) უკავშირდება. ტაძარი ებრაელთა მესამე მეფემ – დავითის ძემ, სოლომონმა ააშენა სიონის მთაზე. მას სოლომონის ტაძარი ეწოდა. (სოლომონის მეფობის დასაწყისს 971 ან 987 წლით (ძვ. წ. აღ.) განსაზღვრავენ).

“პირველი” – ტაძრის გვიანი სახელწოდებაა, უფრო გვიან კი ებრაელი ხალხის ცნობიერებაში სიონის მთა ღმერთს განასახიერებს, ტაძარი – ღმერთის სახლს. ტაძარი მრავალგზის აღსდგა და შეიღახა, და ბოლოს რომის იმპერატორმა ტიტუს ვესპასიანემ დაანგრია ქრისტეს შობიდან 70 წელს.

ტაძარი (“სახლი ღვთისა”, “სახლი რჩეული”, “სახლი სიწმინდისა” – ებრაულად “ბეთ ჰამიკდაშ”) უპირველესად იყო უმაღლესი ეროვნული სიწმინდე – მას

“იერუსალიმის ტაძარი” შეერქვა, აღთქმის კიდობნის საცავი, სადაც ინახებოდა სჯულის ფიცარი და სხვა სიწმინდენი.

ტაძარი დარჩა ებრაელთა ერთიანობის და ღმერთთან კავშირის სიმბოლოდ.

სალოცავი – სალოცავები – (ებრ. “ბეთ ჰაქნესეთ” – “სახლი საკრებულო” – შდრ. ”ეკლესია”) – დიასპორის ფენომენია. პირველი სალოცავი ბაბილონის ტყვეობაში უნდა გაჩენილიყო. საქართველოს ებრაული სალოცავების წინამორბედნიც ამ “პირველთა” რიცხვს უნდა განეკუთვნებოდნენ. მათ შესახებ შემოგვრჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა.

“შატბერდის კრებულში” მოხსენებულია ებრაული სალოცავი – “ბაგინი ჰურიათა”. უფრო გვიანდელ ქართულ წყაროებში “ბაგინს” და “ებრაულ სალოცავს” ჩაენაცვლება “თორა”. თორა (ებრ.) – ძველი აღთქმის წიგნებია.

საქართველოში ებრაელებით დასახლებულ ყველა რეგიონში შენდებოდა სინაგოგები. დღემდე მხოლოდ მე-19 ს. აგებული სინაგოგებია შემორჩენილი. ვინაიდან ებრაული მუზეუმი სინაგოგის შენობაში იყო განთავსებული, მოკლედ მიმოვიხილავთ თბილისში არსებულ სინაგოგებს. (51, 346-347)

“ურიები ძველადგანვე აქ მრავლად სცხოვრობდნენ. XII ს-ში მათი რიცხვი ერთობ დიდი იყო”. XIXს. დამდეგს კი ერთობ შემცირდა, რაც დამუდმებულმა ომებმა გამოიწვიეს. თბილისელ ებრაელთა რიცხვი შემდგომში ახალციხიდან გადმოსულმა ებრაელებმა შეავსეს, მათვე ააშენეს ის ნაგებობა, რომელიც დღეს ქართველ ებრაელთა მოქმედი სალოცავია. ამიტომ ამ სინაგოგას “ახალციხელების სალოცავის” სახელი შემორჩა (ილ. 23). “ახალციხელების სალოცავის” მომიჯნავედ ფუნქციონირებდა კიდევ ერთი სინაგოგა – “ცხინვალელების სალოცავი”, რომელიც დღესდღეობით საცხოვრებელ სახლად გამოიყენება. იგი ებრაელობას ჩამოერთვა 1953წ.

მეორე მოქმედი სინაგოგაა ე.წ. “აშკენაზების სალოცავი” (აშკენაზები – ევროპის გავლით შემოსული ებრაელები).

თბილისში არის ყოფილი სინაგოგების კიდევ ორი კაპიტალური შენობა, “აშკენაზების სალოცავის” სახელწოდებით.

ერთი ყოფილი სალოცავი მდებარეობს პირველი მაისის ქ. N10. (ყოფილი კათოლიკეთა ქუჩა) და აშენებულია 1886 წ. მჭიდრო მინაშენებში მოქცეულს შემორჩა ერთი “საკუთარი ფასადი” – შეუღესავი აგურის და გამოკვეთილი რომანული სტილის.

1932 წ. ამ შენობაში ბინა დაიდო საქართველოს დარბეზთა დამხმარე კომიტეტის კულტურის ბაზამ. იქვე დაარსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სექცია, რომელიც 1933 წ. გადაკეთდა დამოუკიდებელ მუზეუმად და გადავიდა “გუმბათიან” სინაგოგაში.

ებრაული კულტურული ბაზის გაუქმების შემდეგ (1938წ.), ამ შენობაში სხვადასხვა ორგანიზაციები ფუნქციონირებდა; გადააკეთეს და გამოიყენეს კლუბად; 1988-90წ. ფუნქციონირებდა “შეტეხის თეატრი”. ამჟამად მოქმედებს “სამეფო უბნის თეატრი”.

მეორე სინაგოგის შენობა მდებარეობს ივანეძის ქ. N.3 (ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე) და აგებულია 1896 წ. შენობა გუმბათიანია, შეუღესავი აგურის წყობით. როგორც ირკვევა, მას საკმაოდ დიდი და მაღალი სალოცავი დარბაზი ჰქონია, რომელიც დღეს სამ სართულად და ოთახებადაა დაყოფილი. აქ ებრაული ჯარისკაცები ღოცულობდნენ“ (15, 57-58).

ამ შენობაში 1934-51 წლებში განთავსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა არონ კრიხელი, ხოლო 1948 წლიდან ილია პაპისმედოვი. 1951 წ. შენობა ჩამოერთვათ ებრაელებს; გადაკეთდა ჯერ საერთო საცხოვრებლად, ხოლო 1977 წ. მასში კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ფუნქციონირებდა. 1991 წლიდან აქ ისევ ებრაული მუზეუმია აღდგენილი, რომელიც დავით ბაახოვის სახელს ატარებს, მაგრამ შენობის სავალალო, ავარიული მდგომარეობის გამო, მუზეუმის კოლექციების აქ განთავსება და გამოფენა შეუძლებელია.

ხუთივე ეს ნაგებობა ქალაქის ძველ ისტორიულ ზონაში მდებარეობს და ფაქტობრივად ერთი ქუჩის – ლესელიძის ქუჩის (ყოფილი ღვინის რიგი) ღერძზეა აკინძული.

როგორც უკვე ავნიშნეთ, მუზეუმის კოლექციის შესაგროვებლად 1933-1936 წლებში, ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები. მუზეუმის თანამშრომლები იძიებდნენ საქართველოს ებრაელთა ისტორიის, კულტურისა და ყოფის ამსახველ ექსპონატებს. შეგროვდა უამრავი ჩანახატი, ფოტოები, ეროვნული კოსტუმები, აქსესუარები, ამულეტები, ფოლკლორული მასალა, საკულტო, რელიგიური და სხვა მრავალი ყოფითი ნივთი. ექსპედიციაში მონაწილე მოწვეული ქართველი მხატვრები ადგილზე აფიქსირებდნენ ებრაელთა ტიპაჟებსა და მათი ცხოვრების

ამსახველ დეტალებს და შემდეგ უკვე მუზეუმში ჩამოტანილ ნივთების საფუძველზე ქმნიდნენ ებრაული ყოფისა თუ რელიგიურ-რიტუალური შინაარსის სურათებს. 1937 წელს მოეწყო პერმანენტული ექსპოზიცია “საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა“. საერთოდ მუზეუმში სამი ძირითადი განყოფილება იყო: ისტორიული, ეთნოგრაფიული და თანამედროვე სოციალისტური მშენებლობის ამსახველი მასალები.

მუზეუმის დირექტორები ამ წლების განმავლობაში იყვნენ ა. კულიჯანოვი, ა. კრიხელი და ი. პაპისმედოვი.

მუზეუმის დირექციამ თანამშრომლობისათვის ცნობილი მეცნიერები მოიწვია. ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, შ. ჩხეტია, შ. ამირანაშვილი, ს. იორდანაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვ. მათივე დახმარებით მომზადდა მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფი.

მუზეუმის სახვითი ხელოვნების კოლექციაში სხვადასხვა ავტორთა ასსამოცდაათამდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია. ამ კოლექციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილისა და ცნობილი ქართველო მხატვრის დავით გველესიანის ნამუშევრები, აქვე ინახება მეტრეველის, ციმაკურიძის, ზაალიშვილის, აბრამიშვილის, ეხისკიელის, გაბროილოვის და რამოდენიმე უცნობ მხატვართა ნამუშევრებიც.

ებრაული მუზეუმის კოლექციის ექსპონატების ჩამონათვალი
საინვენტარო წიგნებში

სამუზეუმო ნომერი	ნივთის დასახელება
1	დანა
2	მასალები
3	კაცვა სპილენძის
4	კაცვა სპილენძის
5	საცეცხლურის თავი-ჯვრით
6	სასუნებელი თუნუქის
7	სასწორი, ლითონის
8	სეფერთორის ხელის გამოსახულება
9	დანა შოხეტის
10	ბეჭედი თითბრის

11	სადგისი ხის ტარით
12	სადგისი ხის ტარით
13	სადგისი ხის ტარით
14	თაჯი სეფერთორის, ზანზალაკებით
15	თაჯი სეფერთორის, ზანზალაკებით
16	თაჯი სეფერთორის, ზანზალაკებით
17	თაჯი სეფერთორის, ზანზალაკებით
18	თაჯი სეფერთორის
19	ვაზა საქორწილო, ლითონის
20	სასანთლე (ხანუქა)
21	დანა
22	დანა მინიატურული
23	დანა ძვლის ტარით
24	სპილოს ფიგურა ლითონის
35	ბეჭედი რაბინისა
26	იერუსალიმის ტაძრის გამოსახულება, ხის
27	ამულეტი ებრაული წარწერით
28	რელიგიური დაფა-კალენდარი
29	ჯამი სპილენძის
30	ჯამი სპილენძის, სამკითხაო
31	დანა ჯევიჩი
32	დაფა ქრისტიანული ხატებით
33	დანა წინადაცვეთის

ქსოვილების ფონდი

№	ნივთის დასახელება
1.	ახალუხი
2.	ახალუხი
3.	ახალუხი
4.	ახალუხი
5.	ახალუხი
6.	ჩოხა
7.	ჩოხა
8.	გუჯანი
9.	ზუბუნი
10.	ზუბუნი
11.	ზედატანი
12.	ზედატანი
13.	ზედატანი

14. ზედატანი
15. ზედატანი
16. ზედატანი
17. ქვედატანი
18. ქვედატანი
19. ქვედატანი
20. ქვედატანი
21. კაბა (ქალის)
22. მოსასხამი
23. ოქროს კაბა
24. ოქროს კაბა
25. ოქროს კაბა
26. პერანგი
27. პერანგი
28. პერანგი
29. პერანგი
30. პერანგი
31. პერანგი
32. სამგლოვიარო სამოსელი
33. სამგლოვიარო სამოსელი
34. ბაღდადი
35. ბაღდადი
39. შარფი
40. შარფი
41. შარფი
42. ხილაბანდი
43. თავსაკრავი
44. თავსაკრავი
45. თავსაკრავი
46. თავსაკრავი
47. თავსაკრავი
48. თავსაკრავი
49. თავსაკრავი
50. თავსაკრავი
51. თავსაკრავი
52. თავსაკრავი
53. თავსაკრავი
54. თავსაკრავი
55. კოპი
56. ჩიხტი
57. ჩიხტი-კოპი
58. კოპი
59. ჩიხტი
60. წინდები
61. წინდები

- 62. წინდები
 - 63. ფეხსაცმელი
 - 64. ჩუსტი
 - 65. კაბა (სეფერთორისა)
 - 66. კაბა
 - 67. კაბა
 - 68. კაბა
 - 69. კაბა
 - 70. კაბა
 - 71. კაბა
 - 72. კაბა
 - 73. კაბა
 - 74. კაბა
 - 75. კაბა
 - 76. შემოსახვევი
 - 77. სტოლლა
 - 78. სტოლლა
 - 79. სტოლლა
 - 80. სისიტი
 - 81/ სისიტი
 - 82. სისიტი
 - 83. ბუდე (სავარცხლის)
 - 84. ბუდე (სისიტის)
 - 85. ბუდე (სისიტის)
 - 86. ბუდე (აფიკოფმანის)
 - 87. ბუდე (თეფელინის)
 - 88. ბუდე (სისიტის)
 - 89. ბუდე (სისიტის)
 - 90. ქისა (თეფელინის)
 - 91. ქისა (თეფელინის)
-

სამეცნიერო დამხმარე ფონდი

- | № | ნივთის დასახელება |
|----|------------------------------|
| 1. | შალომ კობოშვილის
პორტრეტი |
| 2. | ებრაელთა უბანი ახალციხეში |
| 3. | სიდონიას საფლავი მცხეთაში |
| 4. | გვალვის წინააღმდეგ |

5. ლეგენდა ლაილაშის ბიბლიის შესახებ
6. ძველი ებრაელის ტიპი
7. მკურნალობა ბრეთის ბიბლიით
8. ძველი ებრაელის ტიპი
9. ებრაელის ტიპი
10. ებრაელის ტიპი
11. ახალციხელი ებრაელის უძველესი საფლავი
12. ცხინვალელი ებრაელის ტიპი
13. ყველის დამზადება ებრაული წესით
14. ებრაელი ქალი ჩისტი-კოპით
15. ებრაელი მოხუცის ტიპი
16. მლოცველის ტიპი
17. ახალციხელი ებრაელის ტიპი
18. ებრაელი მამაკაცის ტიპი
19. მოხუცი ებრაელი ქალის ტიპი
20. ებრაელი ქალიშვილის ტიპი
21. ბავშვი აკვანში
22. ბოგერეთი-სიმწიფის ნიშანი
23. პატარძალი 12 წლის ასაკში
24. პატარძალი
25. დედოფალი
26. ჯადოქარი
27. მამლის გადაფრენა
28. მეფე-დედოფლის შემოტარება
29. დანიშვნის წესები ებრაელებში
30. წითელათი დაავადებული

31. ონის ებრაელების შეხვედრა აკაკისთან
32. ზეიმი მიძღვნილი აკაკისადმი ონში
33. ზეიმი მიძღვნილი აკაკისადმი ლაილაში
34. პიონერი ქალიშვილი ფორმით
35. ებრაელი გზაში
36. სტალინირში (ცხინვალი) ებრაელთა სახლი ისტორიულ ჭრილში
37. ებრაელთა საცხოვრებელი ნაგებობები დას. საქართველოში
38. სახლი სტალინირში (ცხინვალი)
39. ახალციხეში ებრაელთა

- კვარტალი
40. წინადაცვეთა სინაგოგაში
 41. ქორწინების აქტის წაკითხვა
 42. განქორწინება მაზლთან
 43. განქორწინება ცოლ-ქმარს შორის
 44. დედოფლის ხელების შეღებვა ინიით

უცნობი ავტორი

- | | |
|-----|---|
| № | ნივთის დასახელება |
| 1. | ქორწინების აქტი |
| 2. | ახალციხელი ებრაელი
დედოფლისადმი შესაწირი ძვირფასი
ნივთები |
| 3. | კაბალულის თამაში |
| 4. | პატარძალი დაჩოქილი |
| 5. | მოხუცი პურით |
| 6. | წითელებით ავადმყოფის წინაშე |
| 7. | ხედერი ებრაელთა რელიგიური
სასწავლებელი |
| 8. | ხედერი რელიგიური სასწავლებელი |
| 9. | სურამის რელიგიური პროცესის გამო
ციმბირში გადასახლებული |
| 10. | ადგილი, სადაც აღმოჩნდა სტელა
მხეთაში 1872 წელს ებრაულ-
არაბული წარწერით |
| 11. | ცხინვალელი ებრაელის ტიპი |
| 12. | ქალიშვილის პორტრეტი |
| 13. | ქალის პორტრეტი |
| 14. | შალომ კობოშვილის დაკრძალვა |
| 15. | კარაქის შედღეება |
| 16. | მესხეთ-ჯავახეთის ებრაული
მოსახლეობის მოძრაობის სქემა |
| 17. | ქართლის ებრაელთა მოსახლეობის
მოძრაობის სქემა |
| 18. | ფიცრული სახლი (ახალციხე) |
| 19. | მოხუცი ებრაელი |
| 20. | კურტნის კომპლექტი |
| 21. | ბაბილონის და ასირიის მეფე
საბრძოლო ეტლით |
| 22. | საბრძოლო ეტლი |
| 23. | სემიტთა სანიმუშო ორნამენტი |

- 24. ქსოვილზე ორნამენტი
- 25. კაცის პორტრეტი
- 26. პლაკატი "რანი ვიყავით"
- 27. კურტნის კომპლექტი

სხვა ავტორები

- | № | ნივთის დასახელება |
|-----|--|
| 1. | პეტროვი-საეკლესიო სამონასტრო
ყმა ებრაელი |
| 2. | პეტროვი-ებრაელის ტიპი |
| 3. | ასტახიშვილი-ბიბლიის ყდის
რეპროდუქცია |
| 4. | შ. ზაალიშვილი-ებრაელი ბოხჩით |
| 5. | შ. ზაალიშვილი-ებრაელი ცხენზე |
| 6. | შ. აბრამიშვილი-ახალციხელი
ებრაელის ტიპი |
| 7. | შ. მეტრეველი-ვაჭრის ოჯახი და
ბავშვი |
| 8. | შ. მეტრეველი-ებრაელი ქალი
ხელის წისქვილზე ფქვავს
ხორბალს |
| 9. | შ. მეტრეველი- ებრაელი მწეფმსი
ქალი |
| 10. | ა. ციმაკურიძე-საჩივარი მეფე
ერეკლე II-სთან |
| 11. | ეხისკიელი-მალკუთი, მონანიება |
| 12. | გაბრილოვი-ებრაელი ხურჯინით |
| 13. | შ. მეტრეველი-კაბალულის თამაში |
| 14. | გაბრილოვი-კაბალულის თამაში |
| 15. | ჩუდეცკი-ენის მოჭრის ცერემონია |
| 16. | მიანსარევი-კაცის პორტრეტი |

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი

თავი III

შალომ კობოშვილი

პირველი ებრაელი მხატვარი საქართველოში

თვითნასწავლი ებრაელი მხატვარის შალომ კობოშვილის შემოქმედება თითქმის უცნობი და შეუსწავლელი იყო. ათწლეულების მანძილზე მისი ნამუშევრები, ისევე როგორც ებრაული მუზეუმის კოლექციის სხვა ექსპონატები მივიწყებული და უცნობი იყო არა მხოლოდ დამთვალიერებელთათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც.

შალომ კობოშვილის ნამუშევრების სახით ჩვენ შემოგვრჩა მდიდარი და ძელზე საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა ქართველ ებრაელთა ყოფის, მათი ადათ-წესების, საცხოვრებელი ინტერიერის, ჩაცმულობისა თუ ტიპაჟების შესასწავლად.

ჩვენ თვალნათლივ წარმოგვიდგება ებრაელი ხალხის ყოფა ლხინში თუ გაჭირვებაში, მათი ყოველდღიური ცხოვრება, მნიშვნელოვანი მოვლენები, დამახასიათებელი რიტუალები, ტრადიციები და რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც ქართველმა ებრაელობამ ასე სათუთად ატარა და შემოინახა მრავალი საუკუნის მანძილზე. ზოგიერთი მათგანი დღეს უკვე აღარ სრულდება, ხოლო კობოშვილის ნამუშევრების სახით შემოგვრჩა ებრაული სულის ბრწყინვალე მატიანე.

შალომ კობოშვილის შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი მუშაობდა როგორც გრაფიკაში და აკვარელში, ასევე ფერწერაში.

შალომ კობოშვილი დაიბადა 1876 წელს ქალაქ ახალციხეში ღარიბი მორწმუნე ებრაელის ოჯახში. შალომი 8 წლის ასაკში მიაბარეს სასწავლებლად ხედერში (ებრაულ რელიგიურ სასწავლებელში) რაბინთან. მაგრამ მან ვერ გაუძლო იქაურ მკაცრ კანონებს და სწავლას თავი დაანება. წერა-კითხვა თვითონ ისწავლა ქუჩის წარწერებით. 12 წლის შალომი მამიდასთან ბათუმში გააგზავნეს. მას ბიძასთან შუადღისას სადილი მიქონდა ხოლმე. გზაზე ლითოგრაფიის სტამბა იყო, რომელთანაც ბიჭი უამრავ დროს ატარებდა და თვალს ადევნებდა ქვაზე ხატვის პროცესს. პირველად მაშინ დაიწყო შალომმა ხატვა, და ლითოგრაფიაში მომუშავე მხატვრის წაბაძვით, ხან ფესკიან თურქს

ხატავდა, ხან ყაბალახიან აჭარელს, ხან კი რომელიმე სახლის თეთრ კედელს ნახშირით ააჭრელებდა. როდესაც ბიძამ ბავშვის გატაცების შესახებ გაიგო, სტამბის პატრონს მოელაპარაკა შალომის უფასოდ შევირდად აყვანის თაობაზე. მაგრამ მშობლებმა როგორც კი შეიტყვეს ეს ამბავი, შვილს რელიგიური მოსაზრებიდან გამომდინარე, აუკრძალეს მხატვრობის შესწავლა და ისევე ახალციხეში დააბრუნეს. (56, 85).

კობოშვილს ბავშვობიდან უწევდა მძიმე ფიზიკური შრომა.

შალომი შავ მუშად მუშაობდა ბორჯომის რკინის გზის მშენებლობაზე 1894-1895 წლებში, შემდეგ კი ბაქოში სხვადასხვა ვაჭართან ნოქრად (გამყიდველად).

1908-09 წ. შალომი ყურბათად (ახალციხიდან სხვა ქვეყანაში მოჯამაგირედ ან სამუშაოს საძებნელად წასული კაცი) დადის სხვადასხვა ქალაქებში. იგი ხან შუა აზიაშია, პიატიგორსკში, როსტოვში, ბათუმსა და თბილისშია.

ილია პაპისმედოვი თავის წერილში “თვითნასწავლი მხატვარი შ. კობოშვილი და მისი შემოქმედება” (56, 86) აღნიშნავს: “თბილისში ყოფნისას, როგორც შალომი გადმოსცემს, იგი ღვინის ერთ სარდაფში შემთხვევით შეხვდა ნიკო ფიროსმანს, რომელიც ამ დროს საზანდარსა და მედაირე ქალს ხატავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი შაითან-ბაზარში, აბდულ ბადიას ტრაქტირში მეორედ შეხვდა ფიროსმანს და გაეცნო მას. შალომმა რაღაცა პატარა სურათი დახატა ფანქრით და ნიკოს აჩვენა. ნიკო შეპირდა, რომ ცოტა ხნის განმავლობაში ფერებით ხატვას შეასწავლიდა მას და ორივე ერთად იმუშაებდნენ, მაგრამ მათი შეხვედრა და შალომის მიერ მხატვრობის დაწყება რატომღაც არ მოხერხდა”.

შალომი ხან ნოქრად მუშაობდა, ხან ექსპედიტორად კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში. ცხოვრობდა თბილისში მეუღლესთან და 8 შვილთან ერთად. ხოლო 61 წლის ასაკში, 1936 წ. შ. კობოშვილმა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დარაჯად დაიწყო მუშაობა. შალომი იმდენად მიიზიდა მხატვრების ნამუშევრებმა, რომ თავადაც აისრულა ბავშვობის ოცნება და შეუდგა ხატვას. მან ჯერ უბრალო ფანქრით დაიწყო პატარა სიუჟეტების ხატვა, შემდეგ აკვარელზე გადავიდა, და ბოლოს ზეთის საღებავებსაც დაეუფლა. საოცარია, რომ კაცმა, რომელმაც 61 წლის ასაკში დაიწყო ხატვა, შეძლო გაეცოცხლებინა ქართველ ებრაელთა ყოფის მთელი ეპოქა, მისი დამახასიათებელი ნიშანთვისებებით.

შალომ კობოშვილი 1941 წელს გარდაიცვალა. მთელი მისი შემოქმედებითი გზა მხოლოდ სამ წელიწადს მოიცავს. მით უფრო გასაოცარი და საინტერესოა მისი პიროვნება და ხელოვნება.

როდესაც ვსაუბრობთ შ. კობოშვილზე, იგი უპირველეს ყოვლისა, აღიქმება, როგორც მხატვარი-პრიმიტივისტი; მაგრამ ამ პრიმიტივში ვლინდება დიდი პროფესიონალიზმი სამყაროს თავისებური, უშუალო აღქმით.

შალომ კობოშვილი ხატავს უპრეტენზიოდ, თავისთვის, ცხოვრების უშუალო, ბავშვური აღქმით, როგორც ფიროსმანი. მან სწორედ რომ ბავშვობის განუხორციელებელი ოცნება აიხდინა ხატვით, და ერთხელ რომ აიღო ხელში ფანქარი და ფუნჯი, ხელიდან აღარც გაუშვია.

აღსანიშნავია, რომ კობოშვილი, ალბათ ისევე თავისი ბავშვობის ოცნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ებრაელ კოლმეურნეთა მუშაობის სცენები, შოლომ ალეიხემი, სტალინის პორტრეტი), თითქმის არ ხატავს მის თანამედროვე ცხოვრებას, არ ხატავს ნატურიდან. მის მეხსიერებაში იღვიძებს ბავშვობის და ყმაწვილობის მივიწყებული მოგონებები, XIX საუკუნის ბოლოს ახალციხის ცხოვრება, სადაც მან ბავშვობა გაატარა და სადაც იგი თბილისში დასახლების შემდეგ აღარც დაბრუნებულა. ოდესღაც ნანახი და განცდილი ნათლად და ხატოვნად გადმოიღვარა მის ნამუშევრებში. შალომ კობოშვილმა აღადგინა იმ ეპოქის ახალციხელ ებრაელთა სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფა, მათი ცხოვრება და ადათ-წესები, საცხოვრებელი ინტერიერები, ჭურჭელი, ჩაცმულობა, დამახასიათებელი საკრავი ინსტრუმენტები და სხვა.

რაც ფიროსმანის შემოქმედებამ შეასრულა ქალაქური ცხოვრების სულისა და არომატის გადმოცემაში, თითქმის იგივე მისია შეიძლება დაეკისროს შალომ კობოშვილის ნამუშევრებს ქართველ ებრაელთა პროვინციალური ცხოვრების ასახვაში. ამ კონტექსტში შეიძლება ამ ორი თვითნასწავლი მხატვრის შედარება, ხოლო ფიროსმანისაგან განსხვავებით შალომ კობოშვილი თავის ცხოვრების სულ სამი წლის მანძილზე იყო მხატვარი. დროის ამ მოკლე მონაკვეთში მისმა შემოქმედებამ სწრაფი ევოლუცია გაიარა, იგი ყალიბდება, ვითარდება და თავისებურ პროფესიონალიზმს იძენს. აქამდეც მხატვარი თვითონ მივიდა. როგორც მისი ქალიშვილები იხსენებენ, შალომს არ ჰყოლია არც

მასწავლებელი და არც წამკეზებელი. იგი მხოლოდ თავის ინტუიციას და თანდაყოლილ ნიჭს მიენდო. ეს ევოლუცია ნათლად ჩანს მის ნამუშევრებში. პირველი ნამუშევრები შალომ კობოშვილმა 1937 წელს ფანქრით დახატა. ხოლო 1938 წელს იგი ქმნის აკვარელურ ნამუშევრებს. კობოშვილის პირველი სურათების მხატვრული გაფორმება ძალიან პრიმიტიულია, სუსტია ფანქრით ნახატი, პერსპექტივა და პროპორციის კანონები დარღვეულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურათის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მომენტები, მთავარი საგნები და დეტალები ისე მკაფიოდაა ხაზგასმული და ბუნებრივად განლაგებული, რომ მაყურებელს შეუძლია გამოსახულზე წარმოდგენა შეექმნას. ამ თვალსაზრისით გვინდა შევაჩეროთ ყურადღება 1938 წ. შექმნილ ნამუშევარზე “შაქარ-პური” (86, ილ. 2), აქ ვხედავთ კობოშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ყოფისა და ნივთების გადმოცემას. “შაქარ-პური” ანუ სიტყვის გატანა ეწოდება საპატარძლოს მშობლების ოჯახში გამართულ ნიშნობას, სადაც ქადის მსგავსი ტკბილი ნამცხვარი ოჯახურ სამყაროს, ხოლო შაქრის მოზრდილი თავი ტკბილი ცხოვრების სიმბოლოებია. ნიშნობის დასრულებისას შაქრის ნაჭრები სტუმრებს ურიგდებოდათ.

მხატვარი ცდილობს სახეიმო განწყობილება გადმოსცეს. მოვლენის მნიშვნელობაზე პატარა მაგიდაზე ცენტრში გამოყოფილი შაქრის დიდი თავი მიუთითებს. კომპოზიცია და მოქმედ პირთა მოძრაობები ზედმიწევნით დეკორატიულია, თუმცა აქ უკვე შეიმჩნევა გარკვეული მიღწევები, როგორც საერთო განათებაში, ასევე ფერში. აქ ძირითადი არსი სიუჟეტის მნიშვნელობაა, ზუსტად არაა ცნობილი როდის შექმნა მხატვარმა ამ სურათის მეორე ვარიანტი (86, ილ. 1), მაგრამ ნათელია, რომ უფრო მოგვიანებით. სიუჟეტი იგივეა, ხოლო კომპოზიცია და პერსონაჟები გაცილებით უფრო ბუნებრივად არიან წარმოდგენილნი. სურათის დეტალები ნაკლებადაა დამუშავებული, მაგრამ ამ ესკიზურობის მეშვეობით მასში მეტი სიცოცხლეა შემოტანილი, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე ოთახის თანაბარი განათება, იგი სავსეა სინათლით, შექმნილია ჩრდილების განლაგებაც უფრო ბუნებრივია და აკვარელის ტექნიკა სრულყოფილადაა გამოყენებული, თუმცა პირველ ვარიანტში ფერები უფრო ხასხასაა.

საქორწინო თემაზე შალომ კობოშვილი, გარდა “შაქარ-პურისა”, რამოდენიმე სურათს ქმნის: “საქორწინო კაბის გამოჭრა” (86, ილ. 3), “დედოფლის წაყვანა აბანოში” (86, ილ. 4), “ჯეიზი-მზისთვის აღწერა”(86, ილ. 8), “აჯლა” (86, ილ. 9). შევჩერდებით “დედოფლის წაყვანაზე აბანოში”. საქორწინო სამზადისის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი იყო დედოფლის განბანა მიკვეში (სარიტუალო აბანოში). პატარძალი უამრავი ქალისა და კაცის თანხლებით მიჰყავდათ მიკვეში ტებილის რიტუალის (წყლით სავსე აუზში სამჯერ ჩაყურყუმაღება) განსახორციელებლად. მას აშუღები საზისა და ჭიანურის დაკვრით მიუძღოდნენ. აშუღებს მიჰყვებოდნენ პატარა ბიჭები საბანაო ჭურჭლითა და ბოხნაში გამოკრული სანოვაგით, მათ კი – პატარძლის დობილებისა და ნათესავების ამაღა.

ეს საინტერესო წეს-ჩვეულება ქორწინების წინ პატარძლის რიტუალურ აბანოში “მიკვეში” წაყვანისა ბრწყინვალედ აქვს აღბეჭდილი მხატვარს. ახალციხის ებრაელთა უბნის ერთი მოსახვევიდან გამოდის პროცესია, რომელსაც აშუღები საზისა და ჭიანურის დაკვრით წინ მიუძღვიან. პატარძალი ღია ფერის ტანისამოსით გამოირჩევა. ქალებს მრავალფეროვანი ჩარჩაფები (მანდილები) აქვთ წამოსხმული და სახეები ნახევრად უჩანთ. სურათი გვიზიდავს თავისი დინამიური კომპოზიციით, მხატვრული სილამაზით, ფერთა უღერადობითა და დახვეწილობით. ეს კობოშვილის ერთ ერთი საუკეთესო ნამუშევარია.

აქვე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება პატარა, მაგრამ საოცრად დახვეწილ და ნატიფ ნახატზე – “ახალციხელი ებრაელი პატარძალი” (86, ილ. 5), რომელიც შესრულებულია შავი ტუშით და ფერადი ფანქრებით. ბრწყინვალეაა წარმოდგენილი ებრაელი ქალის ტიპაჟი, ხოლო ტანსაცმელი მხატვრული გემოვნებით, გასაოცარი სიზუსტითა და ორნამენტაციის ღრმა ცოდნითაა გადმოცემული.

აქ, ისევე როგორც ფერადი ფანქრებით შესრულებულ ნახატში “ახალციხელ ებრაელ ქალთა ხელსაქმე” (86, ილ. 33) ქალთა მორთულობიდან, ახალციხელ ებრაელთა წარსული საუკუნის, შექმნილი ფენის მდიდრული ტანსაცმელი და სამკაული გვეცემა თვალში. თავისი ნიშანდობლივი ორნამენტების დაცვით, გულმოდგინედ და მოხდენილად დახატული კაბის ზუბუნით (ზედატანსაცმლით), გამჭვირვალე და ჰაეროვანი მანდილით, გამოკვეთილი საყურეებითა და გულმკერდზე ჩამოკიდებული ყელასაბამით. მხატვრული ოსტატობით

შესრულების გარდა, ეს ნამუშევრები ეთნოგრაფისა და კოსტუმის ისტორიკოსისათვის წარმოადგენს მდიდარ და ძვირფას მასალას.

დახვეწილობით გამოირჩევა 1940 წელს აკვარელით, გუშითა და ტუშით შესრულებული „ახალციხელი ებრაელი ნეფე“ და გუაშით შესრულებული ახალციხელი ებრაელი პატარძალი. ამ სურათებშიც საინტერესოდ და დეტალურად არის გადმოცემული ჩაცმულობა, რომელიც თითქმის არ განსხვავდება მამაკაცის ტრადიციული ქართული სამოსისაგან.

1939 წლიდან კობოშვილმა თავისი პირველი თემა ადამიანის ცხოვრების პირველი ციკლიდან დაიწყო. “ბავშვის დაბადება” (86, ილ. 10) – ასე უწოდა მან თავის სურათს. გამოსახულია ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო მომენტი და აქაც შემოტანილია ყოფითობის ელემენტები. სურათზე მოცემულ ადამიანებში და საგნებშიც თითქმის ზუსტადაა დაცული შინაარსთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მოტივები.

მხატვრული თვალსაზრისით სურათი კარგადაა შესრულებული, კოლორიტი თბილი და სასიამოვნო ფერებითაა შეხამებული. ბუნებრივია შექჩრდილების განაწილებაც. აქ ერთი პატარა დეტალია აღსანიშნავი, საერთო მხიარულ განწყობილებაში თითქოს და მზეც მონაწილეობას იღებს. იგი თბილ სხივებს ჰფენს მწოლიარეს და მთელ ოთახში, ბუნებრივი განათება შემოაქვს.

შემდეგ ციკლს კობოშვილის შემოქმედებაში წარმოადგენს ქალის ცეკვის თემა. მან შექმნა ამ სიუჟეტზე რამოდენიმე ნამუშევარი: “საივო”- ფერხული, “საივო”- ხორუმი (აკვარელში), ხოლო მოგვიანებით ფერადი ფანქრებით დახატული “საივო”- ხორუმი. (86, ილ. 34-37)

ამ სურათებში ტანსაცმლისა და სამკაულის მდიდარი არჩევანია ასახული. მოცეკვავეთა ცოცხალი მიმოხვრა და ზოგი მათგანის გამოკვეთილი, მომღიმარე სახე კარგადაა დამუშავებული. ცეკვა-თამაშში მონაწილე ახალგაზრდობას ღეჩაქები აქვს მოსხმული, მანდილოსნებს კი – ჩარჩაფები. ცეკვას მამაკაცები და ბავშვებიც ესწრებიან, მაგრამ როგორც წესი ისინი განზე არიან გადამდგარნი. ამ ნამუშევარში იგრძნობა უკვე ჩამოყალიბებული მხატვრის ხელწერა, იგი საკმაოდ კარგად ფლობს რთულ მრავალფიგუროვან კომპოზიციას, იცავს მასშტაბებს, პროპორციებს და პერსპექტივას. “საივო” – ხორუმის სცენებისგან განსხვავებით, სადაც ფიგურები უფრო სტატიურია. ფერხულში გვიხილავს ცოცხალი ცეკვის დინამიკა. საინტერესოა კომპოზიციური

გადაწყვეტა, რომელსაც მაყურებელი თითქოსდა შეჰყავს სურათის სივრცეში. ფონად, როგორც ყოველთვის გამოყენებულია საცხოვრებელი სახლები, ტრადიციული მესხურ-ჯავახური ნაგებობები. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს მხატვრობის მაღალი დონე ქსოვილის ფაქტურის გადმოცემაში თუ ფერადოვანი გამის შექმნაში, განსაკუთრებით ფერხულში, ფუნჯის მოზაიკური მონასმები სურათის სიბრტყეს ხალიჩისებურ ელფერს აძლევს.

1939 წ. შესრულებული სხვა ნამუშევრებიდან ავლნიშნავთ „დვაცატნიკს“ (86, ილ. 43), „ახალციხის ბაზარი“ (86, ილ. 44), სადაც მხატვარი გამოდის ებრაული კვარტალიდან. ძალიან საინტერესოა „ჭორიკანა ქალები“ (86, ილ. 30), „მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში“ (86, ილ. 31), სადაც მკაფიოდ იკვეთება სოციალური კონტრასტი.

რელიგიური დღესასწაულების თემაზეა შესრულებული სურათი “მისიონერების კურთხევა. სუქოთის დღესასწაული” (86, ილ. 15), რომელიც საინტერესოა თავისი შინაარსით. სუქოთის დღესასწაული 7 დღის მანძინზე აღინიშნება და ამისათვის სპეციალურად აიგება „სუქა“, რაც ივრითაღან კარავს ნიშნავს.

ეს დღესასწაულის მთავარი ადგილია. როგორც წესი სუქას სინაგოგის ტერიტორიაზე მცენარეებისაგან აგებენ და სხვადასხვა ხილითაა მორთული. სურათზე აღბეჭდილია სუქაში იერუსალიმიდან ჩამოსული მისიონერების კურთხევის მომენტი. XIX ს. მიწურულს – XX ს. დასაწყისში იერუსალიმიდან სხვადასხვა ქვეყნებში გზავნიდნენ მისიონერებს, რომლებიც სინაგოგებისათვის შესაწირავს აგროვებდნენ.

სინაგოგას ებრაელებისათვის, განსაკუთრებით დიასპორაში ცხოვრებისას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სინაგოგის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია თორის გრაგნილების შენახვაა. სეფერ თორა აღთქმის კიდობანში ინახება, რომელიც იერუსალიმისაკენ მიმართული კედლის პირდაპირაა განთავსებული. საუკუნეების მანძილზე სინაგოგას, გარდა რელიგიურისა, კიდევ სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა ენიჭება. სინაგოგა არამხოლოდ სალოცავია, არამედ ებრაელი ხალხის ძირითადი თავშეყრის ადგილი და გარდა ამისა, საგანმანათლებლო ცენტრიცაა. კობოშვილის შემოქმედებაში სინაგოგის რელიგიური სკოლის “ხედერის” თემაც აისახა რამოდენიმე სურათში. მითუმეტეს, რომ ეს უშუალოდ მის ბავშვურ მოგონებებს და პირად გამოცდილებას უკავშირდებოდა. ეს მოგონებები არც თუ სასიამოვნოა,

შალომმა რამდენჯერმე ასახა საკუთარი დასჯის სცენა: “მაღკუტი – რიტუალური როზგები” (86, ილ. 22); “ფალახა” (86, ილ.19); “ხედერი – ებრაული რელიგიური სასწავლებელი” (86, ილ. 18). სინაგოგის ციკლში კიდევ რამდენიმე სურათია გაერთიანებული: “ხერემი - ანათემა” (86, ილ. 24) – ასახავს სცენას, როდესაც ებრაული თემის ერთ ერთი წევრი ანათემას გადაეცემა. თორის კანონების სისტემატური და უხეში დარღვევისათვის ებრაული თემის სამი კაცისაგან შემდგარი სასამართლო, „ბეთ-დანი“, საჯაროდ ხსნის სისიტს და ამით ამ მამაკაცს სინაგოგაში შემოსვლის და ჯამაათის (ებრაული თემი) წევრობის უფლება ჩამოერთმევა. სინაგოგაში დასჯის საკმაოდ უცნაური სცენებია “ცოდვის გამოსყიდვა 40 როზგით” და “ჰათარა – ცოდვის შენდობა” (86, ილ. 20, 21). მსგავსი დასჯის სცენები არატიპიურია იუდაიზმისათვის და სავარაუდოთ მხოლოდ ახალციხეში იყო გავრცელებული, რაც აღმოსავლურ, და შესაძლოა გარკვეულ წილად მუსულმანურ გავლენასაც უკავშირდება. საერთოდ ახალციხელ ებრაელთა ტრადიციები საკმაოდ გამოირჩევა სხვა რეგიონებში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა წეს-ჩვეულებებისაგან, ისევე როგორც განსხვავებულია მათი ჩაცმულობაც.

კობოშვილის შემოქმედებაში გამოიყოფა რელიგიური დღესასწაულების, რიტუალური სცენების, სინაგოგის, ვაჭრობის თემატიკაზე შექმნილი ციკლები. ამ ციკლებში გაერთიანებულ თითოეულ სურათს განსაკუთრებული შინაარსობლივი დატვირთვა გააჩნია. ქვემოთ უფრო დაწვრილებით შემოგთავაზებთ ნამუშევრების სიუჟეტების განმარტებას.

1940 წ. შესრულებულია “სამღებრო იარაღები” (86, ილ. 40); “შოლომ ალეიხემის ცხედარი” (86, ილ. 48); “ყმების მასობრივი გაყიდვა” (86, ილ. 46); “ყმის გაყიდვა ფეოდალის მიერ” (86, ილ. 47); “ქარავანი” (86, ილ. 45). ეს ნამუშევრები ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ კობოშვილი თვითნასწავლი მხატვარია და მთელი მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა მხოლოდ სამ წელიწადს მოიცავს.

კობოშვილი თავის შემოქმედებაში ასახავს ხელოსნობის თემას, “სამღებრო იარაღები” ერთ ერთი გვიანდელი ნამუშევართაგანია, უფრო ადრე კი მან დახატა სურათები “მეკურტნეები” და “სამღებროში”. ხელოსნობა ქართველ ებრაელებში ძველთაგანვე იყო გავრცელებული. თუმცა ისეთი მასშტაბები, როგორც რუსეთში არასოდეს ჰქონია. გვიანფეოდალურ ხანაში ებრაული

მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი მისდევდა მღებრობას და მატყლის დართვას. XVIII ს. მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ებრაულ მოსახლეობაში ჩნდებიან ხარაზები. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ებრაული მოსახლეობის ნაწილი მისდევს კერამიკულ წარმოებას. ახალციხეში და ბევრ სხვა ქალაქებში ებრაელები მუშაობდნენ შავი, წვეტიანი ჩუსტების მკერავებად, იშვიათად ზეინკლებად, მჭედლებად, კურტნის მკეთებლებად. ებრაელთა ეს საქმიანობაც ერთგვარ ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული – ხელოსანი ებრაელი თავის ნაწარმს თვითონვე ჰყიდდა.

კობოშვილის შემოქმედებას, როგორც ჟანრის, ასევე კოლორიტის მხრივ თავისებურება და გამორჩეული ხელწერა ახასიათებს.

კონტრასტული და კაშკაშა ფერადოვანი გამა განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს კობოშვილის ნამუშევრებს და გაუდენთილია აღმოსავლური სულითა და კოლორიტულობით. 1940 წელს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო მუზეუმის გაუქმების შემდეგ მხატვრის ნამუშევრები დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა მთელი ამ წლების მანძილზე ისინი მუზეუმის ფონდებში ინახებოდა. დღესდღეობით ისინი დაცულია (როგორც საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სხვა ექსპონატების ძირითადი ნაწილი) საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებში. კობოშვილის ნამუშევრების სახით ებრაული ყოფისა, თუ ეთნოგრაფიის შესასწავლად უმდიდრესი განძი გაგვაჩნია, ხოლო თავად კობოშვილი - პირველი დიდი ეროვნული მხატვარი.

შალომ კობოშვილის კატალოგი:

შალომ კობოშვილის ყველა ნამუშევარი შესრულებულია 1937-1940 წლებში. ნამუშევრებთან მითითებულია თარიღები, რომლებიც მოყვანილია პაპისმედოვის მიერ შედგენილ ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოწყობილ კობოშვილის ნამუშევართა გამოფენის კატალოგში.

სურათების სახელწოდების ზუსტი წარმომავლობის დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან გამოფენა მოეწყო შალომ კობოშვილის სიცოცხლეშივე, ვივარაუდეთ, რომ სახელწოდებები მასთან შეთანხმდებოდა, ამიტომ მოგვეყავს 1940 წლის

გამოფენის კატალოგის შესაბამისად, ხოლო ზოგიერთი საინვენტარო წიგნებში დაფიქსირებული სახელწოდებების შესაბამისად.

შალომ კობოშვილი იყენებდა სხვადასხვაგვარ ხელმოწერას, ამიტომ კატალოგში წარმოდგენილია მისი ხელმოწერებიც.

2006 წელს შალომ კობოშვილის გამოფენის მომზადებასა და კატალოგის პუბლიკაციასთან დაკავშირებით ფონდებში დაცული ნამუშევრები თავიდან იქნა ატრიბუტირებული და იდენტიფიცირებული. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ყოფილ ტექნოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში, სადაც იმუშავე ვმუშაობდი, განყოფილების გამგესთან, ხელოვნებათმცოდნე ნ. ელიზბარაშვილთან და ფიზიკოს-ტექნოლოგ ე. მესროპიანთან ერთად ჩავატარეთ შალომ კობოშვილის ოცი ნამუშევრის კომპლექსური ტექნოლოგიური გამოკვლევა: ბინოკულარულ მიკროსკოპში, ულტრაიისფერი ლუმინესცენციით, ცალკეული ფრაგმენტების მაკროფოტოგრაფია შემდგომი ანალიზით, გაკეთდა ფერწერული ტილოების რენტგენოგრაფიები.

მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა შალომ კობოშვილის მსატრეული ხელწერის გარკვეული თავისებურებანი. ჩვენს მიერ შეირჩა და გამოკვლევა ჩაუტარდა ყველაზე ტიპიურ ნამუშევრებს, ამიტომ ეს მონაცემები დამახასიათებელია ყველა დანარჩენი სურათებისათვისაც. ქვემოთ მოვიყვანთ კობოშვილის ფერწერული და გრაფიკული ტექნიკისთვის დამახასიათებელ ზოგად მონაცემებს. (იხ. ილუსტრაციების დანართი)

ფერწერის ტექნოლოგია:

ტილო ოდნავ გაწებონებულია წებოს და თეთრას ნარევით. ზევიდან ხატავს ზეთის საღებავებით. ფერწერული ფენა ძალიან თხელია, ზოგან ვლინდება ტილოს სტრუქტურა. ოდნავ კორპუსულად იდება ფუნჯით თეთრა. ფერები ლოკალურია, თეთრას იყენებს ლესირების მაგივრად და აგრეთვე ნაკეცების მოდელირებისას. ზოგან ტანისამოსზე სინათლის ათინათები გაკეთებულია თხლად გაზავებული თეთრათი, თითქმის არაა დამფარავი პასტოზური მონასმები.

როგორც წესი ხელმოწერა გააკეთებულია ჯერ კიდევ სველ ფერწერულ ფენაზე.

ფერადი გრაფიკის ტექნოლოგია:

ნახატი კეთდება ჯერ ძალიან წვრილი ფანქრით, შემდეგ ზოგან ეს ნახატი მეორდება ტუშით და კალმით (მაგ. “ახალციხელი ებრაელი პატარძალი“), შეფერადებულია ფერადი ფანქრით. გაფერადებული გამოსახულება შემოვლებულია გრაფიტის ფანქრის კონტურით, რაც გამოსახულებას მოცულობას ანიჭებს და ავლენს ქსოვილის სახესა და ტექსტურას.

ზოგან აბრისი მოცემულია ნახატით წვრილი ფანქრით, შემდეგ გამოყენებულია გუაში, ხოლო ცალკეული სახეები კონტურების და ნაოჭების გამოსავლენად შესრულებულია ტუშით და კალმით, ცალკეული ნაწილები კი გრაფიტის ფანქრით.

ფერად ფანქართან როგორც წესი გამოყენებულია გრაფიტის ფანქარიც.

შერეული ტექნიკისას – ზოგან იყენებენ აკვარელს, გუაშს, გრაფიტის ფანქარს და ტუშს.

გუაშით შესრულებული უმეტესი ნამუშევარი ზევიდან დაფარულია ლაქის ფენით.

ამ ტექნოლოგიური მონაცემების საფუძველზე კიდევ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა გადაგვემოწმებინა კობოშვილის ნამუშევრების ატრიბუციები და შეგვეჯერებინა 1940 წლის ებრაული მუზეუმის “შრომებში” (56, 109) ი. პაპისმედოვის მიერ მოყვანილ კობოშვილის ნამუშევრების სიასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო კობოშვილის პერსონალურ გამოფენაზე. ამ სიაში მისი 50 ნამუშევარია. გამოფენა მის სიცოცხლეშივე მოეწყო, ამიტომ აქ ჩამოთვლილი ნამუშევრები ნამდვილად კობოშვილის მიერ არის შესრულებული, თუმცა ეს არ არის მუზეუმის კოლექციაში არსებული ყველა სურათი, ვინაიდან კობოშვილი სიცოცხლის ბოლომდე ხატავდა და, მართალია მას შემდეგ წელიწადზე ნაკლები იცოცხლა, მაგრამ მაინც საკმაოდ ნაყოფიერი იყო მისი მომდევნო შემოქმედებაც. ატრიბუციისას პირველ რიგში ვხელმძღვანელობდით პაპისმედოვის მიერ მოყვანილი სიითა და კობოშვილის მიერ ხელმოწერილი სურათებით, ხოლო დანარჩენის იდენტიფიცირებისას, გარდა ვიზუალური ხელწერისა, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენს მიერ ჩატარებული

ტექნოლოგიური კვლევის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ კობოშვილი არაპროფესიონალი მხატვარია და არასდროს არ შეუსწავლია ხატვა, მისი ნამუშევრების გამოკვლევამ გამოავლინა საკმაოდ საინტერესო, მისთვის დამახასიათებელი ხელწერა და ხატვის პრონციპი.

ებრაული მუზეუმის კოლექციაში კობოშვილისა და დავით გველესიანის ნამუშევრების გარდა, კიდევ რამოდენიმე მხატვრის სურათებია, მათ შორის ზოგიერთი უცნობი მხატვრის. საინვენტარო წიგნებში არაზუსტი მონაცემები იყო დაფიქსირებული, ამიტომ წარმოიქმნა კობოშვილისა და სხვა მხატვრების ნამუშევრების ხელახალი ატრიბუციის აუცილებლობა. მის შედეგად კობოშვილის დადასტურებული ყველა 55 ნამუშევარი გამოიფინა 2006 წელს ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლაში) მის პერსონალურ საიუბილეო გამოფენაზე და შევიდა კატალოგში.

შალომ კობოშვილის ნამუშევრების სია:

1. შაქარ-პური
2. შაქარ-პური
3. საქორწინო კაბის გამოჭრა
4. დედოფლის წაყვანა აბანოში
5. ახალციხელი ებრაელი ნეფე
6. ახალციხელი ებრაელი პატარძალი
7. ახალციხელი ებრაელი პატარძალი
8. “ჯეიზი” – მზითვის აღწერა
9. “აჯლა” – საქორწინო სარეცელი
10. ბავშვის დაბადება
11. ბავშვის წაყვანა წინდასაცვეთად სინაგოგაში
12. ფრინველების დაკვლა რელიგიური წესით
13. ქალების ბანაობა “მიკვეში”
14. რიტუალური დანიშნულების ქოხი
15. მისიონერების კურთხევა (სუქოთის დღესასწაული)
16. მისიონერი ყიდის იერუსალიმის მიწას

17. ებრაელთა კვარტალი ახალციხეში
18. “ხედერი“ – ებრაული რელიგიური სასწავლებელი
19. “ფალახა”
20. ცოდვის გამოსყიდვა 40 როზგით
21. “ჰათარა“ – ცოდვის შენდობა
22. “მალკუტი” – რიტუალური როზგები
23. რელიგიური სასწავლებელი სინაგოგაში
24. “ხერემი” - ანათემა
25. სეფერთორის გამოტანა სინაგოგაში
26. თხოვნით “ბრეთის ბიბლიისადმი“
27. “ბრეთის ბიბლიისადმი“ თაყვანისცემის მომენტი
28. ექიმბაშთან
29. შესალოცად ექიმბაშთან
30. ჭორიკანა ქალები
31. მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში
32. “ფინჯრობა“ – ქალთა თამაში
33. ახალციხელ ებრაელ ქალთა ხელსაქმე
34. ცეკვა “საივო“ – ფერხული
35. ცეკვა “საივო“ – ხორუმი
36. ცეკვა “საივო“ – ხორუმი
37. ცეკვა “საივო“ – ხორუმი
38. მეკურტნეები
39. სამღებროში
40. სამღებრო იარაღები
41. სოვდაგარი ებრაელი
42. მდიდარი სოვდაგარის ცოლი
43. “ღვაცატნიკი“
44. ახალციხის ბაზარი
45. ქარავანი
46. ყმების მასობრივი გაყიდვა
47. ყმის გაყიდვა ფეოდალის მიერ
48. შოლომ ალეიხემის ცხედარი

49. შოლომ ალექსემის პორტრეტი
50. სტალინის პორტრეტი
51. ებრაელ კოლმეურნეთა საერთო უბანი (ესკიზი)
52. მოსავლის ჩაბარება ებრაელ კოლმეურნეთა მიერ
53. ებრაელი კოლმეურნეები შინ ბრუნდებიან
54. კოლმეურნეები ყანაში
55. ტყის მცვეელები

თავი IV

ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა ექსპონატების სია. (87)

ამ თავში წარმოვადგენთ ყველა იმ ექსპონატს, რომელიც აღნუსხულია კატალოგში “მარადიული ცეცხლი. ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა” (87) და ასევე ექსპონირებული იყო ამავე სახელწოდების გამოფენაზე 2008 წ.

ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). გამოფენის მომზადების პროცესში მოხდა ექსპონატების შესწავლა, ხელახალი ატრიბუცია. თითოეული მათგანი დაექვემდებარა რესტავრაციასა და კონსერვაციას, უმეტესობას შეეცვალა სათაური. ქვემოთ წარმოგიდგენთ სიას უკვე ახალი მონაცემების შესაბამისად, კატალოგში დაბეჭდილი თანმიმდევრობითა და ნუმერაციით.

კატალოგის გამოცემის შემდეგ კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლე ებრაული კოლექცია და აქ მოყვანილი ზოგიერთი მონაცემები დაზუსტდა, შესაძლებელი გახდა მათი ატრიბუცია და დათარიღება, ამიტომ აქვე, მიუთითებთ ახალ ინფორმაციასაც.

ეს სამეცნიერო კვლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ახალი მონაცემებია, მათი დადგენა მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე შესწავლილი მდიდარი პარალელური მასალის საფუძველზე, როგორც ლიტერატურულ წყაროებსა და იუდაიკის თემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი საიტებისა და აუქციონების დათვალიერებით, ასევე (რაც ყველაზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა), სხვადასხვა ქვეყნებში ებრაული კოლექციების უშუალო შესწავლისა და ანალოგიურ ექსპონატებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

დეკორატიული, რელიგიური, რიტუალური დანიშნულების ნივთების ატრიბუცია დაემყარა უმდიდრესი ანალოგიური მასალის უშუალო გაცნობას ფლორენციის, თელ ავივის, იერუსალიმის, ბერლინის, ლონდონის, პარიზის, პრადის ებრაულ მუზეუმებში.

უკანასკნელი ატრიბუციებიდან გამომდინარე, შეიცვალა ექსპონატების დათარიღება. ნაშრომში წარმოდგენილი ექსპონატები ცოტა სცდება დისერტაციის თავდაპირველ სათაურს და ასახავს იუდაიზმს საქართველოს არა

მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მე-19 საუკუნიდან. ეს გადათარიდება ეხება მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალას, რელიგიური და რიტუალური დანიშნულების ნივთებს.

თემატიკის სპეციფიკადან და ნივთების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ექსპონატები გამოფენაზეც და შესაბამისად კატალოგშიც შინაარსობლივად იყო განლაგებული და ერთგვარ თემატურ ციკლებად ერთიანდება.

გამოფენაზეც და კატალოგშიც შალომ კობოშილისა და დავით გველესიანის შემოქმედება არ არის გამიჯნული და შინაარსობრივი პრინციპითაა აგებული. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კობოშილი თვითნასწავლი მხატვარი იყო, ხოლო დავით გველესიანი პროფესიონალი, მათი ნამუშევრების ერთად გამოფენა ხელს არ უშლის თითოეულის თვითმყოფადობის აღქმას. როგორც უკვე ავღნიშნეთ, შალომ კობოშილის შემოქმედება სცდება მხოლოდ მხატვრულ ღირებულებას და მის სტილისტურ შეფასებას. ის სრულიად ფასდაუდებელია თავისი შინაარსით. გარდა ამისა, გველესიანისაგან განსხვავებით, რომელიც ებრაული მუხეუმის ხელმძღვანელობის შეკვეთით ხატავდა, კობოშილი თავის ნამუშევრებში აქსოვს უშუალო ემოციებსა და განცდებს, რომლებიც მის ცხოვრებას და წარსულის მოგონებებს უკავშირდება, ის თავად იყო ყველა იმ მოვლენის მომსწრე და თანამონაწილე, რაც ასახულია მის ნახატებში.

ერთ ერთი ყველაზე საინტერესო ციკლი ქორწინებას უკავშირდება, რომელსაც ებრაელის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქორწინების თემაზე მთელი რიგი ნამუშევრები აქვთ შექმნილი შალომ კობოშილს და დავით გველესიანს. მათ ნამუშევრებში ასახულია ქორწინების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპები. ექსპონატების ანოტაციები და სიუჟეტის განმარტება თან ერთვის ქვემოთ წარმოდგენილ სიას. ქორწინების ციკლი იწყება ნიშნობის სცენით. ქორწინების თემასთან დაკავშირებული ყველა სცენა განსაკუთრებული სადღესასწაული ელფერით გამოირჩევა. „შაქარ პური. სიტყვის გატანა“ – ასე ეწოდება შალომ კობოშილის მიერ შექმნილ სურათს, რომელიც ასახავს ნიშნობის სცენას. კომპოზიცია ოთახის ცენტრში, პატარა დაბალი მაგიდის გარშემოა განლაგებული.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს განსხვავებული საქორწინო ტრადიციები აქვთ, ქეთუბა ყველასათვის მთავარია. იგი ქაღალდზე ან პერგამენტზე დაწერილი, მხატვრულად გაფორმებული

ერთგვარი საქორწინო ხელშეკრულებაა. ამ ტრადიციას ფესვები უხსოვარი დროიდან ჩაეყარა. თვითონ ქორწინების ცერემონია ტარდება ხუფის ქვეშ. ტრადიციულად ხუფა აბრეშუმის ან ხავერდის ქსოვილის დიდი ნაჭერია, რომელიც ოთხ სვეტზეა გადაფენილი ან ოთხ ადამიანს უჭირავს ნეფე-პატარძლისა და მათ მოწმეთა თავზე ქეთუბის წაკითხვის დროს.

ხუფის ქვეშ სასიძო საპატარძლოს თავისად აცხადებს. ორი მოწმის თანდასწრებით სიძე ბეჭედს უკეთებს პატარძალს და ტრადიციულ სიტყვებს უმეორებს “ამ ბეჭდით შენ მე მეძღვნები მოსესა და ისრაელის კანონით. ტერმინით “კიდუშინი” თალმუდური ლიტერატურა ქორწინების აქტს აღნისნავს. ქორწინების მიზანია მიუძღვნას ცოლი, მის ერთადერთ ქმარს. სიტყვა კიდუშინი წარმოიშვება ფუძიდან, რომელიც “სიწმინდეს” აღნიშნავს, რაც ღვინის კურთხევით გამოიხატება. ამიტომ ხშირად სპეციალურ თასებს იყენებდნენ, ღვინიანი თასით კიდუშს ღანგრით მიართმევდნენ, რაც მოვლენას უფრო მეტად სადღესასწაულო ელფერს მატებს.

თავის ძირითადი პრინციპებისადმი ერთგული, იუდაიზმი ცდილობს ხორცისა და ინსტინქტების სულიერებად აყვანას და კიდუშინის აქტით ნაკურთხი ქალი ოჯახში ებრაული ტრადიციის მცველი ხდება. უდავოა, რომ სწორედ ოჯახური ცხოვრების სიმტკიცის წყალობით ებრაელები ამდენ ძალადობასა და უბედურებას უძლებდნენ.

ბეჭდის სიმბოლური გამოყენება ძველი დროიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით ბევრმა ბეჭედმა 16 საუკუნიდან მოაღწია. გამორჩეულად დახვეწილია იტალიელი ოსტატების ნამუშევრები, სხვადასხვა ფორმითა და ორნამენტებით მოპირკეთებული. ბეჭდის შიდა მხრიდან როგორც წესი ამოტვიფრულია სიტყვები “მაზალ ტოვ”. ბაბილონური ტყვეობის ეპოქიდან მოყოლებული ებრაელები დაინტერესებულნი იყვნენ ასტროლოგიითა და თანავარსკვლავედების გავლენაზე, ამიტომ იმედოვნებდნენ, რომ “მაზალ ტოვის” (ივრითზე სიტყვა “მაზალ”- ბედნიერებას, ბედს, ვარსკვლავს ნიშნავს) ბედნიერი თანავარსკვლავედი მათ ქორწინებას იცავდა.

მიჯნურებს შორის ურთერთობის ერთ ერთი ღამეში ტრადიცია საჩუქრების მირთმევაა. ეს ტრადიცია უხსოვარი დროიდან მოდის და ამის შესახებ ბიბლიაშიც არის მოხსენებული. უძველესი მაგალითია ელიეზერი, რომელმაც

თავისი ბატონის სახელით რებეკას, სამკაულები, სამაჯურები და ბეჭდები მიართვა (ტალმუდ. კიდუშინ, 50 ბ. ბავა ბატრა, 146 ა)

ძალიან გავრცელებული საჩუქარია ლოცვათა კრებული, რომელიც როგორც წესი საგნგებოდ იბეჭდებოდა, და ლამზად და მდიდრულად იყო გაფორმებული. ყდა იტალიაში ვერცხლისაგან მზადდებოდა, ჰოლანდიასა და გერმანიაში კუს ჯავშნისგან ან სპილოს ძვლისაგან, ვერცხლის ან ოქროს ფილიგრანის შესაკრავებით. იტალიური ყდების უმეტესობა XVIII საუკუნისაა და როკოკოს სტილშია შესრულებული და საგვარეული დერბებითაა გაფორმებული, ყვავილების და ფოთლების ორნამენტითაა გაფორმებული. ზოგჯერ გერბები ნეფე პატარძლის სახელებითა ან ქორწინების თარიღითაა შეცვლილი.

ბეჭდისა და საჩუქრების გარდა პატარძალი საქორწილოდ იღებს აგრეთვე ქეთუბას, საქორწინო კონტრაქტს, რომელშიც სასიძო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ცოლი საცხოვრებლით, ჩააცვას, არჩინოს და პატივი სცეს მას, “როგორც ღირსეულ ებრაელ ქმარს” შეეფერება.

რაც შეეხება განქორწინებას ებრაულ ტრადიციაში ინიციატივა ქმარს ეკუთვნის. ცოლის უფლებები ქეთუბის აქტშია დაცული და განქორწინების შემთხვევაში ითვალისწინებს ცოლისათვის ფულად ანაზღაურებას და აგრეთვე მემკვიდრეებისათვის გარანტირებულ მატერიალურ მზრუნველობას.

ქეთუბის აქტი ათასწლეულების მანძილზე იცავს ცოლის ლეგალურ სტატუსს, რომელსაც ქმარი ხელს აწერს ორი მოწმის თანდასწრებით.

უძველესი საქორწინო კონტრაქტი “ასხუანურ პაპირუსებს” შორისაა აღმოჩენილი (დაახლოებით 500 წ. ძვ წ.). მასში ჩამოთვლილი რამოდენიმე პუნქტი ქეთუბის დღევანდელ ფორმაშიცაა გამოყენებული.

გარდა პუნქტების და ვალდებულებების ჩამონათვალისა, ქეთუბა წარმოადგენს გარკვეულ წილად ხელოვნების ნიმუშსაც, იმდენად მდიდრულადაა გაფორმებული. ქეთუბის დეკორტიულ მორთულობას გარდა წმინდა ესტეთიური დატვირთვისა ვარაუდობენ, რომ კიდევ ერთი ფუნქცია აკისრია, არ მისცეს საშუალება მოგვიანებით ჩაემატოს რამე უკვე არსებულ კონტრაქტში.

ილუსტრირებული ქეთუბები სავარაუდოდ ჯერ კიდევ თალმუდის პერიოდიდანაა ცნობილი, როდესაც ტექსტები არამეულ ენაზე იწერებოდა.

ელინისტური პერიოდის თაღმუდის ტექსტებში ნახსენებია წითელ პერგამენტის ქაღალდზე ოქროს ასოებით შესრულებული ხელნაწერები. როგორც ჩანს მაგ დროს უკვე ცნობილი იყო ილუსტრირებული ქეთუბები.

ქეთუბა კერძო და არარელიგიური, არასაკრალური მნიშვნელობის საბუთია, ამიტომ მის მიმართ ისეთ პატივისცემას არ გამოხატავდნენ, როგორც ბიბლიური ან სხვა რელიგიური ხასიათის ხელნაწერების მიმართ. ამიტომ ისინი ხშირად ნადგურდებოდა ან ხელმეორედ სხვა მიზნებისთვის იყენებდნენ. ძველი დროიდან არც თუ ბევრი ქეთუბაა შემორჩენილი. უძველესი მე-11 საუკუნისაა. შუა საუკუნეებში შესრულებულ ზოგიერთ ქეთუბაზე ადამიანის ფიგურებია გამოსახული.

1. ხანუქის სასანთლე სინაგოგის. სპილენძი, ხე. H – 108, L – 57.

(სმ)

მუზეუმის საინვენტარო წიგნში არ იყო ზუსტად განსაზღვრული ამ ექსპონატის დანიშნულება, წარმომავლობა, არ იყო დათარიღებული.

სავარაუდოთ სინაგოგისათვის განკუთვნილი (საკმაოდ დიდი ზომისა და მძიმეა) ხანუქის შანდალია, თუმცა ამ შანდლის დანიშნულება მაინც არ არის ბოლომდე გასაგები. შანდალზე ამჟამად 6 სასანთლეა შემორჩენილი, ხანუქის შანდალს 9 უნდა ქონდეს, როგორც წესი 8 ერთ რიგში, ხოლო 1 ცალკე გამოყოფილი. ამ შანდალის სამ საფეხურზე კი დაკარგული სასანთლეების ჩაღრმავებების მიხედვით, უფრო მეტი სასანთლე უნდა ყოფილიყო, რაც გამორიცხავს შანდლის ხანუქის დღესასწაულისას გამოყენებას (შედარებისთვის იხ. ხანუქის შანდალი, ილ 89). სავარაუდოთ ეს სინაგოგის შანდალია. მისი დეკორიდან და სტილიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ის აშკენაზური წარმომავლობისაა, რუსეთიდან ან პოლონეთიდან შემოტანილი და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

შანდალზე ტიპური რელიეფური გამოსახულებანია, ებრაული წარწერებით, ლომებით (იერუსალიმის სიმბოლო), ზედა ნაწილში კი ათი მცნების თავზე მტრედებს ნისკარტებით გვირგვინი უკავიათ.

2. **ციციტის ჩანთა.** ხავერდისა და ბამბის ქსოვილი, ოქრომკედი. H – 62,5,
L – 41,8 (სმ)

ღურჯი ხავერდისა, სწორი, ერთ მხარეს ოქრომკედით ამოქარგულია გვირგვინი, ექვსქიმიანი ვარსკვლავი. სარჩული თეთრი ბამბის ქსოვილის უდევს.

ციციტი სარიტუალო ფოჩებიანი სამოსია, რომელსაც მამაკაცები ატარებენ. ციციტი (ჩუჭუ, ჩუჭუ) ბიბლიურ ივრითში ქსოვილის ფოჩს ნიშნავს. ებრაელი მამაკაცის სამოსზე ციციტს რიტუალური დანიშნულება გააჩნია. ციციტის ტარების მცნება ციფრების წიგნშია მოთხრობილი (15:38-41). ბიბლიური ტექსტის თანახმად, ციციტი სამოსის ოთხივე კუთხეში უნდა გაუკეთდეს და თითოეულ კონაში ცისფრად შეღებილი ძაფი უნდა დაერთოს. “და გექნებათ ის ციციტში, და დახედავთ მას და გაგახსენდებათ უფლის ყველა მცნება და აღასრულებთ მათ...” (15:39). თალმუდში ციციტს სპეციალური ტრაკტატი ეძღვნება.

მორწმუნე ებრაელი მამაკაცები და ბიჭები ციციტს ტანსაცმლის ქვეშ ატარებენ, ტრადიციისამებრ დღემდე აუცილებელია, რომ ციციტის ფოჩები ჩანდეს სამოსის კიდეებიდან.

ციციტის გარდა, ასეთ ჩანთებს ტალითისათვის იყენებდნენ.

ტალითი (თუტ) – ებრაული რიტუალური მოსახსამი, რომელიც მართკუთხა თეთრი ქსოვილისაგან (შალი, ბამბა, აბრეშუმი) მზადდება. კიდეებში რამოდენიმე ცისფერი, ღურჯი ან შავი ზოლი აქვს ჩაქსოვილი. იუდაიზმში ლოცვის დროს მამაკაცისათვის ტალითის მოსხმა თორის მითითებების სიწმინდეში შემოსვასა და ღმერთის ნებისადმი სიმბოლურ დამორჩილებას გულისხმობს.

ციციტის ჩანთა მუხეუმის საინვენტარო წიგნში არ იყო დათარიღებული. ხავერდის ქსოვილზე ოქრომკედით დამახასიათებელი გამოსახულებაა ამოქარგული: მაგენდავითი შუაში ებრაული წარწერით და მცენარეული ორნამენტებით. მის ზედა ქიმზე ლომებს გვირგვინი უჭირავთ. შესრულების სტილიდან გამომდინარე, ციციტის ჩანთა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

3. **კალენდარი.** ფრაჟე, ჭედვა. H – 29,5

დაფის ქვედა ნაწილში, შუაში ოთკუთხა ლითონის კოლოფში ჩალაგებულია შვიდი ლითონის ფირფიტა ებრაული წარწერებით. (სმ)

თორა-შილდი, ერთგვარი რელიგიური დღესასწაულების კალენდარია, ის როგორც წესი თავსდება სეფერ თორის გრაგნილზე, შეიძლება მასზე იყოს გადაკიდული, ან ზევიდან იკიდება, მის ქვედა ნაწილში პატარა ფანჯარაა ამოჭრილი, რომელშიც ცალკე ლითონის წარწერებიანი ფირფიტებია მოთავსებული. თითოეულზე რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებაა. თორის კითხვისას, კალენდარზეც შესაბამისად იცვლება ფირფიტები.

საინვენტარო წიგნში არ წერია წარმომავლობა და შექმნის თარიღი. ევროპული ცერემონიალური ატრიბუტიკის სხვა ნიმუშებთან შედარების საფუძველზე, სავარაუდოთ ჩვენი მუზეუმის თორა-შილდი უკრაინული ან პოლონური წარმოშობის შეიძლება იყოს და მე-19 საუკუნის შუათი დათარიღდეს.

4. **ბაღდადი.** აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 84X85.
ი .გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (თიმ)

5. **ქირმანშალი.** შალის ქსოვილი, ნაბეჭდი. 150X150. (თიმ)

6. **ბოხჩა.** ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 72X72.
(თიმ)

7. **თავსაკრავი ჩიხტისა.** ხავერდისა და აბრეშუმის ქსოვილი, ოქრომკედი, რელიეფური ნამაგრი სითვი. 51X3,5. (თიმ)

ჩიხტის თავსაკრავები ძალიან მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ებრაული მუზეუმის კოლექციაში. ქალაქელი ქართველი ებარელი ქალის სამოსი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ეთნოგრაფიული თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდება ქართველი ქალის სამოსისაგან, გამონაკლისს ახალციხური ჩაცმულობა წარმოადგენს, რომელშიც აღმოსავლური ზეგავლენა ჭარბობს.

კოლექციაში წარმოდგენილი ჩიხტის თავსაკრავები საინვენტარო წიგნში არ არის დათარიღებული, კატალოგში მხოლოდ რამოდენიმე გვაქვს წარმოდგენილი, როგორც ჩანს ისინი სხვადასხვა ფენის წარმომადგენელ ქალბატონებს ეკუთვნოდა, რაზეც ქსოვილი და ნაქარგი მეტყველებს და

თითოეული მათგანი განსხვავებული დროით შეიძლება დათარიღდეს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20ს. დასაწყისის ფარგლებში.

8. **თავსაკრავი ჩიხტისა.** ხავერდისა და ბამბის ქსოვილი, სხეპლა, მაღათინი, ოქრომკედი, რელიეფური ნამაგრი სითვი. 49X3,5. (თიმ)
9. **თავსაკრავი ჩიხტისა.** ხავერდის ქსოვილი, აბრეშუმის ძაფი, ნამაგრი სითვი, კვანძური ნაქარგობა. 55X3,5. (თიმ)
10. **თავსაკრავი ჩიხტისა.** ხავერდის ქსოვილი, აბრეშუმის ძაფი, კვანძური და ორმხრივი სითვი. 55X3,5. (თიმ)
11. **თავსაკრავი ჩიხტისა.** ხავერდის ქსოვილი, ბამბის ძაფი, ნაქარგობა. 45X3. (თიმ)
12. **თავსდაკრავი ჩიხტისა.** ხავერდის ქსოვილი, ოქრომკედი, რელიეფური ნამაგრი სითვი. 46X5. (თიმ)
13. **ბუზმენტი. სარტყელი.** აბრეშუმისა და მიტკლის ქსოვილი, ოქრომკედი, ორმხრივი სითვი. H – 203, L – 7,1. (სმ)

ბუზმენტი ქართველი ებრაელი ქალის სამოსის დამახასიათებელი აქსესუარია. საინვენტარო წიგნში არ იყო დათარიღებული. სტილით მე-19 საუკუნის ბოლოთი შეიძლება დათარიღდეს.

14. **სარტყელი (ფრაგმენტი).** ფარჩა, მარმაშის ქსოვილი, ოქრომკედი, რელიეფური ნამაგრი სითვი. H – 74, L – 16,5. (სმ)

სარტყელი, ფარჩის, თეთრი, ერთ ტოტიანი. სარტყელზე ოქრომკედით სტილიზებული ყვავილ-ფოთლოვანი მცენარეა გამოყვანილი. სარჩულად თეთრი მარმაში უდევს.

მსგავსი სარტყელი წყვილად ამშვენებდა ქალის ქვედაკაბის კალთას და თავისუფლად ეშვებოდა კაბის თითქმის მთელს სიგრძეზე. მე-19 ს. მეორე ნახევრი.

15. **ელემი.** ხავერდისა და რიფსის ქსოვილი, ოქრომკედი, ბუზმენტი, ნამაგრი და კვანძური სითვი. H – 30. (თიმ)

ერთგვარი მოკლე ჟილეტი. ანალოგიური დეკორატიული სამოსი ბერლინის ებრაულ მუზეუმშია დაცული და ატრიბუტირებულია როგორც ებრაული საქორწილო სამოსის აქსესუარი. სავარაუდოდ, საქართველოშიც იგივე დანიშნულება უნდა ქონოდა და შეიძლება ევროპიდან ყოფილიყო შემოტანილი მე-19 საუკუნეში.

16. **ზედაკაბა (ინლუდი).** ფარჩა, აბრეშუმის და ნარმის ქსოვილი, ოქრომკედი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი, ჭვირული ნაქარგობა. H – 60. (თიმ)

წითელი ფარჩის; უსაყელო, გრძელი სახელოებით, სახელოები მაჯასთან შეხსნილი, გაწყობილია შავი აბრეშუმის ყაითნით; სარჩული თეთრი ნარმის.

17. **წინდები ბავშვის.** შალის ძაფით ნაქსოვი, წინდის ჩხირებით. H – 26. (სმ)

18. **ა. პერანგი ქალისა.** მიტკლის ქსოვილი, მაქმანი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. H – 59. (სმ)

ბ. შარფი. აბრეშუმის სახიანი ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. H – 200, L – 54. (სმ)

გ. ქვედაკაბა. აბრეშუმისა და მიტკლის ქსოვილი, ფოჩი. H – 95. (სმ)

ქვედა ტანი, აბრეშუმის, შინდისფერი, გრძელი. ქვედატანი ხუთი ირიბად აჭრილი ნაჭრისაგან შედგება: უკან კალთაში კაბის შესაკრავიდან ბოლომდე ჩაგდებულია ორი ირიბად აჭრილი ნაჭერი. ქვედატანის ბოლოზე ირგვლივ შემოვლებულია ფოჩი, სარჩული – ყავისფერი მიტკლის.

ასეთი სამოსი ძირითადად თბილისელი ებრაელი ქალებისათვის იყო დამახასიათებელი მე-19-20 სს. მიჯნაზე. როგორც უკვე ავლინებთ, მე-19 ს. დასაწყისში საქართველოში აშკენაზი ებრაელების მიგრაცია აღინიშნება, ძირითადად რუსეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან, პოლონეთიდან, ებრაელი ქალაქელი ქალის სამოსში ამ პერიოდიდან ვრცელდება ევროპული ჩაცმულობის სტილიც.

19. **დ. გველესიანი. ებრაელი პატარძალი.** ქაღალდი, აკვარელი. 45X28. (სმ)

აქ გველესიანის მიერ წარმოდგენილია ახალციხელი ებრაელი პატარძალი, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელ აღმოსავლურ სამოსში. ახალციხელი ებრაელები, როგორც უკვე ავღნიშნეთ, გამოირჩეოდნენ ჩაცმულობითა თუ რიტუალებით. ახალციხეში საპატარძლო კაბა მკვეთრი ფერებით გამოირჩეოდა

20. **შ. კობოშვილი. ახალციხელი ებრაელი პატარძალი.** ქაღალდი მუყაო, ფერადი ფანქარი, გრაფიტი, ტუში. 26,5X14,5. (სმ)

21. **წინდები.** აბრეშუმისა და ბამბის ძაფი, წინდის ჩხირებით ნაქსოვი (დაშიბული). მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით, ფერადი ძაფები. H – 45. (თიმ)

22. **ფეხსაცმელი ქალისა.** ხავერდისა და ტილოს ქსოვილი, ლანჩი, ტყავი, ოქრომკედი, რელიეფური ნამაგრი სითვი. (სმ)

ფეხსაცმელი, სოსანის ფერი, ხავერდის, ძირი ლანჩის, ყელიანი, ქუსლიანი, ოქრომკედით ნაქარგი. ფეხსაცმლის ყელის გვერდებზე ტყავის ქსოვილია ჩაკერებული, სარჩულად ტილოს სქელი ქსოვილი უდევს.

ქალის საქორწინო ფეხსაცმელი, დამახასიათებელია ახალციხელ ებრაელთათვის.

23. **ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი).** ფარჩა, ოქროქსოვილი, აბრეშუმისა და ნარმის ქსოვილი, შემკულია ყანაოზის ქობით, ხელის დაზგაზე ნაქსოვი.

H – 124. (თიმ)

ზედატანი - ოქროკაბა, წითელი ფარჩისა, წინ ბოლომდე ჩახსნილი; იკვრება ყაითნის ღილებით და ყულფებით; სახელოები ბოლოში ჩახსნილია და გაწყობილი შავი აბრეშუმის ჩაფარიშით და ყაითნით; სარჩული – ნარმისა.

24. **ახალუხი ქალისა.** ფარჩა, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი, ყაითანი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. H – 140. (თიმ)

ახალუხი, შავ-იასამნისფერი ზოლიანი აბრეშუმის სატინისა, მაღალსაყელოანი; გრძელი შეჭრილი ყოშიანი სახელოებით; გაწყობილია შავი აბრეშუმის ყანაოხით და ჩაფარიშით, თეთრი ბამბის სარჩულით.

25. **ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი).** ფარჩა, აბრეშუმისა და ნარმის ქსოვილი, ყაითანი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. H – 132. (თიმ)

26. **შ. კობოშვილი. ცეკვა საივო (ქალთა ჯგუფური ცეკვა).** ქალაღდი, გუაში, აკვარელი. 49,5X59. (სმ)

27. **შ. კობოშვილი. ცეკვა საივო (ქალთა ჯგუფური ცეკვა).** 1940. მუყაო, ფერადი ფანქარი. 19X24,5. (სმ)

28. **ზედაკაბა.** აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, აბრეშუმის ძაფი, ჩაფარიშის ფირფიტებით ქსოვა, ორმაგი სითვი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. H – 55. (თიმ)

ზედატანი მწვანე აბრეშუმის, მაჯასთან გაგანიერებული სახელოებით, იკვრება 9 დილით, მხრისთავეები და ნაპირები მორთულია ფოჩიანი აბრეშუმის ჩაფარიშით.

29. **ზედაკაბა (ინლული).** აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი, ყაითანი, ოქრომკედი, ლითონი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი, ნამაგრი და კვანძურა სითვი. H – 61. (თიმ)

ქართველი ებრაელი ქალის ნაციონალური ჩასაცმელი; სახელოები გრძელი, მაჯასთან ჩახსნილი; გაწყობილი სირმის ჩაფარიშით და ყაითნით, სარჩული ჩითის.

30. **აბანოს ქოში ქალისა.** ხე, სირმის ჩაფარიში, ხეზე კვეთა, ქვიდთის ტექნიკა. H – 23,5. (თიმ)

31. აბანოს ქოში ქალისა. ხე, სადაფი, ტყავი, სეღის ქსოვილი, ვერცხლმკედი, ინკრუსტაცია, ნამაგრი სითვი, ხელით ნაკეთი. H – 23,5. (თიმ)

აბანოს ქოშები, ქუსლით, დამზადებულია ერთი მთლიანი ხისაგან, შემკულია სადაფის რომბებით, ტყავის თასმით.

32. ქოში ქალისა. ხავერდისა და მაუდის ქსოვილი, ტყავი, ოქრომკედის ყაითნით, ნამაგრი სითვი. H – 28. (თიმ)

ქოშები, ხავერდის, სოსანისფერი, ნაქარგი ოქროს ყაითნით, ტყავის ძირით, სარჩული მაუდის.

33. ქოში ქალისა. ხავერდი, ტყავი, ოქრომკედი, ხელით ნაკეთი. H – 22,5. (თიმ)

ქოშები, ხავერდის, მუქი შინდისფერი, ქუსლით, ჭვინტიანი ცხვირით.

34. შ. კობოშვილი. ცეკვა საივო (ქალთა ჯგუფური ცეკვა). ქალაღდი, აკვარელი, გუაში. 33X44. (სმ)

35. შ. კობოშვილი. შაქარ-პური. სიტყვის გატანა. ქალაღდი, გუაში. 30,5X40. (სმ)

შაქარ-პური ანუ სიტყვის გატანა ეწოდება საპატარძლოს მშობლების ოჯახში გამართულ ნიშნობას, სადაც ქადის მსგავსი ტკბილი ნამცხვარი ოჯახურ სამყაროს, ხოლო შაქრის მოზრდილი თავი ტკბილი ცხოვრების სიმბოლოებია. ნიშნობის დასრულებისას შაქრის ნაჭრები სტუმრებს ურიგდებოდათ.

36. ვაზა საქორწილო. ფრაჟე, ჭედვა. H – 20,2, d – 19. (სმ)

37. ზედაკაბა. ფარჩა, ყალამქარი, სირმის თაფარიში, ოქრომკედი, ხავერდულა ძაფი, დაზგაზე ნაქსოვი, ნამაგრი სითვი. H – 62. (თიმ)

ახალუხი, მწვანე ფარჩის, ქალის; ყოშიანი სახელოებით, ნაპირებზე შემოკერებულია სირმის თაფარიში, სარჩული ყალამქარისა.

38. ნიმუში ფარჩისა. ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 84X56. (თიმ)

39. შ. კობოშვილი. საქორწინო კაბის გამოჭრა. 1939. ქაღალდი, გუაში. 38X47,5.
(სმ)

40. შ. კობოშვილი. დედოფლის წაყვანა აბანოში. 1939. ქაღალდი, აკვარელი.
31,5X41,5. (სმ)

საქორწინო სამზადისის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი იყო დედოფლის განბანა მიკვეში (სარიტუალო აბანოში). პატარძალი უამრავი ქალისა და კაცის თანხლებით მიჰყავდათ მიკვეში ტებილის რიტუალის (წყლით სავსე აუზში სამჯერ ჩაყურყუმაღავება) განსახორციელებლად. მას აშუღები საზისა და ჭიანურის დაკვრით მიუძღოდნენ. აშუღებს მიჰყვებოდნენ პატარა ბიჭები საბანაო ჭურჭლითა და ბოხჩაში გამოკრული სანოვაგით, მათ კი – პატარძლის დობილებისა და ნათესავების ამაღლა.

41. გადასაფარებელი. მიტკლის ქსოვილი, ბამბის ზაფი, მაქმანი, ნაქარგობა, დაზგაზე ნაქსოვი. (თიმ)

42. პატარძლის პირსახოცი. მიტკლის ქსოვილი, ნაქსოვი მაქმანი, აბრეშუმის ძაფი, ორმაგი სითვი. (თიმ)

43. მანდილი. აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 90X90. (თიმ)

44. თავშალი. აბრეშუმის ძაფი, ბადისებური ნაქსოვი. H – 123, L – 120. (სმ)

წითელი აბრეშუმის, ბადისებური ნაქსოვი, ოთხკუთხედი, თავისივე ძაფის არშიითა და ფოჩით შემოვლებული. ნაპირებზე ოთხივე მხარეს ჯვრებია ამოქარგული.

45. ბადღადი. აბრეშუმის ქსოვილი, დაზგაზე ნაქსოვი. H – 74, L – 67. (სმ)

აბრეშუმის მწვანე ფონი, ზედ წითელი და ყვითელი ფერის სახით. ნაპირები შემოცრეცილი აქვს.

46. შ. კობოშვილი. ახალციხელი ებრაელი პატარძალი. ქაღალდი, მუყაო, გუაში. 35X17. (სმ)

47. შ. კობოშვილი. ახალციხელი ებრაელი ნეფე. 1940. ქაღალდი, აკვარელი, გუაში, ტუში. 38,5X25. (სმ)

48. შ. კობოშვილი. ჯუიზი – მზითვის აღწერა. 1939. ტილო, ზეთი. 44X53,5. (სმ)

ქორწილის წინა დღეებში პატარძლის მშობლების ოჯახში ხდებოდა მისი მზითვის აღწერა და შეფასება. ხუთშაბათს ქორწინების წინ, ნაშუადღევს, პატარძლის ოჯახში მიწვეული მოსამართლე, რაბინი და ხახამი ქეთუბის (საქორწინო ხელშეკრულების) მეორე გვერდზე მზითვის ნუსხას ჩამოწერდნენ. ამ დროს სტუმრები საჩუქრებს მიართმევდნენ პატარძალს და ისინიც მზითვის საერთო რიცხვს ემატებოდა. დამსწრე საზოგადოების წინაშე გაშლილი იყო მთელი მზითვი და ფასდებოდა თითოეული ნივთი. შემდეგ ქეთუბის მეორე გვერდზე ჩამოწერდნენ ყველა ამ ნივთსა და მათს ღირებულებას. ბოლოს, მთელ მზითვს დიდ ბოლჩებში გამოჰკრავდნენ, შამაშებს (სინაგოგის მცველებს) აჰკიდებდნენ და ნეფის სახლში აგზავნიდნენ. ნეფე შამაშებს შესაბამის გასამრჯელოს აძლევდა.

49. ხელსახოცი (შაბათის სუფრის კურთხევისას პურზე გადასაფარებელი).

აბრეშუმის ქსოვილი, აბრეშუმის ძაფი, ოქრომკედი, ნამაგრი სითვი. H – 47, L – 44,5. (სმ)

ხელსახოცი, აბრეშუმის, რუხი ფერის, ოთხკუთხა, რუხი და ვარდისფერი ძაფებით ნაქარგი. გარშემო რუხი ფერის სირმა ნარევი მაქმანი აქვს შემოვლებული.

ხელსახოცი (პურის გადასაფარებელი) დეკორატიული ხელსახოცი (ქსოვილი), რომელსაც შაბათის სუფრის კურთხევისას აფარებდნენ მოწნულ მრგვალ პურს – ხალას. ძველი მეთაღმუდებები შაბათს პატარძალს ადარებდნენ. დალოცვის

შემდეგ ხალას საზეიმოდ “ათავისუფლებდნენ სამოსისაგან”, როგორც პატარძალს. მსგავსი გადასაფარებლები, როგორც წესი, დამშვენებულია მრავალფეროვანი ნაქარგობით, საკულტო საგნების გამოსახულებებით, პურის დალოცვით.

50. ბუდე თეფილინის. მაუდისა და ბამბის ქსოვილი, ბამბის ძაფი, ოქრომკედი, ნამაგრი სითვი. H – 20, L – 28. (სმ)

წითელი მაუდის, ზედ ფერადი ძაფებით არის ნაქარგი ყვავილები და ექვს ქიმიანი ვარსკვლავი. გარშემო ოქრომკედის მაქმანი აქვს შემოვლებული სამ ნაპირზე წითელი აბრეშუმის ძაფის ფუნჯები ჰკიდია. ბუდის ზურგი ჭრელი და სქელი ბამბის ქსოვილისაა.

თეფილინი ტყავის პატარა კოლოფებს წარმოადგენს, რომელიც მოიცავს ოთხ ამონარიდს თორიდან. მამაკაცები ლოცვის დროს იმაგრებენ ტეფილინს შუბლზე და მკლავზე. ინახავენ ბუდეებში ან ვერცხლის კოლოფებში.

51. ბუდე სავარცხლის. ფარჩა, აბრეშუმის ქსოვილი, ოქრომკედი, კილიტებით ნაქარგობა, ნამაგრი სითვი. (სმ)

ნაპირებზე შემოყოლებული აქვს ცისფერი ზონარი. ნაქარგია ოქრომკედით და კილიტებით. სარჩული ვარდისფერი აბრეშუმის აქვს.

52. ახალუხი ბავშვისა. აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი, ლითონი, ჭედვა, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. (თიმ)

53. ზედაკაბა. ფარჩა, აბრეშუმის ქსოვილი, მაქმანი, ოქრომკედი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი, ნამაგრი სითვი. H – 64. (სმ)

ზედატანი, ფარჩის, წითელი, სახიანი, წინ ჩახსნილი, ყურთმაჯიანი სახელოებით, მხრები გაუკერავი აქვს, გვერდებზე ბარტყები აქვს ჩაგდებული და შეხსნილია. ზურგზე ზედატანი სიგანეზეა გაკერილი. გულისპირზე ოქრომკედის ზონარის და

მაქმანის არშია მიჰყვება, სახელოც ოქრომკედის არშიით და მაქმანით არის შემკული. სახელოებს წითელი აბრეშუმის სარჩული უდევს, ზედატანი რუხი ზოლიანი ქსოვილია.

54. დ. გველესიანი. პატარძლის ხელების შეღებვა ინით. ტილო, ზეთი. 93,6X124,6. (სმ)

55. დ. გველესიანი. ხუფა – საქორწინო რიტუალი. ტილო, ზეთი. 70,3X100,5. (სმ)
ებრაული ქორწინების ცერემონია ტარდება ხუფის ქვეშ. ტრადიციულად ხუფა აბრეშუმის ან ხავერდის ქსოვილის დიდი ნაჭერია, რომელიც ოთხ სვეტზეა გადაფენილი ან ოთხ ადამიანს უჭირავს ნეფე-პატარძლისა და მათ მოწმეთა თავზე ქეთუბის წაკითხვის დროს.

ხუფის ქვეშ სასიძო საპატარძლოს თავისად აცხადებს. ორი მოწმის თანდასწრებით სიძე ბეჭედს უკეთებს პატარძალს და ტრადიციულ სიტყვებს უმეორებს “ამ ბეჭდით შენ მე შეძღვნები მოსესა და ისრაელის კანონით. ტერმინით “კიდუშინი” თაღმუდური ლიტერატურა ქორწინების აქტს აღნისნავს. ქორწინების მიზანია მიუძღვნას ცოლი, მის ერთადერთ ქმარს. სიტყვა კიდუშინი წარმოიშვება ფუძიდან, რომელიც “სიწმინდეს” აღნიშნავს, რაც ღვინის კურთხევით გამოიხატება. ამიტომ ხშირად სპეციალურ თასებს იყენებდნენ, ღვინიანი თასით კიდუშს ლანგრით მიართმევდნენ, რაც მოვლენას უფრო მეტად სადღესასწაულო ელფერს მატებს.

თავის ძირითადი პრინციპებისადმი ერთგული, იუდაიზმი ცდილობს ხორცისა და ინსტინქტების სულიერებად აყვანას და კიდუშინის აქტით ნაკურთხი ქალი ოჯახში ებრაული ტრადიციის მცველი ხდება. უდავოა, რომ სწორედ ოჯახური ცხოვრების სიმტკიცის წყალობით ებრაელები ამდენ ძალადობასა და უბედურებას უძლებდნენ.

56. ქამარი ქალისა. ვერცხლი, ფირუზი, ლალი, ლითონზე ჭედვა (ცვარა, ჭვირული). H - 68. (თიბ)

ქამარი ლითონის, ფირუზებით შემკული, თერთმეტმალიანი, აჟურული ორნამენტით.

57. **საათი ვიზისა.** ებრაული ციფერბლატით. მეორე მხარეს მოსეს გამოსახულებით. დაბალი სინჯის ვერცხლი, ქარხნული ნაკეთობა. (თიმ) საინვენტარო წიგნში არ იყო დათარიღებული, დაახლოებით მე-20-ს დასაწყისი

58. **დ. გველესიანი. ნეფე-დედოფლის შემოტარება სინაგოგაში.** ქალაღი, აკვარელი. №32,5X25. (სმ)

59. **გაბრილოვი. კაბალული – პატარძლის ცეკვა.** ტილო, ზეთი. 53,3X66,8. (სმ)

60. **შ. კობოშვილი. აჯლა – საქორწინო ოთახი.** 1939. ტილო, ზეთი. 45,5X59. (სმ)

აჯილაკი ანუ აჯლა მესხურ-ჯავახური დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ხალიჩებით დამშვენებული, ნეფე-დედოფლისათვის განკუთვნილი ფიცრული ან ქსოვილებისაგან გაკეთებული პატარა, მომადლო ოთახი იყო მასში განთავსებული ტახტით. ოთახის შესასვლელს სინაგოგიდან მოტანილი რამდენიმე მოქარგული ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული.

აჯლას მოწყობის ტრადიცია დაკავშირებულია მხოლოდ ახალციხესთან და გავრცელებული იყო, როგორც ებრაელთა, ასევე ქართველთა შორის. აჯილაკი, აჯლა, მესხურ-ჯავახურის დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში საქორწინოდ გამართული, ხალიჩებით დამშვენებული ნეფე-დედოფლისათვის განკუთვნილი ტახტი იყო. ახალციხელ ებრაელებთან აჯლა შეიძლება ყოფილიყო ფიცრული ან ქსოვილისგან გაკეთებული. “ხუფის“ (ქორწილის) შემდეგ ნეფეს შეჰყავდა დედოფალი ტრაპეზთან ახლოს მიდგმულ პატარა ოთახში (აჯლაში), რომელიც კათედრისებრ იყო ამადლებული და რომელსაც სინაგოგიდან მოტანილი რამდენიმე მოქარგული ფარდა ჰფარავდა; შიგ ჩასვამდნენ დედოფალს, მეფე უკან ბრუნდებოდა და კათედრაზე ღებოდა. ამ დროს რაბი დამსწრე საზოგადოებასთან ერთად მღეროდა.

61. **ნაზნაზი.** ნიმუში აბრეშუმისა. ოქროქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 225X35. (თიმ)

62. **ოქროკაბა (ქალის საქორწინო ტანსაცმელი).** ოქროქსოვილი, ნარმა, ოქრომკედი, აბრეშუმის ძაფი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი, ნამაგრი სითვი. H – 140. (სმ)

ოქროქსოვილი, მწვანე ფონით, ფაბრიკული, წინ გახსნილია და აკერია სამი დილ-კილო, გუჯასტიანი და ბარტყებ ჩაყენებულია, ყურთმაჯიან სახელოებზე ოქრომკედით ნარევი გრეხილი ძაფის არშია აქვს შემოვლებული, საყელოზე და კალთებზე - წითელი აბრეშუმისა. სარჩულად უდევს თეთრი ნარმა.

63. **მუთაქის პირი.** ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილი, ორმაგი სითვი, ჯეჯიმი. სხვადასხვა ფერის ზოლებით, შემკულია ყანაოზით. 100X40. (თიმ)

64. **ბაღდადი.** აბრეშუმის ქსოვილი, ნაბეჭდი. 85X85. (თიმ)

65. **ფუთა აბანოსი.** აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 220X90. (თიმ)

66. **შ. კობოშვილი. ბავშვის დაბადება.** 1939. ქალაღი, გუაში. 38X52. (სმ)

67. **შ. კობოშვილი. ბავშვის წინდასაცვეთად წაყვანა სინაგოგაში.**

1939. ტილო, ზეთი. 50,5X43. (სმ)

ებრაელთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიციია ბიჭის დაბადების მერვე დღეს სინაგოგაში წინადაცვეთის რიტუალის საზეიმოდ ჩატარება, რომელიც ებრაელი ხალხის ღმერთთან კავშირს განასახიერებს.

68. **ბალიშის პირი.** ხავერდის, აბრეშუმისა და ტილოს ქსოვილი, კილიტი, ოქრომკედი, სირმისა და ხავერდულა ძაფი, ოქრომკედის გრეხილული. 56X50,5. (სმ)

ბალიშის პირი, ხავერდის, ლურჯი; ოთხკუთხოვანი, კილიტებით, ოქრომკედით, სირმით და ხავერდის ძაფებით სტილიზებული მცენარეებია ამოქარგული. შუაში ჩაყენებულია სალათის ფერი აბრეშუმის ნაჭერი, რომელიც შალის ფერადი ძაფითა და ოქრომკედითაა ნაქარგი. ბალიშის პირს გარშემო ოქრომკედისა და ყვითელი ძაფის გრეხილი აქვს შემოვლებული. ბალიშის პირის ზურგი ლურჯი ტილოს ქსოვილისაა.

69. ბალიშის პირი. ხავერდისა და ტილოს ქსოვილი, ოქრომკედის გრრეხილულა, ნამაგრი მძივები, აპლიკაცია, სირმის ძაფი. 62X44. (სმ)

ხავერდის, ლურჯი, ოთხკუთხოვანი, რომელზეც ოქრომკედითა და ცისფერი მძივებით შემკული თეთრი ყვავილებია აპლიკაციის სახით დაკერებული, შირმით ამოქარგულია ვარსკვლავისებური ფიგურა. ბალიშის პირს გარშემო ოქრომკედისა და ყვითელი ძაფის გრეხილი აქვს შემოვლებული. ბალიშის პირის ზურგი ლურჯი ტილოს ქსოვილისაა.

70. დანა. ფოლადი, რქა, ხავერდი. H – 21,5. (სმ), ბუდის სიგრძე – 22,5 სმ.

დანას პირი ფოლადის აქვს, ტარი რქისა, დანა ინახება შინდისფერ ხავედგადაკრულ სარჩულიან ბუდეში.

71. დანა წინდასაცვეთი. ფოლადი, ძვალი. H - 17,3. (სმ)

დანა, ფოლადის პირით, ყვითელი ფერის ძვლის ტარით, წვერი წაკვეთილი აქვს. წინდასაცვეთი დანა - რიტუალური დანიშნულების დანას იყენებდა მოხელი (ადამიანი, რომელიც ასრულებს წინდაცვეთის რიტუალს).

72. დანა შოხეტის. ფოლადი, ძვალი. H – 18,7. (სმ)

დანა ფოლადის პირით, ძვლის ტარით, წვერი წაკვეთილი აქვს.

შოხეტი – (დამკვლელი) სპეციალურად მომზადებული პირი, რომელსაც მიღებული აქვს რელიგიური წესების დაცვით ფრინველის ან საქონლის დაკვლის უფლება. ებრაელთათვის საკვებად ვარგისად ითვლებოდა მხოლოდ შოხეტის მიერ დაკლული ქაშერი ხორცი.

73. დანა შოხეტის. ფოლადი, ძვალი. H – 31. (სმ)

დანა , ფოლადის პირით, თეთრი ძვლის ტარით, ბოლო წაკვეთილი აქვს.

74. **დანა წინდასაცვეთი.** ფოლადი, ხე. H – 13,2. (სმ დანა რკინის პირით, ბრტყელი, ნაწილობრივ ტყავადაკრული, ხის მრგვალთავიანი სახელურით

75. **დ. გველესიანი. წინდაცვეთა სინაგოგაში**

76. **დ. გველესიანი. ლოცვა სინაგოგაში.** ტილო, ზეთი. 70X100,3. (სმ)

77. **ფაროხეთი – სეფერთორის კარადის ფარდა.** ხავერდის, სატინისა და მიტკლის ქსოვილი, ოქრომკედი, ნამაგრი სითვი. 144X124. (სმ)

ფარდის ხავერდის პირზე ამოქარგულია ოქრომკედითა და სირმით ლომები, ორთავიანი ფრინველი, ხის ტოტი, ყვითელი ძაფით ფარდაზე დაქარგულია ებრაული წარწერა. სამ გვერდზე ოქრომკედით ნაქსოვი არშია აქვს შემოვლებული თავზე ფარდის ჩამოსაკიდებლად ლითონის ხუთი რგოლი აქვს დაკერებული. ფარდის სარჩული ორგვარი ქსოვილისაა ცისფერი სატინისა და სალათისფერი მიტკლისა.

ფაროხეთი – სეფერთორის კარადის (ე.წ. აღთქმის კიდობანის) ფარდაა, რომელიც გამოყოფს „წმინდა ადგილს“ (ჰა-კოდემ) „წმინდათა წმინდასაგან“ (კოდემ-ჰა-კოდაშიმ). ტრადიციულად დიასპორაში სინაგოგა სამხრეთისკენაა ორიენტირებული, ხოლო მისი შესასვლელი იერუსალიმისაკენ. სალოცავის დარბაზის ცენტრში “თებაა” აღმართული, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს უკანა კედლის ცენტრში “აჰარონ-ჰა-კოდემი” – წმინდა კარადაა განთავსებული, სადაც სეფერ თორები (თორის გრაგნილები) ინახება.

ფაროხეთი თორაშიცაა მოხსენიებული როგორც ფარდული, დამზადებული ლურჯი, იასამნისფერი ან ალისფერი ქსოვილისაგან და მოქარგული ქერუბიმებით ოქროს საკიდებით ოქროთი მოპირკეთებულ ოთხ სვეტზე დამაგრებული, რომელიც გამოყოფს წმინდა ადგილს წმინდათა წმინდასაგან. (გამოსვლა 26:31-33)

სხვა ატრიბუტების მსგავსად, აღთქმის კიდობანის ფარდა, როგორც წესი, საჩუქრად გადაეცემა სინაგოგას, როგორც შემოწირულობა რაიმე მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად და უმეტეს წილად ხელითაა მოქარგული.

სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ქვეყნების დიასპორებში განსხვავებული სტილის ფაროხეთებს ვხვდებით, მაგრამ, როგორც წესი, ფაროხეთი მზადდება ძვირფასი ქსოვილისაგან (ხავერდი, აბრეშუმი, უფრო იშვიათად სელი, ბამბა) და ოქრომკედით, ვერცხლმკედით და აბრეშუმის ძაფებითაა მოქარგული.

საინტერესოა, რომ ჩვენ მუზეუმში დაცული ფაროხეთები ორი განსხვავებული ტიპის დეკორითაა მორთული, თუმცა სტილისტურად ორივე აშკენაზური წარმომავლობისაა და მე-XIX საუკუნეშია დამზადებული.

ევროპულ ტრადიციაში ძალიან გავრცელებული იყო ასეთი ტიპის გამოსახულებანი, გვირგვინი, რომელიც მიუთითებს სეფერთორის გვირგვინზე, ლომებს (იერუსალიმის სიმბოლო) მოსეს ათი მცნება უჭირავთ, არწივებს კიდევ ერთი გვირგვინი და ქვემოთ მენორა – სინაგოგის სიმბოლო.

78. ფაროხეთი – სეფერთორის კარადის ფარდა. აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა, ოქრომკედი, აბრეშუმის ძაფი, ნამაგრი სითვი. 186X113. (სმ)

ფარდა, აბრეშუმის, თეთრი, ოთხკუთხოვანი, შუაში სიგრძეზე გაკერილი. ფარდაზე ოქრომკედითაა და ფერადი ძაფებით ამოქარგულია ყვავილები, სვეტები, თალი, ნაპირებზე ოქრომკედლის ორნამენტოვანი არშია შემოსდევს. სამ ნაწიბურზე ყვითელი ძაფის ფონი აქვს გამობმული. სარჩული თეთრი ფარჩისა უდევს.

ამ ფაროხეთზე, წინასაგან განსხვავებული, მაგრამ იუდაიკაში ასევე გავრცელებული დეკორია: სტილიზირებული ოთხი სვეტი, რომელიც თალივით იკვრება და მცენარეული და ყვავილების მოტივებით მდიდრულადაა ორნამენტირებული. ფაროხეთი აშკენაზური წარმომავლობისაა, XIX ს. პირველი ნახევრით დავათარილეთ.

79. შ. კობოშვილი. ხერეში – ანათემა. ქაღალდი, გუაში, ლაქი. 50X36. (სმ)

80. დ. გველესიანი. ანათემის შემდეგ. ტილო, ზეთი. 50,1X40. (სმ)

81. შ. კობოშვილი. მალკუტი – სარიტუალო როზგები. 1939. ტილო, ზეთი. 70X100,5. (სმ)

10-12 წლამდე ბავშვს ხედერში (სინაგოგასთან არსებული რელიგიური სასწავლებელი) ხახამი ასწავლიდა ლოცვებს. ურჩ მოსწავლეებს თორის მასწავლებელი როზგებით სჯიდა ამხანაგების თანდასწრებით.

82. შ. კობოშვილი. ცოდვის გამოსყიდვა 40 როზგით. ქაღალდი, გუაში. 37X30.
(სმ)

83. შ. კობოშვილი. ჰათარა – ცოდვის შენდობა. ქაღალდი, გუაში, ლაქი. 37X32.
(სმ)

84. შ. კობოშვილი. რელიგიური სასწავლებელი სინაგოგაში. ქაღალდი, გუაში.
30X40. (სმ)

85. შ. კობოშვილი. მისიონერების კურთხევა (სუქოთის დღესასწაული). 1938.
ქაღალდი, გუაში, ლაქი. 30,5X41. (სმ)
სუქოთის (სუქა – ივრით. კარავი) შვიდდღიანის დღესასწაული მოსეს მიერ ეგვიპტედან გამოყვანილი ებრაელი ხალხის უდაბნოში ხეტიალისა და იმ კარვების სიმბოლოა, რომლებშიც ისინი ორმოცი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ. სუქა იგება სინაგოგის ეზოში და ირთვება სიმბოლური მცენარეებითა და ხილით.

86. იბრილი (წყლის საწესო-სარიტუალო ჭურჭელი). სპილენძი, ჭედვა. H -38,3.
(სმ)

დაბალი ფეხით, მრგვალი, მაღალი, მუცლით. მუცლის ზედა ნაწილიდან ტუჩი (წურწუმა) ადის. იბრილის ყელი შუისკენ ვიწროვდება, ტავი კი მომრგვალებული აქვს. სახელურის ერთი ბოლო იბრილის ყელის პირზეა მიმაგრებული, მეორე მუცელს უახლოვდება, მაგრამ ზედაპირს არ ეხება. სახელურის თავზე დამაგრებულია იბრილის წვეტიანი სახურავი. იბრილი მთლიანად ორნამენტირებულია.

87. თუნგი. სპილენძი, ჭედვა. H – 35. (თიმ)

88. იბრიდი. სპილენძი, ჭედვა. H – 39,2. (სმ)

მაღალი ფეხით, მრგვალი მუცლიანი, მუცელზე ტუჩი (წურწუმა) აქვს დამაგრებული. ყელი შუის ქვევით დადარულია, სახელური იბრიდის ყელის პირზეა დამაგრებული, მეორე ბოლო კი მუცელზე. სახელურს ზევით იბრიდის წვეტიანი სახურავი უერთდება.

89. სასანთლე ხანუქის. ფრაჟე, ჭედვა. H – 28,5, L – 23 (სმ)

ხანუქის შანდალზე ტრადიციული რელიეფური გამოსახულებაა, შუაში მენორა, რომელიც ორივე მხრიდან ფინიკის პალმებითა და ლომებითაა შემკული, ზევიდან ყურძნის მტევნიან ვაზის რტოებს გვირგვინი ამშვენებს.

საინვენტარო წიგნში შანდალი არ იყო დათარიღებული. სტილისტიკიდან და დამახასიათებელი გამოსახულებიდან გამომდინარე, ხანუქია აშკენაზური წარმომავლობისაა (პოლონური ან ლიტვური) და XIX საუკუნით თარიღდება.

უძველესი ხანუქები მაკაბიელთა ეპოქის შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება და წარმოადგენს გამომწვარი თიხის რვაბუდიან სანათურს. მასზე როგორც წესი გამოსახული იყო ან ტაძარი, ან მენორა.

ცხრა სანთლიანი შანდალი, რომელიც მენორის სასწაულის სიმბოლოა, ერთ ერთია იმ ორი მთავარი მორთულობისაგან, რომელთა სახეცვლილების მოწმენი ვხდებით ორი ათასი წლის მანძილზე. მეორე თვით ტაძრის გამოსახულებაა, რომელიც ხანუქის დღესასწაულის სახელწოდებას უკავშირდება, ანუ “წმინდა ადგილის კურთხევა”. ამ ორი სიმბოლოს – ცეცხლი და არქიტექტურა - ცვლილებებს ხანგრძლივი ისტორია. ორივე მოტივი უცვლელი რჩებოდა, თუმცა იცვლებოდა ხანუქის ფორმა და სხვადასხვა ეპოქათა თუ ქვეყნის სტილს ასახავდა.

ღიასპორაში შექმნილი ყველაზე უძველესი საკულტო საგნები, რომლებიც ჩვენამდე მოვიდა არაუადრეს მეთორმეტე საუკუნითაა დათარიღებული.

უძველესი საგანია ხანუქია, რომელიც მართკუთხა მარმარილოსაგანაა გამოთლილი. ფითილისთვის განკუთვნილი 8 ბუდე რომანული სტილის კოლონადას წარმოქმნის, მათზე აღმართული ფანჯრის ფორმის ჩაღრმავებითაა

დაგვირგვინებული. ქვედა ნაწილში ამოკვეთილია ორსტროფიანი ტექსტი ივრითზე თორიდან: “მცნება არს ლამპარი და დარიგება” (იგავნი, თავი 6, 23).

90. დ. გველესიანი. ხანუქის სანთლების კურთხევა. ტილო, , ზეთი.

61,1X47,3. (სმ)

ხანუქა ერთ-ერთი უძველესი ისტორიული დღესასწაულია. მეორე ტაძრის პერიოდში, ძვ. წ. აღ. II საუკუნეში ისრაელი ბერძნებმა დაიბყრეს. მათ არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაუკარგეს ებრაელებს, არამედ ცდილობდნენ თვით ებრაული სულის მთავარი არსის – სარწმუნოების განადგურებას და სურდათ ებრაელები კერპთაყვანისმცემელ ელინებათ გადაექციათ. ბერძნები ცდილობდნენ რწმენას აეცდინათ ებრაელები, აეძულებინათ უარი ეთქვათ შაბათის და ქაშრუთის დაცვაზე, თორის შესწავლაზე. ტაძარში კი თავიანთი კერპების ქანდაკებები აღმართეს. ებრაელი ხალხი დათრგუნული იყო და ამავედროულად აჯანყების ნაპერწკალიც ღვივდებოდა. ქალაქ მოდიინში ქოენების (ტაძრის მსახურთა) ოჯახმა დაიწყო აჯანყება სიტყვებით “ვინც ღმერთისკენაა – ის ჩემსკენ”. აჯანყებას შეურთდა ყველა, ვინც სულით ძლიერი იყო და არ უნდოდა ებრაული ტრადიციების განადგურებას შეგუებოდა. არათანაბარ ბრძოლაში ებრაელებმა დაამარცხეს მრავალრიცხოვანი მტერი. ებრაული აჯანყებული ჯარის სათავეში იდგა მამაცი მეომარი იჰჰუდა მაკაბი (აქედანაა სახელწოდება მაკაბიელთა) და უკავშირდება მაკაბიელთა გამარჯვებას, როდესაც მათ ძვ. წ. 165 წელს სელევკიდების მიერ დაპყრობილი იერუსალიმის ტაძარი დაიბრუნეს. ბერძნების მიერ წაბილწულ ტაძარში მხოლოდ ერთი დღის სამყოფი წმინდა ზეთი იყო დარჩენილი, რომლითაც მენორას (ტაძრის შვიდსანთლიან შანდალს) ანთებდნენ. ახალი ზეთის გამოსახდელად კი რვა დღე იყო საჭირო. მოხდა სასწაული და სანთლები ზუსტად რვა დღე არ ჩამქრალა. ამიტომ ხანუქას სინათლის დღესასწაულსაც უწოდებენ. ტრადიციულად ხანუქაზე (ცხრასანთლიან შანდალზე) რვა დღის განმავლობაში ანთებენ სანთლებს (ერთი დამხმარე სანთლით ყოველ დღე თითო სანთელს ამატებენ).

ხანუქის დღესასწაულის წარმოშობის ისტორია სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული თალმუდსა და მაკაბიელთა წიგნში.

თალმუდისეული ვერსიის თანახმად, სასწაული მენორის ანთებისას მოხდა. ამიტომ ხანუქის დღესასწაული 8 დღე აღინიშნება და ანთებული შანდალი ფანჯრის რაფაზე იდგმევა, რომ აუწყოს სამყაროს მომხდარი სასწაულის შესახებ.

91. **შანდალი.** ლითონი, ჭედვა. H – 13. (თიმ)

92. **შ. კობოშვილი. სარიტუალო დანიშნულების ოთახი.** ქაღალდი, გუაში. 32X42. (სმ)

ებრაელთა ისტორიული დღესასწაულის – ფესახის ჩასატარებლად საგანგებოდ დასუფთავებულ ოთახში ინახება ამ დღეებისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგე და ჭურჭელი.

93. **დ. გველესიანი. ჰაგადა. ფესახის დამე.** ტილო, ზეთი. 65,2X50,1. (სმ)

ფესახის რვადღიანი დღესასწაული უკავშირდება მოსეს მიერ ებრაელების გამოყვანას ეგვიპტიდან, სადაც ისინი ოთხასწლიან მონობაში იმყოფებოდნენ. ამ დღესასწაულს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ერის გათავისუფლების სიმბოლოა. ფესახის პირველ დამეს სრულდება სედერის რიტუალი (სადღესასწაულო სიმბოლური ვახშმის კურთხევა).

94. **შ. კობოშვილი. ფრინველის დაკვლა რელიგიური წესით.** 1940. ტილო, ზეთი. 70,5X101. (სმ)

ქაფარის შემოვლება და ქათმის დაკვლა ორი ურთიერთდაკავშირებული რიტუალია. რელიგიური დღესასწაულის – იომ-ქიფურის - ცოდვების მიტევების დღის წინ მორწმუნე ებრაელები მონანიების მიზნით ვალდებული არიან თავზე შემოივლონ ქაფარა – ქათამი, რის შემდეგაც მას ხახამს ან ღარიბებს აძლევენ. ებრაელთათვის საკვებად ვარგისად ითვლებოდა მხოლოდ შოხეტის – დამკვლელის მიერ რელიგიური წესების დაცვით დაკლული ფრინველისა თუ საქონლის ხორცი. ფრინველისა და საქონლის დაკვლა შეეძლო სპეციალურად საამისოდ მომზადებულ პირს, რომელსაც მიღებული ჰქონდა შოხეტად მუშაობის უფლება.

95. დ. გველესიანი. შოხეტი – ფრინველის დაკვლა. ქაღალდი, აკვარელი. 44X65. (სმ)

96. ბაღდადი. აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი, ნაბეჭდი. 75X70. (თიმ)

97. შ. კობოშვილი. სეფერთორის გამოტანა სინაგოგაში. ქაღალდი, გუაში. 26,5X40,5. (სმ)

სუქოთის დღესასწაულის ბოლო დღე სიმხათორის დღესასწაულის აღნიშვნით გვირგვინდება. ამ დღეს, თორის ბოლო ფურცლის წაკითხვისთანავე სინაგოგის მრწამსის კიდობნიდან (სინაგოგის კედელში ჩაშენებულ იერუსალიმისაკენ მიმართული სეფერთორის შესანახი კარადიდან) გამოაქვთ სეფერთორები (თორის გრაგნილები), საზეიმოდ შემოატარებენ და შემდეგ ერთი წლით კვლავ აღთქმის კიდობანში ინახავენ. ამ საზეიმო ცერემონიის დროს სეფერთორები სიმღერის თანხლებით მოაქვთ და დამსწრე საზოგადოებას უფლება აქვს ხელით შეეხოს ამ სიწმინდეს, ხოლო სეფერთორების შემოტარების პატივი თემის ყველაზე ღირსეულ და გამორჩეულ წევრებს ერგებათ წილად.

98. კაბა სეფერთორისა (საკულტო დანიშნულების). ფარჩა, მიტკლის ქსოვილი, ყაითანი, ოქრომკედი, დაზგაზე ნაქსოვი. 57X36. (სმ)

ფარჩის, შინდისფერი, სახიანი, სწორედ შეკერილი, თავზე ყვითელი ფოჩი აქვს შემოვლებული, ზედ ერთი სამხარე აქვს დაკერებული. ერთ მხარეს ოქრომკედით ნაქსოვი ზონარის ექვს ქიმიანი ვარსკვლავია დაკერებული. ვარსკვლავის ქიმები ფუნჯებით ბოლოვდება, სარჩულად თეთრი მიტკალი უდევს.

99. სეფერთორა. (სმ)

სეფერთორა (თორის გრაგნილი) სინაგოგის ყველაზე წმინდა ნივთია. როგორც წესი, სეფერთორა შემოსილია საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი თორის სამოსით ან თავსდება სტილიზებულ ტომარაში და თავზე ადგამენ გვირგვინს.

100. გვირგვინი სეფერთორისა. სპილენძი, ჭედვა. H – 44. (სმ)

მაღალი, მრგვალი ფორმის, ზანზალაკებიანი, დაფანჯრული და რელიეფურად ორნამენტირებული. რიმონიმ (სეფერთორის დამაგვირგვინებელი) – ებრ. სიტყვა ბროწეულის მრავლობით რიცხვია, რის ფორმასაც წააგავდა თავდაპირველადს გვირგვინი.

101. გვირგვინი სეფერთორისა. სპილენძი, ჭედვა. H – 44,4. (სმ)

მაღალი, მრგვალი ფორმის, დაფანჯრული და ორნამენტირებული, აქვს ზანზალაკები.

102. გვირგვინი სეფერთორისა. სპილენძი, ჭედვა. H – 38. (სმ)

მაღალი, მრგვალი ფორმის, სამეფო ჯილის მსგავსი, ზანზალაკებით და რელიეფური ორნამენტებით შემკული, დაფანჯრული. თავზე ექვსქიმიანი ვარსკვლავი აქვს დამაგრებული

103. გვირგვინი სეფერთორისა. ფრაჟე, ჭედვა. H – 32,5. (სმ)

გვირგვინის ტანი დაფანჯრული და ორნამენტირებული აქვს, ზანზალაკებიანი, თავზე არწივის გამოსახულებაა დამაგრებული. გვირგვინი სიმბოლურად ხაზს უსვამს თორის სილიადესა და მნიშვნელობას. გვირგვინით თორის შემკობის ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იწყება. გვირგვინი ხშირად მდიდრულად დეკორირებულია ჭედურობით ებრაულ მოტივებზე, წარწერებით, ზომორფული გამოსახულებებითა და ორნამენტებით.

გვირგვინი სიმბოლურად ხაზს უსვამს თორის სილიადესა და მნიშვნელობას. გვირგვინით თორის შემკობის ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იწყება. იგი ხშირად მდიდრულად დეკორირებულია ჭედურობით ებრაულ მოტივებზე, წარწერებით, რელიეფებითა და ორნამენტებით. ხოლო მასზე მიმაგრებული ზანზალაკები, თორის გადაადგილებისას მის გამოჩენას ახმოვანებენ.

104. შ. კობოშვილი. ბრეთის ბიბლიის თაყვანისცემა. ქაღალდი, გუაში, აკვარელი. 40X60. (სმ)

პერგამენტზე ხელნაწერი შუა საუკუნეების ბრეთის სასწაულმოქმედი ბიბლიის კულტი უკავშირდება ბრეთელ ებრაელებს. მისი დაკარგვის შემდეგ თაყვანისცემის საგანი გახდა ნაბეჭდი ბიბლია, რომელიც ავალიშვილებს ეკუთვნოდა. 1856-1870 წლებში ბრეთიდან ებრაელთა სურამში მასობრივი გადასახლებისას იგი ავალიშვილებისაგან დავარაშილების გვარის წარმომადგენლებს შეუსყიდათ, ამიტომ ბრეთის ბიბლიას დავარაანთ ან სურამის ბიბლიასაც უწოდებდნენ. იგი ებარა სინაგოგის ერთ-ერთ მსახურს, რომელიც მნახველთა თუ ავადმყოფთა მოსვლისას, მათ თვალებს ასუჭვინებდა, ბიბლიაზე ხელს გადაასმევინებდა ან სტრიქონს წაუკითხავდა და მისი სასწაულმოქმედი ძალის რწმენის გამო ეს თავისებურ მკურნალობად ითვლებოდა.

შალომ კობოშვილი იგონებდა: “ბორჯომიდან, სადაც მოჯამაგირედ ვიყავი, ახალციხეში დედის სანახავად წავედი. დედას გაეხარდა ჩემი ნახვა და მითხრა: კარგია, რომ მოხვედი; დიდი ხანია, რომ ნიათად მაქვს სურამის ბიბლიის ნახვა. ამ კვირაშიც სიზმარი ვნახე, სიზმარს კი, შვილო ვერ გეტყვიო. ბორჯომისკენ გავემგზავრეთ; ბორჯომში დეიდაც შემოგვიერთდა. იქ სანთლები ჩამოასხეს და ერთად ჩავედით. სურამში დავარაშილების სახლში მივედით. იქ თორა ესვენა ტილოზე, ბაღდადგადაფარებული. კანდელი ენთო, რომ მივედით, სანთლები ამოვიღეთ, ზოგი ავანთეთ, ზოგიც ბერიკაცს გადავეცით. დედაჩემმა რაღაც ნივთი შესწირა, დედაჩემმა კი კაცის თავზე თეთრი ბაღდადი, ჩვენ დაჩოქილი ვიყავით თორის წინ. დედაჩემი ცრემლებით ეხვეწებოდა. წამოსვლისას კიდევ ვემთხვიეთ“ (36, 139-140)

105. შ. კობოშვილი. თხოვნით ბრეთის ბიბლიისადმი. მუყაო, ტუში, ფანქარი. 23,5X30,5. (სმ)

ლეგენდა “ბრეთის ბიბლიის შესახებ“

“ბრეთის ბიბლიის“ კულტი სოფელ ბრეთის ებრაელებს უკავშირდება. XVIII საუკუნიდან ბრეთის ბიბლია ეკუთვნოდა ავალიშვილებს, რომელთაც ჰყავდათ როგორც ქართველი ისე ებრაელი ყმები. “ბრეთის ბიბლიის“

სასწაულმოქმედებაზე მრავალი ლეგენდა თუ გადმოცემა არსებობს. დროთა განმავლობაში ბიბლია მთლიანად საქართველოს ებრაელთა თაყვანისცემის საგნად იქცა. იუდა ჩორნის (1835-1880) გადმოცემით, მასთან ებრაელების გარდა ქართველებსაც მიჰქონდათ შესაწირი და განკურნებას ევედრებოდნენ. ბიბლიას ყმათა დასაფიცებელი საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდა.

იგი პერგამენტზე ხელით იყო დაწერილი, ჰქონდა ტყავგადაკრული ყდა და შეიცავდა 452 ფურცელს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკარგული შუა საუკუნეების დროინდელი ხელნაწერი ბობლიის ფუნქციას ნაბეჭდი ბიბლია ასრულებდა.

106. დ. გველესიანი. მკურნალობა ბრეთის ბიბლიით. ხე, ზეთი. 61,3X40,3. (სმ)

107. დ. გველესიანი. გვალვის საწინააღმდეგო ლოცვა. ქაღალდი, აკვარელი. 27,7X41. (სმ)

108. დ. გველესიანი. ლეგენდა ლაილაშის ბიბლიის შესახებ. . ტილო, ზეთი. 30X43,3 (სმ)

ლაილაშის ბიბლია ხელნაწერი თორაა კომენტარებითა და ფერადი გეომეტრიული დეკორით (ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ისევე როგორც ბრეთის ბიბლია). ხელნაწერი შესრულებულია პერგამენტზე და მისი ტექსტი მოიცავს ძველი აღთქმის ხუთწიგნეულსა და მაზორასს. პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ხელნაწერი X-XI საუკუნეებით დათარიღდა. კონსონანტალური ტექსტის დამწერლობის თვალსაზრისით, ლაილაშის ბიბლია დღეს ცნობილ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა.

იგი დათარიღებულია X საუკუნის დასასრულითა და XI დასაწყისით, ხოლო მისი ნაწილი შესაძლოა XII საუკუნით დათარიღდეს. თორა სხვადასხვა ხელითა და, სავარაუდოდ, სხვადასხვა დროს იწერებოდა პალესტინაში, ეგვიპტესა და, შესაძლოა, სპარსეთშიც. სავარაუდოდ სწორედ ამ რომელიმე ქვეყნიდან ებრაელთა მიგრაციისას მოხვდა საქართველოში.

მას ბრეთის ბიბლიის მსგავსად სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ და ეთაყვანებოდნენ ებრაელებიც და ქართველებიც. ლეგენდის თანახმად ლაილაშის ბიბლია საქართველოში ანგელოზებმა ფრთებით მოიტანეს.

109. **ბოხჩა.** ბამბისა და სატინის ქსოვილი, ნაბეჭდი, დაზგაზე ნაქსოვი. 85X80.
(თიმ)

110. **ბოხჩა.** ფარჩა, აბრეშუმის ქსოვილი, ხელის დაზგაზე ნაქსოვი. 84X56.
(თიმ)

111. **შ. კობოშვილი.** მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში. 1940. ქალაქი, გუაში, ხე, ლაქი. 39,5X53,5. (სმ)

112. **შ. კობოშვილი.** ქალების ბანაობა მიკვეში. ქალაქი, გუაში. 27X40. (სმ)
მიკვეში – სინაგოგასთან არსებულ სარიტუალო დანიშნულების აბანოს წმინდა წყალში ხდებოდა ქალების განბანვა-განწმენდა.

მიკვე (პირდაპირი მნიშვნელობით დაგროვილ (წყალს) ნიშნავს, რიტუალური უწმინდურობისგან განბანისათვის (ტებილა) განკუთვნილ წყლის რეზერვუარს.

მიკვე სინაგოგასთან არსებული რიტუალური აბანოა, რომლის დანიშნულება არა მხოლოდ ჰიგიენური სისუფთავის დაცვაა, არამედ რიტუალური განწმენდაა. ამიტომ მიკვეში წინასწარ დაბანილები შედიან.

უკანასკნელ დროს მიკვე ძირითადად ქალებისთვისაა განკუთვნილი, უპირველეს ყოვლისა პატარძლის ქორწილის წინ განწმენდის რიტუალური დანიშნულება აკისრია და აგრეთვე გათხოვილი ქალებისთვის ყოველთვიური განწმენდის რიტუალს წარმოადგენს. მიკვეს წმინდა წყალში ჩაყვინთვა სულიერ სისუფთავესთანაა ასოცირებული.

113. **შ. კობოშვილი.** ჭორიკანა ქალები. 1939. ქალაქი, გუაში. 40,5X38. (სმ)

114. **შ. კობოშვილი.** მისიონერი ყიდის იერუსალიმის მიწას. 1938. ქალაქი, გუაში. 22,5X18,5 (სმ)

XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს იერუსალიმიდან სხვადასხვა ქვეყანაში აგზავნიდნენ შალიახებს (მისიონერებს). იერუსალიმის ღარიბ ებრაელთა დახმარებისა და სინაგოგებისათვის ფულის შეგროვების მიზნით ზოგიერთი მისიონერი ჰყიდდა იერუსალიმის წმინდა მიწას ებრაელთა შორის.

115. შ. კობოშვილი. ექიმბაშთან. ქალაქი, აკვარელი, გუაში. 21X27. (სმ)

116. შ. კობოშვილი. შესალოცად ექიმბაშთან. ქალაქი, გუაში, ტუში. 26,5X32.
(სმ)

თვითნასწავლი ებრაელი მხატვარი შალომ კობოშვილი წარმოშობით ახალციხიდან იყო და მისი ნამუშევრების სიუჟეტები ასახავს XIX საუკუნის მიწურულის ახალციხელ ებრაელთა ყოფას და ცხოვრებას. სურათზე „შესალოცად ექიმბაშთან“, ასახულია ამულეტით შელოცვის სცენა. ახალციხელ ებრაელთა შორის სახალხო მკურნალები ძირითადად ქალები იყვნენ, თუმცა ზოგჯერ სახამიც მკურნალობდა. ექიმბაში უპირველეს ყოვლისა ღმერთს სთხოვდა ავადმყოფის განკურნებას. მათ ღრმად სწამდათ, რომ ყოველ დაავადებას თავისი ანგელოზი ჰყავდა, ამიტომ მკურნალობას ამ ანგელოზის მიმართ ლოცვით იწყებდნენ. განსაკუთრებულ დაავადებებს უმთავრესად ლოცვებითა და ამულეტებით მკურნალობდნენ. ამულეტებიც შესაბამისი წარწერებით იყო შემკული და სხვადასხვა დამცავი დანიშნულება გააჩნდა. შელოცვილ ამულეტს ექიმბაში ავადმყოფს ატანდა და მას ის გამუდმებით უნდა ეტარებინა.

ებრაელი ხალხის ისტორიაში ამულეტის (არაბულიდან - საკიდი) გამოყენებას ძველი ტრადიცია გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული რელიგიური კანონი ღმერთისა და რაიმე სიმბოლოების გამოსახულებას კრძალავს. როგორც წესი ამულეტებზე უბედურებისგან დამცავი მაგიური ტექსტები და ნიშნებია მოთავსებული. ძალიან ხშირად ფიგურირებს სიტყვა „შადაი“ (ღმერთის ერთ-ერთი სახელი), რომელიც ავი თვალისაგან იცავს მის მფლობელს, ამიტომ ამულეტებს ზოგჯერ შადაისაც უწოდებენ.

მაგენ დავითის გამოსახულებიანი ამულეტით ულოცავს ექიმბაში კობოშვილის მიერ შესრულებულ სურათზეც.

117. ამულეტი. ვერცხლი, სერდოლიკი. 3,5X4,5. (სმ)

სერდოლიკზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, გამოიყენებოდა ორსული ქალებისთვის მუცლის მოშლის წინააღმდეგ. ამულეტი (არაბ. - საკიდი).

ამულეტების გამოყენებას ძველი ტრადიცია აქვს. როგორც წესი, მათზე უბედურებისაგან დამცავი მაგიური ტექსტებია მოთავსებული. ძალიან ხშირად ფიგურირებს სიტყვა შადაი, რომელიც იცავს მის მფლობელს. ამიტომ ამულეტებს ზოგჯერ შადაისაც უწოდებენ. საუკუნეების მანძილზე მრავალი ტიპის ამულეტი იყო გავრცელებული და თითოეულს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ახასიათებდა. გამოსახულების გარდა, ხშირად ამულეტის შინაარს მასზე მოთავსებული წარწერები განმარტავს, ზოგი ორსულ ქალს და მშობიარეს იცავს, ზოგი მგზავრობაში მყოფ ადამიანს, ან ზოგადად ავი თვალისგან დამცავია. თილისმებათ ხშირად მეზუზა, მენორა, მოსეს ათი მცნება და ბოლო დროს ყველაზე პოპულარული – სტილიზირებული სიტყვა „ჰაი“ (სიცოცხლე) და მაგენ დავითი გამოიყენება. ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ.

118. **ამულეტი.** ვერცხლი, ამოტვიფრული წარწერით. 7X6. (სმ)

119. **ამულეტი (შადაი).** ლითონი, ხავერდი. ამოტვიფრული წარწერით. (სმ)

წარმოადგენს ლითონის თხელ ფირფიტას ებრაული წარწერით. დამაგრებულია შინდისფერ ხავერდის ქსოვილზე.

120. **შ. კობოშვილი. ფინჯრაობა – ქალების თამაში.** 1940. ქალაქი, ფერადი ფანქარი. 40,5X51,5. (სმ)

121. **ბოხჩა.** ბამბისა და ჩითის ქსოვილი, ქვილთის ტექნიკა. 85X80. (თიმ)

122. **დ. გველესიანი. მეწვრილმანე სოფლად.** ტილო, ზეთი. 70,3X100,3. (სმ)

123. **შ. კობოშვილი. ქარავანი.** 1939. ტილო, ზეთი. 52X66. (სმ)

XIX ს-ის პირველ ნახევარში შექმნილი ახალციხელი ვაჭარი ებრაელებისათვის სახმელეთო გზებზე გადაადგილების საშუალება იყო აქლემებისა და ცხენების ქარავნები. მათ მიჰყვებოდნენ ჩალვადრები (აქლემებისა და ცხენების პატრონები) და ქარავანბაში (ქარავნის წინამძღოლი).

124. შ. კობოშვილი. ებრაელი სოვდაგარი. ქაღალდი, აკვარელი, გუაში, ტუში. 28X16. (სმ)

ფეოდელურ ხანაში საქართველოს ებრაელთა ძირითად საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა. XIX ს. მეორე ნახევრის მასალების მიხედვით, აღებ-მიცემობაში ჩაბმული მთელი ებრაელობა შეიძლება სამ ფენად დაიყოს: მსხვილი ვაჭრები (სოვდაგრები), საშუალო ვაჭართა ფენა და წვრილი მოვაჭრენი. ეს უკანასკნელნი ეგრეთ წოდებული “მესოფლეები“ მოვაჭრეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ.

სურათზე გამოსახული სოვდაგარი ჩაცმულია სადად, მაგრამ მდიდრულად, ბორდოსფერი ახალუხი, ვერცხლის ქამარი, ბუზმენტშემოვლებული ყავისფერი ჩოხა, ქამარში გაყრილი აბრეშუმის ბაღდადი, რომლის ბოლო ჩოხიდან მოჩანს, წვეტიანი წაღები და ბოლოს სოვდაგარის ხელში დამახასიათებელი როკიანი ჯოხი – ამ კაცის სოციალურ სახესა და ეკონომიკურ სიძლიერეს გაგრძნობინებთ.

125. შ. კობოშვილი. მდიდარი ებრაელი სოვდაგარის ცოლი. ქაღალდი, მუყაო, აკვარელი, გუაში, ტუში. 24X15. (სმ)

126. შ. კობოშვილი. დვაცატნიკი. ქაღალდი, გუაში, ლაქი. 46X36. (სმ)

ახალციხელი წვრილი მოვაჭრენი კარდაკარ ვაჭრობდნენ ქალაქში, განსაკუთრებით, მის განაპირა უბნებში. ზოგი მათგანი მხოლოდ მოხელეებს, უმთავრესად, სამხედრო მოსამსახურეებს აძლევდა საქონელს ნისიად. ისინი ხელფასს 20 რიცხვში იღებდნენ, რის გამოც ნისიად მოვაჭრეებს დვაცატნიკებს უწოდებდნენ.

127. შ. კობოშვილი. ახალციხის ბაზარი. 1940. ქაღალდი, გუაში. 38X52. (სმ)

128. შ. კობოშვილი. ყმების მასობრივი გაყიდვა. 1940. ტილო, ზეთი. 70X101. (სმ)

ისტორიული საბუთების მიხედვით ფეოდალურ საქართველოში ყმა ებრაელი მებატონის საკუთრება იყო. ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა, გაჩუქება, მზითვად გატანება თუ სხვაგვარად გასხვისება. 1940. ტილო, ზეთი.

129. დ. გველესიანი. შალომ კობოშვილის პორტრეტი. 1940. ტილო, ზეთი. 70X101. (სმ)
130. დ. გველესიანი. ებრაელი. ქალაღდი, აკვარელი. 35X25,5. №7-98/7 (სმ)
131. დ. გველესიანი. ებრაელი მამაკაცი. ქალაღდი, აკვარელი. 34X27. (სმ)
132. დ. გველესიანი. მოხუცი ებრაელი. ქალაღდი, ფანქარი. 34X30. (სმ)
133. დ. გველესიანი. ებრაელი ქალის პორტრეტი. ქალაღდი, აკვარელი. 32X17 (სმ)
134. დ. ერმაკოვის ფოტო. ებრაელი თხილით. (ეფა)
135. დ. ერმაკოვის ფოტო. ებრაელი წყვილი. (ეფა)
136. დ. ერმაკოვის ფოტო. ებრაელი. თხილის გამყიდველი. (ეფა)
137. დ. ერმაკოვის ფოტო. ებრაელი. (ეფა)
138. დ. ერმაკოვის ფოტო. ახალციხელი ებრაელი. (ეფა)
139. დ. ერმაკოვის ფოტო. ებრაელი სასომხეთიდან. (ეფა)
140. დ. ერმაკოვის ფოტო. რაბინი. იმერელი ებრაელი. (ეფა)
141. უცნობი ავტორის ფოტო. ებრაელი. (სმ)
142. დ. ერმაკოვის ფოტო. ახალციხე. ძველი ქალაქის ებრაული ნაწილი. (ეფა)

143.დ. ერმაკოვის ფოტო. ქუთაისი. სომხური ეკლესია რიონის პირას და ქალაქის ებრაული ნაწილი. (ეფა)

144.დ. ერმაკოვის ფოტო ქუთაისი. ებრაული უბნის საერთო ხედი. (ეფა)

მიღებულ შემოკლებათა განმარტება

სმ – სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

თიმ – იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)

ეფა – დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი

თავი V

ებრაულ რელიგიურ-რიტუალურ სიუჟეტებზე შექმნილი ნამუშევრებისა და არტეფაქტების შინაარსის გამნმარტება

მეზუზა და ამულეტები

სიტყვა “მეზუზას” პირდაპირი მნიშვნელობა კარების ზღრუბლია, რომელიც შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს კარებზე მიმაგრებულ პატარა კოლოფს, სადაც თორის გამონათქვამებიანი მინიატურული პერგამენტის გრაფილია მოთავსებული. სიტყვა მეზუზოთი (მეზუზას მრავლობითი რიცხვი), ბიბლიიდან იღებს სათავეებს (მეორე კანონი 6:9): “და დაწერე შენი სახლი ზღრუბლებზე და შენ ჭიშკრებზე”. ტექსტი პერგამენტის მხოლოდ ერთ მხარესაა დაწერილი და ამასთან ერთად, დამწერი - სოფერი მკაცრად იცავს გარკვეულ წესებს, რომლის შესრულების გარეშე მეზუზა არ ითვლება ქაშრად და მისი გამოყენება არ შეიძლება. მეზუზის ტექსტი შეიცავს ღმერთის ერთ ერთ სახელს – “შადაი”, რომელიც ასე იშიფრება: “ისრაელის კარებთა მცველი”. ანუ მეზუზა იცავს ებრაული სახლის შესასვლელს, სახლს ყოველგვარი უბედურებისგან, მტრისგან, მაგრამ გარდა ამ ღირსეული ფუნქციისა, მეზუზას სხვა, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობაც აქვს. რამბავე აღნიშნავს, რომ საჭიროა ძალიან დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ მეზუზის მცნების შესრულებას, რაც ყველასათვის მარადუამს აუცილებელია სახლში შესვლის თუ გამოსვლის დროს. აღამიანი თვალს მოჰკრავს თუ არა მეზუზას, ხელით ემთხვევა და კოცნის, მასში იღვიძებს სიყვარული უფლისადმი.

ებრაელობის უმრავლესობა მეზუზას ოჯახური კერისა და მისი ბინადრების ერთგვარ დამცველად აღიქვას. მსგავსი მოსაზრება თალმუდის დროიდან ჩაისახა და შუასაუკუნეების გავლით თანამედროვეობამდე მოაღწია.

როგორც წესი მეზუზები ვერცხლისაგან, ლატუნის და ხისაგან მზადდება და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შედარებით მარტივი და სადადან დაწყებული მდიდრულად მორთულებამდე. მეცამეტე საუკუნიდან, ზოპარის დროიდან

("კაბბალას", ებრაული მისტიციზმის შემადგენელი ერთ-ერთი წიგნი). სიტყვა "შადლაი" სიტყვა "ღმერთის" სინონიმია. როგორც წესი პერგამენტის მეორე მხარესაა მოთავსებული და პატარა ნასვრეტიდან მოჩანს. გარდა საცხოვრებელის კარების ზღრუბლისა, მეზუზებს ათავსებენ სინაგოგებისა და სხვა შენობების კარებებზეც ისრაელსა და მთელს მსოფლიოში. მეზუზას აგრეთვე გულზე დაკიდებულს ატარებენ როგორც იუდაიზმის სიმბოლოს, ან ზოგჯერ როგორც ბედნიერების მომტან თილისმას. მრავალი წლის მანძილზე ებრაელები ატარებდნენ სხვადასხვა ტიპის ვერცხლის ამულეტებს, რომლებიც უბედურებისაგან იცავდა მათ. ამულეტზე ხშირად წერია სიტყვა "შადლაი" რომელიც ავი თვალისაგან იცავს.

მაგენ დავითი

ამჟამად ყველაზე გავრცელებული თილისმებია სტილიზურებული სიტყვა "ჰაი" (სიცოცხლე) და ექვსქიმიანი ვარსკვლავი (მაგენ დავითი). როგორც წესი ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ. მაგენ დავითი (დავითის ფარი) – ორი თანაბარი სამკუთხედისაგან შემდგარი გეკსოგრამაა. თავდაპირველად იგი უფრო ინტერნაციონალური სიმბოლო იყო და გვხვდება ძველ ინდოეთში, მოგვიანებით კი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში.

ბრინჯაოს საუკუნიდან (ძვ. წ.ა. 4 ათასწლეულის ბოლო – 1 ათასწლეულის დასაწყისი) გეკსაგრამა, ისევე როგორც პენტაგრამა დეკორატიული და მაგიური დანიშნულებით საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ბევრ სრულიად განსხვავებულ ტერიტორიებზე, მაგალითად როგორც მესოპოტამიის სემიტებსა, ასევე ბრიტანების კელტებს შორის.

ებრაული რელიგიური კანონი ღმერთისა და რაიმე სიმბოლოების გამოსახულებას კრძალავს, ამიტომ მაგენ დავითი თალმუდში არ არის მოხსენიებული. მისი გამოჩენა თალმუდის ეპოქაში ნაკლებად წარმოსადგენია, თუმცა ახლახანს ტარენტეში (სამხრეთ იტალია) მისი გამოსახულება III საუკუნის საფლავის ქვაზე აღმოჩინეს. ყველაზე უძველესი დავითის ვარსკვლავი ძვ. წ. ა. VII საუკუნეში სიდონში აღმოჩენილ ებრაულ ბეჭედზეა, რომელიც ვინმე იეოშუა ბენ იეშაიაუს ეკუთვნოდა. ხოლო მომდევნო, პირველი საუკუნითაა დათარიღებული და გალილიის ზღვის სანაპიროზე კაპერნაუმის სინაგოგაშია აღმოჩენილი. აქ სინაგოგის დეკორში გამოყენებულია როგორც

გეკსაგრამა, ასევე პენტაგრამა და სვასტიკის მსგავსი სიმბოლური ნიშანი. თუმცა ამ პერიოდში ის არ ასოცირდება იუდაიკასთან. ყველა დროში წმინდა ებრაულ სიმბოლოდ მენორა – ტაძრის შანდალი – ითვლებოდა. გარკვეულ წილად სწორედ მენორაა ებრაელობის განმასხვავებელი ნიშანი. თუკი მის გამოსახულებას ვხდებით ძველ სამარხებზე, ეს მათ ებრაულ; წარმომავლობაზე მიუთითებს.

პირველად მაგენ დავითი მე-12 საუკუნის შუაში, იეჰუდა გადასის მიერ “ეშკოლ ა-კოფერ”-შია ნახსენები. სავარაუდოთ იმ დროს მაგენ დავითი ამულეტებზე გამოსახულ ნიშანს წარმოადგენდა. მაგიაურ პაპირუსებზე უფრო ხშირად პენტაგრამები და ვარსკვლავებია გამოსახული, სადაც ღმერთის სახელებია ჩაწერილი. (39)

როგორც ჩანს, მაგენ დავითმა ფართო გავრცელება კაბბალიდან ჰპოვა. პენტაგრამას სხვაგვარად შლომოს (სოლომონის) ბეჭედს უწოდებენ და ასევე თალისმანადაა მიჩნეული. პენრის მოსაზრებით ინდუსებმა ეს სიმბოლო სემიტებისაგან მიითვისეს (40), თუმცა სახელწოდება მის ებრაულ ან სემიტურ წარმომავლობას ვერ ამტკიცებს. ინდუსები “დამცავად” გეკსაგრამებსაც იყენებდნენ. შესაძლებელია, სინაგოგებში მას მეზუზის დეკორად იყენებდნენ. თავად სახელწოდება დავითის ფარი, მის “დამცველ” ძალაზე მიუთითებს. XIII-XIV სს. ვროპულ (თავიდან გერმანიის) სინაგოგებში მაგენ დავითი პირველად გამოიყენეს როგორც ორნამენტი, შემდეგ მანუსკრიპტებშიც გამოჩნდა.

ამავე ეპოქაში ამულეტებსა და მეზუზებზე იყენებდნენ როგორც ორნამენტს და გვიან შუასაუკუნეებში კაბალის ებრაულ ტექსტებში დეკორატიული დანიშნულებით

კარლ VI (1354 წ.) პრადის ებრაელებს დავითის ფარისა და სოლომონის ბეჭდის გამოსახულებიანი წითელი დროშა აჩუქა. წითელ დროშაზე, რომლითაც ებრაელები მეფე მათე უნგრელს ხვდებოდნენ, ორი პენტაგრამა და ორი ოქროს ვარსკვლავი იყო გამოსახული (41). მაგენ დავითი აგრეთვე თემის ოფიციალურ ბეჭედს ამშვენებდა. ებრაელები ასევე იყენებდნენ პენტაგრამას, რომელიც შეიძლება ვნახოთ 1073 წლის ერთ ხელნაწერში (ფაქსიმილიე სედერ ელიაჰუ რაბბა ვე-სედერ ელიაჰუ ზუტა) (42)

ეს ვარსკვლავი საუკუნეების მანძილზე გვხვდება, მაგრამ მხოლოდ XVII საუკუნიდან გახდა წმინდა ებრაული სიმბოლო პრადაში. მაგენ დავითი

ხშირად საკულტო დანიშნულების საგნების მოსართავად ან როგორც რელიგიური სიმბოლიკა ისე გამოიყენება.

ექვსქიმიან ვარსკვლავს იყენებდნენ ებრაულ ნიშნად სტამბაში და საგვარეულო ღერბების შემადგენელ ნაწილად. მაგენ დავითს გამოსახულება გვხვდება როგორც დეკორატიული ელემენტი სინაგოგებში, წიგნებში, ოფიციალურ ბეჭდებზე, რელიგიურ და ყოფით ნივთებზე, მოგვიანებით (XVII-XVIII სს.) მაგენ დავითი მორავიისა და ავსტრიის, შემდეგ კი იტალიისა და ნიდერლანდების ებრაელთა ყოფაში შემოვიდა. მოგვიანებით აღმოსავლეთ ევროპის ებრაულ თემებშიც გავრცელდა.

ებრაულ საფლავის ქვებზე მაგენ დავითს მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოდან გამოსახავენ.

1779 წლიდან მაგენ დავითი უკვე როგორც სპეციფიური ებრაული სიმბოლო ანტისემიტურ კარიკატურებში ფიგურირებს.

XIX საუკუნეში ემანსიპირებულმა ებრაელებმა მაგენ დავითი ეროვნულ სიმბოლოდ აირჩიეს და მას იგივე დატვირთვა მიეცა, რაც ქრისტიანებისთვის ჯვრის ტარებას.

სწორეთ ამ პერიოდში ექვსქიმიანი ვარსკვლავი მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ებრაული თემის მიერ იქნა მიღებული და ყველაზე გავრცელებულ სიმბოლოდ იქცა სინაგოგებში, ებრაულ დაწესებულებებში, ძეგლებზე, საფლავის ქვებზე, ბეჭდებზე, საბუთების ბლანკებზე, ყოფითი და რელიგიური დანიშნულების საგნებზე, ფაროხეთებზე.

მაგენ დავითის სიმბოლოს ზუსტი წარმომავლობა უცნობია.

ერთ ერთი ვერსიით ეს თეთრი ლილიაა, რომელსაც მაგენ დავითის ფორმის გაშლილი ექვსი ფოთოლი აქვს და ებრაელი ხალხის სიმბოლოა. მეფე სოლომონის “ქებათა ქებაში” ლილია ასე მოიხსენიება: “მე – შარონის ნარცისი, მდებარეობს ლილია. როგორც ლილიაა ეკალთა შორის, ისე ჩემი მიჯნურია სხვა ქალწულთა შორის” (ქებათა ქება.2:1-2)

ებრაელი მკვლევარი ური ოფირი ვარაუდობს, რომ დავითის ვარსკვლავის წარმოშობა უკავშირდება ტაძრის მენორას. მისი შვიდი შანდლის ქვეშ განლაგებულია ყვავილი (5). ური ოფირი თვლის, რომ ეს ყვავილი არის თეთრი ლილია, რომელიც ფორმით წააგავს მაგენ დავითს (7). შანდალი ისეთნაირად იყო განთავსებული ყვავილის ცენტრში, რომ ქურუმი ანთებდა ცეცხლს თითქოს

და მაგენ დავითის შუაგულში. ებრაელების უდაბნოში მომთაბარე ცხოვრების განმავლობაში მენორა მდებარეობდა სკინიაში, ხოლო შემდგომ იერუსალიმის ტაძარში, მეორე ტაძრის დანგრევამდე. მისი აზრით ამით აიხსნება მაგენ დავითის სიძველე და მნიშვნელობა.

ლეგენდის თანახმად, მაგენ დავითი გამოსახული იყო მეფე დავითის მეომართა ფარზე. მეორე ვერსიის თანახმად, ფარები დამზადებული იყო ტყავისაგან და მაგრდებოდა გადაჯვარედინებული ფორმის ფოლადის ფირფიტებით.

მესამე ვერსიის თანახმად (8), თვითონ ფარები იყო ექვსწახნაგოვანი. ყოველად დასაშვებია, რომ მაგენ დავითი იყო მეფე დავითის ხელმოწერა, რადგან ასო “დალეთს” ძველ ებრაულ დამწერლობაში ჰქონდა სამკუთხედის ფორმა, სახელი ივრითზე კი შედგება ოთხი “დალეთისაგან” (9). ამავე დროს, რამოდენიმე წყაროზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ მისი პირადი ხელმოწერა შეიცავდა არა ვარსკვლავის, არამედ მწვემის კვერთხის და გუდის გამოსახულებას.

არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, ცრუ მესია დავით აღროი იყო სწორედ ის, ვინც მე-12 საუკუნეში გადააქცია სოლომონის ბეჭდის მაგიური სიმბოლო მაგენ დავითის სიმბოლოდ (დარქმეული მის საპატივსაცემოდ) და ის გახდა თავისი მოდგმის საგვარეულო სიმბოლო.

გექსოგრამის ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, ის წარმოადგენს მამაკაცის (ზემთ მიმართული სამკუთხედი) და ქალის (ქვემთ მიმართული სამკუთხედი) საწყისების შერწყმასა და შეხებას (10).

ძველად მიიხნევენ, რომ მაგენ დავითი განასახიერებს ოთხივე სტიქიას: ზემოთ მიმართული სამკუთხედი განასახიერებს ცეცხლის და ჰაერის სტიქიებს, ხოლო ქვემთ მიმართული სამკუთხედი - წყალს და მიწას. სხვა ვერსიის თანახმად, სამკუთხედის ზედა კუთხე განასახიერებს ცეცხლს, ხოლო დანარჩენი ორი (მარცხენა და მარჯვენა) - წყალს და ჰაერს. სხვა სამკუთხედის კუთხეები, მიმართული ერთი კუთხით ქვემთ, შესაბამისად: მოწყალებას, მშვიდობას (სიმშვიდეს) და მადლიერებას. ასევე მაგენ დავითი წარმოადგენს ცის საწყისის შერწყმას, რომელიც მიისწრაფის მიწისაკენ (ქვემთ მიმართული სამკუთხედი (10)).

ერთ-ერთი განმარტების თანახმად, დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი განასახიერებს ღვთის მმართველობას: დედამიწაზე, ზეცაში და სამყაროს ოთხივე კუთხეში - ჩრდილოეთში, სამხრეთში, აღმოსავლეთში და დასავლეთში

(11). (საინტერესო ფაქტი: ივრითზე სიტყვები “მაგენ დავითი” შედგება ასევე ექვსი ასოსგან).

კაბალის მიხედვით, მაგენ დავითი აირეკლავს შვიდ ქვედა სეფიროტს. ექვსივე სამკუთხედი მიუთითებს თითოეულ სეფიროტზე, ხოლო ექვსქიმიანი შუაგული-სეფირ “მალქუთზე”.

ე. ესასის მიხედვით, ეს სიმბოლო განასახიერებს მსოფლიოს ექვს დღეში შექმნის მოდელს. ორი სამკუთხედი - ორი მიმართულება.

სამკუთხედი, მიმართული წვერით მაღლა: ზედა წერტილი მიუთითებს უზენაესზე და რომ ის ერთადერთია. ამ წერტილის ორი განშტოება, მარჯვნივ და მარცხნივ მიუთითებს შექმნის პროცესში წარმოქმნილ სხვადასხვაობებზე - ბოროტებასა და სიკეთეზე. დავითის ვარსკვლავის მეორე სამკუთხედის წვერი მიმართულია დაბლა. ორი ერთმანეთისგან დაშორებული წვერიდან გამოსული ხაზები ერთდება მესამე ქვედა წვერში. სწორედ ამაში მდგომარეობს ადამიანის არსებობის მიზანი - ჰარმონიულად შეითავსოს სამყაროში არსებული “მარჯვენა“ და “მარცხენა” მხარეები (12).

არსებობს მაგენ დავითით სუქას მორთვის ტრადიცია - კარვის, რომელშიც ებრაელები ცხოვრობენ სუქოთის დღესასწაულის დროს. სუქაში გამოფენილი ვარსკვლავის ექვსი ქიმი შეესადაგება ექვს ძვირფას სტუმარს, რომლებიც სტუმრობდნენ ებრაულ სუქას სუქოთის დღესასწაულის პირველი ექვსი დღის განმავლობაში: აბრაამს, ისააკს, იაკობს, მოსეს, აარონს და იოსებს. მათ ყველას აერთიანებს მეშვიდე სტუმარი - თვით მეფე დავითი (11).

მაგენ დავითს აქვს 12 წახნაგი, რაც შეესაბამება ისრაელიტთა 12 ტომს, რომლებზედაც მეფობდა დავითი და რომლებიც აღდგენილნი იქნებიან მეფე დავითის პირდაპირი მემკვიდრის - მესიის მოსვლისთანავე.

გამოჩენილი გერმანელ-ებრაელი ფილოსოფოსი ფრანც როზენცვეიგი თავის მთავარ ფილოსოფიურ ნაშრომში “გადამრჩენელი ვარსკვლავი” (1921წ.) გვთავაზობს მაგენ დავითის საკუთარ ახსნას. ის განიხილავს მაგენ დავითს როგორც ღმერთის, ადამიანების და სამყაროს ურთიერთობის სიმბოლურ გამოხატვას.

მისი აზრით სამკუთხედი, რომელიც მდებარეობს საფუძველში, განასახიერებს სამ ძირითად საგანს, რომლებსაც შეისწავლის ფილოსოფია: ღმერთს, ადამიანს და სამყაროს. მეორე ასახავს იუდაიზმის პოზიციას ამ ელემენტებისადმი და მათ

ურთიერთგავლენას – ქმნილება (ღმერთსა და სამყაროს შორის), გულახდილობა (ღმერთსა და ადამიანს შორის) და განწმენდა (ადამიანსა და სამყაროს შორის). ამ სამკუთხედების ერთმანეთზე დაწყოებით წარმოიქმნება “ხსნის ვარსკვლავი”.

კიდევ ერთი ვერსია, რომელიც გვიხსნის დავითის ვარსკვლავის აგებულებას, მდგომარეობს შემდგომში - ორი სამკუთხედის შეერთება, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის მასების გადანაწილებას (სამკუთხედი ზევით) მმართველობას და სიმდიდრეს (სამკუთხედი ქვევით).

როთშილდების ოჯახმა, რომელმაც მიიღო საგვარეულო ტიტული 1817წ., ჩართეს მაგენ დავითი თავიანთ საგვარეულო გერბში.

ებრაული წარმოშობის გერმანელი პოეტი ჰენრიხ ჰაინე 1840 წლიდან საკუთარი ხელმოწერის ნაცვლად გერმანულ გაზეთ “აუგსბურგერ ალგემაინე ცაიტუნგ” თავისი სტატიების ქვეშ სვამდა გექსოგრამას.

1879 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ მოწვეული იქნა რაბინების დიდი სიმპოზიუმი, სადაც მათ დაუსვეს შვიდი კითხვა იუდაიზმის საწყისების შესახებ. ერთ-ერთი კითხვა იყო მაგენ დავითის მნიშვნელობაზე.

1897 წელს პირველმა სიონისტურმა კონგრესმა მიიღო სიონისტური მოძრაობის დროშის პროექტი, რომლის შუაგულში განთავსებული იყო მაგენ დავითი და რომელიც დღეს ცნობილია, როგორც ისრაელის სახელმწიფოებრივი დროშა.

თეოდორ ჰერცლმა, სიონისტური მოძრაობის ლიდერმა, თავის წიგნში “ებრაული სახელმწიფო” შემოგვთავაზე განსხვავებული ვერსია: თეთრი დროშა, რომელიც ცენტრშიც იქნებოდა შვიდი ოქროსფერი ვარსკვლავი, ოღონდ მისი წინადადება მიღებული არ იქნა, იმ მიზეზით, რომ დროშას აკლდა ებრაული სიმბოლოები.

იმავე წელს ექსქიმიანმა ვარსკვლავმა დაამშვენა ჟურნალ “დი ველტის” გარეკანი, რომელსაც გამოსცემდა ჰერცლი.

ნაცისტებს მიუძღვით დიდი “წვლილი” იმაში, რომ ექსქიმიანი ვარსკვლავი სამუდამოდაა დაკავშირებული ებრაელებთან. ევროპის ბევრ ქალაქებსა და ქვეყნებში ნაცისტური ხელისუფლების წარმომადგენლები ებრაელების განმასხვავებელ ნიშნად ირჩევდნენ სწორედ ყვითელ მაგენ დავითს. ეს ემბლემა განასხვავებდა ებრაელებს ადგილობრივი მოსახლეობისაგან და წარმოადგენდა მათ თვალში დამამცირებელ დაღს. გარდა ამისა დავითის ვარსკვლავი ნაცისტურ ბანაკებში გამოიყენებოდა როგორც განმასხვავებელი ნიშანი

ტყვეების გარკვეული კატეგორიისათვის. ამავე დროს ამერიკასა და ინგლისში მაგენ დავითს განიხილავდნენ როგორც იუდაიზმის სიმბოლოს, ანალოგიურს ქრისტიანული ჯვრისა, და ამ მიზეზით გამოსახავდნენ მაგენ დავითს მოკავშირეების რიგებში დაღუპული ებრაელი მეომრების საფლავებზე, ისევე, როგორც ქრისტიანების საფლავებზე - ჯვრებს.

დავითის ყვითელი ვარსკვლავი ორი ცისფერი ზოლის ფონზე, შუაში თეთრი ზოლით წარმოადგენდა ებრაული ბრიგადის ემბლემას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იყო ბრიტანული არმიის ნაწილი. შესაძლოა, რომ ამ სიმბოლოს ავტორებს სურდათ გადაექციათ ნაცისტების ყვითელი ვარსკვლავი სიამაყის საგნად.

ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ სიონისტური მოძრაობის დროშა, რომლის შუაგულში გამოსახულია ცისფერი მაგენ დავითი, გახდა სახელმწიფოებრივი დროშა (13).

ისრაელის დროებითმა მთავრობამ მიიღო დროშის და გერბის კომისიის გადაწყვეტილება და დაამტკიცა ის 1948 წლის 28 ოქტომბერს. ასე გახდა დავითის ცისფერი ვარსკვლავი ისრაელის სახელმწიფოს სიმბოლო. ამავე დროს გერბის სახით არჩეული იყო უფრო აუტენტური და ძველი ებრაული ემბლემა - მენორა, ტაძრის შანდლის გამოსახულება.

მიკვე

მიკვე (პირდაპირი მნიშვნელობით დაგროვილ (წყალს) ნიშნავს, რიტუალური უწმინდურობისგან განბანისათვის (ტებილა) განკუთვნილ წყლის რეზერვუარს).

მიკვე სინაგოგასთან არსებული რიტუალური აბანოა, რომლის დანიშნულება არა მხოლოდ ჰიგიენური სისუფთავის დაცვაა, არამედ რიტუალური განწმენდაა. ამიტომ მიკვეში წინასწარ დაბანილები შედიან.

ცნობები და კანონები მიკვეს შესახებ ჯერ კიდევ თორაშია მოხსენიებული. შემდგომში მიკვეს კანონები თალმუდში ტრაკტატშია თავმოყრილი და აგრეთვე სხვა თალმუდის შემდგომ ლიტერატურაში განიხილება.

მიკვეში განბანა ბიბლიაში მითითებული შემთხვევებისა და რიტუალური სიწმინდის დარღვევის შემთხვევებისას არის დაწესებული.

ტაძრის დანგრევის შემდეგ მამაკაცების განბანა აუცილებლობას კარგავს.

მეორე ტაძრის ეპოქაში მიკვეში განბანა ფართო მასებისათვის იყო სავალდებულო და მას იერუსალიმის დროებითი მმართველი უცხოელი მეფეებიც კი აღიარებდნენ. იერუსალიმში სადღესასწაულოდ ჩამოსულ პილიგრიმთათვის მრავალრიცხოვანი მიკვეები იგებოდა და ტაძარში შესვლამდე ყველასთვის სავალდებულო იყო მიკვეში განბანა. მეორე ტაძრის ეპოქის მიკვეს არქეოლოგიური გათხრები (მაგ. კუმრანში, მასადაზე, ჰეროდონში) ადასტურებს, რომ თანამედროვე მიკვე მიშნას და თალმუდის დროინდელი მიკვეს ყველა დამახასიათებელ ნიშნებს ინარჩუნებს. მიკვე ყველა დროისა და ქვეყნის ებრაული თემისა და საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და როგორც წესი სინაგოგასთან არსებობს.

მიკვე უშუალოდ მიწაზე იგება და დაუშვებელია მზა ბლოკების გამოყენება, მისი იატაკი და კედლები წყალს არ უნდა უშვებდეს, არც შემომავალს, არც გამდინარეს. მასში მხოლოდ მდგარი წყალი უნდა იყოს. მიკვეში მინიმალური სავალდებულო წყლის რაოდენობა 40 სეა (750 ლიტრი). 40 სეა სხვადასხვა გამოთვლების თანახმა დაახლოებით 250-დან 1000 ლიტრამდეა. წვიმის წყლით ან ბუნებრივი წყაროდან (ნიადაგიდან) უნდა იყოს შევსებული, შემდეგ კი შეიძლება ნებისმიერი სხვა წყლის დამატება. მიკვეს ყველაზე გავრცელებული კონსტრუქცია შედგება წყლის დასაგროვებელი რეზერვუარისგან (როგორც წესი - აუზისაგან), სადაც მიღებით 40 სეა წვიმის წყალი ჩაედინება (ძირითადად სახურავიდან) და წყალი შემდეგ ემატება ქალაქის წყალმომარაგების სისტემიდან.

უკანასკნელ დროს მიკვე ძირითადად ქალებისთვისაა განკუთვნილი, უპირველეს ყოვლისა პატარძლის ქორწილის წინ განწმენდის რიტუალური დანიშნულება აკისრია და აგრეთვე გათხოვილი ქალებისთვის ყოველთვიური განწმენდის რიტუალს წარმოადგენს. მიკვეს წმინდა წყალში ჩაყვინთვა სულიერ სისუფთავესთანაა ასოცირებული.

მიკვეში განბანა მითითებულია განწმენდის მიზნით, ქალებისთვის მშობიარობის შემდეგ ან ყოველთვიური ციკლის დასრულების შემდეგ. აგრეთვე იუდაიზმში გადასვლისთვის. ზოგიერთი თემისათვის განბანა სულიერი განწმენდის საშუალებას წარმოადგენს, მაგალითად შაბათის დადგომამდე, დღესასწაულების და მარხვის წინ, განსაკუთრებით იომ-ქიფურისათვის. მიკვეს აგრეთვე არაებრაელების მიერ გაკეთებული ჭურჭლის გასაწმენდად იყენებენ.

კაბალისტებისთვის და ხასიდებისთვის ყოველდღიური ღოცვის “შახარიტის” წინ აუცილებელია მიკვეში განბანა.

გერმანიაში მიკვეს უძველესი ნანგრევები მე-12 საუკუნით თარიღდება (კიოლნი, 1170 წ.) ვორმში მიკვე წარმოადგენს მიწისქვეშა ნაგებობას, რომელთანაც ჩაყავს 19 საფეხურს და კიდევ 11 საფეხური – წყალში ჩასასვლელად. ასევეა აგებული მიკვე ქაიროში და “ტიფერეთ ისრაელის” სინაგოგის სარდაფში იერუსალიმის ძველ ქალაქში.

საინტერესოა, რომ უძველესი დროიდან მიკვეში განბანის რიტუალის ჰიგიენურ მხარეს დიდი ყურადღება ეთმობოდა. ეზრას დადგენილების თანახმად, ქალებს მიკვეში განბანის წინ თავი უნდა დაებანათ. შუა საუკუნეებში მიკვეს უმეტესობა აბანოს ფუნქციასაც ითავსებდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ებრაელებს ქრისტიანებთან ერთად მდინარეებში ბანაობა ეკრძალებოდათ.

თანამედროვე მიკვეში ცალკე სააბაზანო ოთახებია, სადაც ქალები ბანაობენ, და წესრიგდებიან, ეს ერთგვარი მომზადებაა მიკვეში განბანის წინ, რაც თავით ჩაყვინთვასაც ითვალისწინებს.

განბანვა (נְחֻלָּה, ტებილა, ზუსტი მნიშვნელობით “ჩაყვინთვა”, “ჩაფლობა”), რიტუალური სისუფთავის აღსადგენი ჩვეულებაა, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც აუცილებელია რიტუალური სისუფთავე და განწმენდა. ამიტომ განბანის წინ აუცილებელია წინასწარ ბანაობა.

განბანა სხვა უძველესი რელიგიებისთვისაც იყო დამახასიათებელი, სხვადასხვა ფორმით ის თავის მნიშვნელობას ქრისტიანობაში და ისლამშიც ინარჩუნებს. იუდაიზმში გარკვეული მიმდინარეობები განბანას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ებრაულ ტრადიციაში სამი ტიპის განბანა არსებობს: სრული, ხელ-ფეხის და ხელების განბანა.

ადამიანის ან საგნის განბანა განწმენდისათვის უნდა ჩატარდეს ან მაიმ ხაიმში (“ცოცხალ წყალში”), ანუ მდინარის, ბუნებრივი წყაროს ან ზღვის წყალში, ან მიკვეში. განსაბანი ადამიანი ან საგანი ფიზიკურად უკვე სუფტა უნდა იყოს და წყალი სხეულის ან საგნის მთელ ზედაპირს უნდა ეხებოდეს. ტრადიციული გახდა სამჯერადი განბანა. სრული განბანა ხუთწიგნეულში რიტუალური უწმინდურობის უმეტესს შემთხვევებშია დადგენილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა განბანას ტაძრის მსახურებისათვის ჰქონდა, ვინაიდან ტაძარში

მსახურების აღვლენისას და “წმინდა” საკვების მიღებისას განწმენდილები უნდა ყოფილიყვნენ. ტაძარში შესვლაც კი მხოლოდ რიტუალურად განწმენდილი ადამიანებისათვის იყო დასაშვები. ფარისევლებს შორის რიტუალური სისუფთავის დაცვა ჩვევად გადაიქცა. სრული განბანვა აგრეთვე იუდაიზმში გადასვლის ცერემონიის ნაწილს წარმოადგენს.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ლევიტები განბანდნენ ხელებს ქონებს ლოცვა-კურთხევის დაწყებამდე, ამიტომ ხელების განბანვის სურა გახდა ლევიტების ჰერალდიკური სიმბოლო და ხშირად გამოისახებოდა მათი საფლავის ქვაზე. ხელების განბანვა საჭიროა ბევრ სხვა შემთხვევაშიც-ზოგჯერ ჰიგიენური თვალსაზრისით, ზოგჯერაც ცრურწმენის გამო.

განსაკუთრებულ რიტუალს განეკუთნება საგნების განბანვა. სამზარეულოს და სასადილოს მეტალის და მინის ნივთები (არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კერამიკულ და ფაიფურის ჭურჭელზე). განბანილი უნდა იყოს მიკვეში, ახალი ჭურჭელიც კი, თუ ის შექმნილია არაებრაელისგან, რადგან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ნივთი ეხებოდა არაქაშერ საკვებს. ასეთ განბანვას თან ახლავს ბენედიქცია.

სინაგოგა (ბერძნ.: *synagogue*, ტრანსლიტ. სენაგოგე, „ყრილობა, თავშეყრა“; *תּוֹבָא* ბეით ქნესეთ, „თავშეყრის სახლი“; *לִישׁ* ორ *תּוֹב* *הַלְוִי* ბეით თფილა, „ლოცვის სახლი“; *הגותא*, ესნოგა) — ებრაული სალოცავი ადგილი.

სინაგოგას, როგორც წესი, აქვს ერთი ვრცელი დარბაზი ლოცვებისათვის, მცირე ოთახები სასწავლებლად და ხშირად საზოგადოებრივი დარბაზი და ოფისები. ზოგიერთს ასევე ცალკე ოთახი აქვს თორას სასწავლოდ, რომელსაც ბეით მიდრაშ-ს უწოდებენ — *תּוֹב שׂרָמ* (ბეით მიდრაშ, „სწავლის სახლი“).

სინაგოგა წარმოიქმნა პალესტინაში (ძვ. წ. IV ს), ეგვიპტეში (ძვ. წ. III ს). იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის (პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიები) გაფართოების შემდეგ სინაგოგები არსდება ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ.

სინაგოგაში ასრულებენ ღვთისმსახურებას, კითხულობენ და კომენტარებს უკეთებენ ბიბლიასა და თალმუდს, მართავენ რიტუალურ ტრაპეზებს. შუა საუკუნეებში ვინც იუდეურ დოგმებს გადაუხვევდა, სინაგოგიდან განკვეთდნენ (მაგალითად: ურიელ აკოსტა, სპინოზა).

სინაგოგის არქიტექტურული კომპოზიცია და დეკორი ძირითადად მავრიტანულია, თუმცა უფრო ხშირად შეესაბამება იმ ქვეყნისა და ეპოქის არქიტექტურულ სტილს, სადაც შენდება.

მენორა (ებრ. *מנורה* — მენორა, "განათებელი") — ოქროს შვიდტოტიანი განათებელი (შვიდსანთელა), რომელიც ბიბლიის თანახმად მდებარეობდა სკინიაში. მერე გადმოიტანეს იერუსალიმში იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევამდე, არის იუდაიზმის ერთ ერთი უძველესი ატრიბუტი. მენორა გამოსახულია ისრაელის სახელმწიფო გერბზე.

რიმონიმ (სეფერთორის დამაგვირგვინებელი) – ებრ. სიტყვა ბროწეულის მრავლობით რიცხვია, რის ფორმასაც წააგავდა თავდაპირველადს გვირგვინი.

ბროწეულის სიმბოლიკა განპირობებულია მისი ფერით, ფორმითა და შინაგანი სტრუქტურით, რომელიც განასახიერებს მრავლობის და მრავალფეროვნების ერთობისა და ერთიანობის პრინციპს. ძველ ბერძნულ ტრადიციაში ნაყოფიერების, აყვავებისა და ოჯახური ცხოვრების სიმბოლოა.

ფინიკიელაბთან ბროწეული სიცოცხლის სიმბოლოა და მზის ღმერთის ატრიბუტია. ბროწეული მოიხსენება აღმოსავლური ტრადიციის ზოგიერთ წმინდა წიგნში და აგრეთვე ბიბლიაში, სადაც სილამაზის სახიერებად და სამყაროს მთლიანობის სიმბოლოდაა წარმოჩენილი.

ბროწეულს სამკურნალო თვისებებიც გააჩნია, რის გამოც მან “ღვთაებრივი” ნაყოფის სტატუსი მიიღო.

იუდაისტურ ხელოვნებაში ბროწეული – შეცნობის და სიცოცხლის ხის სიმბოლოა. ხე, რომლის ფესვები ღრმად მიწაშია, ხოლო ტოტები ცისკენ არის მიმართული, ბევრ კულტურაში სამყაროს ღერძის სიმბოლოა, რომელიც აერთიანებს ცას და მიწას. ებრაულ ტრადიციაში შეცნობის ხე და სიცოცხლის ხე არსებობს. ღმერთმა ისინი ედემას ბაღში მოათავსა. შხავდასხვა ლეგენდებში შეცნობის ხე იდენტიფიცირებულია როგორც ლეღვის ხე, ვაშლის ხე, ბროწეული, ეტროგი (ლიმნის მაგვარი ციტრუსის ნაყოფი). ცნობილია აკრძალული ნაყოფის “შეცნობის” მრავალი ინტერპრეტაცია: მორალური

კანონები, სექსუალური, რაციონალური, ინტელექტუალური ცოდნა. ქრისტიანობისგან განსხვავებით, იუდაიზმი ადამის და ევას ცოდვას არა აკრძალული ნაყოფის შეცნობის ხიდან გასინჯვაში, არამედ ღმერთის ნების დარღვევაში ხედავს.

თაღმუდისტურ ლიტერატურაში სიცოცხლის ხეს ერთაზროვანი განმარტება არ ეძლევა. აპოკრიფულ წყაროებში ეს ზეთისხილის ხეა. მიდრაშში აღწერილია, რომ ის ედემის ბაღის ცენტრში იდგა და მთელს ედემს ჩრდილავდა. ის მწვერვალს დიდების 7 ღრუბელი ფარავდა, ხოლო მის ნაყოფს გემოსა და არომატის 15 ათასი ელფერი დაჰკრავს. ტრადიცია ზეთის ხილის ხეს თორას უკავშირებს. ოცვის თანახმად, თორა - სიცოცხლის ხეა მათთვის, ვინც “მასზეა შეჭიდებული”, და “ჩვენს შორის არსებულ მარადიულ სიცოცხლეს” წარმოადგენს. ხის ღერძს, რომელზეც თორის გრაგნილია დახვეული, ასევე სიცოცხლის ხეს უწოდებენ. ამ ღერძების კიდევს აგვირგვინებს ბროწეულის ფორმის “რიმონიმი”.

დროთა განმავლობაში თორის გრაგნილის ხის ღერძების ფორმა გართულდა. აღრუელები მზადდებოდა ხილის, კერძოდ ბროწეულის ფორმის, ტაძრის სვეტების მსგავსი. მოგვიანებით სიტყვა “რიმონ” (ბროწეული) თორის ღერძის ნებისმიერ გვირგვინს აღნიშნავდა. ასეთი მორთულობანი არა მხოლოდ ბროწეულის, არამედ სხვა ხილის, გვირგვინის, გუმბათის ფორმის მზადდებოდა. ცნობილია ვერცხლის რიმონიმები ვაშლის, მავრიტანული თაღების, სამიარუსიან სამრეკლოების, ყვავილების თაიგულის, სამსართულიანი კოშკის ფორმის. XV ს. სიციალიაზე კვადრატულ კოშკების ფორმის რიმონიმებსა და თორა-შილდის ფირფიტებზე პატარა ზანზალაკების მიმაგრების წესი დამკვიდრდა. ეს წესი გავრცელდა და დღემდე პოპულარული მთელს ევროპაში. ზანზალაკების მელოდიური ხმა თორის შესწავლით გამოწვეული სიხარულის სიმბოლოა და მლოცველებს თორის მოახლოებას აცნობებს და პირველი თაძრის ღვთისმსახურთა სამოსელის კიდევზე მიმაგრებული ზანზალაკების ხმას, რათა ისმოდეს ის წმინდა ადგილას ღვთის წინაშე.

ბროწეული შემთხვევით არ იყო არჩეული თორის გრაგნილის მოსართავად, საუკუნეების მანხილზე ის ძალზე პოპულარული მოტივი იყო ებრაულ დეკორატიულ ხელოვნებაში. ტაძრის კაპიტელებზე ბროწეულები და ლილიები

იყო გამოსახული. თქმულების თანახმად, სოლომონ მეფის გვირგვინსაც ბროწეულის ფორმა ქონდა. ბროწეულის გამოსახულება ძველ მონეტებზეც ხშირად გვხვდება.

მიდრაშის მტკიცებით ბროწეულის მარცვლების რაოდენობა 613-ია, რაც თორის მცნებათა რიცხვს შეესაბამება. ბროწეული მჭიდრო კავშირშია რომ-ა-შანას დღესასწაულთან, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წელიწადის ამ დროს მწიფდება, ნაყოფის “გვირგვინი” ებრაული ახალი წლის ერთ ერთ ცენტრალურ თემასთან – მეფობასთან და მესიის მოსვლასთან ასოცირდება. მონანიების დღეებში ებრაელები უფალს მიმართავენ ლოცვით, რომ მათი კეთილი საქციელნი ისეთივე მრავალრიცხოვანი იყოს, როგორც ბროწეულის მარცვლები. ბროწეულის ნაყოფი ერეც-ისრაელის ერთ ერთი შვიდი სიმბოლური მცენარეთაგანია.

ფინიკის პალმა

თანახში ერეც-ისრაელი მოხსენიებულია როგორც მიწა, რომელიც რძითა და თაფლით მოედინება. აქ მოყვანილ სტროფებში თაფლში ფინიკის სეროფი იგულისხმება. ამაზმა ფორმამ და სიმაღლემ პალმა პოპულარულ და მოტივად იქცა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. პალმის ფოთლებს ტრიუმფალურ მსვლელობისას იყენებდნენ, პალმის რელიეფი კი შეიძლება ვნახოთ როგორც ტაძარში, ასევე სინაგოგებში. ებრაული სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ რომაელები მონეტებზე პალმის ქვეშ ტრაურში მჯდომ ქალს გამოსახავდნენ – ეს დამარცხებული იუდეის სიმბოლო იყო. ბიბლიურ პერიოდში პალმა სილამაზის, სინატიფისა და ნაყოფიერების სიმბოლოა.

ებრაულ ტრადიციაში **ლულავს** – პალმის რტოები გაუშლელი ფოთლებით – ატარებენ სინაგოგაში მსვლელობის დროს როგორც ერთ ერთ იმ ოთხი სიმბოლური მცენარეთაგანს, რომელსაც სუქაში ანთავსებენ. ვინაიდან პალმა მთლიანად გამოყენებადია (ფინიკები საკვებად გამოიკენება, ფოთლები და ხე კი მშენებლობაში), რაბინები ებრაელ ხალხს პალმას ადარებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ისრაელის ხალხის შორის არ არიან უვარგისები (“ბერემიტ რაბა”, 41:1). ფინიკის პალმისა და მისი ფოთლების გამოსახულება – სამართლიანობის სიმბოლოა.

ვაზის ლერწი უძველესი დროიდან დღემდე ისრაელის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებს და ნაყოფიერებით, ფაქიზი გემოთი, რომლისგანაც მაღალი ხარისხის ღვინოს ამზადებენ. ლერწი ყოველთვის აძლევდა ადამიანს საკვებს, ღვინოს, მზისგან თავშესაფარს.

პირველად ვაზი, როგორც კულტური მცენარე, ბიბლიაშია ნახსენები ნოესთან დაკავშირებით, როცა უდიდესი წარღვნის შემდეგ ნოემ მიწისა დამუშავება დაიწყო და ვაზი გააშენა. (“ბერეშითი”, 9:20-21, 24)

ყურძნის მტევანი – “გეფენი” – მესამეა მცენარეთა შვიდ სახეობას შორის, რომლებიც ისრაელის მიწის ნაყოფიერების სიმბოლოა (“ღვარიმი”, 8:8).

ყურძენი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის სიმბოლოა. საქორწინო კონტრაქტზე – “ქეთუბაზე” – ხშირად გამოსახავენ ყურძნის მტევანს ფსალმუნის შემდეგი სტროფიდან გამომდინარე: “ცოლიო შენი, როგორც ვაზის ლერწამი ნაყოფიერია” (“თეილიმი”, 128:3)

ჩიტები, რომლებიც ყურძნის მარცვლებს ჭამენ, იმ სულის სიმბოლოა, რომელიც მარადიულ სიცოცხლეს ეზიარა. ელინიზირებულმა ებრაელებმა ეს მოტივები სინაგოგების მოზაიკებიდან, სამარხებისა და სარკოფაგების ორნამენტებიდან გადმოიღეს. შესაძლოა ეს გამოსახულებები სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის იმედის სიმბოლოს განასახიერებდნენ. დროთა განმავლობაში ამ სიმბოლოებმა დაკარგა რელიგიური შინაარსი და მხოლოდ ჩვეულებრივ დეკორატიულ ელემენტებათ იქცა. ყურძნის მტევანი – მოსავლის სიმბოლოა, აგრეთვე დალოცვის სიმბოლო – კიდუში, ამიტომ ხშირად ღვინის თასებსა და შაბათის სხვა საგნებზე გამოსახავენ. სუქაში მოსართავად ყურძნის მტევნებს იყენებენ.

ყურძენი ან ქიშმიში, ერეც-ისრაელის ნაყოფიერების ერთ ერთი შვიდი სიმბოლური მცენარეთაგანაა, რომელიც თუ-ბი-შვათის სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ნაყოფია.

ყვავილები სილამაზის და არომატის წყალობით ბევრ კულტურაში საკულტო სიმბოლოებად და დეკორის პოპულარულ ელემენტად იქცა. თანახში მოხსიენებული ყვავილები ერეც ისრაელის უძველესი მცენარეებია, მაგრამ მათი სახელწოდებები ყოველთვის არ შეესაბამება ანალოგიური დასახელების

თანამედროვე მცენარეებს. მაგალითად, “შოშანა”, ჩვეულებრივად ითარგმნება როგორც ვარდი ან ლილია, თუმცა ეს სიტყვა შეიძლება აგრევე ნიშნავდეს “შროშანა”, “გიაცინტი”, “კროკუსი”, “ნარცისი” ბიბლიაში ყვავილების სახელწოდებები ხშირად სილამაზის, არომატის, სიცოცხლის წარმავალობის, სინაზისა და სასწაულის სიმბოლოებია. ტაძარში ყვავილებს გამოსახავდნენ წმინდა ჭურჭელზე, ავეჯზე, აგრეთვე გვირგვინზე.

ძველ დროში ყვავილების გვირგვინს ატარებდნენ ქალწულები, პატარძლები და სასიძოვები, საომარ მოქმედებებში გამარჯვებულები; ყვავილებისგან ამზადებდნენ ზეთს, რომელიც გამოიყენებოდა ტაძარში მსახურობისას. გვირგვინებს იდგავდნენ სუქოთში სადღესასწაულო მსვლელობის მონაწილეები. ზოგოერთ ებრაულ ტომში ყვავილების გვირგვინს თავზე ადგავდნენ მშობლებს, როდესაც ისინი ათხოვებდნენ ან აქორწინებდნენ ბოლო შვილს.

შავოუტის დღესასწაულის დროს სინაგოგის ყვავილებით მორთვა სიმბოლურად ასახავს ებრაელთა თავშეყრას სინაის მთასთან- “საქორწინო” საჩუქრის, თორას მისაღებად. არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც თორას გადაცემის დღეს სინაის მთა დაიფარა ყვავილებით.

ამერიკასა და ისრაელში სინაგოგაში დამკვიდრდა ხუფას, სუქას, ასევე ბიმას მორთვა ყვავილებით, როცა ტარდება ბარ და ბათ-მიცვა, ან რაიმე განსაკუთრებული ღმერთმსახურება. სახლებში ყვავილები ამშვენებენ მაგიდებს შაბათს და სადღესასწაულო დღეებში. ისრაელის ველური ყვავილები გახდნენ ერეც-ისრაელის სილამაზის და ნაყოფიერების სიმბოლო.

თორაში შოშანა (ვარდი) ქალური სილამაზის სინონიმია. “სიმღერათა სიმღერაში” სატრფო ეკალთა შორის შოშანას ედრება. ვინაიდან თალმუდისტურ ლიტერატურაში “სიმღერათა სიმღერა” ინტერპრეტირებულია როგორც სიყვარულის აღეგორია ღმერთსა და ისრაელს შორის, ეს ყვავილიც ებრაელი ხალხისა და მისი ღმერთან კავშირის სიმბოლოა. ვარდი ხშირად მოიხსენიება მიშნაში. იგი ასოცირებს შავუყოთის დღესასწაულთან, რომელიც დროით მის ყვავილობას ემთხვევა, ხოლო ვარდის კვირტი, რომელიც იდეალურ ყვავილად იფურჩქნება, სინაის მთაზე თორის ჩუქების სიმბოლოა.

ებრაელების სიკვდილისაგან ხსნისა და მტერზე გამარჯვების ისტორია, რომელიც მოთხრობილია “შეგილათ ესთერში”, ბაბილონის სამეფოს დედაქალაქ

შოშანაში. ეტყობა სიტყვების “შოშან” და “შოშანა” თანხმონება აკავშირებს ვარდს ფურიმის დღესასწაულთან. ამ დღესასწაულისას ვარდებით რთავენ სინაგოგებს, ფურიმის ჭურჭლის ორნამენტებშია გამოყენებული და ასევე დეკორატიული ელემენტები.

“ზოარის” წიგნში ნათქვამია, რომ 13-ფურცლიანი ვარდის მსგავსად, ღვთაებრივი გულმოწყალების 13 ატრიბუტი მოიცავს ებრაელ ხალხს. ვარდი ხალხური შემოქმედების რიტუალური საგნების, სურნელოვანი კოლოფებისა და ქეთუბების პოპულარულ მოტივად იქცა.

ტირიფი

ძველ ბაბილონში, ეფერატის ნაპირებზე დევნილი ებრაელები გაჭირვების უამს მღეროდნენ: “ტირიფებზე ჩამოგვიდეთ ჩვენი კინორები, რადგანაც ჩვენი დამტყვევებლები ითხოვდნენ სიმღერას და ჩვენი დამცინებლები-გართობას. როგორ ვიმღეროთ საღმრთო სიმღერა უცხო მიწა-წყალზე?” (137 ფსალმუნი).

კინორა-არის მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც წააგავს არფას. კინორას გამოსახულება ტირიფზე გახდა მე-9 ავის სიმბოლო (თიშა ბე-ავ) და გამოხატავდა მწუხარებას ტაძრის დანგრევის გამო. გამოთქმა “მტირალა ტირიფი” ასევე ასახავს კავშირს ტირიფსა და გლოვას შორის.

მიდრაშში ოთხი სახეობის მცენარეთა და ისრაელის ხალხის შორისაა გავლებული პარალელი.

მიდრასმა ჩაატარა შედარება ისრაელის ოთხ მცენარეს და მოსახლეობას შორის და ადარებს ტირიფს იმ ებრაელებს, რომლებმაც არ იციან თორა და არ სჩადიან კეთილ საქმეებს.

ტირიფი უპირველეს ყოვლისა ასოცირდება წყალთან. ისაიას წინასწარმეტყველების მიხედვით: “აღმოცენდებიან ისინი (იაკობის შთამომავლები) ბადასსა შორის, როგორც ტირიფი წყლის დინებაში”. ხოშან-რაბათზე-სუქოთის დღესასწაულის მეშვიდე დღეს-ტირიფის ხეებს აცლიან ტოტებს და ურტყავენ მიწას. თალმუდში ნათქვამია, რომ ამ დღეს “წყდება მსოფლიოს ბედი-მიეწოდება თუ არა მას წყალი” (ანუ რამდენად ნაყოფიერი ზამთარი იქნება მიწათმოქმედებისთვის ერეც-ისრაელში).

ვაშლი

ბევლ დროში ვაშლი იყო გავრცელებული ორნამენტული სიუჟეტი. იდეალური ფორმის, ტკბილი გემოსი და არომატის წყალობით ის გახდა სილამაზის, სიტკბოს და იმედის სიმბოლო. რძეში ამოვლებული ვაშლი არის ებრაული ახალი წლის-როშ-ხა-შანის მთავარი ელემენტი და გვევლინება იმედის და ბარაქიანი “ტკბილი” ახალი წლის სიმბოლოდ.

აქედა

მრავალი საუკუნის მანძილზე აქედა იყო ებრაული ხელოვნების პოპულარული მოტივი. იცხაკის მსხვერპლთშეწირვა ხშირად იყო გამოსახული დანის ტარზე და ლანგარზე, რომლითაც მიჰყავდათ ჩვილი მოელთან. ეს გამოსახულება ასახავს მშობლების იმედს, რომ მათი შვილის წინადაცვეთა უტოლდება ავრაამის მიერ თავისი შვილის მსხვერპლად შეწირვას.

კიბე

მსოფლიოს მრავალ კულტურაში არსებობს წარმოდგენა მბრუნავ ღერძზე, რომელიც აერთიანებს ორ სამყაროს (ცას და მიწას). კიბე არის სიმბოლო ვერტიკალური კავშირის-ან ადამიანის სულიერი ამაღლება, ან ზეციური მადლი, გარდამოსული ადამიანებზე უდავოა, რომ კიბე, რომელიც იაკობმა ნახა სიზმარში არის ებრაული კულტურის ყველაზე ცნობილი კიბე: “და დაესიზმრა მას: აი კიბე დგას მიწაზე, ხოლო მისი კიდე ცას სწვდება.. და ია ღვთის ანგელოზები აღიან ამ კიბეზე” (“ბერეშითი” 28:12) იაკობის სიზმარში ნანახი კიბე, ისევე როგორც ებრაული ტრადიციის ბევრი სხვა კიბე არის ანტროპომორფული აზროვნების გარდასახვა აბსტრაქტულში.

ტრადიციის მიხედვით ზოგიერთი აშკენაზიური ტომის წარმომადგენლები იომ-კიპურის წინ მიირთმევენ ჰალას გამომცხვარი კიბით, ნიშნად იმისა, რომ მათი ლოცვა შესმენილი იქნება ზეცაში. შავოუტზე კიბე ჰალაზე განასახიერებს მოსეს, რომელიც ადის სინაიზე თორას მისაღებად.

ჰასიდები აღიქვამენ კიბის გამოსახულებას როგორც სულიერი განვითარების სიმბოლოს: სულიერი თავშეკავებულობის მიღწევით ადამიანი ადის სიწმინდის საფეხურებით მაღლა.

სასწორი

სასწორი-ძალიან ძველი სიმბოლოა,სავარაუდოდ წარმოშობილია მესეპოტამიიდან.ის წარმოადგენს კავშირს დანაშაულსა და სასჯელს შორის. დაბალანსირებული სასწორი მეტყველებს ჰარმონიასა და თანასწორობაზე.

ზოდიაქოს მეშვიდე ნიშანი-ლიბრა (23 სექტემბერი-21 ოქტომბერი)-როგორც წესი გამოისახება სასწორის სახით. ხშირად ზოდიაქოს ეს ნიშანი გამოსახულია შიშველი ადამიანის სახით,რომელსაც ხელში უჭირავს ჰორიზონტალურ ღერძზე გაწონასწორებული სასწორი. ელინიზმის ეპოქაში ებრაულ სინაგოგებში იატაკზე შეხვდებოდით სასწორის მოზაიკურ გამოსახულებებს. ბერძნები უკავშირებდნენ ამ სიმბოლოს ასტრას-სამართლიანობის ქალღმერთს. ჩვენ დროში სასწორი ასევე არის კანონის და სამართლის სიმბოლო.

ებრაული ახალი წელი - რომ-ჰა-შანა - აღინიშნება თიშრას მეშვიდე თვეს და განმსჭვალულია სამართლიანობის მოტივებით,რომლებსაც განასახიერებს სასწორი. სადღესასწაულო ლიტურგიაში ასახულია საღვთო სასწორზე დადებული ადამიანთა ქცევის თემა.

“არონ-ხა-კოდეში” - თორას გრაგნილის შესანახი კარადა

“არონ-ხა-კოდეში”(ქივოთი)-“წმინდა კარადა“-ნივთი,რომელსაც აქვს როგორც გამოყენებითი,ასევე სიმბოლური მნიშვნელობა,არის სინაგოგას განუყოფელი ატრიბუტი. მასში ინახება თორას გრაგნილები,ისევე,როგორც ოდესღაც კიდობანში ინახებოდა აღთქმის ფურცლები.თავდაპირველად კარადა იყო გადასატანი,შემდეგ მას აშენებდნენ სინაგოგას კედელში. ოდითგანვე არონ-ხა-კოდეში განლაგებულია იერუსალიმისკენ მიმართულ კედელზე,ხოლო თავად იერუსალიმში- ტაძრის მთაზე. არონ-ხა-კოდეში კარიბჭე განასახიერებს გზას,რომელსაც მივყავართ თორასთან და

დმერთთან.

წმინდა კარადის დამზადების ტრადიციებში სხვადასხვა ორნამენტების გაჩენა მეტყველებს სხვა ხალხების კულტურის შემოჭრაზე და გავლენაზე ებრაელ ხალხზე.

მე-18 საუკუნის გერმანიაში კარადები მზადდებოდა ბარის სტილით: სვეტებით, ფრონტონებით და ლარნაკებით. აღმოსავლეთ ევროპის სინაგოგოებში ქივოტები მზადდებოდა განსხვავებული მანერით-მასზე გამოსახული იყო ლომები, არწივები და ირმები. ზოგიერთი ქივოტი, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ამერიკაში, მზადდებოდა მავრიტანულ სტილში: გუმბათებით და გეომეტრიული ორნამენტით დაფარული თაღებით.

მიუხედავად განსხვავებული დეკორატიული მორთულობისა კარადებს აქვთ ერთნაირი ფუნქციური დატვირთვა. როგორც წესი ის დაფარულია ამოქარგული ჩამოსაფარებლით-“პაროქეთი”. ხშირად მის წინ ან უკან განლაგებულია კარი. ზოგიერთ შემთხვევაში პაროქეტის წინ ათავსებენ ნაჭრის ზოლს, რომელიც მოგვაგონებს კიდობანის თავსახურს-“კაპორეტს”. აპარონ-ხა-კოდემის კლასიკური დეკორის ელემენტებია-სჯულის ფიცარი, ორი აღრიალებული ლომი, თაღები, პორტალი, კარიბჭე, გვირგვინი, მენორა, ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

ფაროხეთი – სეფერთორის კარადის (ე.წ. აღთქმის კიდობანის) ფარდაა, რომელიც გამოყოფს „წმინდა ადგილს“ (ჰა-კოდემ) „წმინდათა წმინდასაგან“ (კოდემ-ჰა-კოდამიმ). ტრადიციულად დიასპორაში სინაგოგა სამხრეთისკენაა ორიენტირებული, ხოლო მისი შესასვლელი იერუსალიმისკენაა მიმართული. სალოცავის დარბაზის ცენტრში “თებაა” აღმართული, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს უკანა კედლის ცენტრში “აპარონ-ჰა-კოდემი” – წმინდა კარადაა განთავსებული, სადაც სეფერ თორები (თორის გრაგნილები) ინახება. პაროხეტი თორაშიცაა მოხსენიებული როგორც ფარდული, დამზადებული ლურჯი, იასამნისფერი ან ალისფერი ქსოვილისაგან და მოქარგული ქერუბიმებით ოქროს საკიდებით ოქროთი მოპირკეთებულ ოთხ სვეტზე დამაგრებული, რომელიც გამოყოფს წმინდა ადგილს წმინდათა წმინდასაგან. (გამოსვლა 26:31-33)

სხვა ატრიბუტების მსგავსად, აღთქმის კიდობანის ფარდა, როგორც წესი, საჩუქრად გადაეცემა სინაგოგას, როგორც შემოწირულობა რაიმე

მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად და უმეტეს წილად ხელითაა მოქარგული.

სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ქვეყნების დიასპორებში განსხვავებული სტილის პაროხეტებს ვხვდებით, მაგრამ, როგორც წესი, პაროხეტი მზადდება ძვირფასი ქსოვილისაგან (ხავერდი, აბრეშუმი, უფრო იშვიათად სელი, ბამბა) და ოქრომკედით, ვერცხლმკედით და აბრეშუმის ძაფებითაა მოქარგული.

საინტერესოა, რომ ჩვენ მუზეუმში დაცული პაროხეტები ორი განსხვავებული ტიპის დეკორითაა მორთული, თუმცა სტილისტურად ორივე აშკენაზური წარმომავლობისაა და მე-XIX საუკუნეშია დამზადებული.

ევროპულ ტრადიციაში ძალიან გავრცელებული იყო ასეთი ტიპის გამოსახულებანი, გვირგვინი, რომელის მიუთითებს სეფერთორის გვირგვინზე, ლომებს (იერუსალიმის სიმბოლო) მოსეს ათი მცნება უჭირავთ, არწივებს კიდევ ერთი გვირგვინი და ქვემოთ მენორა – სინაგოგის სიმბოლო. მეორე პაროხეტზე განსხვავებული, მაგრამ ასევე გავრცელებული დეკორია: სტილიზირებული ოთხი სვეტი, რომელიც თალივით იკვრება და მცენარეული და ყვავილების მოტივებით მდიდრულადაა ორნამენტირებული.

სოლომონის ტაძარი (ებრ.: תב שדךמג, ბეით ჰამიკდაშ), ასევე პირველი ტაძარი, ბიბლიურად პირველი ებრაული ტაძარი იერუსალიმში. ტაძარი ლოცვებისა და მსხვერპლშერწირვის უმთავრესი ადგილის დანიშნულებას ასრულებდა. ტაძრის მშენებლობა დასრულდა ძვ. წ. X საუკუნეში. ტაძარი, რომელიც 410 წელი იდგა, ბაბილონელებმა გაანადგურეს ძვ. წ. 586 წელს. მეფე ნაბუქოდონოსორმა დაიბყრო იერუსალიმი, ხოლო იუდეველები ბაბილონში გადაასახლა. მეორე ტაძრის მშენებლობა დაახლოებით ძვ. წ. 350 წ. ასრულდა. მეორე ტაძარი 420 წელი იდგა. ა. წ. 70 წელს რომაელმა იმპერატორმა ტიტუსმა დაანგრია მეორე ტაძარი და დაიბყრო იერუსალიმი, რასაც მოჰყვა 2000 წლიანი იძულებითი მიგრაცია. ტაძარი დანგრეული უნდა დარჩეს, სანამ ღმერთი მესიად არ მოაგვლენს დავითის შთამომავალს, რომელიც ისრაელს დაუბრუნებს ძველ დიდებას და იერუსალიმის ტაძარსაც აღაშენებს. ახლანდელი “გოდების კედელი” იერუსალიმში – სოლომონის ტაძრის ერთადერთი გადარჩენილი კედელია. ის უწმინდეს ადგილად ითვლება და მასთან მთელი მსიფლიოდან ჩამოსული პილიგრიმები ღოცულობენ.

მონოთეიზმი (ბერძნ. *μόνος* = ერთადერთი და *θεός* = ღმერთი), ერთღმერთიანობა, ამა თუ იმ რელიგიაში ერთადერთი ღმერთის არსებობა, უპირისპირდება პოლითეიზმს, მრავალღმერთიანობას. ფორმალურად მონოთეისტურად ითვლება იუდაიზმი (იაჰვე), ქრისტიანობა (მამადღმერთი), ისლამი (ალაჰი), მაგრამ სინამდვილეში ეს არც ერთ რელიგიაში არ ხორციელდება. თვით იუდაიზმი უძვ. წარსულში მრავალღმერთიანი ყოფილა (უძვ. ბიბლიური ღმერთი "ელოჰიმ" – "ღმერთები", ტექსტში შემორჩა). ქრისტიანული სამება სამსახოვანია. ისლამშიც – მუჰამედი. იუდეველთა და ისლამის სარწმუნოებას შემორჩათ ტომთა ღმერთების რწმენაც. ზიგმუნდ ფროიდმა თავის ანტირელიგიურ პამფლეტში "მოსე და მონოთეიზმი" (1950) ასეთი იდეა წამოაყენა: მოსე ფარაონის მსახური იყო.

ფარაონმა ეხნატონმა სცადა ეგვიპტეში ერთი ღმერთის – ატონის კულტის შემოღება. მის რეფორმას წინ აღუდგა ქურუმობა და როგორც კი ფარაონი მოკვდა, მზის ღმერთ ატონის საქმეც დასრულდა. მოსემ სცადა ეს იდეა ებრაელებში განეხორციელებინა, მაგრამ ხალხმა ის მოკლა, თუმცა შემდეგ ინანა, მოსე მაინც გააღმერთესო. ეს საინტერესო იდეა მხოლოდ ვარაუდებს ეყრდნობა, ფროიდი გრძნობს ამას და მიუთითებს: დასაბუთება ჩემს შრომაში "ტოტემი და ტაბუ" მოგახდინეო. იგულისხმება მისი "ოიდიპოსის კომპლექსი", შვილების მიერ მამის მოკვლა, მერე სინანული, მამის გაღმერთება და მის სახელზე ცხოველის ტოტემად გამოცხადება. ფსიქონალიზის ასეთი გზით ცხადია მონოთეიზმი ვერ აიხსნება, საკმარისი არგუმენტაციის არარსებობის გამო.

ფორმები

მონოთეიზმის რამდენიმე ფორმა არსებობს, მათ შორის:

თეიზმი - ტერმინია, რომელიც მიუთითებს ღმერთისა ან ღვთაებრივი არსების არსებობისადმი რწმენაზე.

დეიზმი - მონოთეიზმის ფორმა, რომლის რწმენით ერთი ღმერთი არსებობს. თუმცა, დეიზმი უარყოფს იდეას, რომ ეს ღმერთი მსოფლიოს განაგებს. მაშასადამე, რაიმე სახის ღვთიური გამოცხადება შეუძლებელია და ღმერთის არსში ჩაწვდენა მხოლოდ მედიტაციითა და სამყაროს ბუნებაზე დაკვირვებით არის შესაძლებელი. დეისტი ამგვარად უარყოფს სასწაულს და რელიგიურ ტექსტებს, როგორც რაიმე ღვთიური ცოდნის წყაროს.

მონისტური თეიზმი - მონოთეიზმის ტიპია ჰინდუიზმში. თეიზმის ეს ტიპი განსხვავდება სემიტური რელიგიებისგან ვინაიდან ის ეფუძნება პანთეიზმს, მონიზმს და ამავე დროს მოიცავს პირადი ღმერთის, როგორც უნივერსალური, ომნიპოტენტური უზენაესი არსების კონცეფციას. მონისტური მონოთეიზმის მიმდევარი სკოლებია რამანუჯა ან ვიშიშტადვატა, რომელიც აღიარებს, რომ სამყარო ღმერთის ნაწილია, ან ნარაიანა, პენენთეიზმის ფორმა, თუმცა მათი რწმენით უზენაეს არსებაში და დვატაში სული მრავლობითი ფორმითაა.

პანთეიზმის მიხედვით სამყარო თვით არის ღმერთი. ტრანსცენდენტური უზენაესი ღვთაების არსებობა ბუნებისგან განცალკევებით უარყოფილია. იმისდა მიხედვით თუ როგორ გავიგებთ ამგვარ რწმენას, პანთეიზმი შეიძლება ათეიზმის, დეიზმისა ან თეიზმის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ.

პანენთეიზმი, ან მონისტური მონოთეიზმი - თეიზმის ფორმა, რომლის მიხედვით ღმერთი შეიცავს, თუმცა იდენტური არ არის სამყაროსი. ერთადერთი ღმერთი არის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველი, ხოლო სამყარო კი ღმერთის ნაწილია, და ის ერთსადაიმევე დროს იმანენტური და ტრანსცენდენტურია.

სუბსტანციური მონოთეიზმი - ზოგიერთი აფრიკული რელიგიების საფუძველია, რომლის მიხედვით ბევრი ღმერთი არის ერთი ძირითადი სუბსტანციის მრავალი ფორმა და რომ ეს ძირითადი სუბსტანცია თავად არის ღმერთი. ეს შეხედულება ემსგავსება ქრისტიანული სამების კონცეფციას, რომელშიც სამი სუბსტანცია ერთის ნაწილია.

იუდაიზმი (ებრ. יהודה - იაჰადუთ) ებრაელი ერის რელიგია; ისტორიაში აღნუსხული პირველი მონოთეისტური რწმენა და ანტიკური ხანიდან შემორჩენილი ერთ-ერთი რელიგია. იუდაიზმის დოქტრინა და ისტორია მნიშვნელოვანი ნაწილია სხვა მონოთეისტურ, კერძოდ: სამარიულ, ქრისტიანულ და მუსლიმანურ რელიგიათა საფუძველებისა.

უკანასკნელი დაახლოებით 2000 წლის მანძილზე იუდაიზმის პრაქტიკული მიმდევრობა მონოლითური არ ყოფილა: მას არა ჰყოლია ცენტრალური სულიერი მმართველობა; არა ჰქონია შემოჭავი დოგმა. მიუხედავად ამისა, ყოველ ვარიაციაში იუდაიზმი მჭიდროდ დაკავშირებული დარჩა რამოდენიმე რელიგიურ პრინციპთან, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ერთადერთი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ყოვლად მოწყალე და უხილავი

(ტრანსცენდენტული) ღმერთის რწმენა; ღმერთისა, რომელმაც სამყარო შექმნა და რომელიც განაგრძობს მის განგებას. ებრაული აზროვნების მიხედვით სამყაროს შემქმნელმა ღმერთმა უძველესი აღთქმით კავშირი დაამყარა ებრაელ ერთან, როცა მათ თორის სახით მის მიერ დადგენილი კანონები და მცნებები გაუზიარა. ებრაული ღვთისმსახურება ყველაზე დიდ ადგილს უთმობს ამ კანონებისა და მცნებების შესწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებას ისე, როგორცაა ინტერპრეტირებული რელიგიის კანონიკურ წიგნებსა და რაბინულ ლიტერატურაში.

ებრაელი, რომელიც წყვეტს ებრაული ოჯახის ჩვეულებათა შესრულებას, მაინც ებრაელად ითლება. ებრაული კანონით, არც ის ებრაელი უნდა გამოაკლდეს ერს, ვინც ებრაული რწმენის პრინციპებს უარყოფს და აგნოსტიკურად, ან ათეისტურადაა განწყობილი. ამავე კანონით, სხვა სარწმუნოების მიმდები ებრაელიც კი ებრაელად ითვლება, თუმცა ასეთ შემთხვევაში ადამიანი კარგავს ყოველგვარ სტატუსს ებრაულ თემში.

ებრაული ფილოსოფია ფილოსოფიური დისციპლინისა და ებრაული თეოლოგიის გადაჯვარედინებას წარმოადგენს. შუა საუკუნეების ებრაელ ფილოსოფოსთა რიცხვს მიეკუთვნებიან საადია გაონი, შლომო იბნ გაბიროლი, იეჰუდა ჰალევი, მოშე ბენ მაიმონი, ლევი ბენ გერშონი. ებრაელთა განათლების მოძრაობამ (მე-18 საუკუნის მიწურულიდან მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე) დიდი ცვლილებები მოახდინა ებრაულ ფილოსოფიაში. ეს ცვლილებები გამოხატეს მოგვიანებით თანამედროვე ხანის ფილოსოფოსებმა მარტინ ბუბერმა, ფრანც როზენცვაიგმა, მორდეხაი კაპლანმა, აბრაჰამ ჯოშუა ჰეშელმა, ვილ ჰერბერგმა, იმანუელ ლევინასმა, რიჩარდ რუბინშტეინმა, ემილ ფაკენჰაიმმა, იოსეფ სოლოვეიჩიკმა.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ებრაელები რამდენიმე მიმდინარეობად დაიყვნენ. თითოეულ მათგანს სხვანაირად ესმის თუ რა უნდა იყოს ებრაელისათვის აუცილებლად მისაღები რწმენის პრინციპები და როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი ებრაელად. გარკვეულწილად, ამ დოქტრინულმა განსხვავებებმა განხეთქილება ჩამოაგდეს მათ შორის. მიუხედავად ამისა, გარკვეულ დონემდე ებრაული ერთობა შენარჩუნდა; კონსერვატორი ებრაელისათვის, მაგალითად არ იქნება უჩვეულო ორთოდოქსალურ ან რეფორმისტულ სინაგოგაში ილოცოს.

ორთოდოქსალური იუდაიზმის თანახმად, თორა ღმერთმა შექმნა, შემდეგ კი მოსეს უკარნახა, და ამიტომ თორის კანონები დამავალბელი და უცვლელია. ორთოდოქს ებრაელებს შულხან არუხი (ზეპირი კანონი) ებრაული კანონის საბოლოო კოდიფიკაციად მიაჩნიათ. ისინი აგრეთვე ამტკიცებენ, რომ ჩვენი დროის ორთოდოქსალური იუდაიზმი განათლების მოძრაობამდე არსებული იუდაიზმიდან უშუალოდ გამომდინარეობს. ორთოდოქს ებრაელთა უმრავლესობა ებრაული თეოლოგიის ერთ-ერთ ფორმას აღიარებს, რომელიც მოშე ბენ მაიმონის სარწმუნოების ცამეტ პრინციპს ეყრდნობა. ორთოდოქსალურ ებრაელობას არაფორმალურად ორი სტილის მორწმუნეები შეადგენენ; მათ შორის არსებული განსხვავებები მიზეზია ორი მიდგომისა, რომელსაც თანამედროვე ორთოდოქსალური იუდაიზმი ანსახიერებს ცალ-ცალკე. ფილოსოფიურად, ეს ორი ჯგუფი თანამედროვეობასთან შეგუების და აზროვნების არა-ებრაულ დისციპლინათა მნიშვნელობის საკითხებშია შეუთანხმებელი. პრაქტიკულ სფეროში ამ ორი ჯგუფის ებრაელები ჩაცმის სტილით და რელიგიური წესებისათვის თავგამოდების დონით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თანამედროვე ორთოდოქსალური იუდაიზმი ტრადიციული ებრაელობის ფართოდ გავრცელებული ფორმაა. იგი პატივს სცემს ისტორიულ ტრადიციებსა და წესებს, ტრადიციულად სწამს ღმერთი და ეწევა ღვთისმსახურებას, მაგრამ ამასთანავე აფასებს განათლებასა და მეცნიერებას. ხარედიული იუდაიზმი ძლიერ კონსერვატული ფორმაა. მას ზოგჯერ ულტრა-ორთოდოქსულსაც უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ხარედიული იუდაიზმის რამდენიმე ჯგუფი (როგორც ლუბავინური ხასიდებისა) თანამედროვე ორთოდოქსებისავით ეთვისება მოდერნიზაციას, ხარედიების უმრავლესობა თანამედროვე მატერიალურ კულტურას მხოლოდ ღმერთისათვის უკეთესი სამსახურის გაწევის საშუალებად თვლის, ხოლო თანამედროვე სულიერ კულტურას არავითარ ანგარიშს არ უწევს. კონსერვატული იუდაიზმის მიხედვით, ებრაული კანონი უცვლელი არ ყოფილა – იგი ყოველთვის ცვალებად პირობებთან შეგუებით ვითარდებოდა; კონსერვატორი ებრაელების აზრით, თორა ღმერთისაგან შთაგონებულ წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილი საღვთო საბუთია, მაგრამ ისინი უარყოფენ ორთოდოქსალურ შეხედულებას, რომ თორა ღმერთმა მოსეს უკარნახა. კონსერვატული იუდაიზმი ზეპირ თორასაც საღვთოდ და დამავალბელად მიიჩნევს, მაგრამ უარყოფს მისი კანონების ზოგ

ორთოდოქსალურ ინტერპრეტაციას. პროგრესული იუდაიზმი მრავალი მოძრაობისგან შედგება, რომლებსაც რამდენიმე ქვეყნის ებრაელთა შორის მრავალი მიმდევარი ჰყავთ.

რეფორმისტული იუდაიზმი, რომელსაც ზოგ ქვეყანაში ლიბერალურს ან პროგრესულსაც უწოდებენ, მე-19 საუკუნის გერმანიაში წარმოიშვა განათლების მოძრაობის გავლენით. სხვა მიმდინარეობებისგან მისი განსხვავებული თვისებაა იმის უარყოფა, რომ ებრაული კანონების შესრულება აუცილებელი რელიგიური ვალდებულებაა. რეფორმისტების აზრით, იუდაიზმის საკითხებში გაცნობიერებული თითოეული ებრაელი უნდა სარგებლობდეს ავტონომიით. რეფორმისტები ებრაული ტრადიციის ინდივიდუალურად შეთვისებას მოითხოვენ და არა დადგენილი წესებით ღვთისმსახურებას. საბოლოოდ, რეფორმისტებმა ებრაელობა დასახეს მხოლოდ რელიგიად, და არა ეროვნებად ან კულტურად. რეფორმისტებმა აგრეთვე უარყეს თორით ნაკარნახევი რიტუალური წესები და ყოფაცხოვრების შემბოჭავი, თორისავე ბევრი ამკრძალავი კანონი. სამაგიეროდ, რეფორმისტებმა ხაზი გაუსვეს წინასწარმწყველთა მოწოდებას ზნეობრივ სისპეტაკისაკენ. რეფორმისტულმა იუდაიზმმა თავისი ლოცვანიც გამოუშვა დიასპორის ქვეყნების ენებზე. ბოლო დროს, ბევრმა რეფორმისტულმა თემმა აღადგინა ებრაულ ენაზე ლოცვის ტრადიცია და ბევრი მათგანი მორწმუნეებს მოუწოდებს რამდენადმე დაიცვან ებრაული კანონები.

რეკონსტრუქციონისტური იუდაიზმი თავდაპირველად ფილოსოფიურ მიმდინარეობად წარმოიშვა მე-20 საუკუნის კონსერვატორი რაბინის მორდეხაი კაპლანის მიერ. ამ მოძრაობის მიზანია იუდაიზმის ხელახალი ინტერპრეტაცია თანამედროვე კულტურასთან მის შესაფასებლად.

ჰუმანისტური იუდაიზმი პატარა არარელიგიური მოძრაობაა, რომლის მტკიცებით ებრაული ვინაობა მათი ისტორიითა და კულტურით განისაზღვრება, და არა წმინდა ტექსტებით.

ორთოდოქს ებრაელთა უმრავლესობა ადამიანის ებრაელობას საზღვრავს არა იმით, თუ რომელი მიმდინარეობას მიეკუთვნება, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოსაა მისი ღვთისმსახურების წესები მათ წესებთან. ორთოდოქს ებრაელთა აზრით, ებრაელი, რომელიც არ ასრულებს შაბათის, იომ-ტოვების (წმინდა დღეების), ქაშრუთისა და ოჯახური სიწმინდის კანონებს, მორწმუნედ არ

უნდა ჩაითვალოს; ნებისმიერ ებრაელს, რომელიც თუნდაც მხოლოდ ამ კანონებს შეასრულებს, ისინი ღვთის მსახურად და მორწმუნედ ჩათვლიან.

იუდაისტიკა არის დისციპლინა, რომელიც შეისწავლის და იკვლევს იუდაიზმს, ანუ ისრაელის ხალხის ისტორიას, კულტურასა და რწმენას. ამ კვლევებში მთავარი ამოსავალი წერტილი არის ებრაული წერილობითი ძეგლების ფილოლოგიური ანალიზი. როგორც ცნობილია, ეს წყაროები სხვადასხვა ენაზე (ებრაული, არამეული, იუდეო-არაბული, იდიში, ლადინო, იუდეო-სპარსული) იქმნებოდა. წყაროთა ფილოლოგიური დამუშავების, მასალების შესწავლას და კვლევას განაგრძობენ იმ მეთოდებით, რომლებსაც ფილოსოფიის ფაკულტეტის სპეციალობებზე გამოიყენებენ.

იუდაისტიკა ფილოლოგიური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით იზიარებს და ითვალისწინებს ებრაელობის სწავლებათა ტრადიციებს, მაგრამ არსებობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც იუდაისტიკას როგორც აკადემიური სამეცნიერო დარგს გამოარჩევს იუდაიზმის სწავლებათაგან; იუდაიზმი იყო ებრაული სწავლება ებრაელობაზე და ებრაელთათვის, რასაც ამ ხალხის იდენტობის, თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე იუდაისტიკა ცდილობს ნეიტრალურ პოზიციებზე მდგომმა მეცნიერულად იკვლიოს სხვადასხვა პრობლემატური საკითხი. სწორედ ამ მიზეზის გამო არის ხშირად იუდაისტიკა დასავლეთის უნივერსიტეტების ფილოსოფიური, საისტორიო თუ კულტუროლოგიური ფაკულტეტების ნაწილი და არა თეოლოგიურისა. ასე ახერხებს იუდაისტიკა თავიდან აიცილოს კონფესიური შეზღუდვები, ან იუდაიზმის როგორც მხოლოდ რელიგიად განხილვა.

ამ სამეცნიერო დარგის არსებობის გამართლება არის ისიც, რომ ეს დარგი დაკავებულია სფეროთი, რომელსაც სხვა დარგები (სემიტოლოგია, ისტორია, ფილოსოფია) არ იკვლევენ და კერძოდ; იუდაიზმი გარე გავლენათა პასიური ობიექტი კი არ იყო, არამედ ადამიანური კულტურის აქტიური, ქმედითი ნაწილი, რომელიც სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. მხოლოდ ამგვარი ცენტრირებითაა შესაძლებელი იუდაიზმის როგორც ამ მრავალწახნაგოვანი კულტურული ფენომენის უკეთ შეცნობა.

ებრაისტიკა დაკავებულია ებრაული ენისა და კულტურის შესწავლით.

ებრაისტიკის დამფუძნებლად მიიხნევენ გერმანელ ჰუმანისტს იოჰანეს როიხლინს (1455 - 1522), რომელიც 1480 წლიდან კაბალის შესწავლით იყო დაკავებული. მან შეისწავლა ებრაული ენა და 1506 „ძველი ებრაული ენის გრამატიკა“ გამოსცა.

ძველებრაისტიკა

ძველებრაისტიკა იკვლევს ე.წ. კლასიკურ ებრაულს როგორც ძველი ისრაელის ენას და ძველ აღთქმას ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულიდან ვიდრე დაახლ. ჩვ. წელთაღრიცხვის 200-მდე.

სამარიტანისტიკა არის ებრაისტიკის ერთ-ერთი დარგი, რომელიც სამარიტანელთა ენისა და კულტურის შესწავლითაა დაკავებული.

დიასპორა ბერძნული წარმოშობისა სიტყვაა და "გაბნევა" ნიშნავს. დიასპორას იწვევს იძულებითი გადასახლება, გენოციდის საფრთხე, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება. თავდაპირველად ტერმინ "დიასპორას" იყენებდნენ პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელების მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამშობლოდან განდევნეს ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ (ძვ.წ. VI ს.), შემდეგ რომაელებმა ახ.წ. I-II სს-ში. შემდგომში იგი გავრცელდა სხვა ეთნიკური (მაგ. სომხები, ირლანდიელები, ჩინელები) და რელიგიური (მაგ. პირველი ქრისტიანები) ერთობების მიმართაც.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ცნება "დიასპორა" აღნიშნავს ეთნიკური უმცირესობის ჯგუფს, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში, ამასთან აქვს ძლიერი სენტრემენტალური და მატერიალური კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან. დიასპორის პრობლემა წარმოადგენს საშინაო პოლიტიკის ობიექტს და საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტს, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემაკავშირებელი ძაფია.

აკადემიურ კვლევებს დიასპორის საკითხზე საფუძველი ჩაეყარა XX ს-ის მე-2 ნახევარში, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა იმ დროისათვის ცნობილ ისტორიულ დიასპორებს. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა:

ებრაული დიასპორა: ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მისი ტერიტორიის გარეთ დარჩენილი ებრაული მოსახლეობა.

აფრიკული დიასპორა: აფრიკის კონტინენტიდან გამოყვანილი მონების შთამომავალი.

პალესტინა (ბერ.: פלשתינה, ებრ.: פלשתינה, არაბ.: فلسطين ფილასტინ ან ფალასტინ, იხ. აგრ. ქანაანელი) ერთ-ერთი ისტორიული სახელია მიწისა ხმელთაშუა ზღვასა და მდ. იორდანეს შორის, რამდენიმე მოსაზღვრე ტერიტორიებთან ერთად აღმოსავლეთითა და სამხრეთით. რეგიონის სახელწოდება წარსული სამი ათასწლეულის განამელობაში განსხვავებული ფორმებით არსებობდა.

ებრაელები ეძახიან ამ ტერიტორიას თავის ბიბლიურ სახელ "ერეც ისრაელ" ("ארץ ישראל"), ადგილი, სადაც ისრაელის სამეფო შეიქმნა.

ებრაელები - სემიტური მოდგმის ხალხი. რაოდენობა - 13,62 მლნ, მათ შორის აშშ-ში - დაახლ. 6 მლნ, ისრაელში - 4 მლნ, რუსეთის ფედერაციაში - 551 ათ.

სახელები: თვითწოდება - იეჰუდიმ, იდნ; ფრანგულად - Juifs; რუსულად - Евреи.

ენა: ებრაელთა დიდი ნაწილი ლაპარაკობს იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ცხოვრობენ. ებრაელთა ნაწილი ლაპარაკობს აგრეთვე ებრაულ ენებზე - ივრიტი, იდიში და სხვა.

მორწმუნეები: ძირითადად **იუდეველები**. დიასპორაში ისინი გაყოფილი არიან აშკენაზებად და სეფარდებად.

ბაბილონი იყო ანტიკური იმპერიის, მესოპოტამიის დედაქალაქი, რომლის ნანგრევები დღესაც დგას ირანში, ქალაქ ალ ჰილლაჰში, ბაღდადიდან სამხრეთით, 85 კილომეტრში. ერთდერით, რაც დღეს ამ ქალაქს გვახსენებს, ეს არის ტიგრისსა და ევფრატს შორის მესოპოტამიის ნოყიერ მიწაზე მდგარი ტალახის აგურებით ნაშენი შენობების ნანგრევები. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ბაბილონი, დაარსებული ძვ. წ-ით მე-3 ათასწლეულის დასაწყისში, თავიდან პატარა ქალაქი იყო, რომელიც აყვავდა პირველი დინასტიის აღზევების დროს. ძვ. წ-ით 2300 წელს ის ხდება წმინდა ქალაქი, ძვ. წ-ით 612 წელს კი სატახტო ქალაქი. ბაბილონის კიდული ბაღები შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთია. ქალაქის სახელი ბაბილონი არის ბერძნული ვარიანტი აქადური ბაბილუსი, რაც ნიშნავს "ღმერთების კარიბჭეს.

ნაბუქოდონოსორ II ბაბილონის მეფე. მეფობის წლები: ძვ. წ. 605 - ძვ. წ. 552.

ფესახი (ივრითი, იდიში: פֶּסַח) ანუ ქართ. პასეჟი არის უდიდესი ებრაული და სამარიული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველწლიურად ებრაული კალენდარის ნისანის თვის მე-15-ე დღიდან 21-ე (22-ე) დღის ჩათვლით. დღესასწაულის თარიღი თანამედროვე საერთაშორისო კალენდარით მოძრავია და მარტში ან აპრილში აღინიშნება. ფესახი არის ერთ-ერთი სამი პილიგრიმული დღესასწაულიდან. იგი ეძღვნება უფლის მიერ ებრაელთა გამოსვლას ეგვიპტელთა მონობიდან, პირველშობილ ყრმების გადარჩენას (რასაც წინ უძღვოდა ღვთის რისხვა ეგვიპტელთა მიმართ) და ანტიკური ევიპტიდან ებრაელთა გამოსვლას. საუფლო დღესასწაულზე (ისრაელში შვიდ და ისრაელის გარეთ რვა დღის მანძილზე) ებრაელები იცავენ მარხვას უფუარი პურის კვერით. ძველი აღთქმის წიგნი გამოსვლა მოგვითხრობს, ეგვიპტეში საშინლად იზაგრებოდა ებრაელი ხალხი. უფალმა მათ განსათავისუფლებლად მრავალი ნიშანი და ათი სენი მოუვლინა ეგვიპტეს. მაგრამ ფარაონს გული გასასტიკებული ქონდა. მაშინ უფალმა ეგვიპტელებს მოუვლინა ღვთის რისხვა - პირველშობილთა მოკვდინება. ებრაელები გაფრთხილებულები იყვნენ, სახლის შესასვლელ კარზე ნიშანი დაედოთ ბატკნის სისხლით. ამ ნიშნის მქონე კარს სიკვდილის ანგელოზი გვერდ აარიდებდა და სენი მათ არ შეეხებოდა^[4]. ასეთი განსასჯელისაგან თავზარდაცემულმა ფარაონმა ებრაელებს ნება დართო ეგვიპტიდან წასულიყვნენ. განთავისუფლებული ებრაელები ისე ჩქარობდნენ, რომ პურის აფუებას აღარ დაელოდნენ, უფუარი ცომისაგან ხმიადი კვერები დააცხეს და საგზლად წაიღეს. ამიტომ ფესახის დღეებში, როდესაც იხსენიებენ პირველშობილ ყრმათა ხსნას, მონობისაგან განთავისუფლებასა და ეგვიპტიდან გამოსვლას, არ ჭამენ აფუებულ პურს. ამის გამო დღესასწაულს მეორენაირად "უფუარობის დღესასწაულს" უწოდებენ (גד תוצמן - ჰაგ ჰა'მაცოთ)^[5] ^[6] ამ დღესასწაულის უშუალო სიმბოლო და აუცილებელი ატრიბუტია უფუარი პურის კვერი - ხმიადი, რომელსაც მაცა ეწოდება.

თორა (תורה) -- ებრაულად სწავლება, დარიგება, კანონი. თორა არის თანახის (תנ"ך) ნაწილი, რომელიც ქრისტიანული ბიბლიის ძველ აღთქმას შეესაბამება. თორა შედგება მოსეს 5 წიგნისაგან:

- დაბადება Genesis (ბერეშით בראשית) - მოსეს I წიგნი
- გამოსვლათა Exodus (შემოთ שמות) - მოსეს II წიგნი

ლექსიკონი Lexitikon (ვაიკრა 1778) - მოსეს III წიგნი

რიცხვთა Numeri (ბემიდბარ 277) - მოსეს IV წიგნი

მეორე რჯულისა Deuteronomium (დვარიმ 277) - მოსეს V წიგნი

ზეპირი თორა (77-777 777, თორა შე ბე ალ-პე), მიწაში და თალმუდში აღნუსხული ებრაული კანონებია. ებრაელთა აზრით, თანახთან (ებრაულ ბიბლიასთან) ერთად, ღმერთმა მოსეს ზეპირი თორაც უძღვნა სინაის მთაზე, ნაკარნახებ-ჩაწერილი ბიბლიის კანონების განმარტების მიზნით. მას შემდეგ ზეპირი თორა მართლაც ზეპირად გადაეცემოდა ებრაელთა სასულიერო წოდების თაობებს, პირველ საუკუნემდე.

იერუსალიმის მეორედ აღსრების შემდეგ (70წ.) რაბინებმა, ზეპირი ტრადიციის გაწყვეტის შიშით, ზეპირი თორის სახით მოცემული წესების ჩაწერა დაიწყეს. ჩაწერილი მასალა მე-3 საუკუნის დასაწყისში რედაქტირებულ იქნა რაბინ იეჰუდა ჰანასის მიერ. ზეპირი თორის ამ პირველ კოდექსს მიწნა(777) ეწოდება.

მომდევნო საუკუნეებში, იმ პერიოდის ბრძენმა რაბინებმა - ამორაებმა - მიწნაში მოცემული ზეპირი თორის წესებს საკუთარი ინტერპრეტაცია და კომენტარები დაუმატეს. ამ კომენტარებში ისინი ზოგჯერ ზეპირი თორის იმ წესებსაც აღნიშნავდნენ, რომლებიც მიწნაში არ შესულა (ასეთ წესს ბრაითა ჰქვია). მიწნაზე დამატებულ რაბინულ დისკუსიას გმარა (777) ეწოდება. მიწნასა და გმარას ერთად რედაქტირებით თალმუდი (777) შესდგება.

რადგან ანტიკური ხანის მიწურულში ებრაელები ორ დიდ თემად იყვნენ გაყოფილნი (უმრავლესობა ბაბილონის დიასპორაში ცხოვრობდა, უმცირესობას კი რომაელთა მიერ დაპყრობილი ისრაელის მკვიდრი წარმოადგენდნენ), ორი ქვეყნის ამორაებმა ცალ-ცალკე შეადგინეს თალმუდები. იერუსალიმის თალმუდი მე-4 საუკუნის ბოლო მესამედში რედაქტირებულ იქნა რაბინ იოხანან ბარ ნაფხას მიერ. მე-5 საუკუნის მიწურულში ბაბილონის თალმუდი რედაქტირებულ იქნა ორი ამორას მიერ, რომლებიც ცნობილნი არიან მხოლოდ მათი პირადი სახელებით - აში და რაბინა. ბაბილონის თალმუდი უფრო ვრცელი და ავტორიტეტულია.

საერთოდ, ზეპირი თორა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ზეპირი თორის თალმუდებში რედაქტირების შემდეგ, - დაწერილი თორის კანონთა სრულიად უშუალო ინტერპრეტაცია (ე.ი. ზეპირი თორის საფუძველზე მისი თალმუდში

განხილვის გაუთვალისწინებლობა), ან დაწერილი თორის ტექსტების მხოლოდ მათი ლიტერატურული შინაარსით ახსნა - მკრეხელობად ითვლება.

მართლმადიდებელ ებრაელთა აზრით, ზეპირი თორის საჭიროება ორი მიზეზიდან გამომდინარეობს:

დაწერილი თორის სწორად გასაგებად აუცილებელია ზეპირ თორაში მოცემული ახსნები და მითითებები - დაწერილი თორის ტექსტი ხანდახან გაურკვეველი შინაარსისაა, ხშირად კი მისი კანონები მათ შესასრულებლად საჭირო განმარტებისა და დარიგების გარეშეა მოცემული; ზოგჯერ თვით თორის ტექსტში ნავარაუდებია მის გასაგებად აუცილებელი ინფორმაციის არსებობა ცოდნის რომელიღაც გარეშე წყაროში.

რადგან ღმერთი უსაზღვროდ ბრძენია, მოსეს მიერ ჩაწერილი თორა კი ღმერთის მიერ ნაკარნახები სიტყვებისაგან შესდგება, არ შეიძლება, რომ ამ თორაში იყოს თუნდაც ერთი სიტყვა, - რომლის აზრი, ან ზუსტი მდებარეობა ტექსტში - მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და

წინადადებათა აგებულებით აიხსნებოდეს. ათი მცნება - ათი უმთავრესი კანონი (წესი), რომელიც ძველი აღთქმის ხუთწიგნეულის თანახმად თავად ღმერთმა მისცა მოსე წინასწარმეტყველს სინას მთაზე (ძველი აღთქმა, გამოსვლაჲ , 19:10-25).

ბიბლიის ქართული კანონიკური ტექსტის თანახმად მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე.

არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამასა ზედა.

მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა-ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.

პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

არა კაც-ჰკლა.

არ იმრუშო.

არ იპარო.

არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.

ძველი აღთქმის (39 წიგნი) დიდი ნაწილი დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე. მხოლოდ ზოგიერთ, შედარებით გვიანდელ წიგნში (ეზრასი და დანიელისა), გვხვდება მცირე ჩანართი არამეულ ენაზე. ზველი აღთქმა შედგენილობის მხრივ მეტად სხვადასხვაგვაროვანი კრებულია; შეიცავს ისტორიულ დოკუმენტებს, ხალხურ მითებისა და ლეგენდების ჩანაწერებს, სხვადასხვა ეპოქისა და სოციალურ ფენათა მსოფლმხედველობის ამსახველ იურიდიულ დოკუმენტებს, განსხვავებულ რელიგიურ კულტებთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველ ტექსტებს, რელიგიისა და ლირიკული პოეზიის

ნიმუშებს. ამ ნაირგვარი მასალის შეკრება, რედაქცია და კანონიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ძველ ებრაულ მონოთეისტური რელიგიურ კონცეფციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. საბოლოო სახე ებრაულმა ძველმა აღთქმამ საკმაოდ გვიან მიიღო. მისი კანონიზაცია დაიწყო ბაბილონის ტყვეობის შემდეგ - ძვ. წ. V საუკუნისა და დამთავრდა დაახლოებით ახ. წ. II საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ ძველი აღთქმის რედაქტორები ტექსტის გაერთიანებისას ცდილობდნენ მთლიანად მოეშალათ პირვანდელი სხვაობანი, წიგნს მაინც ახასიათებს შინაარსობრივი, ენობრივ-სტილისტური და ჯანრობრივი სიჭრელე. ხშირია როგორც შინაარსობრივი, ასევე ფაქტობრივი შეცდომები და წინააღმდეგობები. ძველ აღთქმას ებრაულად ერთიანი სათაური არა

აქვს, იგი სამ ნაწილად იყოფა. პირველს ეწოდება კანონი (ებრ. თორა), მის შედგენას ტრადიცია მოსეს მიაწერს, შედგება ხუთი წიგნისაგან (დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთამ, რიცხვთა და მეორე სჯული); მეორე ნაწილია წინასწარმეტყველნი; მასში შედის წიგნები - ისუ ნავესი, მსაჯულთა, სამოელის პირველი და მეორე წიგნი (ქართულად მეფეთა პირველი და მეორე), მეფეთა პირველი და მეორე (ქართულად მეფეთა მესამე და მეოთხე) წიგნი, ესაიასი,

იერემიასი, ეზეკიელისა და 12 მცირე წინასწარმეტყველისა - ოსიასი, იოელისა, ამოსისა, ობადიასი, იონასი, მიქეასი, ნაუმისა, ამბაკუმისა, სოფონიასუ, ანგეასი, ზაქარიასი და მალაქიასი. მესამე ნაწილში, რომელსაც ებრაულად დაწერილები ეწოდება, შედის ფსალმუნნი, სოლომონის იგავები, იობის წიგნი, ქებათა ქება, იერემიას გოდება, ეკლესიასტე და წიგნები ესთერისა, დანიელისა, ეზრასი, ნემიასი და ნეშტთა (პირველი და მეორე). ქრონოლოგიური ზღვარი ძველი აღთქმის ცალკეულ ნაწილებს შორის მეტად დიდია.

თორა (תורה) -- ებრაულად სწავლება, დარიგება, კანონი. თორა არის თანახის (תנ"ך) ნაწილი, რომელიც ქრისტიანული ბიბლიის ძველ აღთქმას შეესაბამება. თორა შედგება მოსეს 5 წიგნისაგან:

დაბადება ენესის (ბერეშით תישרוב) - მოსეს I წიგნი

გამოსვლათა ხოდუს (შემოთ תומש) - მოსეს II წიგნი

ლევიტელთა ეხიტკუს (ვაიკრა תרע"א) - მოსეს III წიგნი

რიცხვთა უმერი (ბემიდბარ רבמב) - მოსეს IV წიგნი

მეორე რჯულისა ეუტერონომიუმ (დვარიმ דברים) - მოსეს V წიგნი

ზეპირი თორა (תנ"ך-לש"ב תורה, თორა შე ბე აღ-პე), მიშნაში და თალმუდში აღნუსხული ებრაული კანონებია. ებრაელთა აზრით, თანახთან (ებრაულ ბიბლიასთან) ერთად, ღმერთმა მოსეს ზეპირი თორაც უძღვნა სინაის მთაზე, ნაკარნახებ-ჩაწერილი ბიბლიის კანონების განმარტების მიზნით. მას შემდეგ ზეპირი თორა მართლაც ზეპირად გადაეცემოდა ებრაელთა სასულიერო წოდების თაობებს, პირველ საუკუნემდე.

იერუსალიმის მეორედ აოხრების შემდეგ (70წ.) რაბინებმა, ზეპირი ტრადიციის გაწყვეტის შიშით, ზეპირი თორის სახით მოცემული წესების ჩაწერა დაიწყეს. ჩაწერილი მასალა მე-3 საუკუნის დასაწყისში რედაქტირებულ იქნა რაბინ იეჰუდა ჰანასის მიერ. ზეპირი თორის ამ პირველ კოდექსს მიშნა(משנה) ეწოდება.

მომდევნო საუკუნეებში, იმ პერიოდის ბრძენმა რაბინებმა - ამორაებმა - მიშნაში მოცემული ზეპირი თორის წესებს საკუთარი ინტერპრეტაცია და კომენტარები დაუმატეს. ამ კომენტარებში ისინი ზოგჯერ ზეპირი თორის იმ წესებსაც აღნიშნავენ, რომლებიც მიშნაში არ შესულა (ასეთ წესს ბრაითა ჰქვია).

მიზნაზე დამატებულ რაბინულ დისკუსიას გმარა (აზმა) ეწოდება. მიზნასა და გემარას ერთად რედაქტირებით თალმუდი (თმუ) შესდგება.

რადგან ანტიკური ხანის მიწურულში ებრაელები ორ დიდ თემად იყვნენ გაყოფილნი (უმრავლესობა ბაბილონის დიასპორაში ცხოვრობდა, უმცირესობას კი რომაელთა მიერ დაპყრობილი ისრაელის მკვიდრი წარმოადგენდნენ), ორი ქვეყნის ამორაებმა ცალ-ცალკე შეადგინეს

თალმუდები. იერუსალიმის თალმუდი მე-4 საუკუნის ბოლო მესამედში რედაქტირებულ იქნა რაბინ იოსხანან ბარ ნაფხას მიერ. მე-5 საუკუნის მიწურულში ბაბილონის თალმუდი რედაქტირებულ იქნა ორი ამორას მიერ, რომლებიც ცნობილნი არიან მხოლოდ მათი პირადი სახელებით - აში და რაბინა. ბაბილონის თალმუდი უფრო ვრცელი და ავტორიტეტულია. საერთოდ, ზეპირი თორა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ზეპირი თორის თალმუდებში რედაქტირების შემდეგ, - დაწერილი თორის კანონთა სრულიად უშუალო ინტერპრეტაცია (ე.ი. ზეპირი თორის საფუძველზე მისი თალმუდში განხილვის გაუთვალისწინებლობა), ან დაწერილი თორის ტექსტების მხოლოდ მათი ლიტერატურული შინაარსით ახსნა - მკრეხელობად ითვლება.

მართლმადიდებელ ებრაელთა აზრით, ზეპირი თორის საჭიროება ორი მიზეზიდან გამომდინარეობს:

დაწერილი თორის სწორად გასაგებად აუცილებელია ზეპირ თორაში მოცემული ახსნები და მითითებები - დაწერილი თორის ტექსტი ხანდახან გაურკვეველი შინაარსისაა, ხშირად კი მისი კანონები მათ შესასრულებლად საჭირო განმარტებისა და დარიგების გარეშეა მოცემული; ზოგჯერ თვით თორის ტექსტში ნავარაუდებია მის გასაგებად აუცილებელი ინფორმაციის არსებობა ცოდნის რომელიღაც გარეშე წყაროში.

რადგან ღმერთი უსაზღვროდ ბრძენია, მოსეს მიერ ჩაწერილი თორა კი ღმერთის მიერ ნაკარნახები სიტყვებისაგან შესდგება, არ შეიძლება, რომ ამ თორაში იყოს თუნდაც ერთი სიტყვა, - რომლის აზრი, ან ზუსტი მდებარეობა ტექსტში - მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და წინადადებათა აგებულებით აიხსნებოდეს.

ფესახი ანუ პასექი , ისევე როგორც შავოუთი და სუკოთი მიეკუთვნება სამ პილიგრიმულ დღესასწაულს (შალოშ რეგალიმ), როდესაც ისტორიული ტრადიციის თანახმად, მორწმუნეები ღოცვით მსვლელობას აწყობენ და მოილოცავენ იერუსალიმის ტაძარს. ანალოგიურ მომლოცველთა მსვლელობას აწყობენ სამარიტელები იმ განსხვავებით, რომ ამ მსახურებაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ და მოილოცავენ გერიზიმის მთას.

ჰამოდ” (ებრ. **לוח דעומי**). დიასპორა 8 დღის განმავლობაში ზეიმობს.

ძველი აღთქმის თანახმად, ფესახი აღინიშნება ებრაული კალენდრის მიხედვით ნისანის თვის 15 რიცხვში, სავსემთვარეობისას. ამისი შესაბამისი სამარიტიელებისა და კარაიტებისათვის არის აბიბის თვის 15 რიცხვი. ეს გაზაფხულის დღესასწაულია, რომელიც გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ დგება. ძველი ებრაული ტრადიციით ნისანის თვის დადგომის ნიშანი იყო ქერის მომწიფება. თუ ქერი არ დამწიფდა, მაშინ ნაკიანი თვე ადარის მეორე თვე უნდა დაემატოს კალენდარს. ბოლო 12 საუკუნის მანძილზე კალენდარი მათემატიკურად

გამოითვლება.

ფესახის ანუ პასექის დღესასწაულის პირველი და მეშვიდე დღე უქმეა, იკითხება ღოცვები, მზადდება სადღესასწაულო კერძები. შუალედ დღეებს ეწოდებათ ”ხოლ ხდა იმ მიზეზით, რომ შორს მცხოვრებ ებრაელს საკმარისი დრო ჰქონოდა იერუსალიმის ტაძარში წასასვლელად.

კარაიტები და სამარიტიელები ებრაული კალენდრისაგან განსხვავებულ კალენდარს იყვებენ და მათი პასექის თარიღი ოდნავ განსხვავებულია.

მაგალითად, 2009 წელს ებრაული კალენდარის ნისანის თვის 15 რიცხვი

შეესაბამება 9 აპრილს, ხოლო სამარიტიული და კარაიტული აბიბის თვის 15

შეესაბამება 11 აპრილს. კარაიტები და სამარიტიელები პასექის შვიდ დღეს

ერთნაირად აღნიშნავენ და მთელი დღესასწაულის განმავლობაში მიირთმევენ აუფუებულ პურს.

ადათ-წესი



ფესახის სუფრა



შინგამომცხვარი შმურა მაცა

პასექის ანუ ფესახის დღესასწაული უფლის მიერ დადგენილი წესით აღინიშნება, რომელიც აღწერილია ხუთწიგნეულში. ნისანის 10-ში ბატკანი ან კრავი უნდა საგანგებოდ უნდა გადაირჩეს, 14-ში უნდა დაიკლას, შეიწვას და უნდა მიირთვან 15-ში საღამოს. ამასთან მომზადებული უნდა იყოს უფუარი ხმიადები - მაცა და მწარე მწვანილი - მარორი. გამთენიისას საჭმლის ნარჩენები უნდა დაიწვას. ეს არის მსხვერპლშეწირვა.

პასექის რიტუალი ბიბლიის გარდა აღწერილია ძვ.წ.ა. V საუკუნის ეგვიპტურ პაპირუსებზე ე.წ. არამეულ პაპირუსებში; ჰეროდეს პერიოდის ფლავიუსის და ფილონის ხელნაწერებში.

ფესახი ანუ პასექი პირველად ნახსენებია ძველი აღთქმის ხუთწიგნეულში, გამოსვლაში. სიტყვის მნიშვნელობაზე რამდენიმე განმარტება არსებობს.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად ფესახ ნიშნავს გვერდის არიდებას და ხაზს უსვამს ფაქტს, რომ სიკვდილის ანგელოზმა გვერდი აარიდა ებრაელთა სახლებს და ღვთის რისხვა მათ არ შეეხოთ. ეს განმარტება მოცემულია ძველბერძნულ სექსტუაგინტაში.

ამავე მოსაზრებას ეყრდნობა პასექის ინგლისური სახელწოდება Passover ინგ. პასსოვერ (პასსედ ოვერ). ეს ტერმნი პირველად გამოყენებულია ბიბლიის უილიამ ტინდალისეულ თარგმანსა და ინგლისის მეფის ჯეიმზ I სტიუარტის ვერსიაში.

მეორე მოსაზრებით, ფესახს განიმარტება როგორც ფრთებით დაგიფარავ და ამ ზმნის მსგავსებას ზმნასთან, რომელიც გამოყენებულია ესაიას წინასწარმეტყველების 31:5 ფრაზაში [12].

მესამე მოსაზრებით, ფესახს აღნიშნავს ბატკანს, კრავს. აქედან მომდინაერობს ფრაზა კორბან ფსახს (ივრითი: "ზვარაკი" [17]), რაც ქართულად საზვარაკე კრავს ნიშნავს. 10 ნისანს შეირჩევა საზვარაკე კრავი, 14-15 ნისანის საღამოებს შორის პერიოდში დაიკვლება, შეიწვება და 15 ნისანს დაისის შემდეგ ფესახის წეს-განრიგის მიხედვით მიირთმევა. საზვარაკე კრავი - კორბან ფსახს, უფუარი პურის ხშიადი - მაცა და მწარე მწვანელი - მარორ სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი და პირდაპირი სიმბოლოებია.

ფესახის წეს-განრიგით საზვარაკე კრავი უნდა მიეტანათ კარავში, მოგვიანებით კი იერუსალიმის ტაძარში. საზვარაკე კრავი მოიხსენიება 14 ნისანის დღის ღოცვისა და ღვთისმსახურების დროს. ვინაიდან ფესახის კრავი წმინდა შესაწირია, მისი კერძით არ შეიძლება გაუმასპინძლდნენ იუდაიზმის უმეცარ და უწმინდურ აღამიანებს, განდგომილებს, მსახურებსა და წინადაუცვეთელებს[13].

კავშირი ახალ აღთქმასთან

ფესახის ანუ პასექის დღესასწაულზე იესო ქრისტე გაემართა იერუსალიმში, ისე როგორც უფლის მერ დადგენილი წესი მოითხოვდა. იერუსალიმელები მას პალმის რტოებით მიეგებენ. დღესასწაულის დღეებში აღსრულდა წინასწარმეტყველება, ძე ღვთისა გასცეს, შეიპყრეს, განსაჯეს, ჯვარს აცვეს, ხოლო სამი დღის შემდეგ იგი მკვდრეთით აღედგინა. ბზობა, ვნების კვირა და ბრწყინვალე ქრისტიანული დღესასწაული აღდგომა კალენდარულად დაკავშირებულია ფესახის დღესასწაულთან. მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება აღდგომას აღნიშნავს ფესახის დღესასწაულის შემდეგ. საადღგომო სუფრის ერთ-ერთი შემადგენელია აფუებული ნამცხვარი "საადღგომო პასქა". საადღგომოდ შეწირული კრავი სიმბოლოა იმ მსხვერპლისა, რაც გაიღო იესო ქრისტემ.

ბეელი აღთქმა, ლევიანნი 23:5-6 - პირველ თვეს, თვის მეთოთხმეტე დღეს უფლის პასექია. ამავე თვის მეთხუთმეტე დღეს საუფლო ხშიადობის დღესასწაულია. შვიდ დღეს უფუარი კვერები ჭამეთ.

რიცხვნი 28:17 - ამ თვის მეთხუთმეტე დღეს დღესასწაულია: შვიდ დღეს ხშიადები უნდა იჭამოს.

რიცხვნი 33:3 - რამზესიდან გაემგზავრნენ პირველი თვის მეთხუტმეტე დღეს; პასექის მეორე დღეს გავიდნენ ისრაელიანები გაბედულად მთელი ეგვიპტის თვალწინ.

გამოსვლა 12:13 - სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც ცხოვრობთ; დავინახავ სისხლს და გვერდს აგივლით. არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსვრას დავიწყებ.

გამოსვლა 12:17 - დაიცავით უფუარობა, რადგან სწორედ ამ დღეს გამოვიყვანე თქვენი მხედრობა ეგვიპტის ქვეყნიდან; დაიცავით ეს დღე თაობიდან თაობაში სამარადისო წესად.

ლევ. 23:6, რიცხ. 28:17, რიცხ. 33:3.

↑ გამოსვლა, XII თავი.

ესაია 31:5 როგორც ჩიტი ბარტყებს, ასე დაიფარავს ცაბათო უფალი იერუსალიმს, დაიფარავს და იხსნის, მოუფროთხილდება და გადაარჩენს.

გამოსვლა 12:43-48.

პასექის ანუ ფესახის დღესასწაული უფლის მიერ დადგენილი წესით აღინიშნება, რომელიც აღწერილია ხუთწიგნეულში. ნისანის 10-ში ბატკანი ან კრავი უნდა საგანგებოდ უნდა გადაირჩეს, 14-ში უნდა დაიკლას, შეიწვას და უნდა მიირთვან 15-ში საღამოს. ამასთან მომზადებული უნდა იყოს უფუარი ხმიაღები - მაცა და მწარე მწვანილი - მარორი. გამთენიისას საჭმლის ნარჩენები უნდა დაიწვას. ეს არის მსხვერპლშეწირვა^[11].

პასექის რიტუალი ბიბლიის გარდა აღწერილია ძვ.წ.ა. V საუკუნის ეგვიპტურ პაპირუსებზე ე.წ. არამეულ პაპირუსებში; ჰეროდეს პერიოდის ფლავიუსის და ფილონის ხელნაწერებში.

სახელწოდება

ფესახი ანუ პასექი პირველად ნახსენებია ძველი აღთქმის ხუთწიგნეულში, გამოსვლაში. სიტყვის მნიშვნელობაზე რამდენიმე განმარტება არსებობს.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად ფესახ ნიშნავს გვერდის არიდებას და ხაზს უსვამს ფაქტს, რომ სიკვდილის ანგელოზმა გვერდი აარიდა

ებრაელთა სახლებს და ღვთის რისხვა მათ არ შეეხოთ. ეს განმარტება მოცემულია ძველბერძნულ სექტუაგინტაში.

ამავე მოსაზრებას ეყრდნობა პასექის ინგლისური სახელწოდება პასოვერ ინგ. პასოვერ (პასსედ ოვერ). ეს ტერმნი პირველად გამოყენებულია ბიბლიის უილიამ ტინდალისეულ თარგმანსა და ინგლისის მეფის ჯეიმზ I სტიუარტის ვერსიაში.

მეორე მოსაზრებით, ფესახ განმარტება როგორც ფრთებით დაგიფარავ და ამ ზმნის მსგავსებას ზმნასთან, რომელიც გამოყენებულია ესაიას წინასწარმეტყველების 31:5 ფრაზაში [12].

მესამე მოსაზრებით, ფესახ აღნიშნავს ბატკანს, კრავს. აქედან მომდინაერობს ფრაზა კორბან ფსახ (ივრითი: "ზვარაკი" [17]), რაც ქართულად საზვარაკე კრავს ნიშნავს. 10 ნისანს შეირჩევა საზვარაკე კრავი, 14-15 ნისანის საღამოებს შორის პერიოდში დაიკვლება, შეიწვევა და 15 ნისანს დაისის შემდეგ ფესახის წეს-განრიგის მიხედვით მიირთმევა. საზვარაკე კრავი - კორბან ფსახ, უფუარი პურის ხშიადი - მაცა და მწარე მწვანილი - მარორ სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი და პირდაპირი სიმბოლოებია.

ფესახის წეს-განრიგით საზვარაკე კრავი უნდა მიეტანათ კარავში, მოგვიანებით კი იერუსალიმის ტაძარში. საზვარაკე კრავი მოიხსენიება 14 ნისანის დღის ლოცვისა და ღვთისმსახურების დროს. ვინაიდან ფესახის კრავი წმინდა შესაწირია, მისი კერძით არ შეიძლება გაუმასპინძლდნენ იუდაიზმის უმეცარ და უწმინდურ ადამიანებს, განდგომილებს, მსახურებსა და წინადაუცვეთელებს[13].

კავშირი ახალ აღთქმასთან

ფესახის ანუ პასექის დღესასწაულზე იესო ქრისტე გაემართა იერუსალიმში, ისე როგორც უფლის მერ დადგენილი წესი მოითხოვდა. იერუსალიმელები მას პალმის რტოებით მიეგებენ. დღესასწაულის დღეებში აღსრულდა წინასწარმეტყველება, ძე ღვთისა გასცეს, შეიპყრეს, განსაჯეს, ჯვარს აცვეს, ხოლო სამი დღის შემდეგ იგი მკვდრეთით აღედგინა. ბზობა, ვნების კვირა და ბრწყინვალე ქრისტიანული დღესასწაული აღდგომა კალენდარულად დაკავშირებულია ფესახის დღესასწაულთან. მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება აღდგომას აღნიშნავს ფესახის დღესასწაულის შემდეგ. სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი შემადგენელია აფუებული ნამცხვარი "სააღდგომო პასქა".

საადღეობოდ შეწირული კრავი სიმბოლოა იმ მსხვერპლისა, რაც გაიღო იესო ქრისტემ.

სქოლიო

ძველი აღთქმა, ლევიანნი 23:5-6 - პირველ თვეს, თვის მეთოთხმეტე დღეს უფლის პასექია. ამავე თვის მეთხუთმეტე დღეს საუფლო ხმადობის დღესასწაულია. შვიდ დღეს უფუარი კვერები ჭამეთ.

რიცხვნი 28:17 - ამ თვის მეთხუთმეტე დღეს დღესასწაულია: შვიდ დღეს ხმადები უნდა იჭამოს.

რიცხვნი 33:3 - რამზესიდან გაემგზავრნენ პირველი თვის მეთხუთმეტე დღეს; პასექის მეორე დღეს გავიდნენ ისრაელიანები გაბედულად მთელი ეგვიპტის თვალწინ.

გამოსვლა 12:13 - სისხლი გქონდეთ ნიშნად სახლებზე, სადაც ცხოვრობთ; დავინახავ სისხლს და გვერდს ავივლით. არ მოგეკარებათ დამღუპველი სენი, როცა ეგვიპტელთა შემუსვრას დავიწყებ.

გამოსვლა 12:17 - დაიცავით უფუარობა, რადგან სწორედ ამ დღეს გამოვიყვანე თქვენი მხედრობა ეგვიპტის ქვეყნიდან; დაიცავით ეს დღე თაობიდან თაობაში სამარადისო წესად.

ლევ. 23:6, რიცხ. 28:17, რიცხ. 33:3.

The Samaritans' Passover sacrifice by Amnon K'fir

↑ Ancient Samaritan sect marks Passover sacrifice near Nablus Haaretz 01.05.2007

↑ lev. 23:4

↑ Stephen Jones (1996) Secrets of Time.

გამოსვლა, XII თავი.

ესაია 31:5 როგორც ჩიტი ბარტყებს, ასე დაიფარავს ცაბათო უფალი იერუსალიმს, დაიფარავს და იხსნის, მოუფროთხილდება და გადაარჩენს.

გამოსვლა 12:43-48.

ხანუქა ერთ-ერთი უძველესი ისტორიული დღესასწაულია. მეორე ტაძრის პერიოდში, ძვ. წ. აღ. II საუკუნეში ისრაელი ბერძნებმა დაიბყრეს. მათ არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაუკარგეს ებრაელებს, არამედ თვით ებრაული სულის მთავარი არსის – სარწმუნოების განადგურება და ცდილობდნენ ებრაელები კერპთაყვანისმცემელ ელინებათ გადაექციათ. ბერძნები ცდილობდნენ რწმენას აეცდინათ ებრაელები, აეძულებინათ უარი ეთქვათ შაბათის და ქაშრუთის დაცვაზე, თორის შესწავლაზე. ტაძარში კი თავიანთი კერპები ქანდაკებები აღმართეს. ებრაელი ხალხი დათრგუნული იყო და ამავდროულად აჯანყების ნაპერწკალიც დგოვდებოდა. ქალაქ მოდიინში ქოენების (ტაძრის მსახურთა) ოჯახმა დაიწყო აჯანყება სიტყვებით “ვინც ღმერთისკენაა – ის ჩემსკენ”. აჯანყებას შეურთდა ყველა, ვინც სულით ძლიერი იყო და არ უნდოდა ებრაული ტრადიციების განადგურებას შეგუებოდა. არათანაბარ ბრძოლაში ებრაელებმა დაამარცხეს მრავალრიცხოვანი მტერი. ბარული აჯანყებული ჯარის სათავეში იდგა მამაცი მეომარი იეჰუდა მაკაბი (აქედანაა სახელწოდება მაკაბიელთა) ყველა და უკავშირდება მაკაბიელთა გამარჯვებას, როდესაც მათ ძვ. წ. 165 წელს სელეკიდების მიერ დაპყრობილი იერუსალიმის ტაძარი დაიბრუნეს. ბერძნების მიერ წაბილწულ ტაძარში მხოლოდ ერთი დღის სამყოფი წმინდა ზეთი იყო დარჩენილი, რომლითაც მენორას (ტაძრის შვიდსანთლიან შანდალს) ანთებდნენ. ახალი ზეთის გამოსახდელად კი რვა დღე იყო საჭირო. მოხდა სასწაული და სანთლები ზუსტად რვა დღე არ ჩამქრალა. ამიტომ ხანუქას სინათლის დღესასწაულსაც უწოდებენ ტრადიციულად ხანუქიაზე (ცხრასანთლიან შანდალზე) რვა დღის განმავლობაში ანთებენ სანთლებს (ერთი დამხმარე სანთლით ყოველ დღე თითო სანთელს ამატებენ).

ხანუქის დღესასწაულის წარმოშობის ისტორია სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული თალმუდსა და მაკაბელთა წიგნში.

თალმუდისეული ვერსიის თანახმად, სასწაული მენორის ანთებისას მოხდა.

ამიტომ ხანუქის დღესასწაული 8 დღე აღინიშნება და ანთებული შალდაში ფანჯრის რაფაზე იდგმევა, რომ აუწყოს სამყაროს მომხდარი სასწაულის შესახებ.

უძველესი ხანუქიები მაკაბიელთა ეპოქის შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება და წარმოადგენს გამომწვარი თიხის რვაბუდიან სანათურს. ასზე როგორც წესი გამოსახული იყო ან ტაძარი, ან მენორა.

რვა სანთლიანი შანდალი, რომელიც მენორის სასწაულის სიმბოლოა, ერთ ერთია იმ ორი მთავარი მორთულობისაგან, რომელთა სახეცვლილების მოწმენი გხდებით ორი ათასი წლის მანძილზე. მეორე თვით ტაძრის გამოსახულებაა, რომელიც ხანუქის დღესასწაულის სახელწოდებას უკავშირდება, ანუ “წმინდა ადგილის კურთხევა”. ამ ორი სიმბოლოს – ცეცხლი და არქიტექტურა - ცვლილებებს ხანგრძლივი ისტორია. ორივე მოტივი უცვლელი რჩებოდა, თუმცა იცვლებოდა ხანუქის ფორმა და სხვადასხვა ეპოქათა თუ ქვეყნის სტილს ასახავდა.

დიასპორაში შექმნილი ყველაზე უძველესი საკულტო საგნები, რომლებიც ჩვენამდე მოვიდა არაუადრეს მეთორმეტე საუკუნითაა დათარიღებული.

უძველესი საგანია ხანუქია, რომელიც მართკუთხა მარმარილოსაგანაა გამოთლილი. ფითილისთვის განკუთვნილი 8 ბუდე რომანული სტილის კოლონადას წარმოქმნის, მათზე აღმართული ფანჯრის ფორმის ჩაღრმავებითაა დაგვირგვინებული. ქვედა ნაწილში ამოკვეთილია ორსტროფიანი ტექსტი ივრითზე თორიდან: “მცნება არს ღამპარი და დარიგება” (იგავნი, თავი 6, 23).

იომ-ქიფური



მორის გოტლიბი, ებრაელები ლოცულობენ სინაგოგაში იომ-ქიფურის დღეს, ვენა, 1878.

იომ-ქიფური (ივრ. יוֹם קִיפּוּר, სიტყვასიტყვით «მიტევების დღე», ითარგმნება როგორც «გამოსყიდვის დღე», «განკითხვის დღე») — იუდაიზმში ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა დღესასწაული; მარხვის, აღსარებისა და ცოდვების მიტევების დღე; აღინიშნება ებრაული თიშრის თვის მეათე დღეს და მონანიების ათი დღის დასასრულია.

იომ ქიფურის დღე მიტევებისა და სულიერი ამაღლების მწვერვალია, რომელიც ებრაულ ერზე 40 დღის განმავლობაში გამგებლობს. 40 დღიან პირველი 30 დღე ელულის თვეს მიეკუთვნება. ეს არის პერიოდი, როდესაც ყოველი ადამიანი ვალდებულია დაუფიქრდეს, ჩაუღრმავდეს, გაითვითცნობიეროს საკუთარი ცხოვრების გაკლილი და გასავლელი, ლაბირინთებითა და შინაგანი სულის ჭიდილით გარემოსილი ცხოვრების გზა. შემდგომი 10 დღე კი – შინაგანი თრთოლების, შიშის და მონანიების პერიოდია, დრო, როდესაც ცოდვილმა შვილებმა ბოდიში უნდა მოუხადოთ “მშობელ მამას”.

იომ ქიფური – წმინდა დღეა, თორა ბრძანებს: “არ არსებობს ისრაელის შვილი, რომელსაც თეშუბის, გამჩენისკენ მობრუნების უნარი არ შესწევს”. რომ შინაგანი და იომ ქიფურს შორის 10 დღის ინტერვალში ყოველ ებრაელს ქრისტიანთა უმრავლესობა იომ-ქიფურს, როგორც «მიტევების», «გამოსყიდვის», «განკითხვის» დღეს არ აღნიშნავს, რადგანაც იგი ახალ აღთქმაში არ მოიხსენიება. თუმცა სწავლულები და თეოლოგები პოულობენ მჭიდრო კავშირს «იომ-ქიფურის» მნიშვნელობასა და ქრისტეს სამსჯავროზე წარდგომის დღეს შორის, რომელსაც მომავალში მოელიან ქრისტიანები.

მართლმადიდებლურ რელიგიაში იომ-ქიფურის დღეს შეესაბამება ორი დღე: ჯვართამაღლების წინა დღე, რომელიც ასევე სექტემბერში აღინიშნება მძიმე მარხვითა და ლოცვით, თუმცა ეს დღე ფიქსირებული თარიღია. ამ ორ რელიგიურ თარიღს შორის კავშირის რეალობას ბევრი თეოლოგი აღნიშნავს. დიდი პარასკევი - ვნების კვირის პარასკევი, როდესაც მართლმადიდებელი ქრისტიანები იხსენებენ უფალ იესო ქრისტეს ჯვარცმის დღეს, როდესაც იესომ გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები. მართლმადიდებლები ამ დღეს მკაცრად მარხულობენ და ლოცულობენ.

ნისანი (თვე) (ებრ. נִסָּן ებრაული კალენდარის სამოქალაქო წლის მეშვიდე თვე (მერვე თვე ნაკიან წლებში) და რელიგიური წლის პირველი თვე. სახელწოდება მომდინარეობს ბაბილონიდან. თორაში და ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში ნისანის თვეს ეწოდება «აბიბი» (ან ავივი), რაც ნიშნავს ქერის თავთავის მწიფობის დროს. ესთერის წიგნში კი უკვე გვხვდება «ნისანი». ეს თვე დგება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ და გრიგორიანული კალენდარის მიხედვით მარტს ან აპრილს შეესაბამება

ნისანის დღესასწაულები

14 ნისანი - მარხვა პირველშობილთა ხსნისათვის (თუ შაბათი დღე დაემთხვევა - 12 ნისანი)

15-21 ნისანი - ფესახი (დამატებით 22 ნისანი ებრაული დიასპორისათვის)

27 ნისანი - იომ ჰაშოა (თუ შაბათის დაემთხვა - 26 ან 28 ნისანი)

მნიშვნელოვანი თარიღები

7 ნისანი (1273 ძვ.წ.) - მსტოვრები იერიხონში

მოსეს გარდაცვალებიდან (7 ადარი) 30 დღის შემდეგ იესო ნავეს ძემ ორი მსტოვარი გააგზავნა მდინარე იორდანეს გაყოლებით იერიხონისაკენ. მზვერავებს უნდა მოეგროვებინათ ინფორმაცია, რომელიც საჭირო იყო წმინდა საომარი მოქმედებებისათვის. იერიხონში მათ დაეხმარათ იქ მცხოვრები ქალი რახაბი.

10 ნისანი (1274 ძვ.წ.) - მირიამის გარდაცვალება

მოსეს და მირიამი გარდაიცვალა 126 წლის ასაკში, 2487 წელს ებრაული კალენდრით, ეგვიპტიდან გამოსვლიდან 39 წლის შემდეგ და 1 წლით ადრე, ვიდრე ებრაელი ხალხი წმინდა მიწაზე დაბრუნდებოდა.

10 ნისანი (1273 ძვ.წ.) - მდინარე იორდანეს გადალახვა

იესო ნავეს ძის მსტოვრები დაბრუნდნენ იერიხონიდან. ისრაელები დაიძრნენ, მათ წინაშე იორდანე გაიპო, ისე როგორც წითელი ზღვის წყალი გაიპო 40 წლის წინათ ეგვიპტიდან გამოსული მათი მამების წინაშე (იესო 4)

15 ნისანი (1713 ძვ.წ.) - ისააკის დაბადება

უფალმა შესმინა აბრაამის ღოცვა და სარას შეეძინა ვაჟი ისააკი(დაბადება 21:1-6)

15 ნისანი (1313 ძვ.წ.) - გამოსვლა

უფალმა ეგვიპტელთა მონობიდან გაანთავისუფლა ებრაელი ხალხი და მოსეს წინამძღოლობით წმინდა მიწისაკენ დააბრუნა.

26 ნისანი (1245 ძვ.წ.) - იესო ნავეს ძის გარდაცვალება

იესო ნავეს ძე (1355-1245 ძვ.წ.) იყო ებრაელთა წინამძღოლი მოსეს შემდეგ , იგი შეუძღვა წმინდა მიწაზე ებრაელ ხალხს.

28 ნისანი (1273 ძვ.წ.) - იერიქიონის დაცემა

ისრაელის ხალხმა წმინდა მიწაზე დაიბრუნა პირველი ქალაქი - იერიხონი, ციხე-გალავანით იყო გამაგრებული. შვიდი დღის განმავლობაში ებრაელები მწყობრად უვლიდნენ გარს ქალაქის კედლებს და უკრავდნენ საყვირებს - სოფარს. მეშვიდე დღეს ქალაქის გალავანი ჩამოინგრა. (იესო .6)

ებრაული კალენდრის თვეები

თიშრეი | ხეშვანი | ქისლევი | ტვეეთი | შვატი | ადარი | ნისანი | იარი | სივანი | თამუზი | ავი | ელული



მოსე (ებრ.: *מֹשֶׁה* *მოშე*; არაბ.: *موسى*, *მუსა*) — ბიბლიის მიხედვით, ძვ. ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი.

უდიდესი წინასწარმეტყველის წოდება ისრაელის ძველ ისტორიაში მიმაგრებული აქვს მოსეს. იგი არა მარტო ებრაელი ერის დამფუძნებელი იყო როგორც ნაციის, არამედ მისი კანონმდებელი, მღვდელი და ღმერთთან შუამავალი. ალბათ ყველაზე კარგად ის ცნობილია თავისი ხალხის ზებუნებრივი გამოყვანით მონობიდან ეგვიპტეში ჩ.წ.-მდე 13-ე საუკუნეში.

მოსეს თანახმად, სამყარო 10 მცენაბაზე არის დამოკიდებული. რომლებგანაც ადამიანის ქცევის საბაზისო წესები გამოდის. მისი ცხოვრების ისტორია პირველად ადწერილი ბიბლიის წიგნ "ექსოდში", თუმცა არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი მითითებები წიგნებში "ციფრები", "ლევიტუსი" და "დეუტერუმი". დღეს იუდაიზმის რელიგია მხოლოდ იბლიის ამ ხუთ წიგნზეა დაფუძნებული (რომლებსაც ხშირად მოსეს წიგნებს ეძახიან). მათ ჰქვია თორა, კანონის წიგნები.დებატები მოსეს ცხოვრების ირგვლივ, მისი როლის ისრაელის წარსულში, მისი ავტორობის ბიბლიის პირველ ხუთ წიგნზე, მპვინვარებს მეცნიერთა შორის უკვე მრავალი მრავალი დეკადის განმავლობაში. სიმართლე

აღბათ არასდროს არ გაირკვევა. ისინი ვინც ბიბლიას სიტყვა-სიტყვით იგებენ, თვლიან, რომ ყველაფერი მოსეზე ნათქვამი არის აბსოლუტური ისტორიული სიმართლე. ხოლო სწავლულები და ისტორიკოსი კრიტიკები თვლიან, რომ წიგნში შემდგომში ბევრი ლეგენდარული, ფანტასტიკური ჩაიწერა. ისინი აგრეთვე დაუინებით ამბობენ, რომ, იგი ვერ მიიწერდა წიგნებს. ამ დაპირისპირებაში უპირატესობა აქვთ სწავლულებს, რადგანაც მათ დაამტკიცეს, რომ ბიბლია შედგება რამდენიმე გაერთიანებული ტექსტისგან.

ებრაული ერის წარმომავლობა



თავის მოქმედებებში მოსემ ისრაელისგან ცოტა მადლობა დაიმსახურა. ხალხი მუდამ ჩიოდა და ჯანყდებოდა. სინაის უდაბნოს გაჭირვებამ გახადა ისინი მსურველები რათა ეგვიპტეში დაბრუნებულიყვნენ. ისინი ისე შორს წავიდნენ, რომ დაიწყეს ახალგაზრდა ხარის თაყვანი,

რომელიც სავარაუდოდ იყო გაკეთებული კირქვისგან და არა ოქროსგან, როგორც ექსოდი გვეუბნება. ამის გამო ღმერთს მათი მიტოვება სურდა, თუმცა მოსე შეევედრა ღმერთს მას მისი ხალხის ქცევის პატიება.

მოსეს საბოლოოდ მიჰყავდა მისი ხალხი იორდანის მდინარის აღმისავლეთი ნაპირით პირდაპირ მათ დაპირებულ მიწასთან. მისი ბოლო ოფიციალური ბრძანება იყო სინაის შეთანხმება 40 წლიანი რთული მგზავრობის შემდეგ. შემდეგ იგი პისგაჰის მთაზე ავიდა .ამ მთიდან ღმერთმა მისცა მას ნებართვა რათა დაენახა დაპირებული მიწა, თუმც არ მისცა მას ნებართვა იქ წასვლის. იგი გარდაიცვალა მთაზე. ებრაელებს იგი შემდგომ არ დაუნახავთ, არც დაკრძალვის ადგილია ცნობილი. ხალხის მიტოვებამდე მან თავის შემცველად ჯოშუა დანიშნა.

ბიბლია (ბერძნ. ბიბლია – სიტყვასიტყვით წიგნები) - იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების "საღვთო" წიგნების კრებული. შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. ქრისტიანობა ცნობს ბიბლიის ორსავე ნაწილს. იუდაიზმი კი მხოლოდ ძველ აღთქმას.

ძველი აღთქმის (39 წიგნი) დიდი ნაწილი დაწერილია ძველ ებრაულ ენაზე. მხოლოდ ზოგიერთ, შედარებით გვიანდელ წიგნში (ეზრასი და დანიელისა), გვხვდება მცირე ჩანართი არამეულ ენაზე. ზველი აღთქმა

შედგენილობის მხრივ მეტად სხვადასხვაგვაროვანი კრებულია; შეიცავს ისტორიულ დოკუმენტებს, ხალხურ მითებისა და ლეგენდების ჩანაწერებს, სხვადასხვა ეპოქისა და სოციალურ ფენათა მსოფლმხედველობის ამსახველ იურიდიულ დოკუმენტებს, განსხვავებულ რელიგიურ კულტებთან დაკავშირებული რიტუალების ამსახველ ტექსტებს, რელიგიისა და ლირიკული პოეზიის ნიმუშებს. ამ ნაირგვარი მასალის შეკრება, რედაქცია და კანონიზაცია მჭიდროდ უკავშირდება ძველ ებრაულ მონოთეისტური რელიგიურ კონცეფციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. საბოლოო სახე ებრაულმა ძველმა აღთქმამ საკმაოდ გვიან მიიღო. მისი კანონიზაცია დაიწყო ბაბილონის ტყვეობის შემდეგ - ძვ. წ. V საუკუნისა და დამთავრდა დაახლოებით ახ. წ. II საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ ძველი აღთქმის რედაქტორები ტექსტის გაერთიანებისას ცდილან მთლიანად მოეშალათ პირვანდელი სხვაობანი, წიგნს მაინც ახასიათებს შინაარსობრივი, ენობრივ-სტილისტური და ჟანრობრივი სიჭრელე. ხშირია როგორც შინაარსობრივი, ასევე ფაქტობრივი შეცდომები და წინააღმდეგობები. ძველ აღთქმას ებრაულად ერთიანი სათაური არა აქვს, იგი სამ ნაწილად იყოფა. პირველს ეწოდება კანონი (ებრ. თორა), მის შედგენას ტრადიცია მოსეს მიაწერს, შედგება ხუთი წიგნისაგან (დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთამ, რიცხვთა და მეორე სჯული); მეორე ნაწილია წინასწარმეტყველნი; მასში შედის წიგნები - ისუ ნავესი, მსაჯულთა, სამოელის პირველი და მეორე წიგნი (ქართულად მეფეთა პირველი და მეორე), მეფეთა პირველი და მეორე (ქართულად მეფეთა მესამე და მეოთხე) წიგნი, ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა და 12 მცირე წინასწარმეტყველისა - ოსიასი, იოელისა, ამოსისა, ობადიასი, იონასი, მიქეასი,

ნაუმისა, ამბაკუმისა, სოფონიასუ, ანგეასი, ზაქარიასი და მალაქიასი. მესამე ნაწილში, რომელსაც ებრაულად დაწერილები ეწოდება, შედის ფსალმუნნი, სოლომონის იგავები, იობის წიგნი, ქებათა ქება, იერემიას გოდება, ეკლესიასტე და წიგნები ესთერისა, დანიელისა, ეზრასი, ნემიასი და ნემტა (პირველი და მეორე). ქრონოლოგიური ზღვარი ძველი აღთქმის ცალკეულ ნაწილებს შორის მეტად დიდია.

დასკვნა

1995 წელს შალომ კობოშვილის ნამუშევრებმა გამოიწვია ავტორის დაინტერესება იუდაიკით და მისი შემოქმედების შესწავლამ, თემატიკიდან გამომდინარე, მოითხოვა სიუჟეტების განმარტება. იუდაიკის საკითხებში უფრო ღრმა წვდომამ გააფართოვა ავტორის ინტერესი და გარკვეულ წილად უბიძგა სადისერტაციო თემის არჩევისაკენ. შალომ კობოშვილის ნამუშევრები ებრაული კოლექციის ნაწილს წარმოადგენს და მის შემოქმედებაში ასახული კოსტუმები, რიტუალური, რელიგიური თუ ყოფითი დანიშნულების ნივთები ინახება ამავე მუზეუმის ფონდებში. საინვენტარო წიგნებში ჩაწერილი მონაცემები ხშირ შემთხვევაში გადამოწმებას საჭიროებდა და ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღვივა მთლიანად ებრაული კოლექციის შესწავლისა და ხელახალი ატრიბუციის ლოგიკური სურვილი.

ეს სამეცნიერო კვლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ახალი მონაცემებია, მათი დადგენა მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე შესწავლილი მდიდარი პარალელური მასალის საფუძველზე, როგორც ლიტერატურულ წყაროებსა და იუდაიკის თემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი საიტებისა და აუქციონების დათვალიერებით, ასევე (რაც ყველაზე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა), სხვადასხვა ქვეყნებში ებრაული კოლექციების უშუალო შესწავლისა და ანალოგიურ ექსპონატებთან შედარების საფუძველზე.

დეკორატიული, რელიგიური, რიტუალური დანიშნულების ნივთების ატრიბუცია დაემყარა უმდიდრესი ანალოგიური მასალის უშუალო გაცნობას ფლორენციის, თელ ავივის, იერუსალიმის, ბერლინის, ლონდონის, პარიზის, პრადის ებრაულ მუზეუმებში.

უკანასკნელი ატრიბუციებიდან გამომდინარე, შეიცვალა ექსპონატების დათარიღება. ნაშრომში წარმოდგენილი ექსპონატები ცოტა სცდება დისერტაციის თავდაპირველ სათაურს და ასახავს იუდაიზმს საქართველოს არა მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მე-19 საუკუნიდან. ეს გადათარიღება ეხება მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალას, რელიგიური და რიტუალური დანიშნულების ნივთებს.

სადისერტაციო ნაშრომში აღნუსხულია ებრაული კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ავტორის მიერ მოხდა მათი ატრიბუცია, შესწავლა და თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლექციის ექსპონატების აღწერისას, თანდართულია მათი შინაარსის, სიმბოლიკისა და ტერმინოლოგიის განმარტებანი.

ნაშრომს თან ერთვის აგრეთვე ძირითადი ტერმინოლოგიის მოკლე ლექსიკონი, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ავტორის მიერ გამოცემული სამი ილუსტრირებული კატალოგი (რომლებშიც წარმოდგენილია ებრაული მუზეუმის განხილული კოლექცია), დამატებითი ილუსტრაციების ალბომი.

როგორც ავლნიშნეთ, თემა არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობითა და აქტუალურობითაც გამოირჩევა. ამაზე მეტყველებს უკვე განხორციელებული სამი გამოფენა თანდართული კატალოგებით, დანარჩენის ექსპონატების დაგეგმილი რესტავრაცია და ებრაული მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის აღორძინების პერსპექტივა.

ათწლეულების მანძილზე ეს საოცარი კოლექცია საცავებში იყო განთავსებული და უცნობი იყო არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი. ექსპონატები საკმაოდ დაზიანებული იყო იმ წლებში საერთო სამუზეუმო ფონდების მძიმე პირობების გამო. 2005 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მოპოვებულ გრანტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა თავი მომეყარა ადრე ჩატარებული სამეცნიერო კვლევისათვის პირველი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის ნამუშევართა ალბომის პუბლიკაციისათვის და 2006 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შალომ კობოშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოვაწყეთ მისი პერსონალური გამოფენა და გამოიცა სრული კატალოგი. შალომ კობოშვილი პირველი ებრაელი მხატვარია საქართველოში და მისი საოცარი ბიოგრაფიის წყალობით სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მან 61 წლის ასაკში დაიწყო ხატვა და მისი მოღვაწეობა მხოლოდ სამ წელიწადს გაგრძელდა (მის გარდაცვალებამდე), მაგრამ ამ მოკლე დროის მანძილზეც მან მოახერხა ქართველ ებრაელთა ყოფის საოცარი დოკუმენტურ-თხრობითი მატრიანე შექმნა.

2008 წელს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 75 წელთან და ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა მეორე გამოფენის

მომზადება, რომელიც მიექვანა მთლიანად ებრაული მუზეუმის კოლექციას და ასახავდა ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას და აგრეთვე გამოიკა ამ გამოფენის სრული კატალოგი.

2010 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მესამე ებრაული პროექტი განხორციელდა, რომელიც მიექვანა საქართველოში იერუსალიმის ბენ ცვი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ებრაულ ისტორიულ სემინარს. გამოფენასთან დაკავშირებით გამოიკა კატალოგიც. წინა ორი გამოფენისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელზე გარდა ებრაული მუზეუმის კოლექციისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული, ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი უძველესი ექსპონატებიც იყო წარმოდგენილი.

ამ სამი პროექტის საშუალებით, მრავალი წლის მანძილზე მივიწყებული ექსპონატები თითქოსდა გაცოცხლდა და სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი დაიმსახურა.

უპირველესს ყოვლისა ამ პროექტების განხორციელების წყალობით შესაძლებელი გახდა ებრაული მუზეუმის კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილის შესწავლა, ატრიბუცია, მოვლა და მოწესრიგება. ეს ეხება არა მხოლოდ ფერწერასა და გრაფიკას, არამედ კოსტუმებს, ქსოვილებს, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რელიგიურ თუ რიტუალურ არტეფაქტებს. ამ გამოფენებზე წარმოდგენილი ყველა ექსპონატი დაექვემდებარა რესტავრაციასა და კონსერვაციას. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქსოვილები იყო, ნაწილი, რაც გამოიფინა, შეიძლება ითქვას ამ ეტაპზე გადარჩენილია, ხოლო დანარჩენს ესაჭიროება სასწრაფო კონსერვაცია და რესტავრაცია, რაც უახლოეს მომავალში ჩვენი ძირითადია მიზანია. ვიმედოვნებთ, რომ მალე ებრაული კოლექცია სრული სახით იქნება მოწესრიგებული და თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კულტურის ისტორიაში, როგორც მისი სინთეზური და განუყოფელი ნაწილი.

ამ თვალსაზრისით, თემა არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობითა და აქტუალურობითაც გამოირჩევა.

1995 წელს სწორეთ შალომ კობოშვილის ნამუშევრებმა გამოიწვია ავტორის დაინტერესება და მისი შემოქმედების შესწავლამ, თემატიკიდან გამომდინარე, მოითხოვა სიუჟეტების განმარტება. იუდაიკის საკითხებში უფრო ღრმა წვდომამ გააფართოვა ავტორის ინტერესი და გარკვეულ წილად უბიძგა სადისერტაციო

თემის არჩევისაკენ. შალომ კობოშვილის ნამუშევრები ებრაული კოლექციის ნაწილს წარმოადგენს და მის შემოქმედებაში ასახული კოსტუმები, რიტუალური, რელიგიური თუ ყოფითი დანიშნულების ნივთები ინახება ამავე ფონდებში. საინვენტარო წიგნებში ჩაწერილი მონაცემები ხშირ შემთხვევაში გადამოწმებას საჭიროებდა და ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღვივა მთლიანად ებრაული კოლექციის შესწავლისა და ხელახალი ატრიბუციის ლოგიკური სურვილი.

კობოშვილის შემოქმედება სცდება მხოლოდ მხატვრულ-სტილისტურ ჩარჩოებს. მას გაცილებით უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი შინაარსობლივი დატვირთვა გააჩნია. მისი შემოქმედება გარკვეულ თემატურ ციკლებად შეიძლება დაიყოს. თითოეული მათგანი ქართველ ებრაელთა ყოფით, რელიგიურ თუ რიტუალურ ცხოვრებას უკავშირდება, ისევე, როგორც ებრაულ თემატიკაზე შექმნილი დავით გველესიანის ნამუშევრებიც, ხოლო მუზეუმის სხვა ექსპონატები ხელს უწყობს უფრო თვალნათლივ წარმოაჩინო საქართველოს ებრაული დიასპორის ისტორია, ეთნოგრაფია, კულტურა.

ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ქორწინების ციკლია, რომელშიც გაერთიანებულია კობოშვილის და გველესიანის ამ თემაზე შექმნილი სურათები და აგრეთვე საქორწილო სამოსი და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა ექსპონატები.

შემდეგ რელიგიური დღესასწაულების, სინაგოგის, რიტუალური თუ ყოფითი სცენების, ვაჭრობის თემის ამსახველი ციკლები.

მათი დეტალური განხილვა საშუალებას გვაძლევს ებრაული მუზეუმის კოლექციის საფუძველზე წარმოვაჩინოთ სადისერტაციო ნაშრომის თემა – იუდაიზმი საქართველოს ხელოვნებაში.

დანართი განმარტებითი ლექსიკონი

ამულეტი (არაბულიდან - საკიდი) - გამოყენებას ძველი ტრადიცია გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული რელიგიური კანონი ღმერთისა და რაიმე სიმბოლოების გამოსახულებას კრძალავს. როგორც წესი ამულეტებზე უბედურებისგან დამცავი მაგიური ტექსტები და ნიშნებია მოთავსებული.

საუკუნეების მანძილზე მრავალი ტიპის ამულეტი იყო გავრცელებული და თითოეულს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ახასიათებდა. გამოსახულებების გარდა, ხშირად ამულეტის შინაარს მასზე მოთავსებული წარწერები განმარტავს, ზოგი ორსულ ქალს და მშობიარეს იცავს, ზოგი მგზავრობაში მყოფ ადამიანს, ან ზოგადად ავი თვალისგან დამცავია.

თილისმებათ ხშირად მეზუზა, მენორა, მოსეს ათი მცნება და ბოლო დროს ყველაზე პოპულარული - სტილიზირებული სიტყვა „ჰაი“ (სიცოცხლე) და მაგენ დავითი გამოიყენება. ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ.

აჰარონ-ჰა-კოდეში - წმინდა კარადაა, სადაც სეფერ თორები (თორის გრაგნილები) ინახება. ტრადიციულად დიასპორაში სინაგოგა სამხრეთისკენაა ორიენტირებული, ხოლო მისი შესასვლელი იერუსალიმისკენაა მიმართული. სალოცავის დარბაზის ცენტრში “თებაა” აღმართული, ხოლო შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს უკანა კედლის ცენტრში “აჰარონ-ჰა-კოდეში”, რომელიც ფაროხეთით (ფარდა) არის გამოყოფილი.

აჯლა (აჯლაკი) - მესხურ-ჯავახური დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ხალიჩებით დამშვენებული, ნეფე-დედოფლისათვის განკუთვნილი ფიცრული ან ქსოვილებისაგან გაკეთებული პატარა, მომადლო ოთახი იყო მასში განთავსებული ტახტით. ოთახის შესასვლელს სინაგოგიდან მოტანილი რამდენიმე მოქარგული ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. აჯლა მხოლოდ ახალციხისთვის იყო დამახასიათებელი და გავრცელებული იყო, როგორც ებრაელთა, ასევე ქართველთა შორის.

ბაგინი ჰურიათა - ებრაული სალოცავი ძველ მცხეთაში (გვიანანტიკური ხანის სინაგოგა)

ბეთ ჰამიკდაშ - ტაძარი (“სახლი ღვთისა”, “სახლი რჩეული”, “სახლი სიწმინდისა”)

ბეთ ჰაქნესეთ – სალოცავი – “სახლი საკრებულო”, დიასპორის ფენომენია.

ბრით მილა – წინდაცვეთა, იუდაიზმისადმი კუთვნილების სიმბოლო.

ბროწეული - ერეც-ისრაელის ერთ ერთი შვიდი სიმბოლური მცენარეთაგანია. მიდრაშის მტკიცებით ბროწეულის მარცვლების რაოდენობა 613-ია, რაც თორის მცნებათა რიცხვს შეესაბამება, ამიტომ ბროწეული შემთხვევით არ იყო არჩეული თორის გრაგნილის მოსართავად, რომლის სახელწოდება – რიმონიმ – ივრითზე სიტყვა ბროწეულის მრავლობითი რიცხვია. საუკუნეების მანძილზე ის ძალზე პოპულარული მოტივი იყო ებრაულ დეკორატიულ ხელოვნებაში. ბროწეულის სიმბოლიკა განპირობებულია მისი ფერით, ფორმითა და შინაგანი სტრუქტურით, რომელიც განასახიერებს მრავლობის და მრავალფეროვნების ერთობისა და ერთიანობის პრინციპს. იუდაისტურ ხელოვნებაში ბროწეული – შეცნობის და სიცოცხლის ხის სიმბოლოა. ხე, რომლის ფესვები ღრმად მიწაშია, ხოლო ტოტები ცისკენ არის მიმართული

გმარა (גמרא) - მე-3 საუკუნის კოდექსში “მიშნაში” მოცემული ზეპირი თორის წესებს მომდევნო საუკუნეებში ბრძენმა რაბინებმა - ამორაებმა – საკუთარი ინტერპრეტაცია და კომენტარები დაუმატეს. ამ კომენტარებში ისინი ზოგჯერ ზეპირი თორის იმ წესებსაც აღნიშნავდნენ, რომლებიც მიშნაში არ შესულა (ასეთ წესს ბრაითა ჰქვია). მიშნაზე დამატებულ რაბინულ დისკუსიას გმარა ეწოდება.

დიასპორა - ბერძნული წარმოშობისა სიტყვაა და "გაბნევას" ნიშნავს.

ებრაელები (იეჰუდიმ)- სემიტური მოდგმის ხალხი. რაოდენობა - დაახლოებით 14 მლნ.

ებრაელთა ნაწილი ლაპარაკობს იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ცხოვრობენ. ებრაელთა დიდი ნაწილი ლაპარაკობს აგრეთვე ებრაულ ენებზე - ივრიტი, იდიში და სხვა. სარწმუნოება – იუდაიზმი. დიასპორაში ებრაელები გაყოფილი არიან აშკენაზებად და სეფარდებად.

ებრაისტიკა - დაკავებულია ებრაული ენისა და კულტურის შესწავლით.

ებრაისტიკის დამფუძნებლად მიიჩნევენ გერმანელ ჰუმანისტს იოჰანეს როიხლინს (1455 - 1522), რომელიც 1480 წლიდან კაბალის შესწავლით იყო დაკავებული. მან შეისწავლა ებრაული ენა და 1506 „ძველი ებრაული ენის გრამატიკა“ გამოსცა.

ებრაული დიასპორა - ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მისი ტერიტორიის გარეთ დარჩენილი ებრაული მოსახლეობა.

ებრაული კალენდრის თვეები - თიშრეი | ხეშვანი | ქისლევი | ტევეთი | შვატი | ადარი | ნისანი | იარი | სივანი | თამუზი | ავი | ელული

ერეც ისრაელ ("ארץ ישראל") – პალესტინის ტერიტორიის ბიბლიური სახელწოდება, მიწა, სადაც ისრაელის სამეფო შეიქმნა

ესთერის გრაგნილი

ვაზის ლერწი - უძველესი დროიდან დღემდე ისრაელის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებს. პირველად ვაზი, როგორც კულტური მცენარე, ბიბლიაშია ნახსენები ნოესთან დაკავშირებით. ყურძნის მტევანი – “გეფენი” – მესამეა მცენარეთა შვიდ სახეობას შორის, რომლებიც ისრაელის მიწის ნაყოფიერების სიმბოლოა (“დვარიმი”, 8:8). ყურძენი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის სიმბოლოა. საქორწინო კონტრაქტზე – “ქეთუბაზე” – ხშირად გამოსახავენ ყურძნის მტევანს. ყურძნის მტევანი – მოსავლის სიმბოლოა, აგრეთვე დალოცვის სიმბოლო – კიდუში, ამიტომ ხშირად ღვინის თასებსა და შაბათის სხვა საგნებზე გამოსახავენ. სუქაში მოსართავად ყურძნის მტევნებს იყენებენ

ზეპირი თორა (ⲏⲣⲓⲧ ⲗⲉⲃⲱⲥ-ⲛⲉ, თორა შე ბე ალ-პე) - მიშნაში და თალმუდში აღნუსხული ებრაული კანონებია. ებრაელთა აზრით, თანახთან ერთად, ღმერთმა მოსეს ზეპირი თორაც უძღვნა სინაის მთაზე, ნაკარნახებ-ჩაწერილი ბიბლიის კანონების განმარტების მიზნით. მას შემდეგ ზეპირი თორა მართლაც ზეპირად გადაეცემოდა ებრაელთა სასულიერო წოდების თაობებს, პირველ საუკუნემდე. იერუსალიმის მეორედ აოხრების შემდეგ (70წ.) რაბინებმა, ზეპირი ტრადიციის გაწვევების შიშით, ზეპირი თორის სახით მოცემული წესების ჩაწერა დაიწყეს. ჩაწერილი მასალა მე-3 საუკუნის დასაწყისში რედაქტირებულ იქნა რაბინ იეჰუდა ჰანასის მიერ. ზეპირი თორის ამ პირველ კოდექსს მიშნა(ⲏⲱⲥⲙ) ეწოდება. მომდევნო საუკუნეებში, იმ პერიოდის ბრძენმა რაბინებმა - ამორაებმა - მიშნაში მოცემული ზეპირი თორის წესებს საკუთარი ინტერპრეტაცია და კომენტარები დაუმატეს. ამ კომენტარებში ისინი ზოგჯერ ზეპირი თორის იმ წესებსაც აღნიშნავდნენ, რომლებიც მიშნაში არ შესულა (ასეთ წესს ბრაითა ჰქვია). მიშნაზე დამატებულ რაბინულ დისკუსიას გმარა (ⲁⲗⲙⲁ) ეწოდება. მიშნასა და გმარას ერთად რედაქტირებით თალმუდი (ⲧⲓⲙⲗⲏ) შესდგება.

თალმუდი (ⲧⲓⲙⲗⲏ) - მიშნასა და გმარას ერთად რედაქტირებული კოდექსი.

თორა (ⲏⲣⲓⲧ) -- ებრაულად სწავლება, დარიგება, კანონი. თორა არის თანახის (ⲁⲓ"ⲗ) ნაწილი, რომელიც ქრისტიანული ბიბლიის ძველ აღთქმას შეესაბამება. თორა შედგება მოსეს 5 წიგნისაგან:

დაბადება ენესის (ბერეშით ⲏⲱⲥⲁⲃ) - მოსეს I წიგნი

გამოსვლათა ხოდუს (შემოთ ⲏⲓⲙⲱ) - მოსეს II წიგნი

ლევიტელთა ეხიტეკუს (ვაიკრა ⲁⲗⲗⲓ) - მოსეს III წიგნი

რიცხვთა უმერი (ბემიდბარ ⲃⲏⲙⲃ) - მოსეს IV წიგნი

მეორე რჯულისა ეუტერონომიუმ (დვარიმ ⲉⲓⲣⲏ) - მოსეს V წიგნი

თორა-შილდი - რელიგიური დღესასწაულების კალენდარია, ის როგორც წესი თავსდება სეფერ თორის გრაგნილზე, შეიძლება მასზე იყოს გადაკიდული, ან ზევიდან იკიდება, მის ქვედა ნაწილში პატარა ფანჯარაა ამოჭრილი, რომელშიც

ცალკე ლითონის წარწერებიანი ფირფიტებია მოთავსებული. თითოეულზე რელიგიური დღესასწაულის სახელწოდებაა. თორის კითხვისას, კალენდარზეც შესაბამისად იცვლება ფირფიტები.

იომ-ქიფური (ივრ. 𐤇𐤓 𐤒𐤓𐤕, სიტყვასიტყვით «მიტევების დღე», ითარგმნება როგორც «გამოსყიდვის დღე», «განკითხვის დღე») — იუდაიზმში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა დღესასწაული; მარხვის, აღსარებისა და ცოდვების მიტევების დღე; აღინიშნება ებრაული თიშრის თვის მეათე დღეს და მონანიების ათი დღის დასასრულია.

იუდაისტიკა - დისციპლინა, რომელიც შეისწავლის და იკვლევს იუდაიზმს, ანუ ისრაელის ხალხის ისტორიას, კულტურასა და რწმენას. ამ კვლევებში მთავარი ამოსავალი წერტილი არის ებრაული წერილობითი ძეგლების ფილოლოგიური ანალიზი. როგორც ცნობილია, ეს წყაროები სხვადასხვა ენაზე (ებრაული, არამეული, იუდეო-არაბული, იდიში, ლადინო, იუდეო-სპარსული) იქმნებოდა. იუდაისტიკა ფილოლოგიური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით იზიარებს და ითვალისწინებს ებრაელობის სწავლებათა ტრადიციებს.

იუდაიზმი (ებრ. יהודה - იაკაბუთ) - ებრაელი ერის რელიგია; ისტორიაში აღნუსხული პირველი მონოთეისტური რწმენა და ანტიკური ხანიდან შემორჩენილი ერთ-ერთი რელიგია. იუდაიზმის დოქტრინა და ისტორია მნიშვნელოვანი ნაწილია სხვა მონოთეისტურ, კერძოდ: ქრისტიანულ და მუსლიმანურ რელიგიათა საფუძვლებისა.

იუდაიზმი მჭიდროდ დაკავშირებულია რამოდენიმე რელიგიურ პრინციპთან, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ერთადერთი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ყოვლად მოწყალე და უხილავი (ტრანსცენდენტული) ღმერთის რწმენა. ებრაული ღვთისმსახურება ყველაზე დიდ ადგილს უთმობს თორის და თაღმუდის კანონებისა და მცნებების შესწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებას.

კაბბალა - ებრაული მისტიციზმის შემადგენელი ერთ-ერთი წიგნი

ლულავი - პალმის რტო. ებრაულ ტრადიციაში ლულავს - პალმის რტოს გაუმღელი ფოთლებით - ატარებენ სინაგოგაში მსველელობის დროს, როგორც ერთ-ერთ იმ ოთხი სიმბოლური მცენარეთაგანს, რომელსაც სუქაში ანთავსებენ. ვინაიდან პალმა მთლიანად გამოყენებადია (ფინიკები საკვებად გამოიყენება, ფოთლები და ხე კი მშენებლობაში), რაბინები ებრაელ ხალხს პალმას ადარებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ისრაელის ხალხის შორის არ არიან უვარგისები ("ბერეშიტ რაბა", 41:1). ფინიკის პალმისა და მისი ფოთლების გამოსახულება - სამართლიანობის სიმბოლოა.

მაგენ დავითი (ექვსქიმიანი ვარსკვლავი) - დღეს ყველაზე გავრცელებული და იუდაიზმის უმთავრეს სიმბოლოდ აღიარებული „დავითის ვარსკვლავი“ ან „დავითის ფარი“, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, თავდაპირველად უფრო ინტერნაციონალური სიმბოლო იყო და გვხვდება ძველ ინდოეთში, მოგვიანებით კი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში.

მაგენ დავითი თალმუდში არ არის მოხსენიებული.

გექსოგრამა (ექვსქიმიანი ვარსკვლავი) საუკუნების მანძილზე გვხვდება, მაგრამ მხოლოდ XVII საუკუნიდან იქნა აღიარებული წმინდა ებრაულ სიმბოლოდ პრავაში. მაგენ დავითი ხშირად საკულტო დანიშნულების საგნების მოსართავად ან როგორც რელიგიური სიმბოლიკა ისე გამოიყენება.

ებრაულ საფლავის ქვებზე მაგენ დავითს მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოდან გამოსახავენ.

მალკუტი - სარიტუალო როზგებიგამოიყენებდნენ ცოდვის გამოსყიდვისას

მაცა - უფუარი ხმიადები კვერი, რომელსაც ფესახის, პასექის დღესასწაულის დროს 8 დღის განმავლობაში პურის მაგივრად მიირთმევენ. მაცა ეგვიპტიდან გამოსვლისას სიჩქარეში ქვაზე გამომცხვარი უფუარი პურის სიმბოლოა.

მენორა (ებრ. מְנוּרָה — მენორა, "განათებული") — შვიდსანთლიანი შანდალი, ოქროს შვიდტოტიანი განათებული (შვიდსანთელა), რომელიც ბიბლიის თანახმად

მდებარეობდა სკინიაში. მერე გადმოიტანეს იერუსალიმში იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევამდე, არის იუდაიზმის ერთ ერთი უძველესი ატრიბუტი. მენორა გამოსახულია ისრაელის სახელმწიფო გერბზე.

მეზუზა - სიტყვა “მეზუზას” პირდაპირი მნიშვნელობა კარების ზღრუბლია. ის აღნიშნავს კარებზე მიმაგრებულ პატარა კოლოფს, სადაც თორის გამონათქვამებიანი მინიატურული პერგამენტის გრაგნილია მოთავსებული. სიტყვა მეზუზოთი (მეზუზას მრავლობითი რიცხვი), ბიბლიიდან იღებს სათავეებს (მეორე კანონი 6:9): “და დაწერე შენი სახლის ზღრუბლებზე და შენ ჭიშკრებზე”. მეზუზა ამავედროულად ებრაელებისთვის ღვთის კანონების შესხენებაცაა და დანარჩენ ებრაელობასთან ერთობის სიმბოლოა. ებრაელები მეზუზას ოჯახური კერისა და მისი ბინადრების ერთგვარ დამცველად აღიქვას. მსგავსი მოსაზრება თალმუდის დროიდან ჩაისახა და შუასაუკუნეების გავლით თანამედროვეებამდე მოაღწია.

მიკვე - მიკვე სინაგოგასთან არსებული რიტუალური აბანოა, რომლის დანიშნულება არა მხოლოდ ჰიგიენური სისუფთავის დაცვაა, არამედ რიტუალური განწმენდაა. ამიტომ მიკვეში წინასწარ დაბანილები შედიან.

ცნობები და კანონები მიკვეს შესახებ ჯერ კიდევ თორაშია მოხსენიებული. შემდგომში მიკვეს კანონები თალმუდში ტრაკტატშია თავმოყრილი და აგრეთვე სხვა თალმუდის შემდგომ ლიტერატურაში განიხილება.

უკანასკნელ დროს მიკვე ძირითადათ ქალებისთვისაა განკუთვნილი, უპირველეს ყოვლისა პატარძლის ქორწილის წინ განწმენდის რიტუალური დანიშნულება აკისრია და აგრეთვე გათხოვილი ქალებისთვის ყოველთვიური განწმენდის რიტუალს წარმოადგენს. მიკვეს წმინდა წყალში ჩაყვინთვა სულიერ სისუფთავესთანაა ასოცირებული.

მიშნა (משנה)– ზეპირი თორის პირველი კოდექსი. იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ (70წ.) რაბინებმა, ზეპირი ტრადიციის გაწყვეტის შიშით, ზეპირი თორის სახით მოცემული წესების ჩაწერა დაიწყეს. ჩაწერილი მასალა

მე-3 საუკუნის დასაწყისში რედაქტირებული იქნა რაბინ იეჰუდა ჰანასის მიერ და ამ კოდექსს მიზნა ეწოდა.

ნისანი - ებრ. נִסָּן ებრაული კალენდარის სამოქალაქო წლის მეშვიდე თვე და რელიგიური წლის პირველი თვე. სახელწოდება მომდინარეობს ბაბილონიდან. თორაში და ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში ნისანის თვეს ეწოდება «აბიბი» (ან ავივი), რაც ნიშნავს ქერის თავთავის მწიფობის დროს. ესთერის წიგნში კი უკვე გვხვდება «ნისანი». ეს თვე დგება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ და გრიგორიანული კალენდარის მიხედვით მარტს ან აპრილს შეესაბამება. ამ თვის 15 რიცხვს მოდის ფესახის დღესასწაული.

ოქროკაბა - ქალის საქორწინო ტანსაცმელი, ძვირფას პარჩაზე, აბრეშუმის ან ატლასის ქსოვილზე ოქრომკედით ნაქარგი ახალუხი. უმეტესად დამახასიათებელი იყო ახალციხელ ებრაელთათვის.

რიმონიმ (სეფერთორის დამაგვირგვინებელი) – ებრ. სიტყვა ბროწეულის მრავლობით რიცხვია, რის ფორმასაც წააგავდა თავდაპირველად გვირგვინი. თრადიციულად რიმონიმის ფორმის გამოყენება უკავსირდება ბროწეულის ნაყოფის მარცვლების რაოდენობას, რომელიც თორაში 613 მიცვის ტოლია. გვირგვინი სიმბოლურად ხაზს უსვამს თორის სიღიადესა და მნიშვნელობას. გვირგვინით თორის შემეკობის ტრადიცია შუა საუკუნეებიდან იწყება. იგი ხშირად მდიდრულად დეკორირებულია ჭედურობით ებრაულ მოტივებზე, წარწერებით, რელიეფებითა და ორნამენტებით. ხოლო მასზე მიმაგრებული ზანზალაკები, თორის გადაადგილებისას მის გამოჩენას ახმოვანებენ.

სამარიტანისტიკა - ებრაისტიკის ერთ-ერთი დარგი, რომელიც სამარიტანელთა ენისა და კულტურის შესწავლითაა დაკავებული.

სედერი - სადღესასწაულო სიმბოლური ვახშმის კურთხევის რიტუალი, რომელიც ფესახის პირველ ღამეს, ჰაგადის დროს სრულდება.

სეფერთორა - თორის გრაგნილი. “სეფერ” – ივრითიდან წიგნს ნიშნავს. სეფერთორა სინაგოგის ყველაზე წმინდა ნივთია. როგორც წესი, სეფერთორა შემოსილია საგანგებოდ მისთვის განკუთვნილი თორის სამოსით (კაბით) ან თავსდება სტილიზებულ ტომარაში და თავზე ადგამენ გვირგვინს.

სიმხათ-თორა - სუქოთის დღესასწაულის ბოლო დღე სიმხათ-თორის დღესასწაულის აღნიშვნით გვირგვინდება. ამ დღეს, თორის ბოლო ფურცლის წაკითხვისთანავე, სინაგოგის აჰარონ-ჰა-კოდემიდან (სეფერთორის შესანახი კარადიდან) გამოაქვთ სეფერთორები (თორის გრაგნილები), საზეიმოდ შემოატარებენ და შემდეგ ერთი წლით კვლავ აღთქმის კიდობანში ინახავენ.

სინაგოგა (ბერძნ.: *syn γωγή*, ტრანსლიტ. *synagogē*, „ყრილობა, თავშეყრა“; *תּוֹבָא* ბეით ქნესეთ, „თავშეყრის სახლი“; *לִישׁוֹר תּוֹבָא* ბეით თფილა, „ლოცვის სახლი“; *עֲשׂוּגָא*, *esnoga*) — ებრაული სალოცავი ადგილი.

სინაგოგა წარმოიქმნა პალესტინაში (ძვ. წ. IV ს), ეგვიპტეში (ძვ. წ. III ს). იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის (პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიები) გაფართოების შემდეგ სინაგოგები არსდება ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ.

სოლომონის ტაძარი (ებრ.: *תּוֹבָא שְׁלֹמֹה*, ბეით ჰამიკდაშ), ეგრეთ წოდებული პირველი ტაძარი - პირველი ებრაული ტაძარი იერუსალიმში. ტაძარი ბიბლიურმა მეფე სოლომონმა, დავითის ძემ, ისრაელის მესამე მეფემ ააგო. ტაძრის მშენებლობა ძვ. წ. X ს. დასრულდა. ტაძარი ღოცვებისა და მსხვერპლშერწირვის უმთავრესი ადგილის დანიშნულებას ასრულებდა. ბაბილონელმა მეფე ნაბუქოდონოსორმა ძვ. წ. 586 წ. დაიბყრო იერუსალიმი და დაანგრია ტაძარი.

ტალითი (*תּוֹרַת*) – ებრაული რიტუალური მოსასხამი, რომელიც მართკუთხა თეთრი ქსოვილისაგან (შალი, ბამბა, აბრეშუმი) მზადდება. კიდეებში რამოდენიმე ცისფერი, ლურჯი ან შავი ზოლი აქვს ჩაქსოვილი. იუდაიზმში ღოცვის დროს

მამაკაცისათვის ტალითის მოსხმა თორის მითითებების სიწმინდეში შემოსვასა და ღმერთის ნებისადმი სიმბოლურ დამორჩილებას გულისხმობს.

ფაროხეთი – სეფერთორის კარადის (ე.წ. ალთქმის კიდობანის) ფარდაა, რომელიც გამოყოფს „წმინდა ადგილს“ (ჰა-კოდემ) „წმინდათა წმინდასაგან“ (კოდემ-ჰა-კოდაშიმ). “აჰარონ-ჰა-კოდემი” – წმინდა კარადაა, სადაც სეფერთორები (თორის გრაგნილები) ინახება. ამ კარადას ფარავს ფაროხეთი.

ფაროხეთი თორაშიცაა მოხსენიებული როგორც ფარდული, დამზადებული ლურჯი, იასამნისფერი ან ალისფერი ქსოვილისაგან და მოქარგული ქერუბიმებით, ოქროს საკიდებით ოქროთი მოპირკეთებულ ოთხ სვეტზე დამაგრებული, რომელიც გამოყოფს წმინდა ადგილს წმინდათა წმინდასაგან. (გამოსვლა 26:31-33)

ფესახი (პასეჟი) - რვადღიანი დღესასწაული უკავშირდება მოსეს მიერ ებრაელების გამოყვანას ეგვიპტიდან, სადაც ისინი ოთხასწლიან მონობაში იმყოფებოდნენ. ამ დღესასწაულს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ერის გათავისუფლების სიმბოლოა. ფესახის პირველ დამეს სრულდება სედერის რიტუალი (სადღესასწაულო სიმბოლური ვახშმის კურთხევა).

ფინიკის პალმა - თანახში ერეც-ისრაელი მოხსენიებულია როგორც მიწა, რომელიც რძითა და თაფლით მოედინება. აქ მოყვანილ სტროფებში თაფლში ფინიკის სეროფი იგულისხმება. ლამაზმა ფორმამ და სიმადლემ პალმა პოპულარულ მოტივად აქცია ხელოვნებასა და ლიტერატურაში. პალმის ფოთლებს ტრიუმფალურ მსვლელობისას იყენებდნენ, პალმის რელიეფი კი შეიძლება ვნახოთ როგორც ტაძარში, ასევე სინაგოგებში. ბიბლიურ პერიოდში პალმა სილამაზის, სინატიფისა და ნაყოფიერების სიმბოლოა.

ქეთუბა (ქეთუბოთი) - ქაღალდზე ან პერგამენტზე დაწერილი, მხატვრულად გაფორმებული ერთგვარი საქორწინო ხელშეკრულებაა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს განსხვავებული საქორწინო

ტრადიციები აქვთ, ქეთუბა ყველასათვის მთავარია. ამ ტრადიციას ფესვები უხსოვარი დროიდან ჩაეყარა.

ქოენი

ყვავილები - სილამაზის და არომატის წყალობით საკულტო სიმბოლოებად და დეკორის პოპულარულ ელემენტად იქცა. თანახში მოხსიენებული ყვავილები ერეც ისრაელის უძველესი მცენარეებია, მაგრამ მათი სახელწოდებები ყოველთვის არ შეესაბამება ანალოგიური დასახელების თანამედროვე მცენარეებს. მაგალითად, “შოშანა”, ჩვეულებრივად ითარგმნება როგორც ვარდი ან ლილია, თუმცა ეს სიტყვა შეიძლება აგრევე ნიშნავდეს “შროშანა”, “გიაცინტი”, “კროკუსი”, “ნარცისი”. ბიბლიაში ყვავილების სახელწოდებები ხშირად სილამაზის, არომატის, სიცოცხლის წარმავალობის, სინაზისა და სასწაულის სიმბოლოებია. ტაძარში ყვავილებს გამოსახავდნენ წმინდა ჭურჭელზე, ავეჯზე, აგრეთვე გვირგვინზე.

შადაი - “შადდაი” სიტყვა “ღმერთის” სინონიმია. მრავალი წლის მანძილზე ებრაელები ატარებდნენ სხვადასხვა ტიპის ვერცხლის ამულეტებს, რომლებიც უბედურებისაგან იცავდა. ამულეტზე ხშირად წერია სიტყვა “შადაი” რომელიც ავი თვალისაგან იცავს. ამჟამად ყველაზე გავრცელებული თილისმებია სტილიზირებული სიტყვა “ჰაი” (სიცოცხლე) და ექვსქიმიანი ვარსკვლავი (მაგენ დავითი). როგორც წესი ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ.

შალიახი (მისიონერი)- XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს იერუსალიმიდან სხვადასხვა ქვეყანებში აგზავნიდნენ მისიონერებს. იერუსალიმის დარბ ებრაელთა დახმარებისა და სინაგოგებისათვის ფულის შეგროვების მიზნით. ზოგიერთი მისიონერი ჰყიდდა იერუსალიმის წმინდა მიწას ებრაელთა შორის ან კურთხევისთვის იღებდნენ გასამსჯელოს.

შაქარ-პური – ქართველ ებრაელთა ნიშნობის ცერემონია

შოფარი – სასულე რიტუალური მუსიკალური საკრავი, დამზადებული სპეციალურად დამუშავებული თხის ან ცხვრის რქისაგან. გამოირჩევა მაღალი ძლიერი უღერადობით.

შოხეტი – (დამკვლელი) სპეციალურად მომზადებული პირი, რომელსაც მიღებული აქვს რელიგიური წესების დაცვით ფრინველის ან საქონლის დაკვლის უფლება. ებრაელთათვის საკვებად ვარგისად ითვლებოდა მხოლოდ შოხეტის მიერ დაკლული ქაშერი ხორცი.

ციციტი - სარიტუალო ფოჩებიანი სამოსია, რომელსაც მამაკაცები არატყენენ. ციციტი (חיץ, חיץ) ბიბლიურ ივრითში ქსოვილის ფოჩს ნიშნავს. ებრაელი მამაკაცის სამოსზე ციციტს რიტუალური დანიშნულება გააჩნია.

ძველებრაისტიკა - იკვლევს ე.წ. კლასიკურ ებრაულს, როგორც ძველი ისრაელის ენას და ძველ აღთქმას ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულიდან.

ხანუქა - ერთ-ერთი უძველესი ისტორიული დღესასწაულია. მეორე ტაძრის პერიოდში, ძვ. წ. აღ. II საუკუნეში ისრაელი ბერძნებმა დაიბყრეს. მათ არა მხოლოდ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაუკარგეს ებრაელებს, არამედ თვით ებრაული სულის მთავარი არსის – სარწმუნოების განადგურება და ცდილობდნენ ებრაელები კერპთაყვანისმცემელ ელინებათ გადაექციათ. ხანუქის დღესასწაული უკავშირდება მაკაბიელთა გამარჯვებას, როდესაც მათ ძვ. წ. 165 წელს სელევკიდების მიერ დაპყრობილი იერუსალიმის ტაძარი დაიბრუნეს. ბერძნების მიერ წაბილწულ ტაძარში მხოლოდ ერთი დღის სამყოფი წმინდა ზეთი იყო დარჩენილი, რომლითაც მენორას (ტაძრის შვიდსანთლიან შანდალს) ანთებდნენ. ახალი ზეთის გამოსახდელად კი რვა დღე იყო საჭირო. მოხდა სასწაული და სანთლები ზუსტად რვა დღე არ ჩამქრალა. ამიტომ ხანუქას სინათლის დღესასწაულსაც უწოდებენ ტრადიციულად ხანუქიაზე (ცხრასანთლიან შანდალზე) რვა დღის განმავლობაში ანთებენ სანთლებს (ერთი დამხმარე სანთლით ყოველ დღე თითო სანთელს ამატებენ).

ხერემი – ანათემა

ხუფა - აბრეშუმის ან ხავერდის ქსოვილის დიდი ნაჭერია, რომელიც ოთხ სვეტზეა გადაფენილი ან ოთხ ადამიანს უჭირავს ნეფე-პატარძლისა და მათ მოწმეთა თავზე ქეთუბის წაკითხვის დროს. ტრადიციულად ებრაული ქორწინების ცერემონია ტარდება ხუფის ქვეშ.

ჯიზი – მზითვის აღწერის ცერემონია

ჰაგადა – ფესახის (პასექის) პირველ დამეს სრულდება სედერის რიტუალი (სადღესასწაულო სიმბოლური ვახშმის კურთხევა).

ჰათარა – ცოდვის შენდობა

ბიბლიოგრაფია

1. აბდუშელიშვილი მ. ქართველ ებრაელთა ანტროპოლოგიის საკითხები. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
2. აბულაძე ქ. ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წლებში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2000
3. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1971
4. აჯიაშვილი ჯ. ასე გამანდო უფალი ჩემი. თბილისი. 1998
5. აფაქიძე ა. ქალაქი და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თ.ი. თბილისი. 1963
6. აფხაზავა ნ. ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი. 1979
7. ბაბალიკაშვილი ნ. ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოში. თბ. 1971
8. ბაგრატიონი ვახუშტი. აღწერა სამეფოსი ქართლისა. ქართლის ცხოვრება IV. თბ. 1973
9. ბათოშვილი ა. ებრაელი ხალხის ისტორიიდან. თბილისი. 1991
10. ბეზარაშვილი ც. მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი საქართველოში. ეთნოლოგიური ძიებანი, III. თბილისი. 2007
11. ბენ-ორენი გ. აბოენთ ნერვი.
12. ბერძენიშვილი ნ. ისტორიული დოკუმენტები საქართველოს აბრაელთა შესახებ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. თბილისი. 1940
13. ბიბლიის ენციკლოპედია. თბილისი. 1997
14. ბიბლიის ლექსიკონი. მასალები. თბილისი. 2000
15. ბოსტანაშვილი შ. ებრაული სალოცავებისა და სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში. თბილისი. 1998

16. გეგეჭკორი ა. საქართველოს ებრაელთა გალუთი (დიასპორა) XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი. 2001.
17. გეგეჭკორი ა. აშკენაზთა სინაგოგები თბილისში. “მენორა 10”. თბილისი. 2003
18. გელაძე თ. მხატვარი დავით გველესიანი (1890-1949). შსმმ, 45. თბილისი. 2003-2004.
19. დავარაშვილი ზ. “მიკვე” – ებრაული რიტუალური განსაზღვრები. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
20. დავიდი ი. ნაწერები. თელ-ავივი – იერუსალიმი. 1976
21. დავიდი ი. ლამაზი ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან. თელ-ავივი. 1993
22. დავითი ი. ქართული პალესტინიანა. ნაწერები. თელ-ავივი, იერუსალიმი.
23. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
24. ებრაელები საქართველოში (დოკუმენტების ნუსხა). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXVI (ებრაული კრებული). თბ. 2008
25. ეთნოლოგიური ძიებანი. III. თბილისი. 2007
26. ეთნოსები საქართველოში. რედ. ბასილია მ. თბილისი. 2008
27. თავდიდიშვილი რ. ეთნოგრაფიული ნარკვევები. თბილისი. 1940
28. თორის ხუთწიგნეული. იერუსალიმი. 1995
29. იველიშვილი თ., ცაგარეიშვილი თ. გვისმობს მამული მამა-პაპათა. თბილისი. 1995
30. კასირერი ე. რა არის ადამიანი. თბილისი. 1983
31. კასირერი ე. ცდა ადამიანის კულტურის ფილოსოფიური გაგებისა. თბილისი. 1983
32. კერამი კ. ღმერთები, აკლდამები, მეცნიერები. თბილისი. 1972
33. კიკნაძე ზ. საუბრები ბიბლიაზე. თბილისი. 1989
34. კიკნაძე ზ. ქართლი გაქრისტიანების გზაზე. ადამიანები და სიწმინდეები. თბ. 2009

35. კიკნაძე ზ. ქართლის ებრაული დიასპორა. წიგნში: ქართლი გაქრისტიანების გზაზე. ადამიანები და სიწმინდეები. თბ. 2009
36. კრიხელი ა. ბრეტის ბიბლიის საკითხისათვის. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. თბილისი. 1940
37. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXVI (ებრაული კრებული). თბ. 2008; 2010
38. კულტუროლოგია. რედ. გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდეზიანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2003
39. ლორთქიფანიძე მ. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი. 1996
40. ლორთქიფანიძე გ., ყიფიანი გ. “მოქცევაჲ ქართლისაჲ” და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში. სამეცნიერო კრებული : “ისტორიანი”, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბილისი. ართანუჯი. 2009. (457-472)
41. ლორია მ., ტუნაძე თ. ებრაელთა საცხოვრებელი და საქართველოში მათი ადაპტაციის ზოგიერთი ასპექტი. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
42. მამისთვალიშვილი მ. ტერმინები: ებრაელი, ისრაელი, ურია. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. თბ. 1940
43. მამისთვალიშვილი ე. ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ. 1995
44. მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო. 1998
45. მამისთვალიშვილი ე. ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის ისტორიიდან. “ქართული დიპლომატია”. №8. 2001
46. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია. თბილისი. 2002
47. მამისთვალიშვილი ე. საქართველოს და სიონის მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბ. 2006

48. მამისთვალაშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.). თბილისი. 2008
49. მესხიშვილი თ. ქართველ ებრაელთა დასახლებების ფორმები ახალციხეში. ახალციხე. 1997
50. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი. 1983
51. მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი. 1979
52. ნადირაძე ე. მაქს ტილკეს კავკასიური შემოქმედება. ეთნოლოგიური ძიებანი, III. თბილისი. 2007
53. ნადირაძე ე. მსოფლიოს რელიგიები. თბილისი. 2008
54. ნიკოლაიშვილი ვ. ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის ისტორიისათვის (ისტორიულ დიდ მცხეთაში ებრაელთა დიასპორას არსებობის შესახებ). კრებული: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. XVI. თბილისი. 2003
55. ნიკოლაიშვილი ვ. ქალაქი მცხეთა ახ.წ. III-IV სს-ში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). კრებ: კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა 3). თბილისი. 2004
56. ნიკოლაიშვილი ვ. ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები. დ. ბაახოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
57. პაპისმედოვი ი. თვითნასწავლი მხატვარი შალომ კობოშვილი და მისი შემოქმედება. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. II. თბილისი. 1941
58. პაპისმედოვი ი. საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის 1800-1864 წწ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. III. თბილისი. 1945
59. პაპისმედოვი ი. ნანახი, მოსმენილი, განცდილი. თელ-ავივი. 1980

60. პატარიძე ლ. მცხეთის ებრაული დიასპორა I-IV სს. (სოციალური სტატუსი). ქართული წყაროთმცოდნეობა. X. თბ. 2004
61. რაბი იოსეფ ტელუშკინი. ებრაული სამყარო. მოსკოვი. 1955
62. რაბი იცხაკ ზილბერი. ცეცხლი არ დაგწვავს შენ. იერუსალიმი. 1990
63. რაბინი ისრაელ-მეირ ლაუ. იუდაიზმის პრაქტიკა. მასადა. 1991
64. რავ არიე კაპლანი. “ედენის წყლები” – მიკვეს საიდუმლოებანი. იერუსალიმი. 1990
65. რელიგიები საქართველოში. თბილისი. 2008
66. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: “საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინისა და ქართულ ებრაული ურთიერთობანი”, თბილისი. 1996. თეზისები
67. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები: “იერუსალიმი-თბილისი I”. იერუსალიმი. 1990 და “თბილისი-იერუსალიმი II”, თბილისი. 1998. მოხსენებათა მოკლე შინაარსები
68. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. შრომები. ტ. I. თბილისი. 1940; ტ. II. თბ. 1941; ტ. III. თბ. 1945
69. ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
70. სტრუვე ვ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია. თბილისი. 1946
71. ფანჯიკიძე თ. ბიბლია გუშინ, დღეს. თბილისი. 1982
72. ფლავიუსი ი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყვაობისანი II. თბ. 1988
73. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1955, 1975
74. ღამბაშიძე გ. საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიისათვის. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
75. ღამბაშიძე გ. ს.ს.ი.პ. დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი 75. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008

76. ღამბაშიძე გ. ქართული ისტორიოგრაფიისა და ებრაისტიკის შენაძენი. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
77. ჩორნი ვჰუდა. მოგზაურობა იმერ და ამერ-კავკასიაში. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. III. თბილისი. 1945
78. ცაგარეიშვილი თ. აკად. გიორგი ჩიტაია და საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
79. ცაგარეიშვილი თ. რეცენზია ალექსანდრა გეგეჭკორის ნაშრომზე – “საქართველოს ებრაელთა გალუთი (დიასპორა) XIX საუკუნის მეორე ნახევარში”. თბილისი. 2001. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
80. ციციშვილი ი. ქართული ეროვნული სამოსელი. უკრნ. “კლდე”. 1914
81. ცური ი. და აღდგა ხალხი. იერუშალაიმი. 1981
82. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. თბილისი. 1971
83. ძულიაშვილი ნ. ებრაელი ქალის საქორწინო ჩაცმულობა სამუზეუმო კოლექციების მიხედვით. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. V. თბილისი. 2008
84. წერეთელი კ. მცხეთის არამეული ამულეტი. დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
85. წერეთელი კ. “ებრაელის” აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში. თსუ შრომები. თ. 206. თბილისი. 1979
86. წერეთელი გ. მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. ტ. V-VI. თბილისი. 1940
87. წიწუაშვილი ლ. შალომ კობოშვილი (1876-1941), დაბადებიდან 130 წლისთავის აღსანიშნავად. საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები. თბილისი. 2006

88. წიწუაშვილი ლ. მარადიული ცეცხლი. ქართველ ებრაელთა კულტურა და ყოფა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი. 2008
89. წიწუაშვილი ლ. ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი. 2010
90. წიწუაშვილი შ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (1933-1951 წწ.). დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის “შრომები”. IV. თბილისი. 2006
91. წმინდა ნინოს ცხოვრება. პ. კარბელაშვილის გამოცემა. თბილისი. 1902
92. ჭანტურიშვილი ს. ეთნოლოგია. თბილისი. 1993
93. ჭიჭინაძე ზ. ქართველი ებრაელები საქართველოში. თბილისი. 1904
94. ხიზანიშვილი მ. ამულეტების კოლექცია საქართველოს მუზეუმის აღმოსავლური ფონდიდან. ეთნოლოგიური ძიებანი. III. თბილისი. 2007
95. ჯავახიშვილი ი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი. 1950
96. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. თბ. 1966
97. Амусин И. Находки у Мертвого моря. М. 1960
98. Амусин И. Рукописи мертвого моря. М. 1960
99. Апакидзе А., Николаишвили В. Мцхетская экспедиция. Сборник: Полевые археологические исследования в 1983 году. Тб. 1986
100. Апиас Ж.-К., Бенбасса Э. Еврейская цивилизация. М. 1997
101. Ариэль. Журн. Израильской культуры. Иерусалим. 1995, 1996, 2003
102. Арнхейм Р. Искусство и визуальное восприятие. М. 1974
103. Баазова Л., Бен-Орен Г., Давид И., Ланг Д. Грузия: страна и евреи. Ариэль. Журн. Израильской культуры. Иерусалим. 1995
104. Беридзе В., Езерская Н. Искусство Советской Грузии, 1921-1970. Москва. 1975
105. Белик А. Культурология. Антропологические теории культуры. М. 1999
106. Белик А. Психологическая антропология. М. 1993
107. Библия в русском переводе. 1990
108. Бидерманн Г. Энциклопедия символов. Москва. 1996
109. Васильев Л. История религий Востока. М. 1988
110. Вассерман. Лекции по иудаизму. Вильнюс. 1990

111. Введение в культурологию. Под ред. Е. Полова. М. 1995
112. Всемирная история. М. 1996
113. Всеобщая история искусства. М. 1996
114. Вейс Г. История культуры народов мира. В двух томах. Москва. 2005
115. Вельфлин Г. Истолкование искусства. Москва. 1922
116. Вестник Еврейского Университета Москва- Иерусалим. № 8
117. Вестник Еврейского университета. История. Культура. Цивилизация. - Москва-Иерусалим, 1999, N 2 (20) (Евр. ун-т в Иерусалиме. Центр развития иудаики на русск. яз.; Евр. ун-т в Москве; МГУ. Ин-т стран Азии и Африки. Центр иудаики и евр. цивилизации)
118. Гердер И. Идеи к философии и истории человечества. М. 1977
119. Гирц К. Влияние концепции культуры на концепцию человека. – Антология исследования культуры. СПб. 1977
120. Глазерсон Матитьягу. Тайны еврейских праздников / Пер. с англ. - Москва-Jerusalem: Мосты культуры-Gesharim, 2000-5760
121. Гешель А. Земля господня. Иерусалим. 1989
122. Грегори Р. Разумный глаз. Москва. 1972
123. Греческие и римские авторы о евреях и иудаизме. Москва.2009
124. Грин А. Словарь еврейской мистики и духовной жизни. Серия «Каббала и еврейская традиция». 2006
125. Гринберг Б. Традиционный еврейский дом. Москва. 2009
126. Гуревич П. Культурология. Москва. 1996
127. Давид И. История евреев на Кавказе. Тель-Авив, 1989
128. Давид И. История евреев на Кавказе. Тель-Авив. I-II. 1991
129. Даймонт М. Евреи, Бог и История. Иерусалим. 1989
130. Даниель С. Искусство видеть. Ленинград. 1990
131. Джонсон П. Популярная история евреев. Москва. Вече. 2000
132. Дмитриев М., Виноградова Н. Искусство древнего мира. Москва. 1986
133. Древние цивилизации. Ред. Г. Бонгард-Левин. Москва. 1989
134. Дубнов С. История евреев в Европе. Серия «Всемирная история еврейского народа». Т. I-IV. 2003

135. Дубнов С. История евреев на Востоке. Серия «Всемириная история еврейского народа». В трех томах. 2006
136. Дубнов С. Новейшая история еврейского народа. Серия «Всемириная история еврейского народа». Т. I-III. 2002
137. Еврейская история и религия. Иерусалим. 1989
138. Еврейское искусство в Европейском контексте. Сб. Статей под ред. И.Родова. Библиотека Иудаика. 2002
139. Еврейская Энциклопедия в шестнадцати томах. С.-Петербург. 1913
140. Евроазиатский еврейский ежегодник. 5769 (2008-2009). Москва. 2009
141. Жвания З., Лорткипанидзе Г. Новые архивные материалы по еврейскому галуту в Грузии. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები XXVI (გებრაულის კრებულის). თბ. 2008
142. Жегин Л. Язык живописного произведения. Москва. 1970
143. Житие Картли. Тбилиси, 1955
144. Заболоцкая Ю. История Ближнего Востока в Древности. Москва. 1989
145. Зданевич К. Нико Пиросмани. Москва. 1963
146. Зильбер Ицхак. Пламя не спалит тебя. Нью Йорк. 1989
147. Иоффе И. Синтетическая история искусств. Введение в историю художественного мышления. Ленинград. 1933
148. Искусство в еврейской традиции. Библиотека-Алия. Иерусалим. 1989
149. История еврейского народа. Москва. 1914
История еврейского народа под ред. проф. С.Эттингера. Иерусалим. 1972
150. История Древнего мира. Москва. 1989
151. История зарубежной этнографии. Москва. 1978
152. История эстетической мысли. Москва. 1989
153. Иудейско-христианский диалог. Словарь-справочник. Под ред. Кненицкого Л. И Вайгодера Д. Москва. 2009
154. Косидовский З. Библейские сказания. Москва. 1978
155. Кауфман З. Евреи в творчестве нееврейских художников.

156. Клагсбальд В. Еврейское искусство в предметах синагогиального культа. В кн: Искусство в еврейской традиции. Иерусалим. 1989
157. Клагсбальд В. Еврейское искусство в домашних и религиозных церемониях. Иерусалим. 1989
158. Клагсбальд В. Еврейский брак в искусстве и фольклоре. В кн: Искусство в еврейской традиции. Иерусалим. 1989
159. Клагсбальд В. Пасха в еврейском искусстве и фольклоре. В кн: Искусство в еврейской традиции. Иерусалим. 1989
160. Клагсбальд В. Ханукка в еврейском искусстве и фольклоре. В кн: Искусство в еврейской традиции. Иерусалим. 1989
161. Ковельман А. Эллинизм и еврейская культура. Москва. 2009
162. Кон-Виннер. История стилей изобразительных искусств. Москва. 2000
163. Корн И. Иудаизм в искусстве. Белфакс. 1997
164. Красовицкая М. Суббота в богослужбном кругу. Москва. 1999
165. Краткая еврейская энциклопедия. Иерусалим. 1990
166. Крихели А. Государственный историко-этнографический музей евреев Грузии. «Советская этнография». 1946
167. Крихели А. Стела с еврейской надписью, найденная в Мцхета. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. II. თბილისი. 1941
168. Крывелев И. Библия: историко-критический анализ. Москва. 1982
169. Кузнецов Э. Пиросмани. Москва. 1975
170. Кузнецов Э. Нико Пиросманишвили. Москва
171. Культур-лига. Художний авангард 1910-1920-х років. Киев. 2007
172. Культурология. Под ред. Г. Драча. Ростов-на-Дону. 1996
173. Культурология . История мировой культуры. Под ред. Марковой Москва. 1999
174. Культурология. Под ред. А. Радугина. Москва. 1998
175. Лау Исраель Меир. Практика иудаизма. Масада. 1991
176. Литературная Грузия. (Сборник, посвященный 26-вековому юбилею поселения евреев в Грузии). 7-9, Тбилиси. 1998..
177. Лоренц К. Кольцо царя Соломона. Москва. 1995

178. Лурье С. Антисемитизм в древнем мире. Серия «Тень еврейского народа» 2008
179. Лурье С. Историческая этнология. Москва. 1997
180. Малюга Ю. Культурология . Москва. 1998
181. Мамиствалашвили Э. История грузинских евреев, Тбилиси, 1995
182. Мамонтов С. Основы культурологии. Москва. 1994
183. Маркарян Е. Теория культуры и современная наука. Москва. 1983
184. Массон В. Первые цивилизации. Ленинград. 1989
185. Меликишвили Г. К истории древней Грузии. Тбилиси. 1959
186. Мень А. История религии. В 7 томах. Москва. 1990
187. Мифы народов мира. Т. I-II. Москва. 1982
188. Мостова Л. Антропологическая традиция в исследовании культуры. – Антология исследования культуры. СПб. 1997
189. Мудрецы Талмуда. Сборник сказаний, притч, изречений. Ростов-на-Дону. 2005
190. Неер А. Ключи к иудаизму. Иерусалим. 1989
191. Очерки истории древнего мира. 1961
192. Очерки истории еврейского народа. Кн. I-II. Иерусалим. 1989
193. Панов Е. Этнология – ее истоки, становление и место в исследовании поведения. Москва. 1975
194. Поляков Л. История антисемитизма. В двух томах. 2008
195. Примитив и его место в художественной культуре Нового и Новейшего времени. Под ред. В. Прокофьева. Москва. 1983
196. Происхождение Библии. М. 1964
197. Ранович А. Очерк истории древнееврейской религии. М. 1937
198. Рашовский М-Г. Что значит быть евреем. Введение в еврейскую традицию. Иерусалим
199. Рот С. Еврейское изобразительное искусство. В кн: Искусство в еврейской традиции. Иерусалим. 1989
200. Рот С. История евреев. Иерусалим. 1976
201. Соколов-Ремизов С. Литература, каллиграфия, живопись. М. 1985
202. Сравнительное изучение цивилизаций. Хрестоматия. М. 1998
203. Стейнберг М. Основы иудаизма. Иерусалим. 1986

204. Сэмюэле Р. По тропам еврейской истории. Иерусалим. 1989
205. Тойнби А. Дж. Постигание истории. Москва. 1996
206. Тойнби А. Дж. Цивилизация перед судом истории. М.-СПб., 1996
207. Трактат Авот. Иерусалим. 1999
208. Уайт Л. Понятие культуры. – Антология исследования культуры. Т. I. Интерпретация культуры. СПб. 1997
209. Уайт Л. Наука о культуре. – Антология исследования культуры. Т. I. Интерпретация культуры. СПб. 1997
210. Урбах Э. Мудрецы Талмуда. Иерусалим. 1987
211. Францев Ю. Фетишизм и проблема происхождения религии. 1940
212. Фрейд З. Введение в психоанализ: Лекции. Москва. 1992
213. Фрейд З. Психоанализ, религия, культура. Москва. 1992
214. Фром Э. Бегство от свободы. Москва.. 1990
215. Фром Э. Иметь или быть. Москва. 1990
216. Фуко М. Слова и вещи: археология гуманитарных наук. М.1977
217. Хаймович Б. Дело рук наших для прославления. Росписи синагоги Бейт Тфила Беньямин в Черновцах. Киев. 2008
218. Харрис Д. Евреи и мир. New York. 1989
219. Хвольсон Д. Надгробная надпись из Мцхета. Сборник еврейских надписей из Крыма и другие надписи из иных мест. С.П.Г. 1984
220. Церетели Г. О тбилисской рукописи древнееврейского Пятикнижия. – Восточная филология. Тб. 1969
221. Цицуашвили Л. Иудаизм в творчестве художника-самоучки Ш. Кобошвили. Журн: Кавказоведение. № 8. Тб. 2005
222. Цицуашвили Л. Свадебный цикл в творчестве художника-самоучки Ш. Кобошвили. Журн: Кавказоведение. № 10. Тб. 2006
223. Цицуашвили Л. Иудаизм в культуре Грузии. Экспонаты еврейского историко-этнографического музея Грузии. Востоковедческие студии. Вестник ХГАДИ. № 12 (Вып.2). Харьков. 2009
224. Чемберлен Г.С. Евреи, их происхождение и причины их влияния в Европе. С.-Петербург. 1907
225. Шагал Белла. Горящие огни. Москва. 2001
226. Шагал Марк. Моя жизнь. Санкт-Петербург. 2003

227. Шапиро М. Сто великих евреев. Москва. Вече. 2007
228. Шаптошвили Д. Музей к 20-й годовщине установления Советской власти в Грузии. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. II. თბილისი. 1941
229. Шифман И. Ветхий завет и его мир. Москва.. 1987
230. Шифман А. От текста к традиции. История иудаизма в эпоху Второго Храма и период Мишны и Талмуда. Библиотека Иудаика. 2002
231. Шолем Г. Основные направления в еврейской мистике. Серия «Изыскания в еврейской мистике». 2004
232. Шолем Г. Звезда Давида: история символа. Загадки еврейской истории. Иерусалим. 1990
233. Шломберже Д. Элинизированный Восток. Москва. 1985
234. Штейнзальц А. Творящее слово. Иерусалим. 1996
235. Шукян М. Правовое положение евреев Грузии в XIX столетии. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები. ტ. I. თბილისი. 1940
236. Элиаде М. Трактат по истории религий. Т.Ш. Спб., 1999
237. Юнг К. Архетип и символ. М. 1991
238. Юнг К. Психологические типы. М. 1995
239. Юрис Л. Эксодус. Иерусалим. 1973
240. Яковлев Е. Искусство и мировые религии. Москва. 1985
241. Altsbuler M. Synagogues and Rabbis in the Soviet Union in light of Statistics, 1953-1964. – Jews in Eastern Europe, vol. 35, № 1, 1998
242. Albright W.F. The Archaeology of Palestine. Harmondsworth. 1960
243. Albright W.F. Yahweh and the Gods of Canaan. L. 1968
244. Asch Sh. *Moses*. New York: Putnam, 1958
245. Assmann, Jan. *Moses the Egyptian: The Memory of Egypt in Western Monotheism*. Harvard University Press, 1997
246. Beyond the Golden Fleece. A cultural history of the Jews of Georgia. Bethesda. 2004
247. Bemporad D.L. The Synagogue . The Jewish Museum of Florence. Firenze. 2007
248. Card O.S. *Stone Tables*. Deseret Book Co., 1998

249. Chasidah Y. *Encyclopaedia of Biblical personalities: anthologized from the Talmud, Midrash and rabbinic writings*, Shaar Press, Brooklyn, 2000
250. Cohen J. *Moses: A Memoir*. Mahwah, N.J.: Paulist Press, 2003
251. David I. *Controversies*. Washington. 1991
252. Eschwege. *Die Snagoge in der Deutschen Geschichte*. VEB Verlag der Kunst. Dresden. 1980
253. Freud S. *Moses and Monotheism*. New York: Vintage, 1967
254. Gaster Th. H. *Mith, Legend and Custom in the Old Testament*. N.Y. 1969
255. Glass J.M. *Religious circumission: a Jewish view*. Jerusalem. 1999
256. Haftman W. *Mark Chagall*. New York. 1987
257. Halter, Marek. *Zipporah, Wife of Moses*. New York: Crown, 2005
258. Ingraham, J. H.. *The Pillar of Fire: Or Israel in Bondage*. New York: A.L. Burt, 1859
259. *In the Land of the Golden Fleece. The Jews of Georgia - History and Culture*. Editors: Rachel Arbel, Lily Magal (Magalashvili). Tel-Aviv.1992
260. *Israel History and Art. Twenty Centuries of People and Places*. Dan Bahat, Ram Ben-Shalom. Matan Arts. Israel. 2006
261. *Israel Studies Forum. Association for Israel Studies*. New York – Oxford. 2008
262. *Jewish Tradition*. Cape Town. 2009
263. *Jewish Life. Holiday issue*. 2008
264. *Jews and Synagogues (Venice, Florence, Rome, Leghorn)*. Venezia. 2004
265. Kenyon K. *Archaeology of the Holy Land*. L. 1962
266. Kohn, Rebecca. *Seven Days to the Sea: An Epic Novel of the Exodus*. New York.2006
267. *Light and Shadows. The Story of Iran and the Jews*. Beit Hatfutsot. Tel Aviv. 2011
268. Lods A *Les Prophetes d'Israel et les debuts dueJudaisme*. Paris.1935
269. *Magyarorszagi zsinagogak*. Foszerkeszto Goro Laszlo. Muszaki Konyvkiado. Budapest. 1989
270. Mann, Thomas. "Thou Shalt Have No Other Gods Before Me."In the Ten Commandments. New York. 1943

271. Mountain Jews. Customs and Daily Life in the Caucasus. Edited by L. Mikdash-Shamailov. Jerusalem. 2002
272. Rothenberg J. The Jewish Religion in the Soviet Union. New York. 1971
273. Sandmel S.. *Alone Atop the Mountain*. Garden City, N.Y.1973
274. Sephardic Genealogy : Discovering Your Sephardic Ancestors and Their World / by Dr. Jeffrey S. Malka. Bergenfield, NJ : Avotaynu, 2002
275. Shalom. Le Magazine Juif Europeen. Geneve. 2007
276. Shalom Koboshvili (1876-1941). Artiste juif georgien. Exposition au Musee national de Georgie. Shalom. Le Magazine Juif Europeen. Geneve. 2007, 100-101
277. The Laniado Haggadah. A.G.N. Ltd. Ra'anana, Israel
278. The Old Testament and Modern Study. Oxford. 1951
279. Treasures of Jewish Heritage. The Jewish Museum. London. Scala Publishers Ltd. 2006
280. Widengren G. Literary and Psychological Aspects of the Hebrew Prophets. Uppsala.1948
281. Yadin Y. Hazor. The Rediscovery of a Great Citadel of the Bible. L. 1975
282. The Samaritans' Passover sacrifice by Amnon K'fir
283. http://www.chaimnoy.com/Abstracts/ConferenceProgram_Final.pdf
284. <http://www.eleven.co.il/?mode=article&id=11877&query=%C8%D>
285. <http://www.eleven.co.il/categ/1500>
286. <http://www.eleven.co.il/categ/2300>
287. <http://www.eleven.co.il/categ/2400>
288. <http://www.shmuel-trigano.fr/dico/judaica001.pdf>
289. <http://www.sothebys.com/en/departments/judaica/overview.html>
290. http://search.catalogkid.com/scripts/search_results,searchCode,78J.html